



# ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

26 ივლისი 2013

№15 (197)

ეთერ თათარაიძის დაღესტნური რვეული ფიქრები თემურ ჩხეიძის სპექტაკლზე აკაკი წერეთელი და ტალახიანი დრო ინტერვიუ ეკა ქუთათელაძესთან ლალი გულისაშვილის ლირიკა ალაა აღ-ასუანის ნოველები რეცენზია ხუთ „ნოველად“ ემზარ კვიციანიშვილის ესეი გვანცა ჯობავას ლექსები გამოსვლები უეკრანოდ



# შინაარსი

სად წაიყვან საღაურსა	2	სოფიო ჯაფარიძე სულის დისციპლინა (სიტყვა პეტრე ხვედელიძეზე)
თეატრალური სცენარება	3	ნინო ჩხიკვიშვილი დასასრულის დასაწყისი ანუ ფიქრები თემურ ჩხეიძის სპექტაკლზე — „არტ ხელოვნება“
განთიადიდან განთიადამდე	4	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ
ამსპრან-ინტერვიუ	10	ეკა ქუთათელაძე „სიყვარულია, რაც ჩვენ გვატოცხლებს!“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	11	ზურაბ ლავრელაშვილი ცროლის მთა
პოეზია	17	გვანცა ჯობავა ქოლგები
	18	ეთერ თათარაძე დაღესტნური რვეულიდან
	20	ლალი გულისაშვილი შოპის დამე
	23	თინათინ ანასაშვილი *** და როცა შეგხვდით
უსხოეთის სცენარებიდან	24	„თუკი იღაა კარგია, თუკი ნამდვილად შენია, მაშინ არ დაგავიწყდება, მანამ არ მოგასვენებს, სანამ წერას არ დაიწყებ“ (პატი ჰილს ესაუბრება ტრუმან კაპოტე)
ჩანახაზი	28	მერაბ ჯიბლაძე ნიკოლსკის ქაღლი
რეპორტაჟი	29	ნინო დეკანოიძე მსხვერპლი და ჯალათი კრიზისულ ეპოქაში (განხილვა ზურაბ კანდელაკის რომანისა „უძრავი ქარი“)
ენა და ბედისწერა	32	ნინო მჭედლიშვილი იატაკქვეშეთში მოღვაწე უცხო ენები
კრიტიკა	33	იოსებ ჭუმბურიძე რეცენზია ხუთ „ნოველად“, პროლოგითა და ეპილოგით
	35	გია ხოფერია აპაკი წართელი და ტალახინი დრო
	39	მურმან ჯგუბურია ჩემი ნიგნი „სიცოცხლე — ვერტიკალია“ (ლელია გრძელიძის პოეზია)
ესეისტიკა	41	ემზარ კვიციანიშვილი ზღვა და სომალდი
თქმა მართლისა	46	გურამ გოგიაშვილი ფანტომის დისკო ვითომ ნაკითხულია?!. (მოსაზრებები კვაშილავასეულ ნაკითხვა-გაშიფვრისა გამო)
პოეზის ერთი ლექსი	50	დალილა ბედიანიძე წარწერა მაკა ჯონსაძის ნიგნზე „ჩაძირული დღესასწაული“
ახალგაზრდაბო. ან კი თქვენი	51	მარიამ გაბედავა, ლალი სალუქვაძე, ელენე კიკნაძე, სალომე ფაცაცია სემინარი ბრძალდება... ამჯერად — „ღირსება“
იზარდა, მხვანა ჯაფილო	55	გურამ პეტრიაშვილი ირინეს ბავშვობა
ახალი თარგმანები	67	ალაა ალ-ასუანი ორი ნოველა
ლიბერატორული სცენარება	70	ლილე გიორგიძე უჯრაში ჩაკეტილი აზრები
მოუაია	71	შარშიობა



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 9 აგვისტოს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომეგა თეკი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯობაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

**გარეკანზე:** პეტრე ხვედელიძე, ფოტო ლევან ჯაფარიძისა  
ეგვიპტე, ხურგადა



25 ივნისს, ქართული ემიგრაციის უზუცეს წარმომადგენელს, ვაშინგტონში მცხოვრებ პეტრე ხვედელიძეს 95 წელი შეუსრულდა. ბატონი პეტრე თავისი დაბადების დღეს ვაშინგტონის კლინიკაში, ავღანეთში დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებთან ერთად შეხვდა, ქართველმა საზოგადოებამ კი ღირსეული და ღვანღმოსილი თანამემამულის იუბილუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში აღნიშნა.

მუზეუმში შეკრებილთ გულითადად მიულოცეს ბ-ნ პეტრეს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. კვლავაც მხნეობა და დღეგრძელობა უსურვეს ოკეანის მიღმა „საქართველოზე ფიქრით“ მცხოვრებ მოუღალავ, საამაყო „ძია პეტრეს“. უმნიშვნელოვანესია, რომ ეს დღე ამიერიდან „ემიგრაციის დღედაც“ დაწესდა. გთავაზობთ ერთ-ერთ ადრესს საიუბილეო სალამოდან:

# სულის დისციპლინა

□

## სიტყვა პატრე ხვედელიძეზე

ბრიუსელში, ემიგრაციაში მყოფ თედო სახოკიას გერონტი ქიქოძე სწევია თავის პატარა ოთახში. მაგიდაზე ტაბელ-კალენდარი ედო და ყოველდღე შლიდა, მაგრამ დღის გავლის შემდეგ კი არა, დილითვე. როცა ერთხელ უკითხავს გერონტის, — შე კაცო, დღევანდელი დღე ეს-ესაა მხოლოდ დაინწყო, შენ კი გადაგიხაზავსო, თედოს ასე უპასუხია: — „ემიგრანტისთვის, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა ტანჯავს, ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განვლილი დღეა“.

აღბათ, ადვილი წარმოსადგენია, ამ სიტყვების მთქმელი კაცის შინაგანი განცდების სიმძაფრე და ხარისხი, თუმცა, სამშობლომოყრჩეულებმა, შიშობა ვერც ამ სიტყვებისა გავიგოთ რაიმე და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერც სამშობლოს შეგრძნება მოვახერხოთ. ხშირად, აკი ასეც ხდება ხოლმე, გავლევთ წუთისოფელს და უკან მოხედვაც კი გვზარავს, რადგან არსად ილანდება ჩვენეული სასიკეთო კვალი, არც სამშობლოთი ატკიებული გული გვახსენებს თავს და არც მასზე მოფიქრალ შუბლს დასჩენია მწუხარების ორნატი, სირცხვილით თვალი ვერ გავვისწორებია შთამომავალთათვის.

სწორედ ამიტომაც, გეფიქრება, იქნებ დღის გავლამდე დასრულებული დღეებით ცხოვრება უმჯობესიც იყოს! ტკივილიანი გულის ზიდვა სჯობდეს დაარსებულ გულს?! აღბათ, ამ კითხვის ყველაზე სახიერი პასუხია ოკეანის მიღმა მცხოვრები, ორი ემიგრაციის ემიგრანტის ღვანღი — საუკუნეს მიღწეული ჩვენი უზუცესის, ხუცესისა თუ რა ეპითეტიც გნებავთ გამოიმეტეთ ამ საარაკო პიროვნების, მართლაც ქვეყნის სიყვარულს შეწირული მამულიშვილის, ბ-ნი პეტრე ხვედელიძისადმი.

არ ვიცი, ბ-ნი პეტრე როგორ ფურცლავდა კალენდარს, ერთი რამ კი უცხადესია, მისი ცხოვრების თითქმის საუკუნოვანი კალენდრის თითოეული ფურცელი უშიშრად, სიამაყით შეუძლია გადაშალოს და ყოველი ქართველისთვისაც საცნაურწყოს.

ძნელი წარმოსადგენია, იქნებ უკვე წარმოდგენილიც, რომ დღევანდელ ამორფულ სამყაროში, ალუფხულ ფაჩეუ-

ლობათა ჟამს, დააბიჯებს სპეტაკი ადამიანი, რომლის ყურსაც თანაბრად სწვდება როგორც გალაქტიკაში სამარადისოდ მჟღერი მშობლიური „ჩაკრულო“, ისე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები შეინრებულ-შეჭირვებული თანამემამულის გმინვა და ლალადისი.

ვისაც ბ-ნ პეტრესთან ერთხელ გასაუბრების ბედნიერება მაინც ჰქონია, ზედმეტი იქნება მას ბ-ნი პეტრეს ღვანღსა და პიროვნებაზე მოვუთხროთ, შესაძლოა, ამით კიდევ გავაფერმკრთალოთ ამ უჩვეულო კაცის ცხოვრება, ამიტომ ამას არც მე შევეცდები, მხოლოდ ერთს ვიტყვი, რაც ჩემთვის დღემდე გამოცანა იყო და, მგონი, პასუხს მივაგენი.

გულწრფელად მიკვირდა და მინტერესებდა, რა იყო ის, რაც ბ-ნ პეტრეს მთელი სიცოცხლე, ადამიანებზე ფიქრისა და ზრუნვის გაუნებელ ძალასა და სასიცოცხლო ენერგიას ანიჭებდა, სამშობლოს წამითაც არ წყვეტდა და სიკეთის განუხრელი გზა-ბილიკებით ატარებდა?! როგორც მოგახსენეთ, პასუხი ამ საკითხავზე ვიპოვე, მის მოძიებაში კი ჩვენი გენიალური თანამედროვე, ასევე სანიმუშო პიროვნება და მოღვაწე, ბ-ნი ბაჩანა ბრეგვაძე წამომეშველა თავისი შესანიშნავი „ჩანაწერებით“.

ერთ-ერთ ჩანაწერში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიასა და გერმანელებზე საუბრისას, ბ-ნი ბაჩანა იმ უამრავ მიზეზს ჩამოთვლის, რამაც სულიერად განადგურებული, სასონარკვეთილი და დათრგუნული ერი ფეხზე წამოაყენა და ფენიქსებრ აღადგინა: შემართებას, შრომისმოყვარეობას, მოქალაქეობრივ შეგნებას, შესაშურ ენერგიასა და მძლეთამძლე ნებას

შორის „სულის უმკაცრესი დისციპლინაც“ გამოკრთა. იმხანად ბ-ნ პეტრეზე უნდა დამენერა და ჩემთვის სწორედ ის სათქმელი გაცხადდა, რაც მაფიქრებდა და რის გამოთქმასაც ამდენ ხანს ვერ ვახერხებდი.

დიახ, სულის დისციპლინაა ის, რაც ბ-ნ პეტრე ხვედელიძეს 95 წლის ასაკშიც არ უნელებს მოქალაქეობრივ თუ ადამიანურ პასუხისმგებლობებს და სულის დისციპლინაა ის, რაც ჩვენ, მის თანამედროვეთ, ასე უმონყალოდ გვჭირდება!

მრავალჟამიერი სულის მხნეობა ბ-ნ პეტრეს და მისი მოუკლებელი ზრუნვა და მეოხება ჩვენს უჭირისუფლოდ შთენილ ქვეყანას!

### სოფიო ჯაფარიძე

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაც — თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად — სიამოვნებითა და სიხარულით უერთდება ქართველი საზოგადოების მილოცვას: სულის მხნეობასა და ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ ქვეყნის ჭირისუფალსა და მოამაგეს, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჩვენი ჟურნალის ერთგულ მკითხველსა და გულშემატკივარს, ბ-ნ პეტრე ხვედელიძეს.



ნინო ჩხიკვიშვილი

# დასასრულის დასაწყისი

ანუ

ფიქრები თემურ ჩხეიძის სპექტაკლზე —  
„არტ ხელოვნება“

პიესის ავტორი — იასმინა რიზა.  
გადმოაქართულა (რა თქმა უნდა) თამაზ გოდერძიშვილმა.

მხატვარი: იური გეგეშიძე.

კომპოზიტორი: გივი გაჩეჩილაძე.

მონაწილეობენ: ზურაბ ყიფშიძე, მიხეილ გომი-  
აშვილი და ალექო მახარობლიშვილი.

ეს ის აუცილებელი „მონაცემია“, რაც ამ სპექ-  
ტაკლზე საუბრისას ითქმის...

სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში 1999  
წელს დაიდგა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა...

აგერ უკვე 2013 წელის 13 ივნისია და კვლავ რე-  
პერტურშია.

რა განაპირობებს სპექტაკლის სიცოცხლისუ-  
ნარიანობას?!

ყველა ეს კომპონენტი ერთად აღებული:

თამაზ გოდერძიშვილი ხომ ის მთარგმნელია,  
რომელსაც უტყუარი ალლოთი შეუძლია სიტყვას  
სცენიური ჟღერადობა მიანიჭოს, რომ აღარაფერი  
ვთქვათ, თემურ ჩხეიძის რეჟისურაზე, განსაკუთ-  
რებულ ყურადღებას რომ ანიჭებს პიესის სიუჟეტს,  
როლებს განანილებას, რაც მისთვის სპექტაკლის გადწყვე-  
ტას ნიშნავს (საერთოდ, ბატონი თემურისთვის დღემდღორთა  
სისტემა, ფაქტობრივად, იშვიათობაა). პიესის გმირს, როლის  
ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის მსახიობის მონაცემს  
უთავსებს, ხშირად პირიქითაც ხდება — სწორედ მსახიობის  
პიროვნული თვისებები ამდიდრებს და სრულყოფილს ქმნის  
ამა თუ იმ პერსონაჟს... ამ შემთხვევაშიც ასეა, მსახიობთა  
შესანიშნავი ანსამბლი — ზურაბ ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვი-  
ლი და ალექო მახარობლიშვილი, ასეთ მსახიობთა ერთად  
ყოფნა სცენაზე, საუკეთესო „საზრდოა“ კრიტიკოსთათვის და  
დაუფინყარი მოვლენა მაყურებლისთვის...

დღეს მაყურებელთა შორისა ვარ... ისე ვუყურებ ამ ხნიერ  
და მაინც ახალგაზრდა სპექტაკლს, თითქოს პირველად ვნა-  
ხულობდე, ესა თეატრის მაგიური ძალა!

ყოველი ახალი წარმოდგენა — სპექტაკლის ახალ სი-  
ცოცხლეს ნიშნავს.

ეს იდუმალეა დღემდე მრავალუცხოვანი განტოლებაა,  
რომელსაც ვერასდროს (ვერანაირი მათემატიკური თუ ლოგი-  
კური გამოთვლებით) ამოხსნი, თუმცა ყოველთვის ვცდილობ,  
ამ იდუმალეების რაღაც მემბლანის, ერთი ჩქამი საჩემოდ და-  
ვიგულო: ფურცელზე გადავიტანო ის განწყობა, რაც ახლა ხდე-  
ბა სცენაზე, რადგან ეს ყოველივე განუმეორებელია;

მამ ასე,

ინყება!

დასასრულის დასაწყისი ინყება:

დეკორაცია (მწირი და კუშტი) განწყობას გკარნახობს. შუ-  
ქი დეკორაციის უკან მჯდომარე ვანიჩკას (ალექო მახარობ-  
ლიშვილის პერსონაჟს) სცემს. სცენაზე ის გამოდის პირველი,  
მაყურებლისკენ ზურგით ჯდება (მოგვიანებით ამავე პოზაში

ხან მეორე პერსონაჟი აღმოჩნდება, ხან მესამე). ამგვარი  
ჯდომა გაუცხოების მეტაფორად აღიქმება. სიცივისა და სი-  
ცარიელის განცდას ბადებს.

მერე ზურაბ ყიფშიძის პერსონაჟი — მამია — გამოდის  
სცენაზე, ხსნის სასმისს და... პარტერს აკვირდება...

ცოტა ხანში მიხეილ გომიაშვილის პერსონაჟს — სერგოს —  
სცენაზე შემოაქვს მოზრდილი, ტილოგადაფარებული ნახატი.  
თეთრ ტილოს აცლის და კვლავ სრულიად თეთრი ტილო მოჩანს.

ზურაბ ყიფშიძის პერსონაჟი გაოგნებული შესცქერის ნა-  
ხატს. ამ სიჩუმეს, ბოლოს და ბოლოს, მამიას სიცილი არლ-  
ვევს: მამიას მონოლოგი სერგოსთან დიალოგით იცვლება.

ვანიჩკა მოგვიანებით ერთვება მოქმედებასა და საუბარში.



ზურაბ ყიფშიძე, ალექო მახარობლიშვილი და მიხეილ გომიაშვილი

ზურაბ ყიფშიძე თავიდანვე იმპერატივით საუბრობს,  
ქვეცნობიერად (თუ ცნობიერადაც) იმისი დამტკიცება სურს,  
რაც ძალიან აწვალებს: მათ შორის, იგი ყველაზე ინტელექტუ-  
ალია და ჭკვიანიც(!)

სერგოს ამისი დამტკიცება არა სჭირდება, რადგან ისედაც  
დარწმუნებულია, რომ მამიასაც და ვანიჩკასაც სჯობს (ვანიჩ-  
კა კი „თვინიერია“).

ვინ არიან ისინი, რა დამოკიდებულება გააჩნიათ ერთმანე-  
თის მიმართ? ამაზე ნახატის „გამოჩენამდე“ არც კი უფიქრი-  
ათ. ამ ნახატმა „გაარკვია“ მათ შორის დამოკიდებულება.

ამ შემთხვევაში წინდანი გათვლილმა, როგორც რეჟისორი  
უნოდებს, „ჩარჩოში ჩასმულმა იმპროვიზაციამ“, გაამართლა!

ერთხელ ბატონმა თემურმა ასეთი რამ მითხრა „არტზე“:  
„ამ სპექტაკლში უნდა შეიქმნას სრული შთაბეჭდილება იმისა,  
რომ მსახიობები გამოვიდნენ სცენაზე და რასაც უნდათ იმას  
აკეთებენ... ამ დროს, რომ იცოდეთ, როგორი გათვლილია ყვე-  
ლაფერი. აი, ისიც კი, თუ რამდენ ხანს უნდა იბურტყუნოს,  
მაგალითად, ალექო მახარობლიშვილმა ისე, ტექსტი რომ არ  
იმოდეს... იცით, ერთხელ ისიც კი ვთქვი, იდეალური იქნება  
სპექტაკლის შემდეგ მსახიობებს თუ გკითხავენ, კი მაგრამ აქ  
რეჟისორმა რა გააკეთა, ვერ გავიგეთო?!“ ჰოდა, რეჟისორმა  
ჩვეულ მანერაში ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მინიმუმებით,  
ნიუანსობრივი აქცენტებით მიიყვანა კულმინაციამდე კონფ-  
ლიქტი და... ერთ-ერთ მაყურებელს ასეთი რამ „დაანერინა“  
ფეისბუკზე: „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს თემურ ჩხეი-  
ძის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. მიუხედავად იმისა,  
რომ სპექტაკლში მინიმალურადაა გამოყენებული დეკორა-  
ცია და მუსიკა, მე ასეთი ღრმა და ემოციებით „დატვირთული“  
პიესა ბევრი არ მინახავს. მთელი ყურადღება გადატანილია

სამ მთავარ გმირზე, ბავშვობის სამ მეგობარზე, რომლებსაც წლების მანძილზე ერთმანეთისაგან განსხვავებული აზროვნება-გემოვნება ჩამოუყალიბდათ და მაყურებლისთვის საინტერესოა ის, თუ რამდენად ძლიერი აღმოჩნდება ეს მეგობრობა. შთამბეჭქდავი იუმორი, ნაცნობი სიტუაცია ნამდვილად დააფიქრებს ნებისმიერ თქვენგანს და შეიძლება ამ უახლოეს ურთიერთობებში საკუთარი შეცდომებიც აღმოაჩინოს“.

\*\*\*

ჰო, რას ვამბობდი?

სპექტაკლის განუმეორებლობაზე ვსაუბრობდი... მაყურებლის დამოკიდებულებაზე.

დღეს მაყურებელი უცნაურად იქცევა, ზოგჯერ არაადეკვატურია, ისეთ რეპლიკაზე უკრავს ტაშს, იმდენს იცინის (კვდება სიცილით), მე კი ნერვები მეშლება: სცენაზე დრამა თამაშდება, ბავშვობის მეგობრები ლამისაა სამუდამოდ დაშორდნენ, ესენი კი გულთანად იცინიან. მინდა წამოვდგე და ხმააღლა დავიყვირო:

გაჩუმდით, ხალხო, რა ვაცინებთ?!

ამ დროს... ზურაბ ყიფშიძე მიხეილ გომიაშვილს მიმართავს: მეგობარი დიდი ხანით არ უნდა მიატოვო! და... იმხელა სევდაა ამ ნათქვამში, ცრემლი მოგადგება.

დარბაზი ერთბაშად ისუსება. უკვირს, როგორ მოხდა, რომ ამ სიცილ-ხარხარში ყველაზე მთავარი გამოეპარა?!

დარბაზი ერთბაშად ისუსება. უკვირს, როგორ მოხდა, რომ ამ სიცილ-ხარხარში ყველაზე მთავარი გამოეპარა?!

როგორ მოხდა, რომ მთელი სპექტაკლი ისე წავიდა ფინალისკენ, ვერ შეამჩნიეს ის ადამიანური, ფარული სევდა (თუ ტრაგიზმი), ამ სამ პერსონაჟს რომ აერთიანებს და აშორებს კიდევ.

რაა მიზეზი, რომ მათ, ამ სამ მეგობარს, მიუხედავად ყველაფრისა, უერთმანეთოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ.

მოდერნისტული და კლასიკური კი არა, თურმე მთავარი ერთმანეთთან დამოკიდებულების ხელოვნება ყოფილა.

ესაა მთავარი სათქმელი... ადამიანი ადამიანად უნდა დარჩეს!

\*\*\*

ასე მთავრდება სპექტაკლი... და ფინალში როცა მუსიკა გაისმის (მხოლოდ დასასრულს ისმის მუსიკა, როგორც მაღალი ხელოვნების, სულიერების სიმბოლო) ხვდები, რომ ტკივილთან მარტო რჩები.

ფიქრისთვის რჩები მარტო!

\*\*\*

დიახ, ასე იწყება დასასრულის დასაწყისი...

ყოველთვის ასე იწყება და ასე მთავრდება სპექტაკლი. სპექტაკლი, რომელიც აღარასდროს განმეორდება. „თეატრის ბედნიერება და უბედურებაც ისაა, რომ მისი ხელოვნება, რანამს იზადება, მაშინვე ქრება, არასოდეს მეორდება. მასზე მხოლოდ მოგონება რჩება“ (მიხეილ თუმანიშვილი).

\*\*\*

თოთხმეტი წელიწადია ამ სპექტაკლს მაყურებელი არ მოკლებია, თოთხმეტი წელიწადია თეატრის დარბაზი ლამის ისევე ივსება, როგორც პრემიერის დღეს. თოთხმეტი წელიწადია მსახიობები მაყურებელთა აპლოდისმენტებს იღებენ, შემდეგ ტოვებენ სცენას და... კვლავ ემზადებიან, ემზადებიან გამოეპარა „არტისთვის“. არადა, ამბობენ, ხანდაზმულობის გამო შეიძლება სპექტაკლი მომავალ სეზონში მოიხსნასო. თუ ეს მართალია, დამენანება ამ ახირებულ მეგობრებთან განშორება.

თუ ეს მართალია, მაშინ რა გამოდის, მე „არტ ხელოვნების“ უკანასკნელი სპექტაკლი მინახავს (?!)

# როსტომ ჩხეიძის ბამოსვლები უიკრანოდ

ქადაგებათა კომატური სული და მაღლი  
(ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „წინასწარმეტყველის“  
კიდევ ერთი ქართული ორეული)

მაინც რა არის ბოროტება?

ჯიბრან ხალილ ჯიბრანსა და მის წინასწარმეტყველს ამაზე თავისი პასუხი მოეპოვებათ:

— შიმშილისა და წყურვილისაგან გატანჯული სიკეთე.

შესაძლოა ეს პასუხი, როგორც ფილოსოფიური ახსნა, დიდი ორიგინალურობით არ გამოირჩეოდეს და მისი სათავეს ძიებას პეტრე იბერამდეც მივყავდეთ, სიკეთეს შეფარდებით ბოროტებად რომ მიიჩნევდა; მაგრამ ორიგინალური და მომხიბლავია მისი გამოთქმის ფორმა, როგორც საერთოდ იმ ქმნილებისა, „წინასწარმეტყველის“ სახელით რომ გამოჩნდებოდა და ჯიბრანის პოეტური მგზნებარება და მეტყველება, სტილური დახვეწილობა, აფორისტულობისა და პარადოქსულობისაკენ სწრაფვა მთელი სისასვით გადამიღებოდა მკითხველის თვალში.

სიუჟეტი მკრთალია ამ თხზულებისა, კომპოზიციური ჩარჩო პირობითი უფროა და „წინასწარმეტყველი“ წარმოგვიდგება ქადაგებათა კრებულად.

ამ მხრივ ის იმეორებს ფრიდრიხ ნიცშეს განთქმული მხატვრულ-ფილოსოფიური რომანის — „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ — ზოგად აგებულებას, ეგაა, სიუჟეტური ქარგა იქ ცოტა უფრო მკვეთრია.

„ესე იტყოდა ზარატუსტრას“ სტრუქტურა და „ათას ერთი ლამისა“ არა?

რასაკვირველია, არაბულ ზღაპართა კრებული ბავშვობიდანვე შეეთვისებინა, მაგრამ ამ წუთას ზარატუსტრას ექსპრესია რომ გადმოვწვდომოდა, კომპოზიციურ აგებულებასაც მისგანვე ისეხებდა.

ბაირონის ზეგავლენისა არ იყოს, ტალანტებს აიყოლიებდა ნიცშემც და ვერც ჯიბრანი გაექცეოდა მის მომწუსხველ გავლენას, თუმც საგულისხმო ისაა, რომ არაბი მწერლისთვისაც შინაგანად მახლობელი გახლდათ ეს სტილისტიკა, სულიერად ენათესავებოდა გერმანულ მოაზროვნეს და ამიტომაც შეძლებდა, რომ „წინასწარმეტყველი“ „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ გადმომღერება კი არა ყოფილიყო, არამედ იმავე ფესვზე ამოზრდილი თავისთავად ჩინებული ქმნილება, ორიგინალურ დაკვირვებათა და მიგნებათა მთელი წყებით გადავსებული, ანდაზებივით რომ მოიმარჯვებ გამოხატვის სისხარტისა და სინატიფის გამოისობით, იმ სილამაზის წყალობით, რომელსაც ქადაგებათა ამ კრებულში ცალკე დითირამბი დათმობია და მწერალი შეგვავიწყებს, რომ სილამაზე მოთხოვნილება კი არ არის, არამედ აღფრთოვანება და აღტაცება; ის არც მწყურვალე ბაგეებია და არც ცარიელი გაშვერილი ხელი, არამედ — მსურვალე გული და მოხიბლული სული.

ქადაგების ფინალურმა აკორდმა კი განსაკუთრებით უნდა შეაჩქვიფოს ჩვენი გულიც და გონებაც:

— სილამაზე მარადისობაა, სარკემი რომ იხედება, მაგრამ მარადისობაც თქვენ ხართ და სარკეც თქვენ ხართ.

საკუთარი თავის შესაცნობად რაღას გვირჩევს წინასწარმეტყველი?

არ უნდა ვეცადოთ, სასწორზე ავწონოთ ჩვენი გამოუცნობი საუნჯე.

არ უნდა ვეცადოთ, ჩვენი ცოდნის სიღრმე საძირავით ან კვერთხით გავზომოთ.

რადგანაც ჩვენი არსება ხომ ზღვაა — უსაზღვრო და უკიდევანო.

არც ის უნდა ვთქვათ: სულისაკენ მიმავალი გზა ვიპოვეთ.

უმჯობესი ხომ ეს განსაზღვრებაა: სული შემომხვდა, ჩემი გზით მიმავალიო.

და ეს იმიტომ, რომ:

— სული ყველა გზით დადის.

ამიტომაც მას ნუ შევადარებთ ლერწამს, არამედ ლოტოსი გაგვახსენდეს — თავისი ურიცხვი ფურცლით.

ბრძენი თუ გიბრძანებთ, ჩემს სასახლეში შემოდითო?

არა, თუ იგი მართლა ბრძენია, თავის სასახლეში კი არ მიგიპატიუებთ,

არამედ თქვენივე გონების ზღურბლთან მიგიყვანთ.

და როგორც მარტოსული დგას ყოველი ადამიანი ღვთის ცოდნაში, ასევე მარტო უნდა იყოს დედამიწის შემეცნებასა და ღვთის წვდომაში.

საკუთარი ბავშვები თუ მაინც გეკუთვნით?

თურმე — არა, რადგანაც ისინი სიცოცხლის შვილები არიან, სიცოცხლისა, რომელსაც საკუთარი თავი სწყურია; და თუმც ისინი თქვენი საშუალებით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან; და თუმც თქვენთან ერთად არიან, თქვენს კუთვნილებას არ წარმოადგენენ.

და თუ შეგიძლიათ შეიკედლოთ მათი სხეულები, მათ სულელებს ვერც მიწვდებით, რადგანაც მათი სულელები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი ოცნებითაც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

ამიტომაც:

— შესაძლოა ესწრაფოდეთ მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით, დაიმგვანოთ ისინი, რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნდება.

და სახლსაც ნუღა გაგიაზრებთ სიმბოლურ-მეტაფორული შინაარსის გარეშე, რადგანაც არ უნდა გვსურდეს ცხოვრება საფლავში, რომელიც მკვდრებს აუგიათ ცოცხალთათვის.

— დიდებულების და ბრწყინვალეების მიუხედავად თქვენი სახლი ვერც საიდუმლოს შეგინახავთ, ვერც თქვენს ვნებასა და სევდას დაფარავს.

— რადგან ის, რაც თქვენში უსასრულოა და უსაზღვრო, ზეციურ კარმიდამოში დავანებულა. მისი ჭიშკარი დილის ნისლია, ხოლო ფანჯრები — ღამის სიმღერა და ღამის სიჩუმე.

ხედვის ამ უჩვეულო შემოტრიალებების ფონზე აღარც ის გვიკვირს, რომ, ვთქვათ, ჩვენი სიხარული ჩვენივე ნიღაბჩამოსხნილი მწუხარებაა; და რომ სხეული ქნარია სულის და ადამიანზე ჰკიდია, მისგან სასიამოვნო მუსიკას გამოსცემს თუ არეულ ბგერებს; და რომ მხოლოდ მაშინ აღმღერდებით მთელი გულით, როდესაც სიჩუმის მდინარიდან შევსვამთ; და რომ მხოლოდ მაშინ დავიწყებთ აღმასვლას, როდესაც მწვერვალს მივალწევთ; და რომ მხოლოდ მაშინ შევასრულებთ ჩვენს ნამდვილ ცეკვას, როდესაც დედამიწა გამოითხოვს ჩვენს სხეულებს.

„წინასწარმეტყველი“ არ არის დიდტანიანი თხზულება, თუმც ბევრ ოფლს კი აწურვინებდა ავტორს და ტექსტი, რომელიც ხელთ გვაქვს, მეოთხე ცდაა, პირველ სამს დაუნანებლად რომ გაიმეტებდა, თუმც საგულისხმო კი იქნებოდა მკვლევართათვის — ტექსტის თანდათანობით შეცვლა-დახვეწის პროცესი, რომელმაც, ვინ იცის, რამხელა გზა გამოიარა.



ამ ყაიდისა და სტილის ქმნილებას სხვა ენაზე ამეტყველებსას განსაკუთრებული ხელოვნებაც ესაჭიროება, რადგანაც აუცილებელია შენარჩუნდეს პოეტური სულიც და მგზნებარებაც, ურომლისოდაც ეს გულისა და გონების ამაფორიაქებელი ქმნილება შეგონებათა მშრალ კოდექსად გადაიქცევა და მთელ თავის შთამბეჭდაობას დაკარგავს.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ნინო დოლიძის მთარგმნელობითმა ოსტატობამ ასე მარჯვედ მოიარგო ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სტილისტიკაც და „წინასწარმეტყველი“ სწორედ პოეტური სულითა და მგზნებარებით აღავსო; და მწერლის ის სიტყვები: ესაა ჩემი აღმსარებლობა, ჩემი ცხოვრების ხელშეუხებელი სინმინდე. ვისურვებდი, ის ერთ-ერთ ეკლესიაში წამეკითხაო, — ჩვენი

მკითხველისთვის თეორიული განაცხადი კი აღარ ყოფილიყო, არამედ თხზულების ქართული ვერსიიდან ხელშესახებად ეგრძნო აღმსარებლობის ეს შინაგანი პათოსიც, ხელშეუხებელი სინმინდეც და აღარც ის გაკვირვებოდა: მწერალი „წინასწარმეტყველის“ ეკლესიაში წაკითხვას მაინც რატომ ესწრაფოდაო!..

მთარგმნელისეულ წინათქმაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „წინასწარმეტყველი“ ქართულად კიდევ ორჯერაა ამეტყველებული: მანანა გიგინეიშვილისა და დავით გოგიბედაშვილის მიერ.

და რას უნდა გამოეწვია მისი თარგმნა მესამედაც?

გარდა იმ გარემოებისა, რომ ნინო დოლიძემ „წინასწარმეტყველს“ კარგა ხნის წინათ მოჰკიდა ხელი, იმხანად, როდესაც ეს თარგმანები არ არსებობდა, მთავარი და უმთავრესი მაინც ისაა, რომ მის მიერ შექმნილი ორეული თავისთავადი ღირსებებით გამოირჩევა და ცოდვა იქნებოდა მისი ჩატოვები მთარგმნელის არქივში იმ მოტივით: მანანა გიგინეიშვილმა მარჯვედ მიაგნო შესაფერის სტილურ კამერტონს და სრულფასოვნად და შთამბეჭდავად აამეტყველა ქართულ ენაზე (მის ფონზე აშკარად ფერმკრთალდება დავით გოგიბედაშვილის ცდა).

თავისი ადგილი აქვს იმ ვერსიას.

და თავის ადგილს დაიკავებს ნინო დოლიძისეული ვერსიაც, დიდხანს წარანდი და ნაპირკეთები, „ქართული აკადემიური ნიგნის“ წყალობით რომ ეღირსებოდა მზის სინათლეს და კიდევ ერთხელ განგვაცდევინებდა, თუ რას ნიშნავს მწერლის სულში წვდომა და მისი მხატვრული აზროვნებისა და სტილური მანერის თანაზიარობა.

ხოლო წინასწარმეტყველს ერთმა მოხუცმა მღვდელმა რომ უნდა სთხოვოს: რელიგიაზე გვესაუბრო, — მან უნდა გაიკვიროს: განა დღეს სხვა რამეზე ვილაპარაკეო? — და ეს ქადაგება უფლის სადიდებლით დაავიგირგვინოს:

— მიმოიხედეთ და დაინახავთ, როგორ ეთამაშება ის თქვენს ბავშვებს.

— სივრცეს გახედეთ და შენიშნავთ, როგორ დააბიჯებს ის ღრუბლებზე, ინვდის თავის ხელებს — ელვას და მოდის წვიმად.

— თქვენ დაინახავთ, როგორ იღიმის ის ყვაილებში, ადის მაღლა და ხელს გიქნევთ ხის ფოთლებიდან.

და ჩვენი მხრივ დავძინოთ, რომ მისი ღიმილი შემოგვაშუქებს ყოველი კეთილად აღსრულებული საქმიდან, ნიგნის ფურცლებიც ლოტოსის ფურცლებად რომ მოგვეჩვენება და წამიერად მაინც დავვიშოშმინდება ჭეშმარიტი მქადაგებლის სიტყვის მოსმენის წყურვილი.

**თავდახრილ ხეთა მელანქოლია  
(ჯეიმზ ჯოისის პოეტური დებიუტი და  
მისი ქართული ვერსია)**

მის ნებაზე რომ ყოფილიყო, ჯეიმზ ჯოისი ამ პოეტურ კრებულს არც არასოდეს გამოსცემდა.

მისთვის ეს უფრო სასიმღერო ტექსტები გახლდათ. რაკილა მომღერლობაზე ოცნებობდა და ერთიანად ამ სწრაფვით გაჟღერებულიყო, ათასგვარი მელოდიაც მოესინჯა, საკუთარ თავს ეძიებდა ამ გზაზე და ბარემ ტექსტებიც თვითონ შეექმნა, ვითომ ვისზე რა ნაკლებ ლექსებს დანერგდა, სასიმღეროდ რომ გამოიმდგარიყო?! მეტ დანიშნულებას არ ანიჭებდა ამ ცდებს, ანკი რატომ უნდა მიენიჭებინა.

თან ქალის იდეალის ძიებაც აჰკვირებდა.

გარშემო ვერავის ხედავდა, ამ იდეალის ანარეკლი რომ შემონათებოდა, და რაღას იზამდა, ისევე პოეზიაში უნდა ეძებნა ნუგეში, სიმღერებით დაემოშინებინა გული, მირაჟებსა და ოცნებებში შენივთებულიყო და სული ასე მოეთქვა.

რას წარმოიდგენდა, ოდესმე ბელეტრისტიკაში იმხელა წარმატებას თუ მიაღწევდა, XX საუკუნის პროზისა და ახალი მიმართულების მამადაც თუ აღიარებდნენ.

არადა, როგორ არ ეღიარებინათ, როდესაც ასერიგად შეცვლიდა თხრობის ზოგად პოეტიკას და კიდევ განსაზღვრავდა მოდერნიზმის საფუძვლებსაც და დიდ ლიტერატურულ ფერისცვალებასაც.

და განსაზღვრავდა იმით, რომ პირნიმნდად დაარღვევდა კლასიკურ სტილისტიკას.

ბრდღვირს აადენდა გაბატონებულ კლიშეებსა და სტერეოტიპებს.


პროზა მისი ასპარეზი აღმოჩნდებოდა, მისი საუფლო, და თავის ნებაზე გადააწყობდა წეს-კანონებს, მაგრამ, აი, პოეტური გაქანება იმხელა არ გააჩნდა და დადგენილ ყალიბს ოდნავადაც ვერ გადასცილდებოდა.

იქ იტრიალებდა, იქ შექმნიდა სიმღერებისათვის დიდად სასურველ პოეტურ სქემებს, მაგრამ რაკილა ეს გზა არ აკმაყოფილებდა და ძალიანაც არ აკმაყოფილებდა, კრებულის გამოცემაზე რომ დაფიქრდებოდა, იქვე უარყოფდა ამ გადამწყვეტილებას: არ არის სრულფასოვანი ლირიკაო.

თავისთავადი მნიშვნელობაც რომ ენიჭებოდა ამ ლექსებს — სასიმღერო ტექსტებად გამოყენების გარდა — და კრებულის გამოცემა უსათუოდ ღირდა, სტანისლაუს ჯოისი, მისი ძმა, ძლივძლიობით დაარწმუნებდა, ყოველ შემთხვევაში თავისას გაიტანდა, და ხელჩაქნეული და ამ ლექსებისაგან გაუცხოებული ჯეიმზი მას მიანდობდა ნიგნის შედგენას: დალაგებთაც ბარემ შენ დაალაგე, მე შიგ ჩახედვაც აღარ მინდაო.

მის გამოცემას კი მოგვიანებით იმით გაამართლებდა, მეუღლისათვის ემტკიცებინა 1909 წლის 21 აგვისტოს მიწერილ ბარათში: მაშინ რას წარმოვიდგენდი, არადა, თურმე შენთვის მომიძღვნიაო.

ასე იხილავდა მზის სინათლეს „კამერული მუსიკა“, რომელსაც მწერალი საკუთარი თავისადმი მიმართულ პროტესტად მოიხსენიებდა, თუმც მანცდამანც მკაფიო არ არის, რა პროტესტს გულისხმობს, რას ედავება საკუთარ თავს ამ ლირიკული სტრიქონებით.



და კრიტიკოსთა ის მოსაზრება კი ნამდვილად სათუთა, კრებულში პაროდულ ასპექტსაც რომ დაეძებენ და მის სახელწოდებას „Chamber music“ ისე განმარტავენ, თითქოს ჯოისი ამ გამოთქმაში მეორე შინაარსსაც გულისხმობდა, უხამსსა და ირონიულს, მკითხველს ღამის ქოთანსაც („Chamber pot“) რომ მოაგონებდა.

ცხადია, ზედმეტია ამგვარი ჩაძიებანი და კირკიტა, რადგანაც ეს ლექსები „ულისეს“ გადასახედიდან კი არ უნდა აღვიქვათ, არამედ ახალგაზრდა კაცის სატრფიალო განწყობილება-ფიქრების თვალთახედვით, ამ კუთხით კი არაფერი გვიბიძგებს პაროდული პლანის საძიებლად, თუკი ხელოვნურად არ მივანერთ. მაშინ კიდევ აღმოვჩინებთ მის კვალს, მაგრამ ეს რაღა აღმოჩენა იქნება.

დადგენილ ყალიბს ოდნავადაც ვერ გადასცილდებოდაო...

მაგრამ ჯეიმზის მკაცრ შეფასებაზე მეტად მისი ძმის შეფასებას უფრო ვიზიარებთ, გაბატონებული პოეტური გემოვნების გათვალისწინების მიუხედავად, წრფელი განცდებიც რომ ხელშესახებად გამოკრთის და მხატვრული ტექნიკაც სასურველ დონეს აღწევს. და ამიტომაც არ გამოიტოვება ამ ლირიკული ციკლის უკეთესი ნიმუშები სატრფიალო კრებულთა ანთოლოგიებში — არც ინგლისურ და ან უკვე აღარც ქართულ გამოცემებში, ვასილ გულეური მთლიანად რომ გადმოიღებდა და „არტანუჯი“ ჩვენს მკითხველსაც მიანვდიდა ამ კრებულს ბილინგვური სახით, როგორც დიდი ირლანდიელი მწერლის შემოქმედების სანყისი ეტაპის ნიმუშს: ჯეიმზ ჯოისის მხატვრული მემკვიდრეობა აუცილებელია სრულად იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზეცო.

„კამერულ მუსიკას“ მთარგმნელიც შესაფერისი გამოუჩნდებოდა, პოეზიასა და პოეტურ თარგმანში გამოცდილება ჯოისურ განწყობილებათა ქართულ ორეულებს მომხიბლობითა და შინაგანი მელოდიურობით რომ აღავსებდა და გივი გაჩეჩილაძის ოდინდელი (მასთან დასათაურებულია „ოთახის მუსიკად“, ჯოისი კი ისიც, როგორც ამ ციკლის სხვა ნიმუშები, დაუსათაურებლად დატოვებდა და ამ ახალ თარგმანშიც ასევეა, ამ სტრიქონით რომ იწყება: გადმოიხედე, სარკმლიდან, ოქროსთმიანოო) და სხვათა შორის, ჩემიც თითო ნიმუშის ამარა კი აღარ დატოვებდა ჩვენს მკითხველს, არამედ ბოლომდე მიიყვანდა ამ ნამოწყებას.

თუნდაც 30-ე ნიმუში გავიხსენოთ სათვალსაჩინოდ:

როდის გვენვია ტრფობა, ხომ გახსოვს —  
თამაშობდი და თავს მორცხვად ხრიდი,  
მე კი ვიდექი შემკრთალი ახლოს —  
ტრფობა იწყება კრძალვით და რიდით.  
თავდავიწყებულ მიჯნურებს გზნებით  
გვიყვარდა უნინ — მაგრამ რა ვუყოთ.  
უკანასკნელად ვხვდებით, სხვა გზები  
მიდის, რომელსაც უნდა გავუყვეთ.

თუნდაც 32-ე:

მთელი დღე წვიმდა გადაუღებლად.  
მოდით, თავდახრილ ხეებთან მოვალ:  
ხსოვნის გზა ყვითლად გადაუღებავს  
ფოთლების გროვას.

**დაშორებამდე შევყოვნდეთ უნდა,  
წარსულს ვტოვებთ და უშენოდ ვერ ვძლებ.  
მოდი, ძვირფასო, სადაც შენს გულთან  
ლაპარაკს შევძლებ.**

ან კიდევ 35-ე ლექსის ეს მეორე სტროფი:

**ცივი ქარები ქრიან, სადაც  
მივდივარ ახლა.  
მესმის, შორს დაბლა ტალღას როგორ ეხლება ტალღა.  
მიეძინება დღე და ღამე  
აღმა და დაღმა.**

სახელდახელოდაა მოხმობილი ეს სტრიქონები, კრებულის ზოგად განწყობილებასა და სულისკვეთებაზე რომ მიგვანიშნებს, მის მხატვრულ თავისებურებაზე, და ისევე წამოგვაძახებინებს, როგორც „კამერული მუსიკის“ თავიდან ბოლომდე გადაკითხვისას:

ნეტა რა სჭირთ ამ ლექსებს ჯეიმზ ჯოისის დასაწერიანი?!

**მარცხიანი ოინი  
(ყოფითი სინამდვილის  
სიუჟეტები)**

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებში არაერთი თემა თუ სიუჟეტური ქარგაც რომ არის ჩანისწერილი, ერთ ასეთ ჩანაწერსაც წაანყდებით:

— ერთმა ქვრივმა ნაცნობ ქალს შესჩივლა — მამაკაცი მინდაო. გარიგდნენ 100 მანეთად. ქალმა ქმარი გაუგზავნა ქვრივს. ფულიც აიღო. ქმარი ქვრივს შერჩა. ცოლი უჩივის.

ამ სტრიქონების ჩაკითხვისას თანამედროვე მკითხველი იფიქრებს: ეს ხომ კინოფილმის — „გარიგება“ — სიუჟეტური ქარგაა ან სულაც სცენარის განაცხადი მომავალი ფილმისათვისო.

მართალია მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერში ქვრივია ნახსენები, „გარიგების“ პერსონაჟი კი გაუთხოვარია, მაგრამ ეს მაინც ნაკლებმნიშვნელოვანი დეტალია, ასეთი დეტალები კი ყოველთვის იოლად შეიძლება შეიცვალოს, ვიდრე განაცხადისაგან სცენარი ამოიზრდებოდეს, სცენარი კი კინოფილმად გადაიქცეოდეს.

მთავარი ისაა, რომ სიუჟეტი ერთი და იგივეა.

მაგრამ „გარიგების“ ავტორებს ხელი არ მიუწვდებოდათ მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებზე, ერთი-ორი ფრაგმენტი კი იყო ფილმის გადაღებამდე გამოშვებული ამ დღიურებისა, მაგრამ სულ სხვა ადგილები და არა ეს პასაჟი, ასე რომ, ისინი დავალებულნი ვერ იქნებოდნენ „კვაჭი კვაჭანტორაძის“ შემოქმედისაგან.

სამაგიეროდ, ხელმისაწვდომი გახლდათ მიხაილ ზოშჩენკოს იუმორისტული ნოველა „სპეკულაციური გარიგება“, რომელიც ქართულადაც იყო თარგმნილი გიზო ზარნაძის მიერ და ორჯერაც გამოქვეყნებული 1974 და 1980 წელს გამოცემულ კრებულებში.

ნოველა მოგვითხრობს თუ როგორ გადაწყვიტა სიმფერო-

პოლემა მოქალაქემ, კბილის ექიმმა ქალმა, ქვრივმა, გათხოვმა და გული გადაუხსნა მერძვეს: მშვენიერი გამოშვება მაქვს, არაფერი მაკლია — ბინა, ავეჯი, ფული, თვითონაც არც ისე მახინჯი ვარ, ფულსაც არ დავინანებდი, თუკი მთხოვნელს გამაცნობდა ვინმეო. მერძვეს ფულის ხსენება საღერღელს აუშლიდა და ტვინს ძალას დაატანდა თუ რა ჭახრაკებით შეიძლებოდა ექიმისათვის თანხის დაცინცვლა, და შინ მისული ქმარს განუცხადებდა: ერთი პატარა საქმეა, უხათაბალო და უდავიდარაბო, სულ უწვალებლად შეიძლება ორმოცდაათი მანეთის ხელში ჩაგდებაო, — და თავის ჩანაფიქრს გააცნობდა: იმ ბოლოა ექიმს ყასიდად გაგირიგებ, მოენონებ, გაბრიყვდება და ხუთ თუმანსაც გადამიხდის, ისე თუ ძალიან აიკვიატებს, ხელსაც მოაწერ და ის იქნება, ჩვენს დროში მაგისტანა რალაცას ბევრი ლარი და ხაზი არა სჭირდება, და დღეს რომ ხელს მოაწერ, ხვალ ან ზეგ განქორწინებაც შეიძლებაო. ქმარი დათანხმდებოდა და მერძვეე ორ დღეში კბილის ექიმს რომ წარუდგენდა, დიდად გახარებული ქვრივი ყოველგვარი ზედმეტი სიტყვისა და სინანულის გარეშე მიუთვლიდა შეპირებულ თანხას. მერძვეის ქმარი ხელს მო-

ანერდა ექიმთან, გადასახლდებოდა მის აპარტამენტში და შეუდგებოდა ცხოვრებას გემოიანად. გავიდოდა ხუთი დღე, კვირაც, ათი დღეც და მერძვეე კვლავ გამოჩნდებოდა ექიმის სახლში და ქმარს ჰკითხავდა: რა მოგდის, შინ რატომ არა ბრუნდებიო? ქმარი კი მიუგებდა: გადავიფიქრე და ის მომდის! ვრჩები ექიმთან, რატომღაც აქ მირჩევიანო. ამ პასუხს სკანდალი კი მოჰყვებოდა, მაგრამ ხარბი მერძვეე ვერაფერს მიაღწევდა და ხუთ თუმნად ასე დაკარგავდა სანდომიან და ინტელიგენტ მეუღლეს.

ამ იუმორისტულ ამბავს ხელის ოდნავი გაკვრალა სჭირდება, ცოტაოდენი

გაშლა და... „გარიგების“ სცენარიც მზადაა.

ეს იმგვარი შემთხვევაა, თვალმოკეთებას რომ ეძახიან — სიმფეროპოლის ნაცვლად თელავი, უსახელო კბილის ექიმისა და მერძვეის მაგივრად — გინეკოლოგი და მარო...

ვისაც უნახავს მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმები „ქვევრი“ და „რეკორდი“, ვერავინ იფიქრებს, ისინი ქართულ მასალაზე თუ არ არიან შექმნილნი, ისე შერწყმიან ჩვენს სინამდვილეს, არადა, ერთი ლუიჯი პირანდელოს ნოველითაა შთაგონებული და მეორე — კარელ ჩაპეკის. ორივე შემთხვევაში პირველწყაროები საგანგებოდაა მითითებული ტიტრებში. და არაფერი დაშავდებოდა, „გარიგების“ ტიტრებზეც რომ აღბეჭდილიყო მიხაილ ზოშჩენკოს სახელი და უწყება: მის ნოველას დავესესხეთო.

ნაცვლად ამისა, კინოფილმის ავტორები — სცენარისტი ნათია ვოგოჭური და რეჟისორი ზაზა კოლეიშვილი — მტკიცებას მოჰყვებოდნენ ინტერვიუებში: ნამდვილ ამბავს ვეყრდნობით, ჩვენს სიახლოვეს მომხდარს, და არავითარი ლიტერატურული პირველწყაროთი არ გვისარგებლიათ.

მიხაილ ზოშჩენკოს „სპეკულაციური გარიგება“ სიუჟეტურად და პერსონაჟთა ხასიათებით ასე გამაოგნებლად რომ ემთხვეოდა ქართულ კინოფილმს?



მხატვარი დიმიტრი ერისთავი



მაგრამ თუკი ის გათვალისწინებული არა ყოფილა, მამს მსგავსება უნდა ახსნილიყო როგორც უნებლიე, შემთხვევითი.

ხდება, როგორ არა ხდება ლიტერატურაში, საერთოდ ხელოვნებაში უნებლიე დამთხვევანი, ისეთი გამაოგნებელი მსგავსებანი, როდესაც ავტორებს ყოვლად შეუძლებელია ერთიმეორის ქმნილებებზე რაიმე წარმოდგენა ჰქონოდათ.

შორს რატომ წავიდეთ, აგერ მიხეილ ჯავახიშვილის უბის ნიგნაკის ჩანაწერი და მიხაილ ზოშჩენკოს „სპეკულაციური გარიგება“.

ქართველ მწერალს ყოვლად წარმოუდგენელია რაიმე სცოდნოდა რუსი თანამოკალმის ნოველაზე, რადგანაც:

უბის ნიგნაკში სიუჟეტური მონახაზი ჩანიშნულია 1926 წელს.

იუმორისტული ნოველა კი დაწერილია 1931 წელს, მთელი ხუთი წლის შემდგომ.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ვერც რუსი მწერალი შეიტყობდა ვერავითარი მანქანებით, მის ქართველ თანამოკალმეს უბის ნიგნაკებში რა შეიძლება ჩაენიშნა.

ხან მწერლური წარმოსახვაც იჩენს ერთგვარობას, მაგრამ ამჯერად ორივე სიუჟეტის შთამაგონებელი ყოფითი რეალობა უნდა იყოს, ნამდვილად მომხდარი ამბავი საქართველოშიც და რუსეთშიც, და ორივე ბელეტრისტი მამიწვე მოეჭიდებოდა. ეგაა, მიხაილ ზოშჩენკო კიდეც შეასხამდა ხორცს, მიხეილ ჯავახიშვილი კი გადასდებდა ამ სიუჟეტს, ყოველთვის მოვასწრებ მის დამუშავებასო, მაგრამ...

ასეა თუ ისე, თუკი ყოფითმა რეალობამ შეიძლება მოგანოდოს ეს მზამზარეული სიუჟეტი, ვითომ რატომღაც გასაკვირი, რომ მოგვიანებითაც თავისთავად განმეორებულიყო და „გარიგების“ ავტორებს მართლაც ყოფითობიდან ესარგებლათ და არა ლიტერატურული პირველწყაროდან?

მაგრამ... სამწერლო რუკაზე ხომ არსებობდა უკვე მიხაილ ზოშჩენკოს „სპეკულაციური გარიგება“?!

არსებობდა საესკების ხელმისაწვდომად.

მამ ვალდებულიც იყავი, ეს გარემოება ტიტრებში აღგენიშნა რაღაც ფორმით: მისი ნოველის მოტივების მიხედვით თუ ამ მწერალს ეძღვნებოთ თუ...

ძალიან უხდება სახელოვნო ცხოვრებას ამგვარი შეხმაზებანი თუ გადაძახილები.

ყოფითი რეალობა ხშირად თვითვეა დიდი მხატვარი და ის უკარნახებდა გიორგი ლეონიძესაც „ღვინჯუას“ სიუჟეტს და ოთარ ჩხეიძესაც ზუსტად ასეთივე ნოველურ ქარგას, უკვე თითქმის მოთავებულიც რომ ჰქონდა, მაგრამ „ღვინჯუას“ გამოქვეყნება დაასწრებდა და ოთარ ჩხეიძე ხელს აიღებდა თავის ამ მოთხრობაზე.

ვთქვათ და დასრულებაც მოესწრო და დანახებოდა კიდეც მისი გადაგდება, მაშინ? აუცილებლად გიორგი ლეონიძეს მიუძღვნინდა და არ მოჰყვებოდა მტკიცებას: ეს ამბავი ყელქცეულის მეზობელ სოფელში მართლა მოხდა და სიუჟეტად მას ვეყრდნობოდი და არა „ღვინჯუასო“.

30-იანი წლების დასაწყისში ეს სიუჟეტური მონახაზიც გაჩნდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის უბის ნიგნაკში:

— სანერ მანქანებით გავსილ საქართველოში ერთი ვინმე კალიგრაფიას სწავლობს და წლითი წლობით სწერს, ჰხვეს და ისევ სწერს. ხელობა ისწავლა, მაგრამ მშვიდი დარჩა. დღე და ღამით მუშუემებში ჩხრეკავდა ძველ ხელნაწერებს და ბოლოს ყველა ეპოქის სტილი შეისწავლა (აწერილ იქნას ყველა სტილი — ხანმეტიდან მოყოლებული დღევანდლამდე). საოცარი ნიჭი გამოიჩინა მიბაძვისა.

გამოკვეთილია პერსონაჟის ხასიათიც და ის სიუჟეტური მარცვალის, კალიგრაფიის ხელოვნების აღდგენა რომ ხდება მართლაც სანერი მანქანებით გაქმდილ ქვეყანაში. უმწვავესი თემა — ეროვნულ თვითმყოფადობასთან შინაგანი

კავშირის გაუნყვეტლობა წარმოსახებოდა მაინცდამაინც კალიგრაფიის ძველ ოსტატებთან შეხმანებითა და ამ ხელობისა თუ ხელოვნების დაფასებით. ის, რაც სამუზეუმო გგონია, თურმე კვლავაც განაგრძობს სუნთქვა-არსებობას და მას შესაფერისი მოფრთხილებაც სჭირდება, როგორც ქართული დედაძარღვის ერთ-ერთ გამოხატულებას.

ეს შეხედულება და განცდა გაუჩნდებოდა ოთარ ჩხეიძესაც, ვისი ნოველის — „საზაფხულო სალონი“ — ფინალურ მონაკვეთში გამოიკვეთება ეს ხასიათიც და ეს სიუჟეტური რგოლიც — ხელმოცარულ პოეტს კალიგრაფიის შესანიშნავი უნარი რომ აღმოაჩნდება და ურჩევნ, ჩამოეხსენი პოეზიას, რაც შენი საქმე არ არის, და იზრუნე „ვეფხისტყაოსნის“ გადანერაზე, რათა ამ ეპოსის ახალი ხელნაწერიც მოვიპოვოთ — XX საუკუნის ხელნაწერიო და თუ ასე პირდაპირ ვერ შეებედავდა „ვეფხისტყაოსანს“, ეგებ ჯერ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისათი“ დაეწყო, ანდა გალაკტიონ ტაბიძისა თუ ანა კალანდაძის ლირიკით.

ჭკუაში დაუფუძებოდა ეს რჩევა ვარლამს და შოთა რუსთველის პოემას დაუფუძებოდა თუ არა, დიდსა და პატარას აღმადამა გაგზავნიდა და მოარბენინებდა ტყესა თუ მთას, ველმინდორსა თუ იალალებს და აძებნიებდა უცნობ, უჩვეულო, ველურ ყვავილებს, მოაზიღინებდა, აირჩევდა და გამოიყენებდა ხელნაწერის მოსართავად — თავსართების, მთავრულის, ფურცლის პირების... და ისე ჩაეფლობოდა ამ საქმეში, გადაავინყდებოდა სხვა ყველა და ყველაფერი.

მსგავსება თვალნათლივია — სიუჟეტურიც და კონცეფციურიც, მითუმეტეს, არც ის არის ძნელი შესამჩნევი, რომ მიხეილ ჯავახიშვილის „მუზეუმებში ჩხრეკა“ ამ შემთხვევაში იგივეა, რაც ოთარ ჩხეიძის პერსონაჟთა მოღება მთაველზე უჩვეულო ყვავილთა მისაგნებად.

მაგრამ... ოთარ ჩხეიძისათვის სრულიად უცნობი გახლდათ თავისი წინამორბედის ეს ჩანაწერი, და მხოლოდ 2005 წლის გამოცემაში გაეცნობოდა იმ სიუჟეტურ მარცვალს, რაც მეოთხედი საუკუნის წინათ გაეშალა ნოველურ ქარგად. ხდება, როგორ არა ხდება უნებლიე დამთხვევებიო...

იმისთანა შეხვედრა მომხდარიყო, ნიუანსობრივი დამთხვევებითაც გასაკვირველი, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობასა — „ორი შვილი“ — და ალბერ კამიუს პიესას — „გაუგებრობა“ — შორის, რომ უბის ნიგნაკის ამ პასაჟისა და „საზაფხულო სალონის“ მსგავსება მასთან შედარებით რა მოსატანია, თორემ ისე საგულისხმოა და ძალიანაც საგულისხმო შემოქმედებით ძიებათა ამგვარი გადაკვეთანი.

**რა მანძილია ხიდან მიწამდე? (ირაკლი კაკაბაძის იაპონური ნიღაბი)**

ვინ არის იაკი კაბე?  
ვინ არის და... მომვლელი ციციანათელების სასაფლაოსი. სულ ესაა მისი პორტრეტიც და ბიოგრაფიაც?  
სულ ეს და... მეტი ცნობა ანკი რაღად გვინდა, როდესაც ეს ბედნიერად ნაპოვნი სტრიქონი მთელი ამ პოეტური ციკლის — ასი ტანკასაგან შედგენილის — სულისკვეთებასა და მხატვრულ მრწამსს განსაზღვრავს.

ნეტა პირველბიძეც ის იყო ამ ორიგინალური ლირიკული ძიებებისათვის თუ გზად გამოიკვეთა, მანამდე ქვეშეცნეულად მფეთქავი, და მოხდენილადაც დაავიკრავინა ისეთივე სწრაფვა, იშკავა ტაკუბოკუს რომ სჩვეოდა და ირწმუნებოდა: არ მინდა განუმეორებელმა, განსაკუთრებულმა წუთებმა უქმად ჩაიარონ, ყველაზე კარგად კი მათი გამოსახვა შეიძლება ისეთ მოკლე ლექსში, როგორც ტანკაა, ტანკას კი იმიტომ ვწერ, რომ მიყვარს სიცოცხლეო.

ეს სიტყვები ეპიგრაფად წაემძღვა-  
რებოდა იაკი კაბეს ლირიკულ ციკლს,  
როგორც მისთვისაც ძლიერ მახლობე-  
ლი, სულიერი თანაზიარობა რომ ინვესს,  
და მიმანიშნებელი იმ არჩევანისა, თუ  
უშუალოდ რამ გადაწყვეტინა ქართ-  
ველ პოეტს იაპონური ნიღბის მორგება.

ამ სამყაროს უღრმესი, ღრმადინტი-  
მური განცდა — იაპონია უზენაეს მშვე-  
ნიერებად რომ გესახება და იაპონელი  
ხალხი უმაღლეს კეთილშობილებად —  
ეს თავისთავად.

მაგრამ რაღაცამ ხომ უნდა აგიყო-  
ლიოს, და ეს „რაღაც“ ტაკუბოკუს განუ-  
მეორებელი წუთები აღმოჩნდებოდა,  
ლექსად გადმოღვრილი.

ისე განსაკუთრებული წუთების გადარჩენას ყველაზე  
უკეთ ვითომ მხოლოდ ტანკა მოუხდება?

მაშ ის ათასფეროვანი პოეტური ჟანრები რისთვისაა,  
თვითელს საკუთარი ფორმა რომ წარმოუდგენია პოეტურ  
განცდათა საუკეთესო გამომხატველად?

იმისთვის, რომ... ყველა თავთავისებურად მართალი  
იყოს და ჩვენც იმ წუთას, როდესაც ამა თუ იმ ლირიკულ  
ფიქრებსა და შეგრძნებებში ვიძირებით, გვეგონოს, რომ  
ესაა ის ერთადერთი ფორმა, პოეტურმა აზრმა თავის საუკე-  
თესო გარსად რომ დაიფარა.

ამჯერად... ტანკაა ის უკეთესი მხატვრული ჩარჩოც და  
ქარგაც.

ტანკა — მორგებული ირაკლი კაკაბაძის სულიერ ძიე-  
ბებზე, უმთავრეს ხელობად მაინც ციციანთელეების სასაფ-  
ლაოს მომვლელია რომ აურჩევია.

იაპონური მსოფლგანცდისათვის კი ქართული ფიქრი და  
ტკივილი მიუდევნებია, მარჯვედ შეუზავებია ერთიმეორი-  
სათვის და ამ პოეტური ციკლის წარმატებაც იმთავითვე ამ  
შენივთებით განუსაზღვრავს.

კრებულს, „ინტელექტის“ მიერ გამომზეუერებულს, მარ-  
ტოდენ ლექსები აწერია სატიტულო ფურცელზე, თუმც ეგებ  
სჯობდა რომელიმე სტრიქონი თუ მეტაფორა გაეტანა ავ-  
ტორს საერთო სახელწოდებად, ასეთი კი ამ პატარა წიგნში  
არაერთი მოგვეყვება ხელთ, ამ ორ კიდეს შორის მობორიალე-  
ერთი მხრივ: ალუბლის ხე — ერთადერთი შვევა სულისა.  
და მეორე მხრივ: პოეტი სახელმწიფო სახრჩობელასთან.  
ეს მეორე ხილვა უფრო სიზმრისეულია?

მაგრამ თუკი აკვირებებია და აღარ გასვენებს, უფრო  
რეალურიც რაღა შეიძლება იყოს?!

ქართული ფიქრი და ტკივილი მიუდევნებიაო...

ეს რომ არა, მარტოდენ იაპონური ნიღაბი ასე ვერ გაიზ-  
რდებოდა და ვერც ამეტყველდებოდა — არ გადაექცეოდა  
დალხინებული ქვეყნის შვილს სამშობლოს ძებნა წყურვი-  
ლად, და მითუმეტეს, ეს ხილვა ვერ აუჩქროლებდა გულს:  
ნეტა სად არის, ლტოლვილი ბავშვის ცრემლშია თუ სახელმ-  
წიფო დროშის მოფრიალე ღიმილშიო?..

და არც ამ სიტყვებს გაუიგივებდა ლოცვას სისხამზე ამ-  
დგარი, ყველა ფანჯრის გამომღები და მზეს შეგებებული:  
ჩემი სამშობლო, ჩემი სამშობლო, სამშობლო ჩემიო...

განცდათა სიმძაფრე უკიდურესობას აღწევს ლოცვად  
გარდასახულ საქვეყნო ტკივილში, როდესაც ბნელ ღამეში  
თეთრი ღრუბლებიც დამწუხრებულნი გეჩვენებიან; და ეს  
სიმძაფრეა, რომელიც მღელვარების წუთებში ცეცხლშიც კი  
ჩაგაბუგინებს ყველა ძველ რვეულსა და ძველ ლექსებს და,  
უნარსულოდ დატოვებულს, ნიჟარებსაც კი გაძებნიებს  
ოკეანის სანაპიროზე.



სიზმარში კი ამ შეგრძნების გარდა შე-  
საძლოა ყველა იმ თვალბემა შემოგანა-  
თოს, რომელთაც წამიერ, მაგრამ მაინც  
სიყვარულს ეფიცებოდი და ძილი დაგიფ-  
რთხოს.

ეს ხომ ისეთივე განცდაა, რომელიც  
ჩაგაგონებს, რომ თავსხმა წვიმაც ვერა  
შლის სანაპიროზე გამთენიისას ტყიდან  
ჩუმად გამოსული ირმების კვალს.

და ამ წვიმის ერთადერთი ერთგული  
კი შენ რჩები, რადგანაც გარშემო ერთბა-  
შად უნდა გაიშალოს ქოლგების ჯარი.

ხოლო იასამნებმა გაიხარონ ამ ზეცი-  
ური წყალობის ქვეშ და, რა გგონიათ, ყვე-  
ლაზე მეტად რა აყვავებულა — მიტოვე-  
ბული საფლავი სოფლის კურტიზანისა.

და თუ ცის დასალიერს ვარდისფერი სინაზე გადაეკვრის,  
ეს იმიტომაც, რომ ტაძრის კიბეზე მიმოფანტულა დასეტყ-  
ვილი ყვავილი ატმის.

მზე მინავლულა? ჩასულია წელამდე ზღვაში? და ნაღ-  
ლიანად თუ მიაცქერდები დაისს — იქნებ მზემ წასვლა გადა-  
ფიქროსო.

წამიერად შეჩერებული მზე თუ განგაცდევინებს გა-  
ზაფხულისას უძრავად გაყუჩებულ ნორჩ ფოთოლთა უდარ-  
დებობას, ჯერ რომ არ უწყიან, რა მანძილია ხიდან მინამდე;  
ამქვეყნიურ სამოთხესაც, რომელიც თითქოს სულ უბრა-  
ლოა: თაროზე წიგნი, რაფაზე ყვავილი, ღიმილი საყვარელი  
ქალის სახეზე და ცეცხლზე ჩაი — მაგრამ მიუწვდომელი,  
რაკიდა ისიც გასაქრობადაა განწირული და მხატვრული  
წარმოსახვა თუ შემოგანახინებს... მაგრამ ოცნება ვერასო-  
დეს შეცვლის ყოფის რომანტიკულობასა და სისავსეს, ბუ-  
ნებრიობასა და ექსპრესიას. და ვერც პარადოქსულობას,  
რაც ეგებ ყველაზე მკაფიო დასტურიც იყოს წუთისოფლის  
ურჩვეულო ხიბლისა:

**რით ვარ ასე ბედნიერი —  
დილით ცვარით,  
მზის ამოსვლით,  
შვილის ღიმილით,  
თუ შენი ტყვიით, ამ წამს სხეულში რომ დამიარა?..**

და გულმტკივნეული ეგუები, რომ შესაძლოა ნაადრევად  
და ფოთოლცვენით წასულმა შენმა ოცდამეშვიდე ზაფხულ-  
მა არცერთ კითხვას არ უპასუხოს და ფიქრდამძიმებულმა...  
იქნებ სამუდამოდაც გადამალო მამის სამართებელი.

თუმც ტკივილს ეს რას უშველის, და გრძელდება არსე-  
ბობა იმ სულიერი სიფაქიზითა და ყოველივეს გადატარებით  
საკუთარ გულზე, იმ ნიუანსობრივი განცდით ყველაფრისა,  
თუნდაც ამ გაზაფხულზე მხოლოდ ის ხე რომ დაგამახსოვრ-  
დება, მეზობლის ბაღში რომ არ აყვავდება, შემოდგომის ცა  
კი მერცხლის დანგრეულ ბუდეს მოგაგონებს, უსახური და  
ნაცრისფერი... და გიხარია, რომ მაინცდამაინც წიფელი  
დგას მარტოდმარტო და ჯიუტად ზღვაში, და ეს მაშინ, რო-  
დესაც სანაპიროდან ყველა ხე ადიდებულ წყალს ნაუღია. ეს  
ვაჟა-ფშაველას ტყიდან გადარგული წიფელია, ხელახლა  
რომ აყვავებულა იაპონურ გარემოში, თანაც სიმბოლური  
დანიშნულებაც რომ შეუნარჩუნებია და ლალად გასცქერის  
თუნდ მიაჯიმას წყნარ სანაპიროსა და კუნძულზე ბინდში  
ჩუმად მდგარ სალოცავებს, ღამით მარტო დარჩენილები  
გამთენიისას მლოცველთ რომ ელიან.

და მათ შორის ირაკლი კაკაბაძესაც, იაკი კაბედ გარდა-  
სახულს, მომვლელს ციციანთელეების სასაფლაოსი.

ეკა ქუთათელაძე

# „სიყვარულია, რაც ჩვენ გვაცოცხლებს!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც დიდი სურვილის მიუხედავად, სხვას ვერ ეხმარები, ვერც სულიერად და ვერც მატერიალურად. მე ვთვლი რომ ეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ჩემთვის.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იქ, სადაც ღმერთმა გამამნესა, საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ჩემთვის უმაღლესი ბედნიერებაა: ყოველ დილას მზის ამოსვლას, რომ ეგებები. შენს გარშემო შენი მონაგარი, რომ ტრიალებს, ყოველ მათგანში შენს პატარა ნაწილს რომ ხედავ. ხვდები, რომ ცხოვრება მხოლოდ ამისთვის ღირდა, რომ ცხოვრება მშვენიერია.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დონ-კიხოტი, ანა კარენინა, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცი“.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— წმინდა ნინო, თამარ მეფე, ჟანა დარკი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— სალვადორ დალი, პიკასო, კაკაბაძე.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— სტრავინსკი, შოპენი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ერთგულებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მძიმე?

— თავმდაბლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ქარგვა, კითხვა, კულინარია.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ჩემი თავიც მაკმაყოფილებს, არასდროს გამჩენია სურვილი, სხვა ადამიანი ვყოფილიყავი. რა თქმა უნდა გარდა იმ სურვილისა, ესა თუ ის გმირი მეთამაშა სცენაზე.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ძალიან დამთმობი და რბილი, რაც არ მომწონს, მაგრამ რაღა შემცვლის?

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— თანადგომას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— უკვე გიპასუხეთ, ძალიან რბილი ადამიანი ვარ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ამ კითხვაზეც ნაწილობრივ გავეცი პასუხი, ბედნიერებაა როდესაც მოყვარული ადამიანებით ხარ გარშემორტყმული.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ჩემს ცხოვრებაში უკვე იყო დიდი უბედურება, ჯერ მამა, ხოლო ერთწელიწადს დედა და მეუღლე დავკარგე. ეს ჩემთვის უმძიმესი წლები იყო.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ისეთი, როგორიც ვარ!

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ჩემი საყვარელი ფერი ასაკთან ერთად იცვლება, ახლა — იასამნის-ფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ყველა ყვავილი მიყვარს განურჩევლად.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ტოროლა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— გრიგოლ რობაქიძე, დოსტოევსკი, მარკესი, ოთარ ჭილაძე, გოდერძი ჩოხელი, უსასრულოდ შემიძლია გავაგრძელო ეს სია...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ოთარ ჭილაძე, ლადო ასათიანი, გალაკტიონი, ტიციაინი, ცვეტაევა, ბლოკი, ესენინი. მაიაკოვსკი (კოტე მახარაძემ შემაყვარა), აქაც უსაშველოდ გრძელი სიაა...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ანა კარენინა, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცი“.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ვთვლი, რომ უწმინდესი და უნეტარესი ილია- II ნამდვილი გმირია!

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— წმინდა ნინო, თამარ მეფე, ჟანა დარკი.

— საყვარელი სახელები?

— ნატალია, არჩილი, ალექსანდრე, გიორგი, ნიკოლოზი, კონსტანტინე, ბარბარე, კესარია, ეკატერინე, თეკლა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— პირფერობას, ტყუილს, ლალატს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— შიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი, ვატერლოო.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— არ ვიცი.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდა, ადამიანების განკურნება შემეძლოს!!

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— როგორიც იქნება ღვთის ნება, ეს სამწუხაროდ, ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მაღლობა ღმერთს, არამიშავს!

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— გააჩნია ქმედებას და იმ გარემოებას, როცა ჩაიღინე.

— თქვენი დევიზი?

— სიყვარულია რაც ჩვენ გვაცოცხლებს!!! ცხოვრება მაინც მშვენიერია!!!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის თქვა?

— რომ ვიცხოვრე ამ ქვეყნად ისე, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს შეეფერება!



ზურაბ ლავრელაშვილი

# ცროლის მთა

განძი იყო, რომ მოეზიდებოდა აქეთ და აქეთ ავანტიურისტ-თა ბრბოსა და თასი ჯურის თავზეხელაღებულს, ვის სიზმრებშიც უცვლელად მეორდებოდა წვრილმანი ადამიანის მარადი ოცნება — მთებში გადამაღული საუნჯის წყალობით მოეპოვე-ბინათ სიმდიდრე და ძალაუფლება და მბრძანებლად გახდო-მოდნენ მოყვასსაც და ბუნებასაც; ამიტომაც მოდიოდნენ და მოეშურებოდნენ ზაფხულის ხვატსა თუ წვიმაში, ლურჯი ცის ქვეშ, დაუძლეველ მთათა ჩრდილქვეშ, უცხო მიწის ნიაღში, უნ-დობარი რომ შექმნილიყო მათთვის, რაკილა გულს არ უღებდა კვალმაძიებლებს, დაფარულ სიმდიდრეს არ აჩენდა, არ ნებდე-ბოდა, თითქოს განძის მცველებს ჯადო-ფიცით შეეკრათ აქა-უ-რობა და ქარაგმასაც ვერავინ დახსნიდა, რადგან წასულიყო, გადაკარგულიყო ბოლო მცველიც საუნჯისა, გაუჩინარებული-ყო, და მასთან ერთად გამქრალიყო საკვირველებაც ცროლის მთისა, მხოლოდღა ლეგენდასა თუ თქმულებას რომ შემოენახა სასწაულის მოგონებად; ხალხსაც ბუნდად ახსოვდა ის ნიშები თუ ანდრიანტები, უძველეს დროს რომ გაჰყოლოდა ღვთიურო-ბის დასტურად — თუ როგორ ენთებოდა თავისით სანთელი სა-ლოცავის კარზე და როგორ დუღდა კოჭობი უცეცხლოდ, ხოლო სამსხვერპლო ზვარაკი უგამყოლოდ მიდიოდა კიბორჭიანი ბი-ლიკით მერიგე ღმერთის სანმინდარში... ზამთრობით ყინული არ უტყდებოდა მლოცველს ფეხქვეშ, ხატის ახლო კი ისე თბი-ლოდა, თითქოს ღუმელი ღვიოდა კვლავაც უცეცხლოდ...აი, რა იყო საკვირველი: ზავი და თანხმობა კაცსა და ბუნებას შორის, ერთობა, თანაზიარობა, რაკილა შეთვისებოდა ადამიანი მშო-ბელ მიწას, შექსოდა, შენივთებოდა და უშურველად სწოვდა დედა-ბუნების ღალიან ჯიქანს; მერე და მერე კი აშლილიყო ქვეყანა, გაუნმინდურებულიყო, გაზუდაყებულიყო და აზვაგე-ბოდა კაციც ღმერთებს, ამხედრებოდა, და ქვეყნიერებასაც და-ეკარგა აქამდის ჩვეული ჯადო-ხიბლი, რადგან განყდა ჭიპლა-რი შვილსა და მშობელს შორის და მოქურუხდა, მოპირქუშდა ბუნებაც, მოიშავდღევა...წვიმა და მერეხი შოლტავდა მთების წვეროკინებს, ზვავები გრუხუნებდა მათივე უბეში და წარღვინს ღრიალი აყრუებდა ვინრო ხეობებს, უკვე საცხოვრებლად საში-ში რომ გამხდარიყო კლდის ეხში მიყუჟული ხალხისათვის; სჯულის კაცები ქვეყნიერების აღსასრულს წინასწარმეტყვე-ლებდნენ, სულიერთა მოსპოვას, არსთა გადაგვარებას და მი-წურებში მიმალული ადამიანებიც შიშით ელოდნენ წინასწარ-მეტყველების აღსრულებას, ბარდნად კი ისევ ჯიუტად მოიწე-დნენ ავანტიურისტთა ურდოები, რათა ერთადერთი სიმდიდ-რეც წაერთმიათ აქაურებისათვის, ხევისბერებს რომ დაემალათ უკეთესი დროების იმედით...განძის მაძიებლები არავის და არა-ფერს ეპუებოდნენ და მათი ძვლებით ივსებოდა ხეობები, არნი-ვები ასკინტლავდნენ უფსკრულში გადახაფრული ადამიანის თავისქალებს, მგლები ყმოდნენ მიტოვებულ ნაბანაკარ-ზე...მწარე სიკვდილი მაინც არ ამინებდათ კვალმაძიებლებს, რადგან აღარავინ იცავდა ცროლის მთის სინმინდეს, აღარავინ ედგა ებგურად, არ სდარაჯობდა...წასულიყვნენ, გადაკარგუ-ლიყვნენ ღვთისშვილნი და უმწეოდ შთენილი მთაც იმ უამური ჟამის მოლოდინით გასუნთქულიყო, როცა უბოდიშოდ გადაუხ-სნდნენ გულ-მკერდს საუნჯის ამოსართმევად, აქანამდის რომ წმინდად და ხელმითუარებლად შეენახა...

\*\*\*

ბოლო ექსპედიცია განძის საპოვნელად გასაბჭოების პირ-ველივე წელს მოეწყო ცროლის მთაზე; ექსპედიციას წითელი კომისარი ჯინჭველიშვილი მეთაურობდა, უშიშო ვაჟკაცი და მარტოსული, ვისთვისაც პროგრესი ახალი ღმერთი იყო, მაუ-

ზერი — ამ ღმერთის იარა-ლი. კომისარი ნელი-ნელ ალ-მა მიინედა ხეობაში თანა-მებრძოლებთან ერთად და წითელი ალამი მიჰქონდა — ახალი დროების მაცნე. აქა-ურობაც თანდათან ახალ წესზე მოცეულიყო: ყველ-გან კომუნა მოეწყო თემო-ბის ნაცვლად, ხეობაში კი გველივით განვა გზა და ზედ ავტომ გაიხრიგინა...წითელი ღმერთის მესაგებმა ძველი საკერპეები დაღვენეს, ბო-მონები მთის წვერებიდან გადმოყარეს, მთას ფერდი გაუხრიტეს და გვირაბი გათხარეს, რათა ამ გვირაბში ექმინა ორთქლმავალს — ნეტა-რი ჟამის ლევიათანს, მხეცს დრკუსა და უგლიმს, რომელიც, მართალია, ადამიანს არ ჭამდა, მაგრამ შიში კი მოეყოლებინა თან, — შიში მძლავრობისა და დღესინამდე გაუგონარი ძალ-მოსილებისა, როცა რკინის ეტლზე გადამჯდარი კაცი ბატო-ნად გახდომოდა ბუნებას და ცეცხლისმფრქვეველი ეშმაური მანქანებით დაქროდა ოდესღაც დუმლით დაყურსულ ხეო-ბებში...აქა-იქ გახიზნული ქადაგები დუშმორეულნი ირწმუნე-ბოდნენ განკითხვის ჟამის სიახლოვეს, მაგრამ ჯინჭველიშ-ვილმა მათ როდი უსმინა: განძი სჭირდებოდა, საუნჯე უღვეი, რის საფასედაც უამრავ სკოლას თუ საავადმყოფოს ააგებდა, ხალხს დააპურებდა, მთას გზებით მოაშანდაკებდა და აქაურ-თა ბეჩავი ყოფასაც სასიკეთოდ შესცვლიდა; მან ჯერ მზვერა-ვები გაგზავნა ცროლის მთაზე საუნჯის ადგილსამყოფელის შესატყობად და ისინი რომ უარაფროდ მობრუნდნენ, თავად მიუვარდა მთის სოფელში ძლივს შემორჩენილ მიხრწნილ ხე-ვისბერს...იმას აინუნშიც არ ჩაუგდია კომისრის სტუმრობა, სალოცავში შეკეტილიყო და ჯინჭველიშვილის რაზმელებმა ძალით წამოაყენეს კარის ზღურბლზე.



ჯინჭველიშვილმა განძის ამბავი ჰკითხა. მერე მაუზერი მიაღო დამჭკნარ მკერდზე. ხევისბერმა იარაღს დააფურთხა. — გრისხავდეს მერიგე ღმერთი!.. ჯინჭველიშვილმა სასხლეტს ფეხი გამოუშალა. ნაგანმა დაიყვია და ექო მთებს მიანყდა. მოხუცი პირქვე წავარდა კა-რის ზღურბლზე, დაფანჩვეული პირიდან სისხლი წამოუვიდა. ხმელი თითებით მოფხოჭნა მიწა. ჯინჭველიშვილმა იარაღი შემართა და ახლა ცას დაახალა ტყვია — უძღურებისა და ბრაზის ნიშნად...ალმართზე ქარი-ვით ამოიჭრა ხევისბრის ასული, მამის ცხედარს დაეკონა. ჯინჭველიშვილი გაბეცებული დაჰყურებდა ქალის მოცახცა-ხე ბეჭებს, თითქოს უკვირდა, გოგო რომ ტიროდა მშობლის აღსასრულს და ეუცხოვა, როცა ხევისბერის ასული ძუ ვეფხ-ვივით წამოზეზვედა და სახეში ეცა თვალების ამოსაკორტ-ნად...ჯინჭველიშვილმა უნებურად მაუზერიანი მკლავი იფა-რა თვალზე, რაზმელებმა კი დროულად გაარიდეს გოგო, გვერდით მიაყენეს...ჯინჭველიშვილი თავდახრილი იდგა, რა-ლაცაზე დაფიქრებული, მერე რაზმელებს უბრძანა, ხევისბ-რის ასული გომურში დაემწყვდიათ და თავად სოფლისკენ და-ეშურა, რათა ხანმოკლე შესვენების შემდეგ განძის ძებნა გა-ნეგრძო ისევ...აქამდის უვალ ალაგებში, კლდე—ღრეში დაე-ხეტებოდა, ქადაგ-მკითხავები დაჰყავდა თან, იარაღის ძალით ერეკებოდა სოფლელებს ცროლის მთისკენ, მაგრამ ამო იყო ყოველი — საუნჯე არ ჩანდა და არა; განძის მცველები ვინძ-ლო ისე დახოცილიყვნენ, სხვებისთვის განდობა ვერ მოეხს-ნოთ საუნჯის სავანისა და ისიც უქმად შთენილიყო მთის წი-ალში, ჯავარ-სრული, მაგრამ უქმი, გამოუსადეგარი, რაკილა საფასე აღარ ერქვა ამიერიდან, პროგრესს ველარ შეენოდა,



ვერ უხვავინებდა, ვერ აუსრულებდა კომისარს ოცნებას, ხალხისთვის მოეხმარა მის ნივთიერ არსში დაფლული მადლი... განზილებული კომისარი კვლავ სოფელში მობრუნდა და ხევისბერის ასული მოაყვანინა — ისლა ეიმედებოდა, ის დაშთენოდა ბოლო მწედ, მეშველად, რაკილა არცთუ ტყუილად ვარაუდობდა, მამისაგან უთუოდ ეცოდინება საუნჯის ამბავიო... ძალით თუ დაშინებით, ანდა სულაც დაყვავებით უნდა გამოეტყუა საიდუმლო, მოჩვენებითი თავაზით, რათა იმ თავისი ნითელი ღმერთის მსახურება შესძლებოდა ისევ, კვლავ განეგრძო ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ღარიბთა და უპოვართა კერპი შექმნილიყო და ბოლოსდაბოლოს, დაემკვიდრებინა სამოთხე დედამინაზე, საიდანაც ღმერთებს უბოდიშოდ გამოემქვევინათ ადამიანი — იმის შიშით, ვაითუ მათნარი ძალაუფლება და ნეტარი ყოფა მოეპოვებინა ამასაც, მინის მატლს, წუთისოფლის მლილს... ჯინჭველიშვილისთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო: შურისმაძიებელ ღმერთებთან ბრძოლა, დაკარგულის დაბრუნება, აღმატება უკვდავთა ზეობამდე, რათა ადამიანს მონუჟად აღარ ენახა მტკვერში უხილავი ღმერთების წინაშე, მის ყოველწუთიერ ფიქრსა და ზრახვას თვალს რომ ფხიზლად ადევნებდნენ და სასჯელსაც არ უგვიანებდნენ... ამიტომაც ლიქნით და ლაციცით შეხვდა გოგოს, ახლო დაისვა, მოუბოდიშა უნებური ინციდენტისთვის (ეს უთხრა სწორედ — „ინციდენტიო“, თითქოს კაცის მკვლელობა უნებლიე შემთხვევა იყო...) და მიცვალებული დაამუნათა ისევ — თავი შემომაკვალაო...

— მამაშენი უბირი კაცი იყო, ვერ მიხვდა განძი რისთვისაც მჭირდება... შენ უნდა გამიგო, უნდა დამეხმარო, — უთხრა მერე, როცა გაუშინაურდა გოგოს, მისი ღუმელით წათამამებული...

ხევისბერის ასულს ხმა არ გაუღია, ყვერფნის პირას იდგა ბაგემოკუმული.

— ყველაფერი ჩაინვება და ჩაინაცრება დრო-ჟამის ცეცხლში, — თქვა შემდეგ მოულოდნელად და ჯინჭველიშვილიც შეაჯებუნა გოგოს ნათქვამმა, შეიშმუნა, შეინძრა ცეცხლის პირას წამომჯდარი.

— მამა რომ მოგიკალი, ვიცი იმიტომ გძულვარ, — ამოღერდა მერე უნადინოდ.

— საკითხავია, მკვდარი ვინ არის, — გოგომ უტეხი მზერა შეაგება და კომისარიც კიდევ ერთხელ შეცბუნდა, რატომღაც თვალი მოარიდა მოსაუბრეს.

— განძი მჭირდება, — თქვა ისევ დაჟინებით, მაგრამ რიხი კი აღარ ემჩნეოდა ხმაში, განლუღიყო, გაჰპარვოდა ძველებური სითამამე და შემართება.

— განძი ცხვირწინ გიძევს, კომისარო, ვერკი მიგიგნია, — დაცინვით გამოეპასუხა გოგო და ჯინჭველიშვილსაც შესცივდა უცებ, ყვერფნთან მიიწია, ცეცხლს მიეფიცა, თუმცა ზაფხული იყო ჯერ და მზე მძლავრობდა დედამინაზე.

— ვერ ვხედავ, უნდა მიშველო, — ხელისგულები მავედრებელივით მიუშვირა ცეცხლს და ისე უთხრა კომისარმა, მაგრამ გოგოს დამცინავი ღიმი არ მოშორებია ტუჩიდან.

— მიმოიხედე და დაინახავ.

ჯინჭველიშვილმა მაუზერიანი ქამარი შეიხსნა და ყვერფნის პირად დააგდო.

— იარაღი აილე! — თვალთ მაუზერი ანიშნა გოგოს, — მომკალი, არ გინდა? სულერთია, უგანძოდ ვერ ვიცოცხლებ, შენ კი შურს იძიებ.

გოგო არც ახლა გატოკებულა და ჯინჭველიშვილსაც უეცარმა სიმამემ წამოუარა; დამცირებულად იგრძნო თავი, გოგო სიძულვილის ღირსადაც რომ არ სცნობდა...

— აილე, მომკალი, — კბილთა ღრჭენით უთხრა და უცებ წინ დაუდგა, მკლავებით ჩაბლუჯა, შეაჯანჯღარა, — ვიცი, გძულვარ, გეზიზღები... ჰოდა მოისვენებ, როცა მკვდარს მნახავ.

— უკვე მკვდარი ხარ, — მშვიდად უთხრა გოგომ და გამხვრეტი თვალთ შეხედა, მაგრამ კომისარმა პირზე ხელისგუ-

ლი მიაფარა და ნადირის ტყავებზე მიაწვინა კუთხეში, თავადაც ნადირით დააცხრა, ჩაბურჯნა, თითქოს წახრჩობას უქადისო, მაგრამ გოგო არ გასძლიანებია და არც სახე ჩამოუპოტნია მისთვის, როგორც მაშინ, ჯინჭველიშვილმა ტყვია რომ დაახალა მოხუც ხევისბერს და გოგო კი ვეფხვივით ეცა და დაკანრა ფრჩხილებით... სახე ახლაც ეწვოდა კაცს, მაგრამ ეს უფრო სირცხვილის ტკივილი იყო და მანაც გამამაგებით სცადა, გოგოს დაუფლებოდა, თითქოს მტერზე მიდიოდა შეტევით, თითქოს ციხე-სიმაგრეს თუ ბარიკადს იღებდა განძინებულში, სიძულვილით გაავებულში და იქ კი არავინ იყო, არავინ დახვედრია საომრად, არავინ შეჰგებებია ბრძოლით, რათა შემტევს გამარჯვების შმაგი სიხარული ეხეიმა; ნაცვლად ამისა ჯინჭველიშვილმა მხოლოდ იმედგაცრუება იგრძნო: თითქოს სიცარიელეს ეხვეოდა მკლავებით, თავადაც სიცარიელეში დანთქმული და თავდაღმა ჩაკიდული, ქვემოთკენ მსრბოლი... კბილთა კრეჭით მიწვა ტყავებზე და ცეცხლის ალმა ნაწამები სახე გაუნათა, ჩრდილები აუთამამა ღანვებზე, როგორც ნიღბის ნაჩრდილი, ღამის სიშავედ რომ გადაჰკვროდა პირისკანზე და ჰფარავდა წუთისოფლისაგან, მოუძლურებულსა და თვალთა ჭრილიდან უმწეოდ გამოიზირალს...

\*\*\*

ამ დღიდან გოგო მისი საყვარელი გახდა და ჯინჭველიშვილიც უცებ გამოიცვალა, თითქოს ჯვალოს ტომარა დაბერტყეს და ათასი ხარახურა წამოყარესო; განძის საძებნად აღარ დადიოდა, თუმცა რაზმელებს კი ავზავნიდა საუნჯის საპოვნელად... გოგოს ჩრდილად იქცა, მის ორეულად, გვერდიდა ველარ შორდებოდა, გულ-მუცელს კი შიშა უწრიალებდა — მამა რომ მოეუკალი, შეუძლებელია შური არ იძიოს და ჯადოთილისმით მაინც არ შემკრასო... ხევისბერის ქალს აბრალებდა უიღბლობას, ესეც უნდა მომეკლაო, ფიქრობდა და ერთი-ორჯერ მაუზერი მიუშვირა სასროლად, მაგრამ გოგოს შემოხედვამ მაჯა დაუდუნა, მოიღვენთა, მოჩოლფობდა... იარაღს ძილის დროსაც არ იცილებდა, თავქვემ ედო, ლოყით ზედ იწვა, თითქოს ცივი რკინა იყო იმისი სატრფო და არა ხევისბერის ქალი... შორცთაგან თხზული, ვნებით ანთებული, მოაღერსე... შო, მტერი იყო მისი გოგო, მედგარი წინაღმდეგობი მისი, რადგან წარსულს, ძველ ღმერთებსა და ბედისწერას აერთებდა თითქოს, — იმას, რასაც კომისარი ასე გამამაგებით ებრძოდა... ღამ-ღამობით ხედავდა ათასების ჩონჩხადქცეულ ღანდებს, შიმშილით დამლიერებულ ლატაკთა განანამებ სახეებს, ხსნას რომ ევედრებოდნენ და გამოღვიძებული კომისარიც კბილებს აღრჭიალებდა უძლურებისაგან, რადგან სიმტკიცის ბურჯები ერყვოდა ქალთან ყოფნით, ქალი აუძლურებდა, ნებისყოფას ართმევდა, ბნელში სძირავდა თითქოს, უფსკრულის ნიაღში, სადაც სანიაღვრო შიში უდარაჯებდა; მწვანე თვალეტი ჰქონდა შიშს, ავად იმზირებოდა ბნელის ნიაღიდან, რათა ალქაჯივით სძგერებოდა და ყელი გამოელადრა... კომისარს გაოფლილს ეღვიძებოდა და ახლა წამდვილ ღამეს აყურადებდა, სიმშვიდით რომ სუნთქავდა: კრთოდნენ ვარსკვლავები, ლიკლიკებდა წყარო, ყვერფნის ახლო თავი ფაჩუნებდა და დრო-ჟამიც მძივივით იმარცვლებოდა, როგორც წყლის წვეთები ეცემა ხოლმე სიცარიელიდან სიცარიელეს... კომისარის არსებაშიც დედებოდა, ჩანასახივით იკუმშებოდა აქამდის უჩვევი განცდა, საფრთხის მიმანიშნებელი, მაგრამ სანეტარო მაინც, რადგან უცხო სამყაროს შესასვლელთან იდგა თითქოს, სიკვდილის ბჭეს მიღწეული, გარდაცვალების მომლოდინე... ნუთუ ვკვდებიო, შიმშეულად ითვალეირებდა ტანფებს ჯინჭველიშვილი, მაგრამ სასიკვდილო არაფერი სჭირდა; ეგ იყო მხოლოდ, მზერა გამახვილებოდა და სმენაც ალესოდა, რათა უფსკრულში დაენახა რაღაც, მაგრამ ვერკი შეემჩნია აქამდე... მინისქვეშ ტალანებში ხეტიალს ჰგავდა ეს დაშვება თავისივე სულის ნიაღში და კომისარიც შიმშობდა, სამზეროს ველარ ამოვალო... აკი ყოველი კაცი კვდება, ვინც კი

უფსკრულის მოხილვას მონდომებს, და ამასაც ელოდა აღსასრული, თუკი თავს ვერ უშველიდა, თუ დროულად არ ამოაღწევდა ისევ საგანთა და ნივთთა ყოველდღიურ, ცხად გარემოში, სადაც თვითონ იყო მბრძანებელი, მაგრამ გოგო არ ანებებდა, კვლავ დაბლა ეწეოდა, როგორც მოცურავეს დაეკიდება ვინმე ტვირთად და სძირავს, ახრჩობს ისედაც ღონემიხდილსა და გასავათებულს; უნდა მოეშორებინა ქალი, უნდა განთავისუფლებულიყო ტვირთისაგან, რათა კვლავ შესძლებოდა განდის ძებნა, საუნჯის პოვნა... სწორედ მაშინ იყო, შეატყობინეს, გოგო სხვას ჰყვარობსო. — გაღმასოფლელ ჩაჩაურს, ჩაუქ მენადირესა და ახალი წყობის მტერს, ვის შეუპოვბასაც რა ხანია ამოდ ლამობდა კომისარი... მყისვე რაზმელები აფრინა მის საძებრად ჯინჭველიშვილმა და თვითონაც უკან მიჰყვა, რათა პირისპირ ენახა რაყიფი, სანამ მწარედ აზღვევინებდა შეურაცხყოფას, სანამ ნელი წამებით მიასიკვდილებდა იმასაც, როგორც ხევისბერი მოეკლა მანამდე; პირადი წყენის გარდა ჯინჭველიშვილს ისიც ამძვინვარებდა, გოგო თითქოს რომ გაორებულყო და ისე ებრძოდა — ჯერ ხომ გრძნობით დაემონებინა და საძრაობა შეეკრა მისთვის და ახლა ეჭვიანობით ახელებდა, რათა საბოლოოდ მოესპო კომისარისთვის კაცური ღირსება, — ტყეში გავარდნილი აბრაგი გვგობია ხალხისთვის მოამაგესა და ბედნიერების უარყოფელსო... ჯინჭველიშვილიც შურისძიების წყურვილმა აიტანა, რაზმელები მთის ძირს დატოვა და ჩაჩაურის საფარისაკენ მარტო გაემართა, თან მაუზერს უტურტურებდა უხილავ მტერს, ხევისბრის ასულს ექადნებოდა: სატრფოს რომ მკვდარს დაუფადებ ყვერფნის პირას ნანადირევით, რალას იზამს, ნუთუ არც მაშინ შემეყვარებსო... გააგება კოჭობით უთუხთუხებდა მკერდში, მერე და მერე კი სიჩუმემ და სიმშვიდემ დაუცხრო მრისხანება... ყვაილებით მოქარგულ ფერდობზე მიაბიჯებდა, ლურჯი ცის ქვეშ, ლურჯადვე მობიბინე მთის მწვერვალისაკენ, რომლის კორტოხზეც თეთრი ღრუბლის ქულა დაბრძანებულებიყო; საგნებს თითქოს ჩრდილი დაჰკარგოდა და ფერებიც მინავლულიყო, რალაც მქრქალად და ბუზად ისახებოდა გარშემო ყოველივე, როგორც სიზმარში, როცა ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებს, მაგრამ მაინც გადამქრალა საგანთა სახეობა, სილუეტთა სერნანრი... ჯინჭველიშვილიც თვალზე ისვამდა მაუზერიან ხელს — მელანდება რამე თუ დავბრმავდი და ქვეყნიერებაც იმიტომ მეჩვენება აგრე უსახურადო... სულიერი არავინ შემთხვევია და ახლა მარტოობა გაუკვირდა თვისი, ნუთუ მხოლოდ მე ვარსებობო... მერე ჩაჩაური? ისიც ხომ იყო, ხომ დაძებდა გამწარებული, რათა მოესპო და გაეჭრო სახსენებელიც კი მისი, მაგრამ ჩაჩაური არსად ჩანდა — მიწამ უყო პირი თუ ცამ, ჯინჭველიშვილმა ვერ გაიგო... კვირაზე მეტია სდევდა და ნაბანაკარსაც კი ვერ წასწყდომოდა... მთების ფერდობებზე ალალებდებ დაბობლავდა, რაყიფს დაძებდა, სამოსი შემოეხა და საქმელიც შემოელია; ნადირით სელებდა წყალს ნაკადულიდან, მუჭით კენკრას იტენიდა პირში, როჭოს უსაფრდებოდა და ერთხელ არჩვიც მოინადირა მშიერმა და უგზო-უკვლო ხეტილით გამგუნებულმა... ნადირი კლდის ქიმზე დალანდა კომისარმა, ობლად მდგარი, თითქოს ქანდაკივით გაშეშებული, თითქოს კაცის მომლოდინე, რაკი არც ფეხის ხმაზე განძრეულა და არც



მხატვარი პადრი გაგნიძე

დამფრთხალა, როცა მენადირე სასროლ მანძილზე მიუახლოვდა და ამანაც მყისვე დაახალა ტყვია... შუნი სათამაშოსავით თავდაღმა გადავარდა უფსკრულში და ჯინჭველიშვილიც ხავილით მიჰყვა, გაირბინა ბილიკი, უფსკრულის წიაღისაკენ დაელირა, როცა კლდის ეხში მუქად მზირალი თვალ-მარგალიტის ჭორტი გამოუკრთა... აქელებული კომისარიც განდის წინ შედგა, ვერ დაეფერებინა, ნადირის დევნას საუნჯესთან რომ მოეყენებინა ასე ანაზდად, უცაბედად... ზიმზიმებდა ულვევი ზინათი, ასნაირი სხვივით ბრწყინავდა, ელვარებდა, ცივად ისროდა შეღამების ბინდში და კაცსაც მზერა მოსჭრა განდის ციმციმმა, ბილიკზე გაიჭრა სიხარბით ატაცებული და უცებ მინა გამოეცალა ფეხქვეშ, ნაბიჯი აუსხლტა, გადაქანდა და უფსკრულს ჩაინთქა ყვირილით, როგორც აქამდე სიზმრისეულ წიაღში უჩინარდებოდა ხოლმე, მძინარი და ეჭვით განამებული, მაგრამ უწებო დაშვებას როდი ჰგავდა ეს ჩავარდნა და კომისარიც მძიმედ დაასკდა ფსკერს, ლოდს გადაეთხლმა, გონი დაჰკარგა... მყისვე უკუნი ჩამოდგა გარშემო და გაჰქრა ჟამი — არავინ და აღარაფერი არსებობდა, სიბნელეც კი, და ჯინჭველიშვილი მიხვდა, რომ კვდებოდა, მაგრამ არ მომკვდარა მაინც, რადგან იმ უარაფრო უკუნში იგრძნო, როგორ ასნიეს და გააქანეს სადღაც... მერე ცეცხლის ალივით აბუზტდა ცნობიერების ნაპერწკალი და თვალგახელილმა ჯინჭველიშვილმა მართლა ცეცხლი დაინახა: ყვერფნის პირას ინვა, გვერდით ხევისბრის ასული ეჯდა და მწუხარედ დასჩერებოდა... ჯინჭველიშვილმა წამოწევა სცადა, მაგრამ სხეული არ აჰყვა, ვერ აზიდა ტანი; რალაც უჩვეულოდ დამძიმებულიყო, ხელ-ფეხი დასიებოდა და რუმბივით გალიგვებული ეგლო ცეცხლის სიახლოვეს, უკეთური შუქით განათებული... — სადა ვარ, რა მჭირს? — იკითხა ტუჩების ლამუნით, რაკი ენაც კიდურებით დამძიმებოდა. გოგომ მზრუნველად შემოუკეცა ნადირის ტყავი. — იყუჩე, უბედურო, ავად ხარ. კომისარმა ისევ წამოინია, თან ტანს ითვალერებდა, თითქოს სიზმრად იყო კვლავ, რაკილა სიზმარივით ახსოვდა რაც შემთხვეოდა... ელვითა თუ ძილქუში გრძელდებოდა ისევ უსასრულო ლანდების წყებად? შეუძლებელია ეს წამდვილად მომხდარიყო, გაიფიქრა და გოგოს ხელი მოჰკიდა, დასარწმუნებლად, ხორციელი იყო თუ არა; მერე ისევ ჰკითხა, რა მომსვლიაო... — მენადირეებმა უფსკრულში გიბოვნეს და აქ მოგიყვანეს, — მწუხარედ გამოეპასუხა ხევისბრის ასული, — უგონოდ იყავი, ბოდავდი, განდს ასხენებდი... — განდს? ჰა, გამახსენდა... ჯინჭველიშვილი უცებ გარუმდა. არ უნდოდა გოგოსაც გაეგო, საუნჯე რომ ნახა და კვლავ ჰკითხა, ავად რამ გამხადაო... — რალაც უცნაური სენი გჭირს, სოფელი შენს გასახლებას ითხოვს, ემინათ სხვასაც არ გადაედოს. — უცნაური? კლდიდან ჩამოვვარდი, მეტი არაფერი. — ალბათ გაგაკანრა რამემ. ყარხარ. ჯინჭველიშვილმა ილღიას უსუნა: ჩირქის სუნად ჰყარდა... — დაღამდება თუ არა, უნდა ნახვიდე, დაიმალო, — უთხრა გოგომ, — სოფელი არ დაგინდობს. კომისარმა რაზმელები მოიკითხა.

— გაიქცენ. ყველამ მიგატოვა.  
ჯინჭველიშვილმა დაიგმინა და უძლურად მომუჭა თითები.

— შენც მიმატოვებ? — იკითხა მერე, — უშენოდ სად წავალ?

— მე ვერ გიშველი.

— კახპავ, — კაცმა ნადირივით დაკრიჭა კბილები და მუშტი ჰაერში გააქნია, რაკი გოგოს ვერ მისწვდა, — ჩემი სიკვდილი გინდა...

ხევისბრის ასული ადგა, გაერიდა. ჯინჭველიშვილი კი მარტო დარჩა, უძლურებისა და ბრაზის ამარა, მუშტმოკუმშული და კრიჭაშეკრული; უმწეო ჩანასახივით ეგდო ყვერფნის პირად, სადაც ალბათ სიკვდილი ელოდა, მაგრამ არც ამჯერად მოკვდა...სალამო ხანს გოგომ წამოდგომა უშველა, მხარში შეუჯდა, ყვერფნს გააცილა და გაიყვანა კარში, ბნელ ღამეს მიანდო...ჯინჭველიშვილი ლახლახით დაადგა უგზო სავალს — არ იცოდა სად მიდიოდა და მიდიოდა თუ არა საერთოდ...ეგონა ისევ უფსკრულში ვეშვებიო და არ გაჰკვირვებია, როცა მართლა დაზვავდა თავქვე, დაღმართზე დაგორდა ბამბის ნაკრაულივით, რალაც რბილსა და გრილში ჩაეფლო და ეგრე დარჩა დილაამდე, რადგან ადგომის ნიათი აღარ ჰქონდა და თანაც წოლა სიამოვნებდა — ბნელი ღამე იფარავდა მდეურისგან, მხსნელად მოვლენოდა, მეშველად, ფრთისქვეშ შეხიზნოდა იმის თბილ უბეს...

\*\*\*

განთიადმა მდინარისპირა შლამში თავნარგულს უსწრო, ზედ ვილაცის ჩრდილი დაჰფენოდა...ჯინჭველიშვილმა აიხედა და ჩაჩაური იცნო...მეტოქე არასოდეს ენახა, მაგრამ მყისვე მიხვდა, მტერი რომ წამოსდგომოდა, იმისი ტყვე იყო და ველარსად გაექცეოდა, ვერ დაუსხლტებოდა კლანჭიდან; ჩაჩაური თოფის ლულას დაყრდნობოდა დაფიქრებული, გვერდზე მზირალი, თითქოს კომისარს ვერც ამჩნევსო... ჯინჭველიშვილი კვნესით გადმობრუნდა და ჩაჩაურმაც იარაღი მიუშვირა მამინვე, ადგომა ანიშნა...

— ავად ვარ, ვერ ავდგები, — დაიხავლა ტყვემ, — სიარული არ შემიძლია.

ჩაჩაურმა გაუცინა და თოფის ლულა ნაჰკრა გვერდში.

— მხართეძოზე კოტრიალი კი გყვარებია, ძმობილო...ადექი, ნუ გეშინია, ივლი...

ჯინჭველიშვილი წამოიყავა და თავისდა გასაოცრად, ღამის მსუბუქად წამოდგა. ჩაჩაურმა თოფის ლულით ნაუქიმიუნჯა.

მზე მალლა იყო და ათბობდა დედამიწას. ზეციდან მიწამდე უხილავი სიმშვიდის ძაფები გაბმულიყო — მოსირმული ძაფები, ფარული ნეტარება რომ ჩამოჰქონდათ დაბლა, ყვავილებით მოჩითულ მიწისპირამდე, რომელზეც ორნი იძვროდნენ დანალიკებით...

\*\*\*

ჩაჩაურმა უცნობი ბილიკებით ატარა ტყვე და გაღმა გაიყვანა — უღელტეხილს იქით, მთიელთა პატარა დასახლებაში, აქა-იქ გაფანტული ბანიანი სახლებითა და ქვითკირებით ნაკლებ სოფელში, რომელსაც მოკირწყლული, ფილაქნიანი შუკა მიუყვებოდა შუაში. ჩარდახიანი კომპებიდან ცნობისმოყვარე სოფლელები დამზერდნენ უცხო კაცს, ბანზე გადმომდგარი ქალები და ბავშვები სიცილითა და ყვირილით ეგებებოდნენ, ზოგი მუშტს უღერებდა და წყევლიდა... ჯინჭველიშვილს ეგონა, გამიყვანენ და თავიანთი სალოცავის კარზე ჩამაქვავებენო, მაგრამ ჩაჩაურმა შუკაზე გავლით ფიცრულ ქოხში მიიყვანა ჯერ...ქოხის მიწურ იატაკზე ცხვრის ტყავები ეგო და კუთხეში სპილენძის დოქი იდგა...კომისარი უღონოდ მიილუშა ტყავებზე, ჩაჩაურმა კი კარი გაიხურა და მარტო დატოვა, მაგრამ ნახევარ საათში მობრუნდა; თან ვილაც ყმანვილი და

შაოსანი დედაბრები შემოჰყვნენ; ჩაჩაურს ქულაჯა გაეხადა და მკლავები დაეკაპინებინა. მან სარტყლიდან დანა ამოიღო და ქოხის შუაში წრე მოხაზა დანით, წრის შიგნით კი პალო დაასო და ზედ ბანარი გამონასკვა, მერე უბიდან მწვანე გომბეშო ამოიყვანა და ბანრით პალოს მიაბა; გომბეშო გაჩოჩდა და ბანარი გაითრია...ჯინჭველიშვილი გაოცებული უყურებდა, თუ როგორ კუთავდა და სწევდა უკანა ფეხს მყვარი, როგორ ცდილობდა წრის იქით გაეღწია, თითქოს ვარშემო შემოვლელბულ რკალს თუ გადააბიჯებდა, ხსნას მოიპოვებდა, ენოდა თავისუფლებას, მაგრამ ჩაჩაურმა არ აცალა: მან დედაბრებს ანიშნა და ისინიც ჯინჭველიშვილს მიუახლოვდნენ, სამოსი გააძვრეს და ტყავებიც გამოაცალეს ქვეშიდან. ყმანვილმა დაფს შემოჰკრა და ნელი ხმით ამღერდა, დედაბრებმა კი ზედადგარზე კარდალით წყალი შემოდგეს და ცეცხლი დაანთეს. ჩაჩაურმა სპილენძის დოქიდან წყალი მუჭში დაიწურა, გომბეშოს თავზე წვეთ-წვეთად დაასხა... გომბეშო გაინაბა, ჩაჩაური კი დასწვდა და უკანა ფეხით აითრია, ტებუთით თავი წააგდებინა, მარჯვედ და სწრაფად გაატყავა და კარდალაში ჩააგდო...წყალი შიშინებდა, ყმანვილი ღიღინით ურაკუნებდა თითებს დაირას, ჯინჭველიშვილი კი კვლავ გაოცებით მისჩერებოდა ჩაჩაურს: რა განეზრახა? ნუთუ გომბეშოსავით მასაც დანით დაკლავს? მაგრამ ჩაჩაური შურისძიებას აგვიანებდა...მან კარდალა ცეცხლიდან გადმოდგა, ნახარში თასში გადმოასხა და ჯინჭველიშვილს გაუწოდა:

— დალიე!

ჯინჭველიშვილმა ზიზლით მოარიდა პირი.

ჩაჩაურმა გაუღიმა და უცებ ცხვირში წაავლო ორი თითი...ჯინჭველიშვილმა შეჰყვირა და უნებურად პირი დააღო. ჩაჩაურმა მკერდზე მუხლი დააბჯინა, ადუღებული სითხე ხახაში ჩაასხა. სითხემ პირი აუვსო ჯინჭველიშვილს, გულ-მუცელი დაუმდულრა, მაგრამ ჩაჩაურს მაგრად ეჭირა მუხლით და ხელს არ უშვებდა, თასით ასხამდა გომბეშოს წვენს, სანამ ჯინჭველიშვილი უცნაურად არ შეთრთოლდა და არ მოლღვა გათანგული, თითქოს ძარღვები ამოაცალესო; შეახურა, შეძავდა, ოფლი ღვარად წამოუვიდა, თითქოს საკირეში შეეგლოთ და ინვოდა გვენის ცეცხლში...თვალის უბევიდან თქემად მოსკდა ცრემლი, ცხვირში ბოტოტებმა აუვსო, ლაჯებქვეშ მყრალი სისველე იგრძნო...სხეულის ყველა ნასვრეტიდან, ყველა ფორიდან ზინტილი და ბალღამი დასდინდა, როგორც დაჩვრეტილ ტიკს გასდის სითხე და იცლება შიგთავისიდან, იფუკება, ცარიელდება...ჯინჭველიშვილმაც უცებ შესწყვიტა ბორგვა, დაცხრა, დაშოშმინდა, სახეზე ღიმი გაეკრა...გაცივებას ჰგავდა, შვების ციავს ეს ღიმილი, მაგრამ კონვულსიური კრუნჩხვა იყო მხოლოდ, ნახსმანთა კრთომა, მყესების ძიგძიგი...პირისახე მიენაცრა სნეულს, ღანვები ჩაუმუქდა, უცხარი შეეჭმუხვნა და გაირინდა ღონემიხდილი, თითქოს ვილაც მშველი ღრუბელი გადაუსვა სახეზე და წაშალა ოდინდელი ტანჯვის კვალი, ეშმაურად რომ უღმეჭდა აქამდე ნაკვთებს...

\*\*\*

როცა გაეღვიძა, გვერდით ჩაჩაური დაინახა ისევ: სკამით უჯდა ახლო, დაფიქრებული...თვალგახელილი რომ შენიშნა, ადგა და ჩრდილივით წამოადგა ზედ, გულხელდაკრეფილი, სახემჭმუნვარი...ჯინჭველიშვილი გააოცა მეტოქის სიბიჯით შემ და მზერა მოარიდა, მაგრამ ჩაჩაურმა დაილაპარაკა და იძულებული იყო, კვლავ შეეხედა მისთვის.

— მალე მომჯობინდები და წასვლა თუ გინდა, წადი, — თქვა ჩაჩაურმა, — ოღონდ დარჩენაც შეგიძლია, თუ ჩვენს ყოფას არ იუცხოვებ...

ჯინჭველიშვილმა თავი გადააქნია.

— მტრები ვართ, — თქვა შემდეგ, — მიკვირს რად გადამარჩინე!

ჩაჩაურს ახლა კი გაეცინა.

—კაცის მტერი თვითონვეა მარტო და გადარჩენაც და სიკვდილიც მის ხელთაა...სხვის სამარეში ვერავინ ჩანვება...

—იქ, კლდეებშიც, როცა ჩამოვვარდი, შენ გადამარჩინე? — ყრუ ხმით ჰკითხა ავადმყოფმა და ნამოინია, რათა კარგად დაენახა მეტოქე; ჩაჩაური ჩრდილს შეჰფარებოდა და ჯინჭველიშვილიც ბუნდად ამჩნევდა მის სახეს, მაგრამ ხევისბრის ქალისა და რაყიფის მსგავსებამ მაინც შეაკრთო — ჩაჩაური წვეთი წყალივით ჰგავდა კომისრის სატროფოს და ჯინჭველიშვილმაც ეს გაიფიქრა, და-ძმანი ხომ არ არიანო, — ის ადგილი გახსოვს?

ჩაჩაურმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და ჯინჭველიშვილიც მიხვდა, რომ განძის სამყოფელი მეტოქესაც ეცოდინებოდა. მან გამომცდელად შეხედა მასპინძელს, თითქოს სხვათაშორის თქვა:

—შუნი მოვკალი იქ, უფსკრულში ჩავარდა...მინდა მოვხელო, ტყუილად ხომ არ გაინიერება ნანადირევი...

ჩაჩაურს ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა დაუვიწროვა თვალის კილოები, ხელები ჩამოუშვა, უბოროტოდ თქვა:

—მე გიმეგზურებ იქამდე, განადირებ...სტუმრის პატივისცემა ჩვენი წესია.

მიბრუნდა და უბოდიშოდ გაალაჯა ქოხიდან, მარტო დატოვა კომისარი, ვისაც ჯერ კიდევ არ ეჯერა, რაც მეტოქემ უთხრა — თავისუფალი ხარ და განძსაც გაპოვინებო...ჯინჭველიშვილი ლაჭანზე მიწვა და დიდხანს დაფიქრებული გაჰყურებდა ვინრო სარკმლიდან ლურჯ ცას, ფრიად შეურევბული — ვაითუ მეტოქე ხაფანგს მიგებს და ჩემი მოკვლა სწადიანო...მაგრამ რაღად გადაარჩინა, თუკი ბოლოსდაბოლოს მაინც უნდა მოემორებინა? აი ეგ იყო გასაკვირი...ჯინჭველიშვილმაც ვერაფერი გაუგო ამ ამბავს, იწვა და გაბეცებული იყურებოდა, თან კონველსიურად უხტოდა და უთამაშებდა მარცხენა თვალი; ეს თვალი ცუდად ჰქონდა დაცდილი...ჯინჭველიშვილი ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ ახლა რატომღაც სწამდა, ჩაჩაური ხიფათს მიმზადებს და ჩემი აღსასრულიც ახლოაო...გადაწყვიტა, თავი მოეკატუნებინა და როგორმე დასხტომოდა მტერს, რათა ბარში ჩაეღწია და კვლავ ეწინამძღვრა ახალი რაზმისათვის, რომელსაც საუნჯის საპოვნელად წამოიყვანდა ნაცნობი ადგილისაკენ...

\* \* \*

უკვე სიარული შეეძლო, უცნაურმა წამლობამ დიდად აროწითელ კომისარს და ესეც სასიამოვნოდ გაცეცხლებული ისინჯავდა სხეულს, თითქოს სამოსივით რომ გამოეცეცხლათ მისთვის; თითქოს მოკვდა და გაცოცხლდა კვლავ, ახლადშობილი, ქვეყნიერებას ერთხელ კიდევ მოვლენილი...ჯინჭველიშვილიც ბალღური ცნობისმოყვარეობით ავლებდა მზერას უცნობ საგნებსა და ხედებს, ნაცნობნი და დიდი ხნის შეჩვეულნი რომ იყვნენ ამავე დროს...წყენა და სამდურავიც თითქოს ოფლსა და მწვირესთან ერთად გამოსვლოდა ჯანიდან და კომისარმაც განუცდელი შეება იგრძნო — არსებობის სიმსუბუქე...ეგონა მთებს იოლად გადავევლებო; ხეებს ხელით მოდრეკდა ან მძიმე ლოდს ადვილად ასწევდა; ქარივით ხალასი იყო და ბალახივით უმღელვარებდა ფიქრიც, რომელიც რატომღაც აღარ იყო მძიმე და მრუმი; ჯინჭველიშვილმაც ნელინელ დაიბერტყა ძველი აზრებიც, ნაფლეთ-ნაფლეთ რომ ცვიოდა მინაზე, რომელზეც ისევ ორნი მიაბიჯებდნენ მთებისაკენ; წინ ჩაჩაური მიდიოდა, თითქოს განგებ, კომისრის საცდუნებლად, რაკი ამას ადვილად შეეძლო ხელი ეკრა და უფსკრულში ჩაეჩხება მეტოქე; ჯინჭველიშვილს თოფიც ჰქონდა თან, ჩაჩაურმა რომ უშოვნა, და კომისარსაც გაუჭირებლად შეეძლო ტყვია ეკრა მეგზურისათვის, ჯინჭველიშვილი კი მაინც მორჩილად მისდევდა თავის უცნაურ რაყიფს, იმის ვერშემცნობი, რა განეზრახა ამ მდუმარე კაცს, რისთვის მოვლენოდა მხსნელად, როცა, პირიქით, მისი სიკვდილი უნდა ნდომოდა უწინარესად...მისდევდა და თან უცხოსავით იყურებო-

და გარშემო, აქ პირველად მოხვედრილი მოგზაურივით, რომლის წინ უცებ მუქი ფარდა გადაიხსნა და უცნობი და საკვირველი არე გამოჩნდა...უკვე ჭოხებში იყვნენ, საჯიხვეში, მაგრამ ჩაჩაური დანდობილად მიაბიჯებდა და ჯინჭველიშვილსაც უკვირდა: რანაირ მენადირეა, თუკი არც ნადირის დაფრთხობას ერიდება და არც ღამის სათევად საჭირო ნივთები წამოუყოლებიაო; ჯიხვზე ნადირობისას შეიძლება უცებ შემოგალამდეს და თენება სადმე კლდის ეხში გინიოს, ჩაჩაური კი მოსიერნეს უფრო ჰგავდა, მალევე შინ დაბრუნებას რომ ფიქრობს და ამიტომ არც ედარდება, სად დაუღამდება; ვეცა წყაროსთან ავიდნენ და საყურში ჩასხდნენ. ჩაჩაურმა კლდის წვერისაკენ გაახედა კომისარი.

—ორი ხარჯიხვი მოდის ჩვენკენ, — უთხრა მერე, — ჯერ შენ ესროლე...

ჯინჭველიშვილმა კლდის წვერზე ვერაფერი შენიშნა და გაბრაზდა, მეტოქე ასე რომ ამასხრებდა, ასნია თოფი, ჩაჩაური ზეჭებშია უსწორა; ჩაჩაური ამ დროს ზურგშექცევით იყურებოდა ჩონჩხად მდგარი კლდეებისაკენ, მაგრამ გუმანით იგრძნო თუ გაუფრთხილებელმა მოძრაობამ გასცა კომისარი, უცებ შემობრუნდა და თოფის ლულას ხელი აუკრა.

—ჯერ ნუ მომკლავ, — უთხრა დაცინვით, — ჯერ ვინადიროთ, ჯიხვები ვხოცოთ.

ჯინჭველიშვილს შერცხვა და მეტოქეს მზერა მოარიდა. ჩაჩაური ისე უყურებდა, როგორც ბალღს უცქერენ ხოლმე, ყოვლისმპატივებელი ღიმილით, დანდობილად, რაკი უფროსებმა იცინან, რომ პატარა მხოლოდ უგუნურების გამო იქმს უკეთურებას; ჯინჭველიშვილმაც ეგრე იგრძნო ჩაჩაურის მზერა, ლოყა აეწვა და უფრო გაბრაზდა, მაგრამ მეგზურის გამხვრეტი თვალი ცვილივით ადნობდა, ნებისყოფას უკარგავდა...

—აჰა, მოდიან, — წასჩურჩულა ჩაჩაურმა, თითქოს არაფერი მომხდარაო, — ერთი შენგან მარჯვნივ დადგება და ვინძლო არ ააცდინო...

კლდიდან ორი მანძილა ხარჯიხვი ჩამოდიოდა წყვილად ვეცა წყაროსაკენ, მაგრამ მენადირეებს დაუახლოვდნენ თუ არა, თითქოს განგებ, დანალიკდნენ და ბებური ხარი ჯინჭველიშვილისაგან მარჯვნივ დადგა თოფის სანიშნეზე, უძრავი, ამაყად ამართული, შავად მჩინარი სილურჯის ფონზე, რქები რომ ღამის ცამდე აენვდინა და მორჩილად ელოდა მენადირის თოფის გატყვრომას, საბედინერო ტყვიის წუილს, გულს რომ გაუგმირავდა და ძირს დასცემდა, ცოდვილ მინაზე, რომელზეც უხსოვარი დროიდან რუსავით დის ცოცხალი სულიერის სისხლი, მაგრამ არ ჩანს ეს სისხლი, რადგან მინა ისრუტავს და აქრობს კვალს, აქარწყლებს...ჯინჭველიშვილს არც ეეჭვებოდა, ნადირმა კარგად იცის, მენადირე რომ ჩასაფრებია და მოკვლას უპირებს, მაგრამ მაინც ზვარაკის სიმშვიდით, მოთმინებით იცდის, მსხვერპლშეწირვა როდის აღესრულებო...

—ესროლე, — უჩურჩულა ჩაჩაურმა, — კარგი სამიზნეა, იცოდე, წავლენ...

ჯინჭველიშვილმა თოფი სამიზნედან გადმოიღო და შენიშნა, ჩაჩაურს არცკვი შეემართა თავისი იარაღი; ჩანს, ჯიხვის მოკვლას არ აპირებდა...

—შენ რად არ ესვრი? — ჰკითხა ჩუმად და თოფიდან ტყვია ამოიღო.

ჩაჩაურმა გაიღიმა და როგორც ჯინჭველიშვილს მოეჩვენა, ხარჯიხვებს ხელი აუქნია, ისინიც მყისვე გაუჩინარდნენ, წყაროზე ჩამოუსვლელად გაქრნენ, თითქოს მინამ ჩაყლაპაო...

—სტუმარი ხარ, ნადირი შენ გეკუთვნის...

ჯინჭველიშვილმა თოფი მინაზე დადო და წამოდგა.

—მე სხვა ნანადირეებს დავეძებ, — უთხრა გამომწვევად, თუმცა თვალეში არ შეუხედავს თანამგზავისათვის; ჩაჩაურიც წამოზეხვედა და წინ დაუდგა. მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს და მერე ჩაჩაურმა უბოროტოდ თქვა:



— დაგნაყრდეთ, დავისვენოთ და გიჩვენებ განძს, გაპოვნინებ.

— შენა ხარ საუნჯის მცველი? — ჯიქურ ჰკითხა კომისარმა.

ჩაჩაურს ტუჩის კუთხე დაეზიდა ძირს დამცინავი ღიმილის ნიშნად.

— ყოველი კაცი განძის მცველია, ოღონდ უნდა იცოდეს რას სდარაჯობ...თოფი აიღე და მომყევი.

საჯიხვეებიდან ტაფობში ჩამოვიდნენ და ჩაჩაურმა აბგიდან საუზმე და არყიანი ქინთი ამოალაგა; დანაყრდნენ, დაისვენეს, ცოტა თვალი ნაატყუეს მდელით და მერე ჩაჩაურმა განძის კლდეებისაკენ წაიყვანა სტუმარი; უკვე ბინდებოდა, ნაცნობ ადგილს რომ დაუახლოვდნენ. ჩაჩაური შედგა, ხელი კლდეებისაკენ გაიწოდა.

— გახსოვს ეს ადგილი, შუნი რომ მოჰკალი? — ჰკითხა კომისარს, — ის შუნი შენი ზვარაკი იყო... რომ არ მოგეკლა, განძს ვერ იპოვნიდი. მიდი, აიღე განძი.

— შენ არ წამომყევი?

— მე აღარ გჭირდება, ოღონდ მენადირისა და ალის ამბავი გახსოვდეს.

— ალის?

— არ გაგიგია? მენადირეს წითურთმიანი ალი უნახავს საჯიხვეებში და მოსწონებიათ, შეჰყვარებიათ კაცსა და ქალმერთს ერთმანეთი. მენადირის საბძელში ხვდებოდნენ თურმე, სანამ კაცის ცოლს ალი არ უნახავს და სიხარბით დალაღები არ შეუჭრია, დაგლათი გამიმრავლდებოდა...ალს სწყენია და დაკარგულა...მენადირე გატრფოს სამებრად კლდეებში გაჭრილა, მაგრამ ალი აღარ სჩვენებია; გამწყრალი თუ იყო კაცზე, უპატიოდ რომ მოექცნენ და მენადირეც მიუვალი კლდის წვერს შერჩენია თურმე, დაბლა ველარ ჩამოსულა...კარგად მენახე.

ჩაჩაური გატრიალდა და წავიდა, აღარ მოუხედავს, სიტყვაც არ დაუგდია სტუმრისათვის, და ჯინჭველიშვილიც ერთობ შეაჩქევიდა ამ უცნაურმა დამშვიდობებამ...ალისა და მენადირის ამბავი რაღად მომითხროო, ესეც უკვირდა, და ერთი პირობა უგანძოდ გაბრუნება იზრახა, როცა წინ მუქმა სილუეტმა გაურბინა: შუნი იყო...ჯინჭველიშვილმა მისდია და მალე განძის კარსაც მიაღწენ...შუნი უძრავად გაჩერდა ქვაბულის ღიობში, თითქოს განძს უცხო თვალისაგან იფარავსო და ჯინჭველიშვილსაც ჩაჩაურის ნათქვამი გაახსენდა, შუნი რომ არ მოგეკლა, საუნჯეს ვერ მიაგნებდიო...თოფი გადმოიღო მხრიდან, შუნს უსწორდა, მაგრამ ის ხარჯიხვივით როდი გაუჩერდა სამიზნეზე, უცებ მოსხლტა და გაუჩინარდა, ჯინჭველიშვილი კი განძისაკენ დაეშურა...ბილიკზე მსუბუქად მიიზბოდა და გარშემო არც კი იყურებოდა, რაკი უტყუარად იცოდა, საუნჯეს რომ მიაგნებდა, ბოლოსდაბოლოს, მოიხელთებდა, და ისაკუთრებდა განძს, ცხოვრების მიზანი რომ აესრულებინა; მაგრამ ბილიკი არა და არ თავდებოდა: თითქოს წრეს ურბენდა კაცი, ხან დაუახლოვდებოდა განძის სამყოფელს და ხანაც უიმედოდ შორდებოდა; ჯინჭველიშვილი დაილაღა და სასოცნარეკეთა; ნუთუ განძს ვერ მიაღწევს? წინ პატარა უფსკრული იყო...კაცმა ტანი ამართა და გადაეგლო უფსკრულს, გადაიზინკლა, მაგრამ კლდის შვერილს კოჭი მოჰკიდა თუ არა, მყისვე მიხვდა, ველარსად წავიდოდა, რადგან შვერილი თითქოს ამალდა, აიზიდა და ჯინჭველიშვილიც ეგრე ეულად დარჩა კუნძულივით ამართულ მიწის ნაგლეჯზე, მარადიული ცის პირისპირ, ნელი-ნელ რომ მუქდებოდა და შავად ღებავდა ირგვლივ ხილულ სინამდვილეს; ჯინჭველიშვილმაც ვერ უფსკრულს ჩახვდა, მერე ცას გაუშტერა მზერა...ორნივე ერთი იყო, ორივეგან არაფერი იხილავებოდა და კაცმაც ძირს დადო თოფი, დაიჩოქა და თაყვანი სცა ოთხივე მხრივ ქვეყანას, ჩამავალ მზეს, ცის სიმუქეს, უფსკრულსა და უფსკრულის წიაღს, რომლიდანაც ველარასოდეს ამოხვალ, თუკი საკუთარ არსში ჩაძირული ხსნას ველარ ჰპოვებ...



## გვანცა ჯობავა

### მაქლართა და მხიერთათვის

როცა დავკარგე ღმერთი, ვთქვი, რომ გამწირეს ამ ცხოვრებისთვის და ანარქისტი შვილივით არ მიმიღეს ჩემმა მშობლებმა.

როცა დავკარგე სახლი, და ვერც მდიდარი მემკვიდრეობით მოვიგვარე ყველა პრობლემა, ვთქვი, რომ გამწირეს ამ ცხოვრებისთვის, და მე მეორედ არასოდეს ვიცხოვრებდი მთელ ამ ცხოვრებას.

როცა დავკარგე რწმენა, და მივხვდი, რომ გულახდილად არც არასდროს მჯეროდა მისი, ვთქვი, რომ გამწირეს ამ ცხოვრებისთვის და არც არასდროს არ მექნება მართალი კაცის სახელი, ვიცი.

როცა დავკარგე თავი, და ვთქვი: რა მოხდა, ნუთუ ჩემ გარდა სხვას არავის დაუკარგავს ჩემსავით იგი?! მივხვდი გამწირეს ამ ცხოვრებისთვის, და ჩემი ცრემლი არც არასდროს არ ყოფილა გულწრფელი ცრემლი.

და მერე როცა მეგობრებიც შემომეფანტნენ, როცა ვერ კიდევ მე მათ გამო მეგონა, რომ ჩემი ციხე იყო მტკიცე, აუღებელი, მივხვდი, გამწირეს ამ ცხოვრებისთვის და ჩემ გარდა ვერავინ ვერ დაიცავდა ჩემს დარღვეულ ციხის გალავანს.

და მერე, როცა ისე უცებ წამოვიზარდე, როცა ვერ კიდევ თვალს და ხელს შუა მიმრავლდებოდა ძვლის უჯრედები, და კვალდაკვალ იქცეოდა გული მონარქად მთელი სხეულის, რომ ერთ დღესაც უცაბედად გამოვიღვიძე მიტოვებულმა, ნატირალმა, დამცირებულმა, ნაცემმა და მოტყუებულმა, და ვთქვი, გამწირეს ამ ცხოვრებისთვის. სიყვარული კი, ისე ძლიერ აბსტრაქტულია, ცისთვის მიწობილ საჭაერო ბურთებივით გვეკარგება ადამიანებს.

როცა დავკარგე ფული,  
სამშობლოსაკენ მიმავალი თვითმფრინავის  
ბილეთისთვის რომ აღმოჩნდა  
გადადებული,  
არ მიძებნია.  
და ვთქვი, გამწირეს ამ ცხოვრებისთვის,  
რადგან მაძლარნი ამ საღამოს  
ხვალ დილისათვის  
ისევ მშვივრები იქნებიან, ეჭვგარეშეა.

და ბოლოს, როცა დავკარგე მე სულ ყველაფერი,  
ადამიანს რაც აბადია,  
და საკუთარ თავს დავუპირე  
ერთ ნაჭერ ხმელ პურში გადაცვლა,  
მივხვდი, მამხილეს გაქცეული, გადახვენილი,  
რადგან არასდროს, არც ერთ ჯერზე,  
არც ერთი სიტყვით  
არავის არ გავუწიერივარ,  
მე უბრალოდ არ ვიცოდი,  
რისთვის მეცხოვრა.

### ქოლგაზი

შენ შეიძლება ბევრჯერ მოხვიდე  
და ყოველ ჯერზე  
სულ სხვადასხვა ფერში იყო გადანყვეტილი,  
სულ სხვადასხვა მხრიდან მოხვიდე  
და არცერთხელ არ დაიჯერო, რომ  
როდესაც ბუხართან დაგსვი  
ზამთრის სუსხში შეციებულ  
და დაგაპურე,  
არც ერთხელ არ მიფიქრია, აღარ გამეშვი.  
შენ შეიძლება მიყურებდე და არ გჯეროდეს,  
რომ, როდესაც წვიმა ჟონავს ჩემი სახლის  
ხის სახურავში,  
მე არ ვანყო ალაგ-ალაგ დიდრონ ჯამებს  
და არ ვაგროვებ წყლის წვეთებს ერთად.  
დაე, იდინონ.  
და ზოგჯერ ისიც შეიძლება, ძლივს შესამჩნევ  
ლიმილიც კი აგითამამდეს,  
როცა თვალს მოკრავ,  
ერთი დიდი შლაპის ქვეშ თავშეფარებული  
როგორ ვგავარ ქუჩის ქოლგებს დიდი ბოტებით  
გუბებში რომ მიტოპავენ ტროტუარებზე,  
გაოცებული თვალბივით რომ ტრიალებენ  
ყველა მხარეს ჩამომდგარ ნისლში  
და უპეები დაგროვილი წვიმით ევსებათ,  
იტირონ მაინც.  
ჩვენ შეიძლება არც არასდროს დავიჯეროთ  
გარდაუვალი ერთმანეთი,  
და შემთხვევითი შეხვედრებიც ყველა ქუჩაზე  
არად ჩავაგდოთ.  
არად ჩავაგდოთ,  
რომ წარსულმა იმდენჯერვე მოგვიკაკუნა,  
რამდენჯერაც ხმა არ გავეცით,  
რამდენჯერაც თვალი დავხუჭეთ,  
რამდენჯერაც გავახილეთ იმისთვის,  
რომ კვლავ დავგეხუჭა  
რამდენჯერაც ვთქვით, ამინ, ღმერთო,  
შენი ბრალია, შენ გინდოდა ასე, ამგვარად.  
და ბოლოს ისიც შეიძლება,

თვალი მოვკრათ ერთმანეთს და აღარც შევჩერდეთ,  
აჩქარებით ჩავიაროთ,  
რაც უბრალოდ ნიშნავდეს, რომ დიდები გავხდით.  
ან უბრალოდ გვჯეროდეს, რომ ეს ასე მოხდა.  
და შეიძლება აღარ მოხვიდე არც ერთი მხრიდან,  
არც ერთ ფერში გადანყვეტილი,  
არც მე ვცხოვრობდე იმავე ხის სახლში,  
და არ ვამბობდე წვიმაზე, რომ დაე, იდინოს.  
ჩვენ შეიძლება სულ უბრალოდ აღარსად ვიყოთ,  
აღარსად ვიყოთ ერთმანეთისთვის.

### ომის ქრონიკა

როგორ მეგონა მარტო ვომობდი,  
როგორ მჯეროდა,  
არადა, შეხე,  
როგორ მომრავლდნენ  
ფერად-ფერადი გენიოსები,  
ფილოსოფოსნი,  
ბრძენნი მომრავლდნენ,  
დამპროექტეს ყველა სანგარი,  
ყველამ მოირგო ჩემი ჩაფხუტი  
და დატრიალდნენ სარკეების წინ  
ისე კეკლუცად,  
თითქოს ქორწილის წინ იხდენდნენ  
პატარძლის ფატას.  
სადღაც მართალიც იყო ალბათ  
მათი მცდელობა  
ან მართალს გავდა.  
რადგან მათ მართლა დაინახეს როგორ დავეცი,  
თუმც ადგომაში არასოდეს დამხმარებიან.  
რადგან მათ მართლა დაინახეს, როგორ გავეცი,  
და მამხილეს პირველივე შემხვედრთან თურმე.  
რადგან მათ მართლა დამინახეს, როგორ ვიპარე,  
და იმ ღამესვე გადამინვეს მთელი სახლკარი.  
რადგან მათ მართლა დამინახეს, როგორ მოვკალი,  
და სხვა მოკლულთა სიმძიმეც მე შემაბეს ზურგზე.

მე კი მეგონა მარტო ვომობდი,  
მჯეროდა კიდეც.  
არადა, შეხე,  
როგორ მომრავლდნენ  
ფერად-ფერადი გენიოსები,  
ფილოსოფოსნი,  
თუმცა კი იქვე,  
სხვის ომში ბრძენნი  
თავთავიანთი ომების  
დეზერტირებად იქცნენ.

### უიგალოთათვის

შენ ამბობ, რომ ეს არაა ჩვენი ღმერთი,  
ჩვენი კეთილი ღმერთი,  
ასე მედგრად რომ ეომება შენს სხეულსა  
და ჩემს სულს,  
ანდა პირიქით.  
არ შეიძლება მას ახლა ელვიძოს  
და ასე მშვიდად უყურებდეს,  
როგორ ვნებდებით.  
ჩვენი ღმერთი ამ დღეებში სხვაგან წავიდა.



### ეთერ თათარაიძე დაღესტნური რვეულიდან

ვუძღვნი თენგიზ მირზაშვილისა  
და მანაბა მაგომედოვას ხსოვნას

#### ზუზრას

დილაბინდზე ყინულის  
წყაროზე პირს ჩამი'ბანდ,  
ძირგაგლეჯილ მრეშ ჭუნჩას  
ჯელჩქარა ხეკმსდ-გამი'ბლანდდ,  
ახალგადაფუქულ ბურნითს  
მეზობელსთან გადი'ტანდ,  
ქება-სმენას დანარცხვენ  
ღვრილ თმაზე ჯელს გადი'სვამდ,  
შინ გადმოსვლით გულნაცხროვ  
ლეკურ ქათიბს გადი'ცვამდ,  
ნატეხა მიჭვრიტანში  
თავის აღეს გადი'ტანდ,  
აბრეშუმის ჯელსაწოცს  
სკივრითას მალე ამი'ტანდ,  
ნარ-ნარით მრომ, ფიქრბურვილ  
ბანზე მზის სხივს გამი'ტანდ...

\* \* \*

დედა, ალბათ, ასწავლიდ  
ბალახ-ბულახში ბანართ  
ათასფერად ლებვას,

რვალის ცვეთილ დიდ ჩხუტში  
ყველა ადათის დაცვით  
შეგდებულ ზის დღეებს,

წყაროთა შინამდ დუ'მჯდარ  
ყმედ აღმართზე განაჭიმ  
წელთუნგიტ წყლის ღებას,

დილით წუხრამდ ყანის მკვას  
ამინდისად შურებას,  
შიმშილ-დაღლის ძლებას,

შინ მოსვლით საქონ მბასად  
ზე-წველისად მიხედვას,  
არვიზდ რაის კლებას,

როდის-როდის კერასთან  
თავის თავიზდ მოცლასად  
ნატვრიზდ ჯელის ხლებას,

დედა, ალბათ, ასწავლიდ  
ლეკურა ჭუნჩათ ქსოვას,  
ფერთ ხამება-ნქრებას,

ცისიდ მინის ხასიეთს,  
ლოცვის არ დაინყებას,  
მასკვლავთ კრებიზდ სწრებას,

მემრ მორჩილად ცოლობას,  
არაფერზე გმინყრასად  
თავის წილთ სუ კლებას,

უფროს – უმცროსობასად  
ადათ – წესიზდ სიმთხილეს  
სავინყოსიც წყებას,

ურჩევს ბევრ შვილის ყოლას,  
ცხვა არაით სიხარბეს,  
ალახსთან ლალ ხლებას,

ზუგრა, ალბათ, მორჩილად  
თავზრით პირობას აძლევს  
დასტურმლოდნე დედას.

\* \* \*

თვალს-თვალში რო ვერ გვიყრიდ  
ატმის ყვავილს სადაროვ,  
ანამწვან მთებს ხედავდ,

თამაქოს ჩითილების  
ქურუმას რო აწვალბედ,  
ფესეებს მინას სწებავდ,

ხის ცოცხებზე შენარჩენ  
ნამჭკნარ არყის ჯმელ ფოთლებს  
ხფშენიდა-დ ყუნწებს სწყეცავდ,

ჩვენით განაპარალა  
განაკვირალ ლურჯ თვალებს  
თავის დედას სწებავდ:

„ამათ ჩემგან რა უნდავ“?

\* \* \*

გარევე-გარევე ვბრუნდები-დ  
ფიჭებისკ წამოალა ბილიკაზე ვდგებ,

ჭეროთ მომდინარა'ებს  
ზუგრასად იმის დედას  
დანამშვრალებს ვხვდებ,

ზუგრას ოქროს დაღალეებს,  
ნაფირუზალ შვლის თვალებს  
ჯელნაკანკალ ვსწვდებ,  
გარევე-გარევე ანაბრუენ,  
ფიჭებისკ წამოალა  
ბილიკაზე ვდგებ.

\* \* \*

სანამ არ გადე'ფარნეს  
შავით მოსილ დედაიდ  
წითელკაბა ქალა,

თვალ მეჭირა-დ მენამვოდ  
თავაც ვერ ვიც,  
რადამ?

შვლის ნუკრსავით წინ წუ'ხტოდ  
სტუმრად ჭირით ნაჭერალ,  
ახლ განალად ქალა,

გზაზე იმათთან ერთად  
უხვად მინრიალებდეს  
ბუბუნა'ებ, ქამან...

არსებობს ლიტერატურაში ას-  
ეთი ცნება — ადგილის კოლორიტი,  
რომელიც გულისხმობს მშობლი-  
ური მიწის ფაქტორს, ანუ სადაც  
დაიბადები, იქაური ბეჭედი რომ  
აზის შენს სიტყვას, ხმას, კილოს,  
ხასიათს, სტილს, მანერას; ერთი  
სიტყვით, მშობელ მიწაში რომ  
გიდგას ფესვი, შეთვისებული რომ  
ხარ გარემოს.  
ეთერ თათარაიძის ლირიკული  
გმირი მინასთან ისეა შერწყმულ-  
შეთვისებული, რომ არც კი იცი,  
ლაპარაკი საიდან ისმის. პოეტურ  
სათქმელს გადმოსცემს ხმა, რო-  
მელიც თავის თავში აერთიანებს  
მინიერ და ადამიანურ სანყისებს,  
პოეტი გვესაუბრება იმ ენით, რა  
ენაც მთამ ჩაუდგა თავის წილში  
დაბადებულ ადამიანს. მთა ამ  
ენით გამოხატავს თავის თავს.  
ეთერის ლექსში ელემენტები  
— ბგერა, სიტყვა, ფრაზა — ხში-  
რად გაუგებარი ან ძნელად გასა-  
გებია, მაგრამ მთლიანობაში ყვე-  
ლაფერი მოდის შენამდე, რადგან  
პოეტურ ფაქტურას ბოლომდე  
მოაქვს ის მუსიკა, რომელშიც  
მთავარი არსია ჩადებული.  
სწორედ ისე, როგორც რეალ-  
ობაში: მთაში ბევრი რამ გაუგებარი  
და აუხსნელი გეჩვენება, მაგრამ  
მთავარი სავესებით ნათელია, რად-  
გან ამ მთავარს გონებით კი არა,  
შევრძნებით ლებულობ.  
მშვენიერისა და ამაღლებუ-  
ლის არსიც ხომ ამაში მდგომარე-  
ობს — გრძნობიერმა გითხრას ის,  
რასაც გონებით ვერ აღიქვამ.  
ამ ლექსების ტეხილ რიტმსა და  
მკვეთრ თანხმოვნებაში გადმოი-  
ცემა რაღაც ასეთი, მთის ნიავივით  
მკვეთრი და მოუხელთებელი, უც-  
ხო და ეგზოტიკური, მაგრამ მახ-  
ლობელი, საგულისხმბიერო.  
სანამ გაიგებდე, გრძნობ.  
მშვენიერის არსი გაცილებით  
ადრე იხსნება, ვიდრე გრამატიკუ-  
ლი აზრი, რომელსაც დიდი მნიშ-  
ვლობა აღარ აქვს, რადგან მთა-  
ვარი უკვე შენთან არის.  
ბგერაში იგრძნობა ალპური  
ბალახის სურნელი და ადამიანუ-  
რი სულის სიდიადე. უთუოდ ეს  
არის ადგილის კოლორიტი, ეთერ  
თათარაიძის თუშური დუენდე.

ცას თავნანვდენ მწვანე მთებს  
ნითელ წერტილ ასკივებდ, –  
ეეს იყე ზუგრა ქალა.

\* \* \*  
ზუგრა ზეგზე წე'დინებ  
ორთქლავარდნილ ჳმოებსთან,  
წყლევნად წუ'დის, თენგიზ,

ჩვენ ვბერდებით, ის ალბათ  
ვარდის კოკობს ეფერებ,  
მჩქეფელ ტალღას თერგის,

ზუგრა ლურჯ ცას  
ლურჯ თვალებს  
დიდხან აპყრობს, თენგიზ,

ხვალედ-ზეგე ამინებს,  
ძალადა' გა'თხოვებენ  
თვალმგელ ლეკზე, თენგიზ,

ზუგრა ხო გარეგ გაწსონს,  
ობოლ ქალა ლეკისაჲ,  
ყვავილს სადრელ, თენგიზ,

ალბათ ნაჩუმ წყაროთაჲ  
ნარწყულებ ჳმოთ მოსწკებლავს,  
ზეგვს გადმა'ცილ, თენგიზ,

ხვალ-ზეგ ვარდად გი'ფურჩნებ,  
ჩვენ სიბერე დაგვძალავს,  
ვლნახავთალა, თენგიზ?..

\* \* \*  
შვილასავით მენატრებ  
ლეკეთის აულებში  
ნამწყვდევ თეთრ ვარდ, უფალო.

ქათქათა კან, ლურჯ თვალებ,  
თხელა თითებ, დაღვრილ თმაჲ,  
მორჩილ, ალლო უქაროჲ.

ცხვათ ნაცვეთა-ნაცვამა  
ნითელ კაბა ფარფარით  
უფორმოი-დ უქამროჲ.

შინა ცას მინაკერებ,  
უფრო ბუნაგს მინამგვან,  
უეტლოი-დ უქაროჲ...

ზუგრაზე ვამბობ, თენგიზ...

\* \* \*  
იქნებ გულიც მუიდეს,  
მე რას გადამეკიდავ,  
ზუგრა იქნებ გაჯავრდეს.

თავ დედოფალს ნაფერებმ  
თავის ნაოცნებებში  
შურ ამართვას, გამჯაბრდეს.

ზუგრა აგთა არ იქნებ...

\* \* \*  
ალარ იქნებ პატარაჲ,  
ქალობაში ფეწნადგამს  
ეტლიც ნაცვალ ექნების,

ლეკურ განიერ კაბას,  
ნაოჭებად წელს ნაყარს  
მკერდს ძველ ჟღარლებ ეყრების,

ლურჯ თვალების სადარო  
სიბუქ აბრეშუმის თმებს  
თავსაკრავა ერქმების,

კესანეს მგვანს თავადაც  
ბუბუნაის სურნელი-დ  
სისიბუქე ექრევის...

\* \* \*  
შენ ზუგრას ნუ ეხუმრებ,  
საზღვარგარეთ ნამყოფი, –  
თუშეთ უნახავ,

იც, რაგვერთ გზა-ბანრები,  
ნიაენია რო დიან,  
ფეწით უნაყავ,

ათას ჯურის ბუბუნა-ბურჩით  
ნაქარგ ბილიკებ  
ბუქენით ულაწავ...

შენ ზუგრას ნუ ეხუმრებ,  
საზღვარგარეთ ნამყოფი, –  
დიკლო უნახავ!..

\* \* \*  
ფთათ ფლაშუნით, ოხვრავრით  
სვავ თვალთ სჭამდ აულებს,  
ვერათ ლიბო ნაძრავთ,  
ვერ შენარევთ ნაუღელს,  
ნადავლ ვერ მოწელთებულ  
ოხვრას ყრანტალს გაურევს,  
სანამ ზუგრა გულს ხკემსავ,  
ბზარს რა გუ'ჩენს ცხაურებს,  
ფეწქარიან ლეკ ბიჭებს  
საშეჯიბროს რა უღევს,  
სანამ ზუგრა იქ ნათობს,  
ბნელს რა მუ'ყვანს აულებს...

\* \* \*  
ზუგრა ქალა იჯდების  
თოვლით ნაჩუმქრ სოფელში,  
ფარღალალა შინაში.

გადამჭვარტლულ კედლებში  
ბატკანასავით მნათე,  
რა'გვერც ყამარ მინაში.

რა'გვერც საყდრის წერილა,  
ანგელოზებიზდ თან მყოლ,  
ნამწყვდევ სინა-კინაში...

ზუგრა ქალა იჯდების  
თოვლით ნაჩუმქრ სოფელში.  
ფარღალალა შინაში...

\* \* \*  
ზუგრა ალარ გაწსონსა, –  
იასავით მარცხვინა,  
თავზე მანდილდახვეულ...

ობოლ ქალა ლეკისაჲ,  
ტანს გძელ, ნითელ კაბიან,  
გულ-ნისლებში გახვეულ...

ემატათავ სევდიან  
დედა თან დატანებულ,  
ფიქრ-ჯანღებში ჩახვეულ...

ზუგრა ალარ გაწსონსა, –  
თავის ლეკეთისკ წაის  
ბილიკს რო ედგ გახმეულს...

\* \* \*  
კართანასავ აწყვია  
ზუგრას დედის მოღებულ  
ხის კობტად კრულ ცოცხებ,

ლეკეთისი-დ თუშეთის  
შუა ჩაყრილ სასევედოს  
პირნმიდად მგველ-მფოცხველ,

ანად თამაქოს ნერგებთ  
გი'ხარესა ნაქორფლებთ,  
დარდისაივ მომკველელთ...

ზუგრას დედის მოღებულ  
კართანასავ აწყვია  
არყის ხისაჲ ცოცხებ?..

\* \* \*  
წელს რო ვიყავ, დიდხან ვხედ  
დაღვსტნის მთის წვერებს,  
შენ ჩუმ ლოდნას ვიჭირ თავ,  
ნითელს ვიკვლევდ ფერებს.  
არწივმ, ირაონაკრავმ  
ღურბელნ გახი მქჩერედ,  
შენ აულის თავს წრე კრავ,  
ფთებ წინ განაფენე...

ზუგრა, ახალ რა არის?

\* \* \*  
ზუგრა, მოქუჩდებოდეს  
შენ აულის გარშემო  
ნაცრეცალა ქირსლებ,

ალაგ წვიმის მცრელა'ებ,  
ალაგ შრიალით მპარენ,  
ალაგ სისუ მბირძვლენ.



წელში რას ატრიალებ,  
წუნჩათ ქსოა ისწავლე,  
ადათ უცვეთ, ძირძველ.

ზუგრა, დრო არ ჩერდების,  
შენაც თავის კვალს გადებს,  
შეგლერები წვრილ ნელ.

ანდის ყოისუ ჩადის  
ძველებურად მდუდუნეა,  
ძველივ აქვის წინნელ...

\* \* \*

დედამ რაივ, ზუგრაო,  
სიყვარულს არ ელოდოვ, —  
გარიგა-დ გამოძღვრა?

თვალმგელ ლექის ბიჭასავ  
ვერავინ აჯობებსავ,  
ლეღვით დაგფორთქლა?

შენ გულს ნანახ იდუმალ  
ვიღაცაზე ნათენ — ბინდმ  
გაგთქვა-დ დაგფოთლა?

დედამ, რაივ, ზუგრაო,  
სიყვარულს არ ელოდოვ, —  
ყინჩად დაგმოძღვრა?

\* \* \*

გარეე არ გადმიარე  
პირბასრ, ნამუქ ქდეებ,  
აჯ-ჯაჯუნა აღმ-დაღმენ,

მთის წვერნ დანაჭკდევენ,  
დედას კიდეე ასწრებდი  
ფერცრეცს, თვალნაჩერს,

მანდის ანდის ყოისუ,  
მთის აქისაკ ალაზან  
ზვერე თვალნაშტერმ...

\* \* \*

იჯდად გლიმ არ დუ'ძრავის,  
თვალ არვიზდ თვალთ არ შუ'ყრი,  
პატარა კალოშიან ფეკებ მინკაპულ,

თხელა თითების ფალანგნ,  
პეშვად გულალმ ნატრიალნ,  
ნალალ-მისნაპულ,

თავზე მანდილ ქალურად  
ყელ-ყურს დანახურალი-დ  
კისრისკ მიკვანძულ,

იჯდ პატარა დედოფალ  
ფეკთ კალოშებ ჩანაცვამ  
ზედ მტვერ მიფანტულ,

ჩემ თვალ-გულით გუ'სვლელა  
ობოლ ქალა ლექისაჲ  
ზუგრა-ხეთის ქალწულ...



ლალი გულისაშვილის პოეტური პროფილი დიდხანს არ ჩანდა ლიტერატურულ ავანსცენაზე. თითქმის ათი წლის განმავლობაში დუმდა, მისი ლექსი არც ერთ გამოცემაში არ გამოქვეყნებულა. პოეტური ნელთაღრიცხვით ეს მთელი საუკუნეა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს დრო, ეს ხანი, მარხულობის ეს პერიოდი უაღრესად საინტერესოდ აისახა მის პოეტურ მსოფლმხედველობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ წინაშეა სხვა ლალი გულისაშვილი, რომელშიც აღმაფრენა შეცვალა რეფლექსიამ, გაკვირვება — განსჯამ, დისტანცია — უშუალობამ. ერთ უსათაურო ლექსში იგი წერს:

ამოდი, მთვარეე,  
მომიყევი ძველი ზღაპარი,  
შეშლილებსა და დაღლილ მგზავრებს  
რომ უამბობდი...  
მარტივი იყოს ყველაფერი  
და ბუნებრივი.

სიმარტივისა და ბუნებრიობის გაცდა მის ლექსებს არასოდეს აკლდა, მაგრამ ეს მაინც ინტონაციის, შინაგანი მეტყველების დონეზე მულავენდობდა. ამჯერად უკვე, ათი წლის შემდეგ, ამას ფორმაც დაემატა — გარე ფაქტურა, სტრუქტურა, სტრიქონის აგებულება. ეს ტენდენცია ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ რელიგიურ მოტივებზე შექმნილ ლექსებში გამოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ სარისკო თუ არა, ძნელი მაინც არის რელიგიურ თემებზე წერა. არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელთა გამო შეიძლება სათქმელი ისეთი არ გამოგივიდეს, როგორსაც ჩაიფიქრებ. ეს ის სფეროა, სადაც ტრადიცია ბარიერის როლს ასრულებს. ქართული პოეზია გენეტიკურად უკავშირდება სასულიერო სფეროს. ყველაფერი ნაცადია, ნათქვამია, გააზრებულია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თემის გამოყენებაზე მორატორიუმია გამოცხადებული. თუ სათქმელია, უნდა ითქვას, ოღონდ საკითხავია, როგორ?

ლალი გულისაშვილი ბედავს და ამბობს. მაგრამ ფორმას ცვლის. ლექსიდან ეგზალტაციას განდევნის და, სამაგიეროდ, მინიერება შემოაქვს. შეგნებულად არღვევს მარცვალთა ჰარმონიას და მხანამრიდვით იყენებს ტეხილ რიტმს.

პოეტური მეტამორფოზა: ტალანტის ნიშანი!

### ლალი გულისაშვილი

\* \* \*

რაც მნამდა, იმის დაცვა  
შემაძლებინე, იესო,  
„რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ“ —  
გძლიესო...

რაც მსურდა, კვლავაც იგი  
მასურვებინე, კეთილო,  
დაღლილო, სიფრიფანავ,  
ჩამოფლეთილო...

რაც ვიყავ, კვლავაც იმად  
უნდა დამტოვო, ძლიერო,  
არ დაიჯერო ცილი —  
გძლიესო...

ტყეში ამოსულ შინდად  
და ჭორფლმერეულ კრამიტად  
დამტოვე, ყოვლისშემძლეე,  
სხვა საბოძვარი არ მინდა...

### ჩეჩნები

ჩეჩნები მიდიან...  
იჩქარე, იჩქერია,  
საით მიდიხართ,  
ჩემო ამაყებო!  
პური მთხოვეთ და  
განა არ გაჭამეთ,  
ჩეჩნები მიდიან...  
აჩქარდი, იჩქერია!

ცეცხლი მთხოვეთ და  
განა არ გაგათბეთ,  
წყალი მთხოვეთ და  
დაგალევიანეთ...  
სისხლს ნუ მოითხოვთ,  
ამაყებო,  
სისხლი ძვირია,  
ვერ დაგალვრევიანებთ...

ჩემს კოჭლ პოეტსა და  
კურკა გენერალს,  
ილიკოს ლექსსა და  
ნაგებულ ომს  
იხსენებს შამილი...  
აჩქარდი, იჩქერია!  
დიდი ზამთარია  
კავკაზში თოვს...  
იჩქარე, იჩქერია!

\* \* \*

ღამეა თუ შავმა მტრედმა  
დააფარა ჩვენს ბაღს ფრთები?...  
მწუხრი ცურავს ალაზანზე,  
თრთიან შეფიფქული მთები...

სალამოა საოცარი,  
ალარ სუნთქავს ტყე და ველი  
სანთელივით მიდევს მუხლზე  
აკანკალებული ხელი...

მწუხრი ცურავს ალაზანზე,  
მარტოობის ზღაპარს ჰყვება,  
მოქანცული რუხი მგელი  
მთვარის ბილიკს მიუყვება...

**იანვანა**

ანგელოზის ფრთები გზურავს,  
იანვანინაო,  
მზის სხივების აკვანი გაქვს,  
იანვანინაო,  
კართან ია გიფენია,  
მტრედთან ერთად გიფრენია,  
იაგუნდი, მარგალიტი,  
გიშრის ხნულში გიბნევიან,  
ძილს გიგზავნის უფალიო,  
ნანა, მადლი უთხარიო...

ანგელოზი გირნევს აკვანს,  
იანვანინაო,  
თეთრი კრავი გესიზმრება,  
იანვანინაო,  
შორით ვილაც რეკავს ზარებს,  
ღვითსმობელი გიღებს კარებს,  
ფარჩა-ატლასს დაგახვედრებს,  
უცხო სასძლოდ გაგამზადებს.

ძილი მოდის ზეცითაო,  
ქრისტე-ღმერთის ქვეყნითაო...

**სანათა**

ინათა.  
სანათა ლოცულობს,  
სანათას ძაძები მოსავს,  
მუხლს იყრის,  
ჩურჩულებს,  
ცრემლი სდის  
სანათას,  
ველის შროშანს.

ინათა.  
სანათა გმირია.  
ჭრელს კაბას იცვამს  
და მღერის.  
ყველაზე მაღალი დედაა  
სანათა — ბალახის ღერი...

**ქველავური ლექსი აკაკის**

ჩემო აკაკი, ჩემო მგოსანო,  
ქართული მიწის ცრემლით მმოსავო,  
ჩემო მამავ და ჩემო ძმობილო,  
ზეგარდმო ნიჭით მეფედ ხმობილო...  
ჩემო უბრალო, ლამაზო ბიჭო,  
წყაროვ, მარილო, ცეცხლო და ნიჭო,  
რამდენმა ქარმა გადაიარა,  
ვერ გაგიმთელდა გულში იარა...  
ჩემო აკაკი, ბნელშიც ნათელო,  
ჩემო ხატო და ჩემო სანთელო,  
ეს ცა-ფირუზი, ხმელეთ-ზურმუხტი  
ვის აქვს უფლება, რომ გადათელოს?!

ჩემო მგოსანო და მამავ ჩემო,  
ღმერთს ვთხოვ, გამკიცხოს და შემაჩვენოს,  
თუ ჩემი ცრემლი, თუ ჩემი სისხლი,  
ცოდვილი ხორცის ყოველი მისხი  
არ შეენიროს სამშობლო მიწას,  
ჩემმა ქვეყანამ უარმყოს იმ წამს...  
ჩემო მამავ და ჩემო ბატონო,  
ამერ-იმერის სრულო პატრონო,  
გთხოვ, მაპატიე, ნუ კი დამზრახავ  
და ამისრულე ერთი განზრახვა:  
ააჟღარუნე შენი ჩანგური,  
ხმა მიანვდინე მაღალ ღმერთამდე,  
დაგვიძახე და... შენთან დავედებით,  
ბახტრიონიდან იმერეთამდე...

**შოპის ღამე**

ღმერთო,  
გილოცავ დაბადების დღეს!  
ოქრო, გუნდრუკი და მური მოგიტანე...  
ეგებ პატარა ნაძვის ხე გერჩივნა,  
ქადა და ნაზუქი, თაფლის კვერები...  
ჯერ პატარა ხარ,  
არაფერი გაგეგება...  
სოფლები უკვე დაარბიეს  
და ყრმათა სისხლი ნაკადულად მიედინება...  
შენ დაგეძებენ,  
შენ, პატარას და უკვე საშიშს,  
ნუ გახვალ გარეთ...  
ღმერთო, პატარავ,  
სულ პატარა იესო ქრისტევ,  
ღმერთო, სიკეთევ,  
ჯერ პატარავ და უკვე ღმერთო,  
სოფლის ნათელო,  
უცნაურო ყმაო და მამავ,  
დაბადების დღეს მოგილოცავ...

\* \* \*  
მე შენ არ გიცნობ,  
მაგრამ ისე მოგიწყენია,  
უფლის გზაზე უნდა ფიქრობდე...  
ამ მთის გადაღმა  
ალუბლების თეთრი ბაღია,  
ცისკრისას ისე მტრედისფერად  
ინათებს ხოლმე,  
აუცილებლად უნდა ნახო,  
სანამ მოკვდები...  
ერთად ნავიდეთ,  
შენთან მიწა რატომღაც ყოფნა,  
ისე საოცრად და ამაყად  
მოგიწყენია...

\* \* \*  
ჩემს წინაპრებს უწინ  
ჰქონდათ საოცარი,  
კარის ეკლესია,  
გვარის სალოცავი...  
ეზოში ან ეზოს  
ახლოს — ღმერთის ქნარი —  
კარის ეკლესია  
იდგა უჩინარი...

კარის ეკლესია,  
გვარის სალოცავი,  
წითელ კრამიტს შერჩა  
ხსოვნა საოცარი...

\* \* \*

მარიამის მტრედებს,  
სულს უბერავს ქარი,  
სილურჯეში კრთება  
სასუფევლის კარი...

და იდუმალ ხმათა  
გამორჩევით გართულს,  
შენლა შეგახსენებ,  
„მნუხარებას ქართულს“...

\* \* \*

ქრისტეს სისხლის წვეთებია,  
განა მართლა ძახველია,  
შენს სხეულში ჩემი სული  
ბზის ტოტივით ასვენია...

გეძებდი და გაგიბოდი,  
მიპოვნე და მხდება სული,  
შენთვის ამალლების დღეა,  
ჩემთვის — ოდენ აღსასრული...

შენი აღდგომისაა და  
ჩემი კიდევ გარდამოხსნის,  
მიყვარხარ და მეშინია,  
ვინ გაიგებს... ვინ ამოხსნის...

ქრისტეს სისხლის წვეთებია,  
განა მართლა ძახველია,  
შენს სხეულში ჩემი სული  
ლოცვანივით ასვენია...

\* \* \*

*მე ღარიბი ვარ, როგორც იესო...  
გურამ დოჩანაშვილი*

მე ღარიბი ვარ, როგორც უფალი,  
ამიტომ მარად თავისუფალი...

უარაფრობით ასე მდიდარი,  
მდინარესავით მუდამ მდინარი...

უფლის ჩიტი ვარ, ზეცად მზირალი,  
სავსე ტკივილით, განა მტირალი!..  
ჩემი საფრენი ზეცის თალია,  
სამარხი — უფლის თეთრი ბაღია...

მე ღარიბი ვარ, როგორც უფალი,  
სწორედ ამიტომ — თავისუფალი!..

\* \* \*

ამოდი, მთვარე,  
მომიყევი ძველი ზღაპარი,  
შეშლილებსა და დაღლილ მგზავრებს  
რომ უამბობდი...  
მარტივი იყოს ყველაფერი  
და ბუნებრივი.

ადამიანებს დაავიწყდათ სათნოება  
და შეახსენე...

ამოდი, მთვარე,  
მე მარტო ვარ და მომენყინა,  
ბედნიერება მინდა და მიკრძალავენ,  
ჯერ სადა მაქვს მაგისი დროო.

მე კი რა ვქნა,  
სინამდვილეში თვალცი არ მომიკრავს  
აყვავებული ზეთისხილის ხეებისათვის,  
მაგრამ მათ ნაყოფს ხელისგულებით ვგრძნობ  
და მიხარია, მიხარია...  
სინამდვილეში არც ვიცი,  
რა არის ბედნიერება,  
მაგრამ ეს ნათელი,  
სულ რომ ვხედავ,  
სულ რომ დამყვება?..

მითხარი, მთვარე,  
ძველისძველი ზღაპარი მომიყევი,  
შეშლილებსა და დაღლილ მგზავრებს  
თავი რომ ბედნიერი ეგონათ,  
როგორ ეგონათ?..  
ადამიანებს დაავიწყდათ სათნოება —  
სხვისი ბედნიერებით გახარება,  
შეახსენე, შეახსენე, მთვარე...  
მე კი, მგონი, მართლა გავგიჟდი,  
რალაცა ისე მიხარია,  
თითქოს მკვდარ ქალაქში  
ბავშვის ტირილი გამეგონოს...

### ცუდი ლექსი

ჩემო საყვარელო, მშვიერო ხალხო,  
ვერც წარმოიდგენთ,  
ერთმანეთს როგორ ეხმარებით:  
ურნები სავსეა თქვენი მორჩენილი საკვებითა და  
ჩასაბარებლად ვარგისი ბოთლებით...  
ყოველდღე მიდიხართ, როგორც სამსახურში,  
გაკრიალეზულ ურნებთან და  
მადლობას სწირავთ ქალაქის მერს  
ამ კომფორტისთვის...

ჩემო საყვარელო, მშვიერო ხალხო,  
ეს არც ირონიაა, არც სიძულვილი.  
მე თქვენ მიყვარხართ და მეშინია,  
ერთ მშვენიერ დღეს მეც თქვენსავით  
პურის მცხობელი ქალივით რომ ჩავეკიდები  
ურნის ძირში  
თქვენთვის ლუკმის გამოსაცლელად...

მაგრამ მე ვიცი, სახლში რომ მიხვალთ,  
სულ სხვაგვარი საზრდო დაგხვდებათ:  
პური და ღვინო —  
ხორცი და სისხლი ჩვენი უფლისა...  
ნუ გეშინიათ,  
იქ, ზეცაში, მაღლა იქნებით,  
აქ მაძღრები კი, როგორც პურის მცხობელები,  
ჩაკიდებულნი იქნებიან სულ სხვა თონებში...  
ჩემო საყვარელო, მშვიერო ხალხო,  
იმედის გარდა, მეც თქვენსავით,  
არაფერი მაქვს და მაპატიეთ,  
დღეს ასეთი ცუდი ლექსი  
რომ დაგინერეთ...



აქ სულ მოძრაობაა, გამუდმებული კვეთება, ძებნა, ძიება და შფოთვა, სწრაფვა ნაცნობი თუ უცნობი სივრცეებისკენ და ეს სრბოლა მიმდინარეობს კონკრეტულსა და წარმოსახულის, რეალურისა და ირრეალურის, საგნობრივისა და მტეაფიზიკურის ზღვარზე, თუმცა ეს მაინც არ არის ზღვრული, მარგინალური მდგომარეობა, თვითგამოხატვისათვის ესეც საკმარისია. ჩანს ზომიერების გრძნობა, თანდაყოლილი ალღო და ჭვრეტის უნარი.

თინათინ ანასაშვილს ეს ყველაფერი აქვს და ძალუძს კიდევ მისი ამოქმედება, გარდასახვა, რეალიზება, სწორ კალაპოტში ჩაყენება. სტრიქონი იმდენად გამართულია, ნება-უნებლიეთ ეძებ გავლენების კვალს, რომელიც შეიძლება მართლაც შეინიშნებოდეს, მაგრამ ვის დაუნყია გავლენების გარეშე.

საქმე ის არის, რომ თინათინ ანასაშვილი დებიუტანტია, პირველად ქვეყნდება მისი ლექსები „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე.

ინყება პოეტური ბიოგრაფია. მას კიდევ დიდხანს მოუნევს ძებნა-ძიება და შინაგანი ჭიდილი, რასაც უთუოდ მოჰყვება მიგნება, პოვნა და აღმოჩენა სასწაულებრივი საგნებისა, მაგრამ პირველი, მთავარი და აუცილებლად აღმოსაჩენი ექნება საკუთარი თავი...

ზურგის ქარს ვუსურვებთ.

თინათინ ანასაშვილი

\* \* \*

შენ იცი,  
რა დიდი ხანია დაგეძებ  
ამ უცხო ქალაქში,  
ქუჩების ხმაურში,  
ბაზრის სიჭრელესა და აურზაურში.  
ვერ ვამჩნევთ — ბროლები ლაფშია დაფლული.  
დაგეძებ, ხელების ცეცებით დაგეძებ,  
იქნებ, ათინათი ბროლებზე არეკლილი  
შენ ხარ და ველარ გცნობ,  
ან ბროლის ნამსხვრევი  
ანასხლეტია იმ ბროლის კოშკების  
ერთ დროს,  
ერთდროულად,  
ერთსულ რომ ვაგებდით.  
შენ მასწავლიდი და  
მე — შენი ერთგული  
ქვას ქვაზე ვადებდი,  
რწმენით ვაშენებდით....  
ახლა კი —  
დავკარგეთ,  
დაგვემსხვრა,  
დავფანტეთ....  
დაგეძებ, რამდენიხანია დაგეძებ  
დაბინდულ სოფელში.  
იქნებ და ველარ გცნობ.  
შენ სახლობ ახალგათიბულ ბალახში,  
ველის შროშანებში,  
უთეთრეს ზამბახში  
და სარკმელდაყოფილ სენაკში  
ლბილ შუქად იღვრები.  
ვინ იცის,  
უშორეს მთებზე დაფენილი  
ცისფერი ნისლეები მისი მანდილია,  
მაგრამ ეს ქალაქი  
ისე დაემსგავსა გადამწვარ ტრამალებს,  
თითქოსდა ყველა გზა უკვე გავლილია,  
ყველა დღე გათენდა....

მე — შენი მხევალი,  
შენი მტვრის ნამცვრევი,  
დავდივარ,  
ამ უცხო ქალაქში დაგეძებ,  
და ვიდრე გავივლი  
ჩემს ნილხვედრ გზანვრილებს,  
და ვიდრე მიმწუხრი  
მენამულს დაიფენს,  
გიაოვი!...

\* \* \*

გადაგირაზეს ციხე კოშკის ყველა კარი და  
უბოდიშოდ გიკრეს თავი ბნელი ხაროსკენ.  
ჟამია ავი...  
სულ რომ მინით აგვესოს პირი,  
ის მშობლიური მინა ტკბილად მოგეჩვენება,  
მაგრამ, რადგან  
უცხო ხარ და განდევნილი შენი ციხიდან,  
დაჩლუნგდა ფხა და დაჩლუნგდა გრძნობა.  
(როგორც ზღაპარში,  
მოხუცი ბებო რომ გვიყვებოდა,  
უსასყიდლოდ მიგვიღებს მინა...)  
მშობლიური აღარც რა შეგჩაჩა...  
გამომწყვდეულმა,  
უკუნეთშიც იცანი, ალბათ,  
სისხლით ნაზარდი  
ბებერი ხის ფესვებია ჩახლართული  
ხაროს კედლებში.  
ფესვებს მოეჭიდე,  
მზემდის ამოგიყვანს.

\* \* \*

და როცა შეგხვდი,  
იყო გვიან.  
უხამურს, დაცლილს, თმაჩამოშლილს,  
მარგალიტები შემომეძნა,  
შემომალამდა.  
აღარც-რა მქონდა გასაცემი,  
არც-რა მეზადა...  
მაგრამ,  
ხომ ხდება,  
იქნებ ერთხელ გაბრწყინდეს ზეცა,  
და ფესვებგამხმარს  
შემომასკდნენ ახლად კვირტები.  
ავენტო კვლავაც,  
ავყვავილდე,  
მოვირთო სტავრა-ატლასებით,  
და ჩემი ნაზი ყვავილები,  
გულგრილი ქარის ჩამოქროლისას,  
შენს ძლიერ ნაბიჯს გავუფინო  
ფიანდაზებად.

\* \* \*

თიხისგან მოზელილებს,  
მზეზე გამომშრალებს და გამოფიტულებს  
მაცოცხლებელი წვიმის გვეშინია.  
ერთიც რომ განვიმდეს

სილად და მტვრად დავიშლებით  
(მინა ხარ და მინად იქცე)...  
და მე,  
ასე ნამდვილს,  
ასე მარტოსულს,  
სველ თიხაზე ფეხი რომ დამიცდეს,  
ქვეყნიერება მტრად მომეკიდება,  
ჩემი ოქროსფერი თმით ცაზე დაკიდებას მომისჯიან,  
ალისფერ ტუჩებს მინით მომისვრიან,  
სამუდამოდ რომ დამავინყდეს მარწყვის გემო....  
მე, მიმწუხრს,  
ქარში, ტყის პირას მდგომს,  
გაოცებულ თვალეებში  
(მზეს ყველგან ვეძებდი),  
ჩამიდგება დარდი  
და ჩემი მკერდიდან დაწურული რძით  
გვირილები დაიზრდება  
შვილების ნაცვლად...  
მერე მათაც გამოაშრობთ ქარი და ცეცხლი,  
ჟამთა დინება...  
“ამაოება ამაოებათა  
და ყოველივე ამაო”...

\* \* \*

რომ იცნობ ქალს, ვისაც შეუძლია  
მთელი შენი ჯავრი  
ძლივს მფეთქავ გულში დაიტოს  
და წუთით მაინც იქცეს  
მარადმზადმყოფ დედად,  
შვილის ნაცვლად სისხლი ბოლო წვეთამდე გაილოს,  
მაგრამ ამას ვერ გააკეთებს,  
რადგან საკუთარზე მეტად  
ძის ღირსებას უფროთხილდება...  
და შენ,  
ეს ყველაფერი რომ იცი,  
მაგრამ ცოდნა რაა,  
სისხლით უნდა იგრძნო,  
თორემ ისე მჭიდროდ იკეტები შენს მყიფე ნაჭუჭში,  
ციხესიმაგრე რომ გგონია,  
მე ტკივილით გული მენწურება...  
შენ კი შეგიძლია  
სუფრაზე,  
სხვისი მონადირეული ჯიხვის რქით,  
ვაჟაკობის სადღეგრძელო შესვა თამამად  
და სახეზე ნერვი არ შეგიტოვოლდეს...  
დალევ და გაიხსენებ,  
რომ არის ქალი,  
ვინც ნიღბებს მარტოობა არჩია,  
მაგრამ მაინც შეუძლია უბრალოდ უყვარდეს  
და, ველის შროშანივით,  
უზრუნველად ცხოვრობდეს,  
ოღონდ ეს სხვის თვალში.  
გულით კი სოფლის დარდი დაჰქონდეს და  
ბნელ ღამეებს მარგალიტებით ქარგავდეს...  
დალევ და გაიხსენებ,  
მაგრამ ყრმათა სიჯიუტით  
(ან, იქნებ, ყმათა მორჩილებით)  
მის დავინყებას შეეცდები,  
რადგან ქალს,  
შენს თვალეებში სულის დანახვა რომ შეუძლია,  
უკანასკნელი წამივით უფროთხი...

ტრუმან სტრეკფუს პერსონსი, ამერიკელი მწერალი, ცნობილი, როგორც ტრუმან კაპოტი, დაიბადა 1924 წელს ნიუ-ორლეანში, ლუიზიანას შტატში. ოთხი წლისა იყო, როდესაც მისი მშობლები გაშორდნენ და ტრუმანი მომდევნო 5 წელი მანძილზე ნათესავეებთან იზრდებოდა მონროვილში (ალაბამას შტატში). წერა თერთმეტი წლისამ დაიწყო. დღეს მისი ნამუშევრები ლიტერატურის კლასიკად ითვლება: მოთხრობა *საუზმე ტიფანისთან*, რომანი *ცივი სისხლში*, რომელსაც თვითონ არამხატვრულ რომანად მიიჩნევდა. კაპოტეს მოთხრობების, რომანებისა და სცენარების მიხედვით, სულ მცირე, ოცი ფილმი მაინც არის გადაღებული.

## „თუკი იღეა კარგია, თუკი ნამდვილად შენია, მაშინ არ დაბავინყდება, მანამ არ მოგასვენებს, სანამ წერას არ დაიწყებ“

□

### პატი ჰილს ქსაუბრება ტრუმან კაპოტი

— წერა როდის დაიწყე?

— ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ათი თუ თერთმეტი წლისა, *მობილთან* ვცხოვრობდი. შაბათობით ქალაქში მიწევდა წასვლა კბილის ექიმთან, ამიტომაც *სანშაინ ქლაბში* გაუნერვიანდი, ეს ჟურნალ *მობაილ პრესის* მიერ ორგანიზებული კლუბი გახლდათ. ჟურნალში ბავშვებისთვის საგანგებო გვერდი იყო გამოყოფილი — მათი მოთხრობებისა და ფერადი ნახატებისთვის, შაბათობით კი ნვეულები იმართებოდა უფასო გამაგრებელი სასმელებით. მოთხრობების კონკურსის გამარჯვებულისთვის დაწესებული პრიზი პონი თუ ლეკვი იყო, ზუსტად აღარ მახსოვს, რომელი, მაგრამ მახსოვს, ძალიან მიწოდდა მომეგო. იმხანად შემჩნეული მქონდა ჩემი მეზობლების არამხატვრისი საქციელი, ამიტომაც დაგწერე მათზე მოთხრობა *მოხუცი მისტერ ბაზიბაი* და კონკურსზე გავგზავნე. პირველი ნაწილი იმ კვირასვე გამოქვეყნდა ჩემი ნამდვილი სახელით — ტრუმან სტრეკფუს პერსონსი. საქმე ისაა, ვილაც მიხვდა, ადგილობრივ სკანდალს მოთხრობად რომ ვასაღებდი, შედეგად აღარც არაფერი გამომიქვეყნეს და, ბუნებრივია, ვერც ვერაფერი მოვიგე.

— მაშინ იცოდი, რომ მწერლობა გინდოდა?

— ვაცნობიერებდი, რომ მწერლობა მინდოდა, მაგრამ დარწმუნებული არ ვყოფილვარ, ვიდრე 15 წელი შემისრულდებოდა. ამ დროისთვის მოურიდებლად ვაგზავნიდი ჩემს მოთხრობებს ჟურნალებსა და ლიტერატურულ გამოცემებში. რა თქმა უნდა, არცერთ მწერალს არ ავიწყდება თავისი პირველი პუბლიკაცია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც 17 წლის ვიყავი, დილის ფოსტით ერთად მომივიდა შეტყობინება ჩემი პირველი, მეორე და მესამე პუბლიკაციის შესახებ. მაშინ მივხვდი, რომ აღელვებისაგან თავბრუსხვევა მხოლოდ ცარიელი სიტყვები არ ყოფილა.

— პირველად რა დაწერე?

— მოთხრობები. და დღესაც ჩემი ამბიცია ამ ფორმის გარშემო ტრიალებს. ვფიქრობ, მოთხრობა პროზის ყველაზე რთული და დისციპლინირებული ფორმაა. თუკი თვითკონტროლის რამენაირი ტექნიკა გამაჩნია, ყველაფერი მოთხრობების წერის გამოცდილების წყალობით.

— „თვითკონტროლში“ რას გულისხმობ?

— საკუთარი სტილისა და ემოციების გაკონტროლებას. წინადადების არასწორმა რიტმმა — განსაკუთრებით თუკი თხრობა დასასრულს უახლოვდება — შეცდომამ პარაგრაფებზე დაყოფაში, პუნქტუაციურმა შეცდომამაც კი შეიძლება ხიბლი დაუკარგოს მოთხრობას. ჰენრი ჯეიმზი წერტილ-მძიმის ოსტატი იყო. ჰემინგუეი პარაგრაფებზე დაყოფის დიდოსტატია. ჟღერადობის თვალსაზრისით ვირჯინია ვულფს ერთი ცუდი წინადადებაც კი არ დაუწერია. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ჩემი მცდელობანი ყოველთვის წარმატებულია, მთავარი ის არის, რომ ვცდილობ.

**— როგორ ხდება მოთხრობის წერის ტექნიკის ჩამოყალიბება?**

— თხრობის ნებისმიერი ხერხი თავისთვის დამახასიათებელ ტექნიკურ პრობლემებს აწყდება, ამიტომაც ვერ ვიტყვით, რომ არსებობს რაიმე ორჯერ ორი ოთხიას მსგავსი ფორმულა. მოთხრობისთვის თხრობის სწორი ფორმის პოვნა ნიშნავს მიაგნო თხრობის ყველაზე ბუნებრივ ხერხს. არსებობს ერთი საშუალება იმის გასაგებად, შეძლო თუ არა მწერალმა მიეგნო თხრობის ბუნებრივი ფორმისათვის: კითხვის დამთავრების შემდეგ შეგიძლია ნაკითხული სხვაგვარად წარმოიდგინო, გიჩნდება შეგრძნება, რომ მოთხრობა დასრულებული და სრულყოფილია, ისეთივე დასრულებული და ბუნებრივი, როგორც მაგალითად, ფორთოხალი.

**— არსებობს ტექნიკის გაუმჯობესების საშუალებანი?**

— ჩემთვის ერთადერთი საშუალება მუშაობაა. მხატვრობისა და მუსიკის მსგავსად წერას გააჩნია საკუთარი წესები: პერსპექტივის, სინათლისა და ჩრდილების კანონები. თუკი ეს ცოდნა დაბადებიდანვე თანდაყოლილია, ძალიან კარგი, თუ არადა, საჭიროა მისი შექმნა. როდესაც წესები იცი, უკვე შეგიძლია საკუთარ თავზე მოირგო. ჯოისი წესების ყველაზე დიდი უარყოფელი გახლდათ, მაგრამ ყოველთვის იცოდა, რა მიმართულებით წასულიყო. მან შეძლო ულისეს დაწერა, რადგანაც შეძლო დუბლინელების დაწერა. ძალიან ბევრ მწერალს მოთხრობების წერა მხოლოდ თითების გავარჯიშება ჰგონია. როგორც ჩანს, მართლაც არაფერს ავარჯიშებენ თითების გარდა.

**— ვინმე გეძგა მხარში, როდესაც წერა დაიწყე?**

— ღმერთო ჩემო! მგონი, თქვენ ნამდვილი საგისათვის გასწირეთ თავი. ამ კითხვაზე პასუხი არის უამრავი უარი და რამდენიმე თანხმობა. საქმე ისაა, რომ ბავშვობის დიდი ნაწილი გავატარე ისეთ ადგილას და ისეთ ადამიანთა გარემოცვაში, რომლებიც მოკლებული იყვნენ რაიმე სახის კულტურულ დამოკიდებულებას. გარკვეულწილად ეს შეიძლება სულაც არ იყო ცუდი. ასეთმა გარემომ სხვა გზა არ დამიტოვა, დინების სანინააღმდეგოდ ცურვის გარდა — ამის წყალობით, ზოგიერთ საკითხში, ნამდვილი ბარაკუნდას კუნთები განმივითარდა, განსაკუთრებით მტრებთან გამკლავების თვალსაზრისით, ეს კი ისეთივე მნიშვნელოვანი უნარია, როგორც მეგობრების დაფასება.

მაგრამ თემას დავუბრუნდეთ. საკმაოდ ექსცენტრიულ ადამიანად მიმიჩნევდნენ და სავსებით სამართლიანადაც, მაგრამ ამავედროულად სულელად მთვლიდნენ, ეს კი სულაც არ მსიამოვნებდა. სკოლას ვერ ვიტანდი, მუდამ ერთი სკოლიდან მეორეში გადავდიოდი და წლიდან წლამდე სულ უფრო

და უფრო ნაკლებს ვსწავლობდი ზიზღისა თუ მოწყენილობის გამო. ჰოკეის კვირაში ორჯერ მაინც ვთამაშობდი და სულ შინიდან გავბრბოდი. ერთხელ მეგობართან ერთად გავიქეცი, ეს გოგონა ჩემს ქუჩაზე ცხოვრობდა და ჩემზე ბევრად უფროსი გახდა. მოგვიანებით საკმაოდ ცნობილი გახდა — მკვლელობის გამო სიკვდილით დასაჯეს. მასზე წიგნიც კი დაწერეს. მარტოსულ გულთა მკვლელს ეძახდნენ. მოკლედ, თორმეტი წლისა ვიყავი, რომ ერთ დღესაც სკოლის დირექტორი ჩემს ოჯახს დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ მისი და მთელი ფაკულტეტის აზრით, „არანორმალური“ ვიყავი. და უფრო ჭკვიანური იქნებოდა, თუკი სპეციალურ სკოლაში გამაგზავნიდნენ. ჩემმა ოჯახმა ეს შეურაცხყოფად მიიღო. სამხრეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კვლევათა კლინიკაში წამიყვანეს და ინტელექტის კოეფიციენტის ტესტი ჩამიტარეს. ეს საკმაოდ სახალისო იყო, მითუმეტეს რომ შინ დავბრუნდი, როგორც გენიოსი, ყოველშემთხვევაში, მეცნიერებმა ასე დაადგინეს. არ ვიცი, ვინ უფრო შეძრწუნებული იყო: ჩემი მასწავლებლები, რომლებმაც ეს არ დაიჯერეს, თუ ჩემი ოჯახი, რომელსაც არ სურდა დაეჯერებინა, რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ ჩვეულებრივი, ნორმალური პატარა ბიჭი ვიყავი. მე კი ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, დავდიოდი და სარკეში ჩემს თავს ვაშტერდებოდი, თავს ფლობერს — ან მოპასანს, ან მენსფლდს, ან პრუსტს, ჩეხოვსა თუ ვულფს — ვადარებდი, ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ იყო იმ წუთას ჩემი კერძი.

წერას უფრო სერიოზულად მოეკიდე ხელი, ჩემი გონება მთელი ღამე მუშაობდა, მგონი რამდენიმე წელი არც მიძინია. ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ აღმოვაჩენდი, რომ ვისკი მოდუნებაში მეხმარებოდა. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, თხუთმეტი წლისა, მაგრამ უფროსი მეგობრები ყიდულობდნენ ჩემთვის სასმელს. მას ჩემოდანში ვინახავდი და კარადაში ვმაღავდი. ნაშუადღევსთვის ბოთლები უკვე გამოცლილი მქონდა და, როცა სადილად ვჯდებოდი ოჯახთან ერთად, ჩემი უცნაური ქცევა ყველას საგონებელში აგდებდა. ერთხელ ერთმა ახლობელმა თქვა, არ ვიცნობდე, აფიქრებდი, საშინლად მთვრალიაო. ეს პატარა კომედია იმით დასრულდა, რომ ჩემი საიდუმლო გამჟღავნდა და რამდენიმე დღე წვეთი სასმელის გარეშე გავატარე. მგონი თემას ისევე გადავუხვიე. შენ მკითხე, ვინმე თუ გამხნევებდაო. რაც უნდა უცნაური იყოს, პირველი, ვინც კი ოდესმე დამხმარებია, ჩემი ინგლისური ენის მასწავლებელი გახლდა — კატრინ ვუდი. ის მუდამ მხარს მიჭერდა და ამისთვის ყოველთვის მისი მადლიერი ვიქნები. მოგვიანებით, როდესაც ჩემი მოთხრობების გამოქვეყნება დაიწყეს, მეტი მხარდამჭერი გამოიჩინდა. კარიერის დასაწყისში უკეთეს მხარდაჭერას ვერც ინატრებ.

— შენი ძველი ნამუშევრებიც ისევე მოგწონს, როგორც ახალი?

— კი. მაგალითად შარშან ზაფხულს, გამოქვეყნებიდან რვა წლის შემდეგ, პირველად წავიკითხე ჩემი მოთხრობა სხვა ხმები, სხვა ოთახები. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სხვის ნაწარმოებს ვკითხულობდი. საქმე ისაა, რომ ამ წიგნისთვის უცხო ვიყავი, ადამიანი, რომელმაც ის დაწერა, იმდენად აღარ მგავდა ისეთს, როგორც დღეს ვარ. მაგრამ ძალიან მიხარია, რომ შევეძელი ამ წიგნის დაწერა. მაშინ რომ



ტრუმან კაპოტე



არ დამეწერა, საერთოდ არ იარსებებდა. ბალახის სიმღერაც მომწონს, სხვა მოთხრობებიც, მაგრამ არა მირიაში.

— ახლახან გამოქვეყნდა შენი ახალი წიგნი რუსეთში ფორჯისა და ბესის მოგზაურობის შესახებ. ყველაზე საინტერესო ამ წიგნის სტილში არის უჩვეულო მიუკერძოებლობა, რომელიც შეგიძლია შევადაროთ იმ ჟურნალისტთა რეპორტაჟებს, რომლებიც წლობით არიან მიჩვეული მოვლენათა ობიექტურად გადმოცემას. ეს ცოტა არ იყოს გასაკვირია, თუკი გავითვალისწინებთ შენი წიგნების ძალიან პიროვნულ ხასიათს.

— სიმართლე გითხრა, არ მგონია, რომ ეს წიგნი, ჩვენ გვესმის მუშების, მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩემი მხატვრული სტილისაგან. შეიძლება ასეთ შთაბეჭდილებას წიგნის შინაარსი ტოვებს, ფაქტი, რომ რეალური მოვლენებია აღწერილი. ბოლოს და ბოლოს ეს რეპორტაჟია, რეპორტაჟი მოვლენათა უშუალო, კომენტარების გარეშე გადმოცემას ნიშნავს, აქ ისეთივე სიღრმეებში ვერ ჩახვალ, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში. მაგრამ მიზეზი იმისა, რომ რეპორტაჟის ტიპის წიგნის დაწერა მომიხდა, იყო სურვილი — დამემტკიცებინა, ჩემი სტილი ჟურნალისტიკის რეალობებსაც შეიძლება მოერგოს-მეთქი. მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩემი მხატვრული მეთოდი საკმაოდ მიუკერძოებელია — ემოციურობა თვითკონტროლში მიშლის ხელს: ემოციებისგან უნდა დავიცვალო, რომ შემდეგ ამ ემოციების გაანალიზება და ფურცელზე გადატანა შეეძლოს. ეს ტექნიკის შემუშავების ერთ-ერთი ხერხია. ჩემი ნამუშევრები უფრო პირადული ჩანს, იმიტომ, რომ ჩემი წარმოსახვის ნაყოფია, წარმოსახვა კი ხელოვანის ყველაზე პირადული და გამომსახველობითი მხარეა.

— ემოციებისგან დაცლას როგორ ახერხებ, იმით, რომ მოთხრობაზე გარკვეული დროის მანძილზე ფიქრობ, თუ სხვა მეთოდები გაქვს?

— არა, ეს მხოლოდ დროის საკითხი არ არის. წარმოიდგინე, რომ ერთი კვირა ვაშლის გარდა არაფერი გიჭამია. რა თქმა უნდა, ვაშლის ჭამის სურვილი გაგიქრება და, რაც მთავარია, ზუსტად გეცოდინება, როგორი გემო აქვს. წერის პროცესიც იგივეა, ამბავზე იმდენს ფიქრობ, ვიდრე ემოციებისგან მთლიანად არ დაიცვლები, სამაგიეროდ, უკეთ ეცნობი მის გემოს. ფორჯის და ბესის სტატია სხვა საკითხია. ეს რეპორტაჟი იყო და იმიტომ „ემოციები“ აქ დიდ დოზით არ არის — ვგულისხმობ რთულ, პირადულ შეგრძნებებს. მასხოვს, დიკენსი წერდა, რომ საკუთარ იუმორზე გულიანად იცინოდა და ცრემლად იღვრებოდა, როცა მისი პერსონაჟი კვდებოდა. მე მგონია, რომ მწერალმა უნდა გაიაზროს რას წერს, და ცრემლი ღვაროს მანამ, სანამ შეუდგება მუშაობას მკითხველში იმავე გრძნობების გამოსანვევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტენსივობა ხელოვნებაში, ხელოვნების ყველა ფორმაში მიიღწევა გააზრებითა და ცივი გონებით. მაგალითად, ფლობერის უბრალო გული თბილი ისტორიაა, თბილად დაწერილი, მაგრამ ამის დაწერა შეეძლო მხოლოდ ხელოვანს, რომელიც კარგად ფლობს ტექნიკას, ანუ ყველაზე აუცილებელ კომპონენტს. მჯერა, რომ ფლობერი ძალიან ღრმად განიცდიდა ამბავს, მაგრამ არა წერის მომენტში. უფრო თანამედროვე მაგალითიც შეიძლება მოვიყვანოთ, კატრინ ენ პორტერის შუადღის ღვინო. მასში არის ინტენსივობა, შეგრძნება, რომ ეს ყველაფერი ამ წუთას ხდება, მაგრამ იგრძნობა თავშეკავებაც, თხრობის შინაგანი რიტმი ისეთი სუფთაა, რომ ხედვები, მისის პორტერი გარკვეულ დისტანციაზე იყო საკუთარი მასალისაგან.

— როდის უფრო გაადვილდება მუშაობა, როცა ცხოვრებაში ხანა პერიოდი გაქვს თუ როცა სტრესის ქვეშ ხარ?

— ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სიმშვიდეში არასოდეს მიცხოვრია, თუმცა ორი წელი სიცილიაში, მთის წვერზე რომანტიკულ სახლში ვავატარე. ეს ხანა ნამდვილად შეიძლება მშვიდად ჩაითვალოს, ნამდვილად მშვიდი ადგილი გახლდა, ბალახის სიმღერა იქ დაწერე. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ მცირე დოზით სტრესი, დროის სიმცირე, გარკვეულწილად მეხმარება.

— რვა წელი საზღვარგარეთ ცხოვრობდი. რატომ გადაწყვიტე ამერიკაში დაბრუნება?

— იმიტომ, რომ ამერიკელი ვარ და ვერასდროს გავხდები ვინმე სხვა, არც არასდროს მქონია ამის სურვილი. გარდა ამისა, ქალაქები მიყვარს, ნიუ-იორკი კი ერთადერთი ნამდვილი ქალაქი-ქალაქია. ამ რვა წლის მანძილზე მუდამ ვბრუნდებოდი ხოლმე ამერიკაში. ჩემთვის ევროპა პერსპექტივის გაფართოების, განათლების მიღების საშუალება იყო, სიმნიფისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი. მაგრამ არსებობს დაბრუნების კანონზომიერება და ორი წლის წინათ ეს კანონზომიერება ამუშავდა: ევროპამ ბევრი რამ მომცა, მაგრამ მალე ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ეს პროცესი საკუთარ თავს იმეორებდა. ამიტომაც დაბრუნდი შინ, გაცდი, რომ გავიზარდე და შემიძლია დავსახლდე იქ, სადაც ჩემი ადგილია — ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ უმოძრაო გავხდი, პირიქით, ვიდრე საზღვრები ღიაა, კიდევ ბევრ გაქცევას ვაპირებ.

— ყველაზე დიდი გავლენა თქვენზე რომელმა მწერალმა მოახდინა?

— მგონია, რომ პირდაპირი გავლენა არავის მოუხდენია, თუმცა ზოგიერთ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ ჩემს პირველ მოთხრობებს ბევრი მართებს ფლობერის, ველტისა და მაკკულერის. შეიძლება ასეცაა, ამ ავტორთა დიდი თავყანისმცემელი ვარ, ასევე კატრინ ენ პორტერის. მიუხედავად ამისა, მგონია, რომ მათ არც ერთმანეთთან, არც ჩემთან არაფერი აქვთ საერთო, გარდა იმისა, რომ ყველანი სამხრეთიდან ვართ. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისას ტომას ვოლფი გენიოსად მიმაჩნდა, და ახლაც ასეა, მაგრამ დღეს მის ერთ წინადადებასაც კი ველარ წავიკითხავ. ასევე მიყარა სხვა ძველი გატაცებებიც: პო, დიკენსი, სტივენსონი. მაგრამ არიან მწერლები, რომლებიც ჩემთვის უცვლელი რჩებიან: ფლობერი, ტურგენევი, ჩეხოვი, ჯეიმს ოსტინი, ჯეიმზ ფოსტერი, მოპსანანი, რილკე, პრუსტი, შოუ, ვილა კარტერი — ეს ჩამონათვალი ძალიან გრძელია, ჯეიმზ ეიჯით დავასრულებ. მის ნამუშევრებზე კინომ დიდი გავლენა მოახდინა. საერთოდაც, ბევრმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი ისწავლა და ისეხსა კინოტექნიკის ვიზუალური, სტრუქტურული მხარისაგან. მათ შორის მეც.

— წერის დროს რა ჩვევები გაქვს? მაგიდასთან წერ, ან საბეჭდ მანქანას იყენებ?

— მე ჰორიზონტალური მწერალი ვარ. თუკი არ ვწევარ, ვერ ვფიქრობ. ან ლოგინში უნდა ვიწვე, ან ტახტზე ვიყო წამოწოლილი სიგარეტით და ყავით ხელში. საღამო ხანს პიტნის ჩაისა და მარტინიზე გადავდივარ. წერის პროცესში საბეჭდ მანქანას არ ვიყენებ. ფანქრით ვწერ. საკუთარ თავს სტილისტ მწერლად აღვიქვამ, სტილისტი კი მუდამ დაკავებულია მძიმეების გადაადგილებით, წერტილ-მძიმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ხანდახან ეს შეპყრობილობა ძალიან მალიზიანებს, მი-თუმეტეს, როდესაც ამას უამრავი დრო მიაქვს.

— როგორ გგონია, შეიძლება მხოლოდ სტილის წყალობით გახდეს დიდი მწერალი?

— არა, თუმცა ამაზე მსჯელობა შეიძლება. რა მოხდება, თუკი პრუსტს ჩამოვაშორებთ თავის სტილს? სტილი არასდროს ყოფილა ამერიკელ მწერალთა ძლიერი მხარე. თუმცა ზოგიერთი დიდი სტილისტი მწერალი ამერიკელია. ჰემინგუეიმ, სტილის თვალსაზრისით, ყველაზე მეტ მწერალზე მოახდინა გავლენა მსოფლიოს მასშტაბით.

— შეუძლია მწერალს სტილის სწავლა?

— არა, ეს გონებაზე არ არის დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, სტილი ეს ხომ შენ ხარ. მწერლის ნამუშევარი კი პირდაპირ უკავშირდება მის ინდივიდუალურ ხმს. მწერლის ინდივიდუალური ჰუმანურობა, მისი სიტყვები ისევე უნდა ეკონტაქტებოდეს მკითხველს, როგორც თვითონ წიგნის პერსონაჟი. თუკი მისი ინდივიდუალობა ბუნდოვანია, ან გაურკვეველი, მაშინ მისი ნამუშევარი არ ივარგებს. ფოლკნერმა და მაკკულერმა შეძლეს თავიანთი ინდივიდუალობის პროექტირება.

— ძალიან საინტერესოა, რომ შენი წიგნები ასე დააფასეს საფრანგეთში. როგორ გგონია, სტილის თარგმნა შესაძლებელია?

— რატომაც არა? ავტორი და მთარგმნელი შემოქმედებითი ტყუილები არიან.

**— ფანქრით მუშაობაზე ლაპარაკობდი. მერე რა ხდება?**

— ნაწერს მეორედაც რომ დავამუშავებ ფანქრით, მერე ბექტდვას ვინყებ ყვითელ ფურცელზე. ლოგინიდან მაინც არ ვდგები, საბჭედ მანქანას მუხლებზე ვიდგამ, ასე მშვენივრად ვმუშაობ. ბექტდვას რომ ვამთავრებ, ნამუშევარს ცოტა ხნით ვინახავ, ერთი კვირით, ერთი თვით, შეიძლება უფრო დიდი ხნითაც. როდესაც ისევ ვუბრუნდები, ვცდილობ რაც შეიძლება ცივი გონებით ნავიციოთხო, მერე მეგობარს ხმამაღლა ვუკითხავ და საბოლოოდ ვწყვეტ, რისი შეცვლა მინდა, ან მინდა თუ არა საერთოდ მისი გამოქვეყნება. რამდენიმე მოთხრობა საერთოდ გადამიგდია, ერთი რომანიც და კიდევ ერთი რომანის ნახევარი. მაგრამ თუკი ყველაფერი კარგად ჩაივლის, საბოლოო ვერსიას თეთრ ქაღალდზე ვბექტდავ და სულ ესაა.

**— წერის დანებებამდე თავში წიგნი მთლიანად გაქვს ჩამოყალიბებული, თუ თანდათან ფიქრობ, წერის პროცესში?**

— ერთიც და მეორეც. ყოველთვის მაქვს ილუზია, რომ მთელი სიუჟეტი, დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრულიც ერთდროულად ჩნდება ჩემს თავში — რომ ყველაფერს ერთ სხეულად ვხედავ. მაგრამ მუშაობის პროცესში, წერის დროს უამრავი სიურპრიზი იჩენს თავს. მადლობა ღმერთს, ზუსტად ასეთი სიურპრიზები, საჭირო დროს არსაიდან მოსული ფრაზებია ის სასიამოვნო ბიძგი, რომელიც მუშაობის გარეგნულ გვეხმარება.

ერთი ხანობა მონახავებს დღიურებში ვინიშნავდი, მაგრამ მივხვდი, რომ ამით რაღაცნაირად იდეებს ვკლავდი საკუთარ წარმოსახვაში. თუკი იდეა კარგია, თუკი ნამდვილად შენია, მაშინ არ დავგვიწყნებ, მანამ არ მოგასვენებს, სანამ წერას არ დაიწყებ.

**— შენი ნამუშევრების რა ნაწილია ავტობიოგრაფიული?**

— ძალიან მცირე. ძალიან ცოტა რამ არის ალბუმი რეალური მოვლენებისა და პერსონაჟებისგან, მეორე მხრივ, რასაც უნდა წერდეს მწერალი, გარკვეულწილად ყველაფერი ავტობიოგრაფიულია. ბალახის სიმღერა ერთადერთი რეალური ამბავი იყო მათ შორის, რაც კი ოდესმე დამინერია, მაგრამ, ბუნებრივია, ყველას გამონაგონი ეგონა, გამონაგონი სხვა ხმები, სხვა ოთახები კი — ავტობიოგრაფიული.

**— ხელოვნების სხვა ფორმებით არასდროს დაინტერესებულხარ?**

— არ ვიცი, ითვლება თუ არა ეს ხელოვნებად, მაგრამ ძალიან მინდოდა სტეპის მოცეკვავე ყოფილიყავი. იმდენი ხანი ვმეცადინებოდი ცეკვაში, რომ მინ ბოლოს ყველა მზად იყო ჩემ მოსაკლავად. მოგვიანებით მინდოდა გიტარაზე დაკვრა მესწავლა და ლამის კლუბებში მემღერა. ფული შევავაროვე და

გიტარა ვიყიდე, მთელი ზამთარი გიტარის გაკვეთილებზე დავდიოდი, მაგრამ ბევრი ვერაფერი ვისწავლე და მალე ისე დავილაღე, გიტარა ვიღაც უცნობს ვაჩუქე ავტობუსის გაჩერებაზე. ხატვაც მაინტერესებდა, სამი წელი ვსწავლობდი, მაგრამ მხატვრობას აკლია სიფიცხე, რაღაც ნამდვილი.

**— როგორ გგონია, კრიტიკა გეხმარება?**

— რა თქმა უნდა კრიტიკა გეხმარება, თუკი ის მოდის წიგნის გამოქვეყნებამდე და ისეთი ადამიანებისგან, ვისაც ენდობი. მაგრამ წიგნის გამოქვეყნების მერე ერთადერთი, რისი გავრეზაც მინდა, ქებაა. სხვა ყველაფერი მოსაწყენია და არცერთი მწერალი არ იქნება გულწრფელი, თუკი იტყვის, მიმომხილველთა სულელური შენიშვნები ან მათი მფარველური დამოკიდებულება რამეში დამხმარებიაო. იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ არცერთი პროფესიონალი კრიტიკოსის აზრი არ არის სათვალავში ჩასაგდები, მაგრამ ასეთები ნამდვილად ცოტანი არიან. მთავარი ის არის, რომ შესაძლებელია გულგრილი გახდეს კრიტიკის მიმართ. მეც მიმიღია, და ახლაც ვიღებ, ჩემ ნილ შეურაცხყოფას, დიდწილად ძალიან პირადულს, მაგრამ ეს აღარ მანუხებს. შეიძლება საკუთარ თავზე ყველაზე შეურაცხმყოფელი (ცილისწამება ნავიციოთხო და პულისიც კი არ ამიჩქარდეს. ამ თვალსაზრისით ერთი კარგი რჩევა მაქვს: არასდროს დაიმციროთ თავი კრიტიკოსებისთვის პასუხის გაცემით, არასდროს. იფიქრეთ იმაზე, თუ რა პასუხს გაცემდით მათ, მაგრამ ფურცელზე წუ დაწერთ.

**— გახასიათებს რაიმე თავისებურება?**

— მგონია, რომ ჩემი ცრუმორწმუნეობა შეიძლება ჩაითვალოს ჩემი ხასიათის თავისებურებად. არიან ადამიანები, რომელთანაც არასდროს ვრეკავ, რადგან მათი სატელეფონო ნომრები უიღბლო ციფრზე მთავრდება. იგივე მიზეზით შეიძლება სასტუმროს ნომერი დავინუნო. არ გავჩერდები იქ, სადაც ყვითელი ვარდებია, მიუხედავად იმისა, რომ ყვითელი ვარდი ჩემი საყვარელი ყვავილია. ერთ საფერფლეში სიგარეტის სამ ნამწვავს არ გავაჩერებ. არ ვიმგზავრებ თვითმფრინავით, რომელშიც ორი მონაზონია. მაგრამ ასეთ პრიმიტიულ ცრურწმენათა მორჩილება უცნაურ სიმშვიდეს მანიჭებს.

**— ერთხელ თქვი, რომ შენთვის ყველაზე კარგი გართობაა „საუბარი, კითხვა, მოგზაურობა და წერა“, ზუსტად ამ თანმიმდევრობით. მართლა ასეა?**

— მგონი, რომ დიახ. იმაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ საუბარი ყოველთვის პირველ ადგილზე იქნება. მე მიყვარს მოსმენა და ლაპარაკი. ხომ მეტყობა, რომ ლაპარაკი მიყვარს.

ინგლისურიდან თარგმნა  
ნინო ზუპაშვილი

გამომცემლობა „დიოგენე“, 14 ივნისს, ლიტერატორსა და პოეტს **ოქტაი ქაზუმოვს** უმასპინძლა. საღამოზე წარადგინეს და განიხილეს მის მიერ ნათარგმნი და ორიგინალი წიგნები: კერძოდ, ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“ აზერბაიჯანულ ენაზე, აგრეთვე „129 გვერდი ლიტერატურაზე“, კრიტიკა და მირზა ფათალი ახუნდზადეს პიესა „მუსიე ყორდან“ ქართულ ენაზე. **ოქტაი ქაზუმოვი** აქტიურად ეწევა ქართული ენის პოპულარიზაციას საქართველოს აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში.

**ორი პრის სამსახურში**

**ოქტაი ქაზუმოვი (წიგნის ავტორი):**

— ამ ღონისძიებაზე მომეცა საშუალება, კიდევ ერთხელ წარმეგდარეყავი ჩემი მეგობრების წინაშე და მეღაპარაკა ქართულ და აზერბაიჯანულ ლიტერატურაზე. ვფიქრობ, რომ ნელ-ნელა უნდა დავინყოთ ქართული კულტურის პოპულარიზაცია აზერბაიჯანში და აზერბაიჯანულია — საქართველოში.

**ტარიელ ფუტრაკაძე (ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი):**

— ძალიან სასიამოვნო საღამო იყო. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ხალხთა დაახლოებას, ურთიერთობების ჩამოყალიბებას და კავკასიური არსის წარმოჩინებას. **ოქტაის** სახით საქართველოს ძალიან ღირსეული და გამორჩეული შვილი ეზრდება. ის არის შესანიშნავი პიროვნება, რომელიც ცდილობს, რომ ჩანასხა თავის თავში ქართული და აზერბაიჯანული კულტურა.

**ოქტაი ქაზუმოვის „129 გვერდი ლიტერატურაზე“**, გამომცემლობა „ინტელექტმა“ წარადგინა ლიტერატურულ პრემია „საბაზე“. ჩვენ კი მას წარმატებას ვუსურვებთ.

ნინო სულუსია

მერაბ ჯიბლაძე

# ნიკოლსკის ძაღლი

„უძრავობის ხანიდან“ ახალი გამოსული ვიყავით და ჯერ კიდევ შეგვეძლო საერთაშორისო კონფერენციებზე სიარული, უკეთესი „პერესტროიკის“ იმედიც კი გვქონდა. მაშინ საზღვარგარეთ წასვლა და თბილისში დაბრუნება მხოლოდ მოსკოვის გავლით შეიძლებოდა. ერთ-ერთი კონფერენციიდან დაბრუნებისას მოსკოვიდან გამოსაფრენი ბილეთი ვერ ვიშოვე და ჩვენს „წარმომადგენლობას“, „პოსპრედსტვოს“ რომ ვეძახდით, მივაკითხე საშველად. იქ ჩემი კარგი ნაცნობი ზაურ მესაბლიშვილი მეგულებოდა. მისი დახმარებით მრავალჯერ მისარგებელია.

— ზაურ, შენი ჭირიმე, იქნებ მიშველო და ჩემს დედაქალაქში გადაამაფრინო!

— უჰ, როგორ გამახარე! — ჩემდა გასაოცრად შესძახა ზაურმა, — მთელი დღეა ისეთ სანდო კაცს ვეძებ, თბილისში ნიკოლსკის ძაღლი რომ ჩაიყვანოს და პროფესორზე უკეთესის ვნახავდი?

ცოტა დავიბენი. მიჩურინის ვაშლი სკოლიდან ვიცოდი, მაგრამ ნიკოლსკის ჯიშის ძაღლი არ გამეგო. ერთი ქართული ჯიშის ცხვარი გამახსენდა, მაგრამ რუსული ჯიშის ძაღლი ვერ გავიხსენე. ამიტომ უცოდინარი სტუდენტის მორიდებით შევეკითხე:

— რა ჯიშის ძაღლს ჰგავს ეს ნიკოლსკის ძაღლი?

— ჰგავს კი არა, ნაღდი ბულდოგია.

— მერე, ნიკოლსკიმ ახალი ჯიშის სელექციური ბულდოგი გამოიყვანა?

— გამოიყვანა კი არა, ამ დილით თბილისიდან დარეკეს, ნიკოლსკის ძაღლი სასწრაფოდ ჩამოაფრინეთო!

იმწამსვე გამახსენდა ჩვენი ცეკას მეორე მდივანი ნიკოლსკი და გამეცინა ზოოლოგობა რომ დავაბრუნე.

— ჩემო კარგო, ოღონდ ბილეთი მიშოვნე და ნიკოლსკის ძაღლს კი არა, ცხენს ჩაუყვან, მაგრამ ის ძაღლი ხომ არ იკბინება?

— ნუ გეშინია, „ნამორდნიკი“ ექნება, — დამამშვიდა ზაურმა, მერე პასპორტი გამომართვა და ერთი ახალგაზრდა აეროფლოტის სალაროში „ბრონის“ მოსატანად გაავაზვნა.

მსგავსი ბილეთი არასოდეს მღირსებია: პირველი სალონის პირველი რიგის „C“ სავარძელი — ძაღლიც ამას ჰქვია!

მეორე დილას ჩემი ბარგით „პოსპრედსტვოში“ გამოვცხადდი. ცხრის ნახევარზე ნიკოლსკის ძაღლი შავი „ვოლგით“ მოგრიალდა. ძაღლი საკმაოდ მოზრდილი ცხვრის ზომის იქნებოდა და კარგა გვარიანი „ნამორდნიკი“ ჰქონდა გაკეთებული. ახალგაზრდა ქალი ახლდა თან — ალბათ ნიკოლსკის ქალიშვილი. მასთან გამოთხოვების შემდეგ ყელზე გამოშპული ტყავის სადავით ძაღლი ჩამაბარეს. ძაღლმა ერთი კი დამყნოსა, მერე თვალები მიწაბა და მანქანის უკანა სავარძელზე მოთავსდა. მის გვერდით ის ახალგაზრდა მოკალათდა, „ბრონის“ ბილეთი რომ მომიტანა, მე კი მძღოლის გვერდით მიმიპატიყეს.

„ვნუკოვოდე“ ისე მივედით, რომ არც მე და არც ძაღლს ხმა არ ამოგვიღია. მანქანა კი აეროპორტის ჩემთვის უცნობ კართან შეჩერდა.

— შესასვლელი ხომ იქით არის? — მორიდებით ვიკითხე.

— ეს „ვიპია“ და აქედან გავალთ, — მიპასუხა ჩვენმა თანმხლებმა ახალგაზრდამ, — აქედან მთავრობის წევრები გადიან.

„ინტურისტი“ კი ვიცოდი, მაგრამ „ვიპი“ რას უნდა ნიშნავდეს? შემდეგ დავადგინე, რომ „ვიპი“ ინგლისური წინადადების აბრევიატურაა და „ძალიან მნიშვნელოვან პერსონას“ ნიშნავს. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ნიკოლსკის ძაღლი სწორედ „ვიპი“-პერსონა იყო...

საკმაოდ მდიდრულად მოწყობილ ოთახში შევისვენეთ. სიმპათიურმა გოგონამ ჩემი ბილეთი რეგისტრაციაში გაატარა და ყავაც მომართვა. ნიკოლსკის ძაღლი მართლაც კარგად იქცეოდა, ეტყობა აქ ჩემსავით პირველად არ იყო მოსული.

მიკროავტობუსმა ნიკოლსკის ძაღლთან ერთად პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპთან მიმიყვანა. თვითმფრინავის სალონი უკვე მგზავრებით იყო სავსე და ჩვენ გველოდა. ძაღლი მშვიდად ავიდა კიბეზე და მეც მორჩილად მივეყვი.

ეტყობა თვითმფრინავის ეკიპაჟისთვის კარგად იყო ცნობილი ამ „მნიშვნელოვანი პერსონის“ შესახებ, დიდი პატივით მოათავსეს პირველი სალონის წინ. ძაღლი სტუარდესების (ანუ ბორტგამცველებელთა) სასიამოვნო გარემოცვაში მოხვდა.

მგზავრობამ მშვიდად ჩაიარა. მართალია, ერთმა სტუარდესამ ძაღლის „ნამორდნიკის“ მოხსნა დააპირა, ნამცხვარი მინდა მივართვაო, მაგრამ როდესაც ავუხსენი, რომ ვერც თვითონ და, მითუმეტეს, ვერც მე ამ „ნამორდნიკს“ ველარ გავუყუებდით, უხალისოდ დამემორჩილა. ნიკოლსკის ძაღლის ზნე არც მე ვიცოდი და არც მან, ამიტომაც ასეთ ექსპერიმენტთა ჩატარება სახიფათო მეჩვენა.

მიუხედავად ამისა, ნიკოლსკის ძაღლი ისეთი ყურადღების ქვეშ იყო, ნებისმიერ „პოპ-ვარსკვლავს“ თუ „სექს-სიმბოლოს“ შემურდებოდა. „სტუარდესები“ ისეთი აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ „ვიპ-ძაღლის“ პატარა კულზე, ზორბა ტანსა და დიდ, დორბლიან დრუნჩზე, თითქოს ცხოვრებაში უკეთესი არაფერი ენახათ. ბანოვან სტუარდესათა ფერებას ჩემზე

მობარებული ძაღლი საკმაოდ მშვიდად და ღირსეულად იღებდა და რა აზრები უტრიალებდა თავში, ღმერთმა იცის...

თბილისში წვიმდა, ცოტა ქარიც უბერავდა. აეროპორტში დაფრენისთანავე თვითმფრინავს ორი ტრაპი მოადგა. ერთი ჩვეულებრივი მგზავრებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე კი ჩემი „ვიპი“ თანამგზავრის მსგავსი ხალხისთვის. დიდი პატივით მიგვიწვიეს მე და ნიკოლსკის ძაღლი „ვიპის“ გასასვლელისკენ და მეც, ძაღლის სადავით ხელში, ამაყად დავეშვი თვითმფრინავის ტრაპზე. ქვევით, ტრაპთან შავი ვოლგა გველოდა შავი ტყავის ქურთუკში გამოწყობილ შავქოლგიან ქალბატონთან ერთად. ნიკოლსკის ძაღლმა ქალბატონი შორიდანვე იცნო და სადავე ისე მძლავრად მოქაჩა, ხელი რომ არ გამეშვა, კიბეზე უთუოდ ყირამალა დავეშვებოდი. ნიკოლსკის ძაღლი ჩაეხუტა მისთვის ნაცნობ ქალბატონს, შემდეგ შავ ვოლგაში ჩასხდნენ და აეროპორტის შენობისკენ ისე წავიდნენ, ჩემსკენ არც გამოუხედავთ.

ასე დავცილდი ჩემს „ვიპ“ თანამგზავრს. ჩვეულებრივ მოკვდავ მგზავრთა ჩამოსვლას დაველოდე მეორე ტრაპიდან და მათთან ერთად ჩემი ხელჩანთით, უკვე საკმაოდ გალუმპული, ფეხით გავუყევი იმ ჩემთვის კარგად ცნობილ გზას, რომელსაც აეროპორტის გასასვლელთან ავტობუსების გაჩერებაზე მიყვავდი.



მხატვარი დეა სოსელია

ნინო დეკანოიძე

# მსხვერპლი და ჯალათი კრიზისულ ეპოქაში

(განხილვა ზურაბ კანდელაკის რომანისა „უძრავი ქარი“)

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში მორიგი „სამშაბათობა“ დაეთმო ზურაბ კანდელაკის რომანის — „უძრავი ქარი“ — განხილვას.

რადიოსპექტაკლების აღიარებულ რეჟისორს ალბათ ეს შეხვედრა დაამახსოვრდება როგორც სასიამოვნო დამთხვევა, რადგან ბუნებრივად მიედევნა საზეიმო დღეებს — რადიოთეატრის, ზოგადად ქართული რადიოს დაარსების მე-61 წელს.

არც ჩვენ ღონისძიებებს აკლია ხოლმე სიხარული, შემოქმედებით გამოწვეული. ლამის თემატურად გათანაბრებული საღამოები იკრებს ისეთ ადამიანებს, გავგავგონებენ ასეც კეთილად თუ ირონიით, — როსტომის მრევლს — ლიტერატურა რომ უყვართ, დანახვა რომ უხარიათ ერთმანეთის, და ეს თუ მაინცდამაინც არ სიამოვნებთ, საკუთარ თავს აჯობებენ ხოლმე... და აღარაფერი შეედრება ამნაირ წუთებს — მომრისხანთა დაზავებას... მერე როცა შეხვედრა დასრულდება, რარივ დარბაისლური მუსაფით მიაცილებენ ერთმანეთს კარებისაკენ.

...თუმცა ჩვენ დასაწყისთან ვდგავართ.

ღონისძიების წარმმართველი თავდაპირველად სთხოვს დარბაზს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოს შოთა ბოსტანაშვილის ხსოვნას. ცნობილი არქიტექტორი ბოლო დროს ლიტერატურულ გარემოში გრძნობდა თავს ისე, როგორც საკუთარ ჭერქვეშ. ყოველ შემთხვევაში, ძიებებით აღსავსე მისი უცნაური სტილის ლექსები იბეჭდებოდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, დროდადრო და დაუყვედრებლად.

— ზურაბ კანდელაკის გარეშე წარმოუდგენელია ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ცხოვრება — დაბეჯითებულად იტყვის როსტომ ჩხეიძე და განაგრძობს — ხშირად განხილულა მისი სპექტაკლები თუ პიესები, მაგრამ რადიოსპექტაკლის უანრში წარმატებული მოღვაწეობის გარდა ბ-ნი ზურაბი ბელეტრისტიცაა და ნამდვილ მკითხველს, ვინც ჩახედულია სალიტერატურო ცხოვრებაში და სწობურ გემოვნებასაც ანგარიში არ უნევს, არ დაავინწყდება მისი ბელეტრისტიული კრებული „უფალო, გამიყვანე დერეფნის ბოლოს“. აი მისი რომანიც გამოვიდა. რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი, გამოქვეყნებისთანავე რომ მოჰყვა ინგა მილორავას ლიტერატურული გამოხმაურებაც.

რომანში ამოიცნობა არაერთი მოტივი და სახე, აგრეთვე ის სიუჟეტური მონახაზები, რაც ბ-ნი ზურაბს თავის პიესებშიც გამოუყენებია. მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები არის სრულიად დამოუკიდებელი მოვლენა, ამოზრდილია ცნობიერების ნაკადზე. სხვათაშორის, ცნობიერების ნაკადის მხატვრულ ტექნიკას ეყრდნობა მისი პიესებიც, სპექტაკლები. და ეს მეტად საძნელო საქმეა. იოტისოდენა უზუსტობა და შეიძლება სრულ გაუგებრობაში აღმოჩნდეს ავტორი, მსმენელმა კი სიუჟეტსაც ვერ მიადევნოს გულისყური. მაგრამ ბ-ნი ზურაბი, როგორც პროფესიონალს შეჰფერის, ახერხებს ბენვის ხიდზე გაიაროს.

„უძრავი ქარი“ ძალიან მძაფრი რომანია; ქარი ტრიალებს თავიდან ბოლომდე და სიმბოლურად უძრავ ეპოქას, უძრავი ეპოქის ტრაგიზმს გამოხატავს.

როსტომ ჩხეიძემ დასძინა, ეს არის წიგნი, რომელიც არ შეიძლება ჩაკარგულიყო. იმდღევანდელი ლიტერატურული შეხვედრა კიდევ ერთ შეხმიანებად მიიჩნია ამ რომანთან და ვიდრე სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს, ლიტერატურის სანდო კრიტიკოსს, სალომე კაპანაძეს მოხსენებისთვის მიიწვევს, აუდიტორიას ჩვეულებისამებრ შეახსენებს, დროდადრო აზრიც გამოთქვან, და შეკითხვებიც დასვან საინტერესო პასუხებისათვის.

**სალომე კაპანაძე:** ჩვენ განებივრებული ვართ არამარტო კლასიკური ლიტერატურული შედეგებით, თანამედროვე მწერლობა, მიუხედავად მრუშიან-ორგიასტული ეპატაჟური ოპუსებისა, სერიოზულ საფუძველს გვაძლევს არჩევანი არ გავაკეთოთ ცუდსა და უარესს შორის.

ზურაბ კანდელაკს მიუძღვის წვლილი ქართველი მკითხველის განებივრებაში. რადიოპიესებით, მოთხრობებითა და რომანებით იგი კარგა ხანია ქმნის იმ სააზროვნო სივრცეს, რომელიც ქართველ მკითხველს „ჯანმრთელ ამბიციას“ უყალიბებს თავის კულტურულ მონაგარზე — ეროვნულ მწერლობაზე.

ინტელექტუალურ, გემოვნებიან მკითხველთან ზურაბ კანდელაკის პაემანი ამჟამად შედგა რომანით „უძრავი ქარი“, სადაც იგი დროისა და სამყაროს აღქმას კვლავაც არა კლასიკური ლოგოსის პრინციპებით გვთავაზობს, არამედ ადოგმატური, ანტისისტემური მიდგომით. მიუხედავად ამისა, კლასიკურ ესთეტიკას ნაჩვევი მკითხველსაც კი არ უჩნდება ტექსტთან კონფლიქტის სურვილი, რადგანაც რომანის მთავარი საზრისი ცოდვა-მადლის აღქმის ტრაგიკულობას ეფუძნება. უახლესი XX საუკუნე ამ თვალსაზრისით მწერლის მიერ კარგად შერჩეული სამიზნეა. იმდენად კარგი, რომ მიუხედავად რომანის ირონიული ჰიპოსტაზებისა, ტრაგიკულობა აზრთწარმომშობ პრინციპად ეფინება თხრობის მთელ დინამიკას.

ადამიანები ყველა დროს, ყველა ეპოქაში ემგვანებიან ერთმანეთს და განუწყვეტლივ იმეორებენ ცოდვისქმნადობის მარადიულ მოდელს. მათ ძალუბთ ერთდროულად ატარონ მსხვერპლისა და ჯალათის ნილაბი. მკითხველი ერთდროულად ისე თანაარსებობს სხადასხვა დროსა და სივრცეში, რომ არ წყდება მთავარ სათქმელს. „ცოდვილთა ქვეყანაში ცოდვას ვერ გაექცევი“ — ხშირად იმეორებენ რომანის გმირები და თავდაუზოგავად გარბიან საკუთარი ცოდვებისაკენ.

XX საუკუნის საქართველოს ყველა ეპოქალურმა მოვლენამ ხომ ლაკმუსის ქალაღივით გამოავლინა და გააღრმავა ადამიანთა მიდრეკილება ცოდვისაკენ. ისტორიის პროცესის მუტაცია ერის მესხიერებაში მართვას საჭიროებს. 1921, 1924, 1937, 1956, 1990-93 წლები ქართულ ყოფიერებაში ეროვნულ და პიროვნულ მახასიათებელთა კლასიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღებია. ზურაბ კანდელაკის რომანში პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ყველა სიმბოლმატიკა — რეალობის კონსტრუირებისა და მისი გამოკვეთილი სახის არქონა, ორაზროვნება და ფრაგმენტულობა ამ მოვლენებიდან იმართება.

რომანში საკვანძო სიმბოლურ დანიშნულებას იძენს გილიოტინის მშენებლობის ეპიზოდი. დესპოტიზმისა და ველურობის ეს სიმბოლო დროის მიხედვით იხვეწებოდა ყველა დროში, იძენდა ცივილიზებურ ფორმებს, მაგრამ არასოდეს შეუცვლია დანიშნულება, შინასახე. გილიოტინის რეჟისორებიც ყველა დროს ერთმანეთს ემსგავსებოდნენ და ცოდვა — მადლიც მათ ირგვლივ ტრიალებდა.

„ყველა ყველაფერს ეგუება“ — ამბობს მწერალი და ჩვენი არსებობის მთავარ ტრაგიზმს აქ უყრის თავს. სათაურიც მასვე ეხმიანება — უძრავი ქარის სიმბოლიკას სწორედ აქ მივყავართ. ქარი, რომელიც სამყაროს ცხოველმყოფელური სუნთქვა და ღვთაებრივი ნების გაცხადებაა, სიმბოლოა დაუოკებლობის, მოძრაობის, ქმედითობისა და წარმავლობის, მისტიკურ სიმბოლიზმში ამოდრავებული ჰაერი და სუნთქვა ერთმანეთს დაუკავშირდა და სიცოცხლის კოსმიური საწყისი განასახიერა.

რომანში ჩვენი უახლესი ისტორიის არაბესებები ფრაგმენტულად ჩნდება, მაგრამ ამ წარმოდგენას მაინც კრავს „ის, რაც უნდა დაწყებულიყო“. ადამიანები, ეპოქების მიუხედავად, საოცრად ემსგავსებიან ერთმანეთს. „გილიოტინას“ სამსხვერპლოს თავად ეწირებიან და წირავენ სხვასაც.

რომანში გილიოტინელას მსხვერპლთა სიმბოლოა თვითმფრინავის ბიჭების საქმე. მწერალი ნატურალისტური სიცხადით აღწერს ვიას (ანუ გეგას) ჭრილობას. მისი მინიერი არსებობის ბოლო წუთებს. ყოველივეს ამძაფრებს დამფრთხალი ჯალათის შურიც ფაიზულიანის სკაბრეზული აღსარება. ინტრაკონფლიქტი ანუ კონფლიქტი საკუთარ თავთან, სინანული მისთვის უცხოა. მას მხოლოდ ალი ამალიაშვილის მკაცრი ხმა აუშლის მოგონებებს, რათა მსხვერპლის ბოლო ფრაზა მოიგონოს „სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო“. და მკითხველი თითქოს გრძნობს იმ ტკივილს, რომლის შემოქმედნიც იყვნენ ეშმაკთან წილნაყარნი. თუმცა თვითუფლები ერთდროულად იყო მსხვერპლიც და ჯალათიც.

რომანის მთავარი გმირი — შიო — სიმბოლოა იმ ხელოვნებისა, რომლებიც ვერასოდეს ახერხებენ ცხოვრებას დროის შესაბამისად. ვერ გარბიან ჯალათებისგან იმავე გზით, რა გზითაც მათ ისინი უახლოვდებიან. მათ არ სჭირდებათ თავის მართლება ზოგადი ფრაზით „ცოდვილთა ქვეყანაში ცოდვას ვერ გაექცევი“. რომანის პერსონაჟი ქალები, რომლებიც მის ირგვლივ ტრიალებენ — ანა და მარი, როგორც სინმინდის სიმბოლოები, და ილენა — კლარა ცეტკინის ალტერ ეგო — ფატალური სახეებია, რომლებიც მხოლოდ აღრმავებენ ასეთ ხელოვნათა ტრაგიზმს გილიოტინელას ქვეყანაში.

„მეგონა, ზღვაზე წამიყვანდი, ისევ ვნახავდი მწვანე პალმას... დაიჩქარა ანამ, ხელები ზეაღმართა და ზეცისკენ მიაპყრო მზერა, — გეხვებები, გემუდარები, წამიყვანე აქედან, წამიყვანე!.. კამკამა ზღვა და პალმა... სხვა არაფერი, არა, აღარასოდეს იქნება ზღვა ასეთი კამკამა ცოდვილთა ქვეყანაში“ — ამბობს იგი. რომანში მკაფიოდ ისმის აფხაზეთის მოვლენების შემდგომი ესქატოლოგიური წუხილი.

რომანის ფინალი არ არის კეთილი დასასრული.

თუმცა როგორც იმედის ნაპერწკალი, კვლავ ჩნდება ქარის სიმბოლოცა „თუმცა ხომ არიან ქარნი კეთილნიც...“ — კითხულობს მწერალი და ამით კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ უფალი მეფობს და ბრძოლა იმ სიმართლისათვის, რომელიც „გილიოტინელას“ დაანგრევს ჩვენს ცნობიერებაში, ყოველთვის ღირს.

შთაბეჭდავად დაახასიათა პოეტმა და ლიტერატორმა ქეთევან შენგელიამ რომანი და მისი პერსონაჟები. ისე სკრუპულოზურად, ზედმინევენით პასუხისმგებლობით ჰქონდა სიტყვა მომზადებული, თვითონვე გადაიფიქრა — ვაითუ გამოსვლა მომხსენებლისას დამსგავსებოდა, და მოზაიკური ჭრილი აირჩია სასაუბროდ. უფრო ზუსტად, დეტალების ხელოვნებაზე აავო სიტყვა: თავდაპირველად აღნიშნა, რომ თვალის ერთი გადავლევით მკითხველი ვერაფერს აღიქვამს ამ რომანში. ძალიან გულდინჯი ანალიზი დასჭირდება ავტორისეული სიმბოლოებისა თუ ქვეტექსტების შესაცნობად. ისაუბრა ქარის სხვადასხვაობაზე. „უძრავი ქარის“ სიმბოლო ემოციურად ახსნა: ჩემთვის ეს ყველაზე სამინელია, ხარ ერთი და იმავე ადგილას. ეს არის ამომწყვედვისა და ამოხუთვის ტოლფასი, როცა წინ ვერ მიდის საზოგადოება. ...მაგრამ ყველაზე საზარელი ამ „უმოდრო მოძრაობაში“ მაინც ჩრდილოეთიდან მონაბერი ქარია.

მწერლის ჩანაფიქრიც გამიფრავს და შესთავაზა მსმენელს ქეთევან შენგელიამ: რომ ბოროტებისა და სიკეთის შეჯიბრია ხოლმე ცხოვრებაში, რომ, რა დალუპულიც უნდა იყოს ადამიანი, რა წამხდარიც, თუკი ერთხელ მაინც ზიარებია რაიმე დიადს და კეთილს, სათუთსა და სათნოს, ყოველთვის სურს ნაბიჯი იქით გადადგას. მაგრამ ერთია ოცნების სამყარო, მეორე — დამთრგუნველი რეალობა. შუაშია კი ცხოვრების გზა — ძნელად გასავლელი...

ქეთევან შენგელიამ რომანის ავტორის საქებრად თქვა, რომ სიტყვის ოსტატს როგორც შეეფერება, იგი ფლობს კომ-

პოზიციის ხელოვნებას. ამ მრავალპლანიან და უხვპერსონაჟიან ნაწარმოებში ბოლოს ყველაფერი ლაგდება, თავისი ადგილი მიეჩინება, თავისი სახელი ერქმევაო.

ჩვენი ლიტერატურული შეხვედრების „მეთერთმეტე უამის მუშაკი“ შეიძლება დაერქვას ადა ნემსაძეს; ახალგაზრდა, ალლოიან კრიტიკოსს, რომელიც თანდათანობით ამასხოვრებს მსმენელს თავს რაციონალურის მიგნების წადილით, სათქმელის ლაკონიურად გამოხატვითა და დამაჯერებლობით: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკამ ფართოდ შემოიჭანა მხატვრულ თხრობაში ინტერტექსტულობა. „ყოველი ტექსტი ინტერტექსტია. მასში სხვადასხვა დონეზე მეტ-ნაკლებად ცნობადი სახით წარმოდგენილი არიან სხვა ტექსტები:

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ამგვარი „ნასესხობა“ თვით მწერალს აგდებს უხერხულობაში, რის გამოც იგი იკეტება ხოლმე თხრობის პარადიულ მოდუსში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი „უხერხულობა“ ოდნავადაც არ შეინიშნება ზურაბ კანდელაკის ამ რომანში, რადგან ნებისმიერი ციტატა, იქნება ეს ბიბლიიდან თუ შექსპირის „ჰამლეტიდან“, ისე ზუსტადაა ჩასმული, რომ ტექსტის ორგანული ნაწილი ხდება.

„უძრავი ქარი“ ქართული პოსტმოდერნისტული რომანის თვალსაჩინო ნიმუშია, თუმცა პოსტმოდერნისტულ მანერასთან ერთად ნიშანდობლივია ე. წ. „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურასთან სიახლოვეც, რაც გამოიხატება ხანგრძლივი და მძაფრი შინაგანი მონოლოგებით, ასოციაციებით, შეგრძნებებით. რომანის მხატვრულ ქსოვილში ერთმანეთს ენაცვლება მე-20 საუკუნის სხვადასხვა წლის ამბები, რომლებიც ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, ხშირად რთულდება გარჩევა, კონკრეტულად რომელ ეპოქას ეხება თხრობა: მკითხველს ხან 30-იანი წლების რეპრეზენტების ხანა უდგას თვალწინ, ხან 80-იანის ცნობილი მოვლენა — ე. წ. „თვითმფრინავის ბიჭების“ ამბავი, ლამის მთელ საბჭოეთს რომ შეურყია „მშვიდი“ ცხოვრება, ხანაც არეული და ქაოსური 90-იანები ახსენდება.

ჩნდება კითხვა: რატომ ურევს ერთმანეთში მწერალი 30-იანი წლების უშიშროების ბნელ ტალანებში მომხდარ ამბებსა და 80-იანებში მომხდარ „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედიას? აქ ხომ თითქმის ტოლობის ნიშანია დასმული ამ ორი განსხვავებული დროის სამართლისმსახურთა შორის. პასუხი ერთმნიშვნელოვანია: საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე ცვლილებანი მხოლოდ გარეგნული იყო, არსობრივად არაფერი შეცვლილა, არც მართვის სისტემაში და, მითუმეტეს, შინაგან საქმეთა ორგანოებში. 30-იანი წლების მასობრივი სისხლიანი რეპრესიები რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ფსიქოლოგიური რეპრესიებით შეიცვალა მხოლოდ. თუმცა იმ მთავარ ფაქტს თუ გავიხსენებთ, რაზეც რომანია აგებული, ეს პირდაპირ იმ სისხლიანი რეპრესიების გაგრძელებაა და მწერალიც სწორედ ამას გამოიკვთის. ამ ძირითადი სათქმელის გადმოცემას ემსახურება.

ხოლო გილიოტინა, რომლის შენებაც ტექსტში საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობს, სიმბოლოა ბოროტების, უსამართლობის, სიკვდილის, შიშის, რასაც გამუდმებით თესავს ხალხში რეჟიმი.

დაბოლოს, მთავარი სათქმელი: პოსტმოდერნისტები ახალი გზებისა და მხატვრულ საშუალებათა ძებნისას ბევრ რამეზე ამბობენ უარს, ბევრ რამეს უარყოფენ.

რა ნოვაციებიც უნდა შემოგვთავაზოს ლიტერატურამ, ერთი რამ მუდმივია: სიკეთე/ბოროტების დილემა ყოველთვის იარსებებს. შემთხვევითი არ არის, რომ განხილულ რომანში მწერალი სიკეთის არსებობას, მის დიდ ძალას ქალის სახით წარმოგვიდგენს. სოციოლოგიაში შენიშნულია, რომ მამაკაცის ფუნქცია სამყაროში გადარჩენაა, ქალი კი ითვლება მორალის, რელიგიის, სიკეთის გადამტანად. რომანში ორი არაჩვეულებრივი სახე დახატა მწერალმა: ანა და მარი. და მართალია ისინი სხვა პერსონაჟებთან შედარებით იშვიათად ჩნდებიან თხრობაში, მათ არ აქვთ აქტიური როლი, მაგრამ თავიანთი არსებობითა და მუდმივი გვერდში დგომით, ფიზი-

კური თუ სულიერი მხარდაჭერით უნერგავენ მკითხველს სიკეთის გამარჯვების მტკიცე რწმენას.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პოეტმა და პროზაიკოსმა **ინგა მილორაჯამ**, როგორც ესთეტიკა, სიტყვა მოგონებით დაიწყო: როცა ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ იბეჭდებოდა ეს რომანი, ნომრიდან ნომრის გამოსვლას სულმოუთქმელად მოველოდიო. „უძრავი ქარი“ გადაშლიდა მისი, როგორც მკითხველის, წინაშე, უცნაურ სამყაროს: ყველაფრისგან განსხვავებული, არაორდინარული სამყარო მოდის ორ კვირაში ერთხელ და გიყვება ისეთს, სხვა რომ ვერ მოგიტყობს. ამ უაღრესად თანამედროვე რომანში უამრავი ფიგურა და სახეა, რომელთაგანაც მერე რალაც დიდი ერთობლიობა ყალიბდება. თავიდან ვფიქრობდი, რომ მართლაც პოსტმოდერნისტულია ეს რომანი, მაგრამ აქ შემოდის არაჩვეულებრივი „დიდი ჰუმანიზმიც“. ხანდახან გიჭირს განსაზღვრო: შესაბამის სიტუაციაში პერსონაჟი მართალია თუ შემცდარი, შეეშალა რალაც თუ სწორი გადაწყვეტილება მიიღო... მაგრამ ყველაფერს აღიქვამ როგორც მუსიკას, რომელსაც ისმენ. დიას, მწერლის მუსიკალურობა უთუოდ მოგხიბლავს და იწვევს შენში ამაღლებისკენ მიახლების სურვილს. გავიზროთ, როგორ ეპოქაში ვცხოვრობთ ჩვენ და ეს ფრაზაც — სულ ერთი ნუთით მადროვე, ჯალათი — კონკრეტულობის ზღვარს სცილდება, რადგან თვითონ ცხოვრებაა ჯალათი. საკითხავია ესეც, ნეტა ჯალათმა უნდა დაასრულოს თუ ჯალათობამ სიცოცხლე?

მერე ცხოვრებისეულ ქაოსსა თუ ლაბირინთებზეც ისაუბრა და შეეცადა მსგავსება რომანისეული ეპიზოდებისა რეალობასთან განეცდევინებინა მსმენელისთვისაც.

ინგა მილორაჯამ ეპითეტთა რკალით შემოფარგლა სიტყვა და ზურაბ კანდელაკის ამ რომანს უწოდა გულიანი წიგნი. აღნიშნა ისიც, მწერლობა სხვა არაფერია თუ არა გულითადობა...



ზურაბ კანდელაკი

მადლიერების გულწრფელი გამოხატვა შეძლო დრამატურგმა **ნათია ხომტარიამ**, როგორც მოწაფემ და შეგირდმა გაიხსენა სტუდენტობის ხანა თეატრალურ ინსტიტუტში; როგორ უზიარებდა ცოდნასა და გამოცდილებას ზურაბ კანდელაკი ახალგაზრდებს: — თუ ჩვენ მანამდე კითხვისას ვიღებდით იმას, რაც ზედაპირზე იყო მოცემული, შემდეგ ვისწავლეთ იმაზე ფიქრიც, რა იყო ჩამალული სიღრმეში, სტრიქონებს მიღმა. ამისთვის დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ!

რომანის შესახებ საკუთარი შთაბეჭდილება ნათია ხომტარიამ ასე დაასათაურა: „დავიჯერე დაუჯერებელი!“

ეს არის უსასრულო მოგზაურობა დროსა და სივრცეში, რომელიც ბიბლიური დროიდან დანიის პრინცის შექსპირისეულ ცოდვა-სიმართლის გზის გავლით საფრანგეთის მშფოთვარე ეპოქაში გისვრით, მერე XX საუკუნის ბნელ და რთულ ლაბირინთებში დადიხარ და მეტაფორებითა თუ ქარაგმებით დაშიფრულ რეალურ ამბებსა და პიროვნებებს ამოიცნობ. თუმცა ეს აუცილებელი არც არის, რადგან მთავარი ამ რომანში, და მე როგორც ვხვდები მწერლისთვისაც, არის მარადიული თემები — ცოდვა, სიმართლე, ილუზია, კლასიკური მუსიკით შენიღბული ჯალათი თუ გულგრილობის გამო ეშაფოტზე გამოყვანილი საკუთარი სული, გაშშვლებული ისე როგორც დახლზე გასაყიდად გამოლაგებული კურდღლები.

უძრავი ქარი გიბიძგებს სხვა უფრო რთული მოგზაურობისაკენ — ნარსულიდან ანწყომი და პირიქით.

და ფინალისთვის ციტატა რომანიდან: „...თქვენ უნდა მიიღოთ ჩემი აღსარება. გეხვეწებით, გემუდარებით, როდესაც თქვენამდე მოაღწევს ეს ნაწერი, არ გადაყაროთ, არ დახიოთ, ნურც დანვავთ, ნაიკითხეთ, აუცილებლად ნაიკითხეთ!“

სოსუმის უნივერსიტეტის პროფესორმა **ნინო ვახანიამ** თავისი გამოსვლა, ჩვეულებისამებრ, ენერგიული მუხტით წარმართა. თუმცა მისი სიტყვაც, წინა გამომსვლელთა დარად, იბეჭდება ამოკრეფილად:

„უძრავი ქარი“ ძალიან ძნელად, მძიმედ საკითხავი წიგნია. ყოველი ეპიზოდი, ყოველი პასაჟი დაფიქრებას, ანალიზს ითხოვს და გულისგამხეთქავ გრძობებს წამოშლის, ძალიან მძიმე ასოციაციებს იწვევს. ეს არ არის რომანი ჩვეულებრივი გაგებით, კომპოზიციურად შეკრული, სიუჟეტის განვითარებაზე აგებული. სიუჟეტი საკმაოდ მკრთალია და მკითხველის გონებასა და ემოციებს კალეიდოსკოპური თხრობის თითოეული ნატეხი ისე იპყრობს, როგორც მთელი, დამოუკიდებელი ნაწილი. მთლიანად რომანიც ხომ ერთი ნაწილია ავტორის მთელი შემოქმედებისა.

რამდენი ამბავი ეწვნის ერთმანეთს ამ რომანში. მკითხველს კი გადასვლა ერთი ეპოქიდან მეორეში სულაც არ უჭირს. იმიტომ, რომ ადამიანური ბუნება არ შეცვლილა მისი გაჩენის დღიდან, და ქრისტეს პირველმონამენი თუ სულ ახლახან დახვრეტილი ერთნაირად ალელვებენ მთხრობელსაც და მსმენელსაც.

რომანი თავისებურად, ორიგინალურადაა დაბეჭდილი. მუქი შრიფტით აწყობილი წინადადებები სიმბოლურია, სათქმელის შემაჯამებელი და, ამდენად, მეტად საყურადღებო. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ნაწილი მნიშვნელოვანია. საერთოდ, ამ წიგნს ყველა თავისი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით აღიქვამს, გაიცნობიერებს და შეაფასებს.

იმით დავამთავრებ, რითიც დავიწყე: ეს რომანი ფრიად დამაფიქრებელი, ემოციურადაც და გონებით აღსაქმელადაც ძნელი, მრავალპლანიანი, მძიმედ საკითხავია, მაგრამ სიმძიმე — ღრმააზროვნება — საბოლოოდ გვაფიქრებინებს იმასაც, რასაც მაია ჯალიაშვილი ასე კარგად აყალიბებს თავის შესანიშნავ წინასიტყვაობაში: „მკითხველს მაინც რჩება განცდა სიყვარულისა და სიწმინდის გადაარჩენისა“.

აქაური თავყრილობები ნამდვილად წარმოუდგენელია ბნელ თეიმურაზ ნადარეიშვილის გარეშე. მისი სრული სამეცნიერო რეგალიების დასახელება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით საქმელოა, სამაგიეროდ, ზედგამოჭრილად ესადაგება მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი — „ჩვენი ფიზიკოსი“. ანუ ჩვენი კაცი ფიზიკოსებში, რადგან „ლიტერატურა ძლიერ უყვარს“, თანაც, ზეპირი გამოსვლებით თუ წერილობით, ყოველთვის ახერხებს ხელოვნებისა და მეცნიერების, „დიდ სიუჟურ რკალში“ „მორიგებას“.

ამჯერადაც საინტერესოდ წარდგა აუდიტორიის წინაშე. „მე ჩემი ინტერპრეტაცია მექნებაო“, და მართლაც მერამდენედ მოხიბლა და გაახალისა დარბაზი. მოიხმო უამრავი პარალელი თუ ალუზია, ანუ ლიტერატურული გადაძახილები მსოფლიო კლასიკასთან.

სასიამოვნო გახლდათ ცნობილი მსახიობის, რადიოსპექტაკლების ერთგულთა საყვარელი არტისტის **ლამპირა ჩხეიძის** გამოსვლა. მან ის წლები გაიხსენა, როცა ახალგაზრდა



რეჟისორი ზურაბ კანდელაკი ენერგიულად იღვწოდა სრულფასოვანი რადიოთეატრის ჩამოყალიბებისათვის. რომანტიკოსმა ქალბატონმა მოიგონა პირველი როლები, ემოციები და მღელვარებანი, დამოკიდებულება ადამიანებისა ერთმანეთთან. მისი სიტყვებიდან ჩანდა, როგორც თეატრალი, ადრინდელ დროს ამჯობინებდა, რადგან მეტად იყო გამოხატული სიყვარული ხელოვნებისადმი, კლასიკური გაგებით. მეტ ერთგულებას იჩენდა მსაყურებელი თეატრებისადმი. და რომ ოვაცია, თაყვანისცემა ისევე აუცილებელია არტისტისათვის, როგორც სიბო სიცივით დამზრალისათვის.

და მასპინძელმა დასასრულისაკენ მიდრეკილი შეხვედრა გულისხმიერი სიტყვებით შეაჯამა. ქ-ნი ლამზირა ჩხეიძის გასაგონად კი კეთილად განაცხადა: რალაც დაგვაკლდებოდა,

ნამდვილად დაგვაკლდებოდა... თქვენ უთუოდ შემატეთ ხიბლი ჩვენს შეხვედრასო.

რასაკვირველია, წერტილი რეპორტაჟისთვის დროულია, მაგრამ სიტყვა წიგნის ავტორსაც შეასახელეს. ზურაბ კანდელაკმა მადლიერებით მოიხსენია გამომცემლობა „საუნჯე“ და მისი მესვეური ვაჟა ნონკოლაური უანგარო მხარდაჭერისათვის. ხოლო იმ გულთბადი სიტყვები, რაც ჟურნალ „ჩვენი მხრე-მარჯვენა“ საქებრად არ დაიშურა, შემოგთავაზებთ მცირედს: ყოველთვის როცა აქაური შეხვედრებიდან ვბრუნდები შინ, მიჩნდება სურვილი, რალაც ახალი, უფრო უკეთესი გავაკეთო.

შემოქმედებითი გეგმებიც, რა თქმა უნდა, აღარ დაფარა და ვუსურვოთ, კვლავაც წარმატებით გაერთვას თავი ამ ყველაფრისთვის.

# იატაკვეშეთში მოღვაწე უცხო ენები

*არჩეულია ენა არა იმიტომ, რომ ის ჰგონიათ აუცილებელი, არამედ აირჩიეს, რათა გახადონ აუცილებელი.*

სატკივარი უნდა ითქვას. დღევანდელი ნამდვილად არ შეეფერება — „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...“ ბოლო ხანებში უსიამო მეტად ხდება, ვიდრე სასიამოვნო, ამიტომ ვიტყვით, „მუდამ თქმა სჯობს...“, რადგან იქნებ სიტყვამ თავისი ჰქმნას და „გვეშველოს რამე“, თუმცაღა სიტყვასაც და ყვირილსაც მჭრელობა დაეკარგა.

მე არ მოვყვები იმას, თუ რას წარმოადგენს ენა საერთოდ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იგი ცოცხალი არსებაა თავისი არსით, დანიშნულებითა და ფორმით, რომელსაც მუდამ მოვლა-პატრონობა სჭირდება, თანაც დიდი თავგანწირვით. ქართული ენის ქომავანი მრავლად არიან, მათ მივანდოთ ჩვენ მისი დაცვა, მე კი ორიოდ სიტყვით გამოვთქვამ გულისტკივილს იმ უცხო ენების შესახებ, რომლებიც აიძულეს თავიანთი არსებობა იატაკქვეშეთში განეგრძოთ: გერმანული, რუსული, ფრანგული ენები. თითოეული ეს საუნჯე დღეს დაუდევრად იხმარება, რის მიზეზადაც ცოდნის ნაკლებობა მიმაჩნია. პარადოქსულია, ქვეყანას ევროპისკენ აქვს კურსი და ევროპული ენები კი ჩვენში უკიდურესად დაჩაგრული და შევიწროებულია. არადა, გერმანული და ფრანგული ენები დიდად საჭიროა ევროინტეგრაციისთვის. თუკი ვამბობთ, გზა ევროპისკენააო, მაშ რალად ვუშლით მათ ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გასვლას? რად არ ვაძლევთ გასაქანს? ენა არაფერს აშავებს, ენა არ შეიძლება მტრად ჩაითვალოს, იგი ზიანს ვერავის მიაყენებს. მე არ მინდა, ზემოხსენებული ენები დაემსგავსონ ისტორიაში შესატან მომაკვდავ ან „მკვდარ ენათა“ სიაში მყოფთ. ერთადერთი და მცირედი, რითაც ჯერ კიდევ გერმანული, რუსული და ფრანგული ენები საზრდოობენ, მათზე საზოგადოების მოთხოვნილებაა. მშობლები სამართლიანად, მაგრამ უშედეგოდ ითხოვენ ამა თუ იმ ენის სწავლებას სკოლაში, ბოლოს კი ინდივიდუალური (რეპეტიტორული) წესით მაინც ასწავლიან თავიანთ შვილებს იმას, რაც სასწავლო პროცესიდან ერთი ხელის მოსნით იქნა ამოგდებული და განდევნილი, რადგან ქვეშარიტი განათლების საფუძვლისთვის საჭიროდ მიიჩნევენ. რუსულ ენას კი თითქმის ყველა ოჯახში შეასწავლიან აღსაზრდელებს, ისინიც კი, ვინც ვითომდა წინააღმდეგია ამ ენის ჩვენს რეალობაში არ-

სებობისა (უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რალდენ დიდი ხარალი მოაქვს მშობლისთვის განათლების მიღების ინდივიდუალურ წესს).

მარტივი ლოგიკის მიხედვით, ყველა ენა მშობლიურის გარდა, ჩვენთვის უცხოა, ამიტომაც ყველა უცხო ენა განურჩევლად ერთ ჯგუფში — „უცხო ენათა“ ჯგუფში — უნდა მოიარებოდეს. არცერთი მათგანი არ იმსახურებს იმას, რომ ქართულ ენას გვერდს „უმშვენებდეს“ საპატიოდ, ხელოვნურად განდიდებული. ეს საჭირობოროტო საკითხია ქართული მოაზროვნე საზოგადოებისა, ეს დიდი გულისტკივილიცაა და პრობლემაც მშობლისა და თუნდაც პედაგოგისა და კიდევ ათასი სხვა ადამიანისა, რომელთაც არ მოსწონთ „ქებაი და დიდებაი ინგლისური ენისაი“. ზოგს თანამედროვეობა ჰგონია, თუკი დაუფიქრებლად გადაეშვება რომელიმე ახალი აზრის მორევში და იმ უცხო ღრიანცელში ეკარგება ჯანსაღი აზრი ან მის სიმწირეს უჩივის. მაინც რატომ ვანიჭებთ პრიორიტეტს ინგლისურ ენას მაშინ, როდესაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ენა თავისი ისტორიით ბევრად უსწრებს მას?

საქართველოს პატრიარქის, უნიმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აზრით, „ადამიანის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისთვისაა დაბადებული და მინიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სინმიდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის“, ჰოდა ვიტყვით, აუცილებლად უნდა დავუბრუნოთ ადამიანებს არჩევანის უფლება და დარწმუნებული ვარ, პენსიონერი არასოდეს მოისურვებს ინგლისურის უფასო კურსებზე სიარულს იმ იმედით, რომ ინგლისურის „ვაიმცოდნე“ დამლაგებელი იყოს; სხვადასხვა სფეროს ქვეშარიტი პროფესიონალებს არ ექნებათ არასრულფასოვნების შეგრძნება ინგლისური ენის არცოდნის გამო; დღეს თუ ეროვნულ გამოცდებზე 73% ინგლისურ ენას „ირჩევს“ ჩასაბარებლად, ხვალ ის 27% იატაკქვეშეთიდან ამოვა. ღრმად ვარ დარწმუნებული, არავის მოსწონს ერთფეროვანი და ერთენოვანი განათლება. გამოსავალი მრავალენოვანებაში, მრავალფეროვნებაში, არჩევანის უფლებასა და თავისუფლებაშია.

მთავარი ამოცანაა, უცხო ენების ერთ სიბრტყეზე განლაგება, რათა თვალსაჩინო იყოს ყოველი მათგანი შემდგომი არჩევანისთვის და არჩევანიც გამჭვირვალე იქნება. მოზარდიც და მშობელიც თავად გადაწყვეტს, რომელ უცხო ენაზე შეაჩეროს არჩევანი.

და ბოლოს, დღეს უცხო ენების თანაარსებობა უსამართლო დოღს მაგონებს — უეჭველად, უჯიშო ცხენს რომ აწინაურებენ ხელოვნურად და ამ დროს შეიძლება ზებრამ გაიმარჯვოს, ხვალ კი შესაძლებელია პაპუასების ენა „მიაო-იაო“ ავიდეს პიედესტალზე და გამედიდებოდეს. როგორ მიიღებს ამას ქართული საზოგადოება? გასაკვირი არაფერია.

ნიმე მჭადლიშვილი

# ორი კრიტიკოსი ერთ რომანზე

იოსებ ჭუმბურიძე

## რეცენზია სუთ „ნოველად“, პროლოგითა და ეპილოგით \*

### პროლოგი

24 აპრილი. ქუთაისში მივდივართ, რეზო ჭეიშვილის იუბილეზე — როსტომ ჩხეიძე, ივანე ამირხანაშვილი, უჩა შერაზაღიშვილი და მე.

როსტომი, რა თქმა უნდა, წინ ზის. ერთ მომენტში მოუბრუნებლად მეტყვის:

— 21 მაისისთვის ელგუჯას წიგნის განხილვა დაგეგმილი, „აკაკის ლანდის“, ხომ იქნები მომხსენებელი?

— „აკაკის ლანდის“ თუ „კოლიმგრაფის?“ — ვეკითხები გაკვირვებული, რადგან ვიცოდი, რომ სწორედ ასე იყო დაგეგმილი.

— არა, შევცვალეთ — „აკაკის ლანდის“.

იმის მიუხედავად, რომ ამ წიგნთან დაკავშირებით, ელგუჯასთან „ჩემი ანგარიშები“ მაქვს, სიხარულს ვერ ვმაღავ, რადგან უარს ვერც პირველ შემთხვევაში ვიტყვოდი, არადა, ჩემი საქმე ეს უფროა.

რა ანგარიშები? — ამაზე ეპილოგში.

### 1. ლანდი და არაქიტაქტურა

„აკაკის ლანდი“ — ელგუჯა თავბერიძის უკვე მესამე ბიოგრაფიული რომანი. ეს მესამე — განსხვავებული ფორმით: „ბიოგრაფიული რომანი ნოველებად“.

სათაურის წარმომავლობა ადვილად მისახვედრია, თუმცა ახსნა — საკმაოდ ძნელი.

ის, რაც გალაკტიონისთვის შეიძლება აკაკის ლანდი იყოს, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ასეთად ვერ ჩაითვლება. გალაკტიონს ხომ თვით რუსთველიც ახსოვს ბავშვი.

და მაინც, ეს სათაური ავტორის თავმდაბლობად უნდა აღვიქვათ: ამ ნოველებით მხოლოდ აკაკის ლანდს თუ ვქმნიო, — გვეუბნება: თანაც მის თავმდაბლობას ზურგს მნიშვნელოვანი ფაქტორი უმაგრებს: ეს „ლანდი“, ძირითადად, ქუთაისს უკავშირდება. აკაკის ლანდი ქუთაისის ქუჩებში — ასეც კი შეგვიძლია, ვუნოდოთ...


სულ 31 ნოველაა.

რა აერთიანებთ მათ?

ეს არც უნდა ვეკითხოთ, რადგან იმთავითვე ნათელია, რომ რა კი არა, ვინ აერთიანებთ.

აქ სიუჟეტის პრობლემა არც არსებობს: ნოველებს სულაც რომ არაფერი ჰქონდეთ საერთო, აკაკი მაინც დააკავშირებდათ.

\* ელგუჯა თავბერიძე თავისი ახალი წიგნის ჟანრს, ქვესათაურით, ასე განსაზღვრავს: „რომანი ნოველებად.“ რეცენზიის ფორმაც ამან დაბადა.



აკაკი ყველა ნოველის მთავარი გმირია.

მერე რა, რომ ყველა ნოველა თანაბრად ძლიერი არ არის. რამდენ კარგ რომანშია ასე — ზოგიერთი თავი განსაკუთრებით რომ მოგვწონს.

აქაც არის გამორჩეულად კარგი ნოველები. ჩემთვის ასეთებია: „ღმერთი და საქართველო“, „არ იმღერება ეს სიმღერა“, „მზის ნაკვალევი“...

### 2. ღმერთი თუ კაცი?

„ძველ ბერძნებს სწამდათ, — წერს აკაკი, — რომ ხანდახან ღმერთები მიწაზე ჩამოდიან და მათ რჩეულ კაცებს შეგნებას შმატებენო.“

სწორედ მართლა; როდესაც კაცი მაღალი ღვთიური რამით არის გამსჭვალული, მაშინ მისი შინაგანი ძლიერება გარეგანათაც იხატება და შევენება ემატებაო\*.

ეს თუ ვინმეზე ითქმის, თვითონ აკაკიზე.

აკაკი ქართველი კაცისთვის მართლაც ღმერთივითაა. ქართველი კაცი მის ორბუნებოვნებას აღიარებს — ღვთაებრივსა და კაცებრივს.

აკი თავგამოდებით გვიმტკიცებს ნოდარ დუმბაძე, „განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის, პირდაპირ ღმერთის ბაგვიდანაა გადმოსულიო.

ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი, მისი ნოველები აკაკის კაცებრივ ბუნებას უფრო გვიხატავს.

ხანდახან შეიძლება შეგაცბუნოს კიდეც ჩვეულებრივ მოკვდავად მისმა წარმოჩენამ. მაგალითად, ამ პასაჟმა („ოცი სიტყვა“):

„რა იფიქრა ლუკა ქორქაშვილმა: ძალიან მინდოდა, ილიკოს დაეხმარებოდი, მაგრამ გინდ აკაკისთვის გამეტნია ფული, გინდ მგლისთვის კრავი. რისი მიმცემი იყო ჯიბეგაფეკილი“.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მედუქნის ფიქრია. იმ ვაჭრისა, ვისთვისაც აკაკი მიწაზე მოსიარულე ღმერთი კი არა, ჩვეულებრივი ადამიანია. მას შეუძლია, აკაკის ადვილად უთხრას:

„პეტერბურგში თუ მიდიხარ, ილიკო ბახტაძეს ჩემს სახელზე ასი მანეთი მიეცი. ამ წუთას არ მაქვს, ერთ კვირაში გამოვიგზავნი“. შემდეგ კი ის ასი მანეთი აკაკის არც დაუბრუნოს.

ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანის ხიბლს, უწინარესად, ასეთ გარემოცვაში ნაჩვენები აკაკის პორტრეტის ქმნის. ეს ამ რომანის პროფილია და სწორედ ეს მიუჩენს საპატიო ადგილს აკაკისადმი მიძღვნილ თხზულებებს შორის.

3. კვლევა და ბელეტრისტიკა

„ელგუჯა თავბერიძის შემოქმედებით ნატურაში მოხდენილად ერწყმის ერთმანეთს მკვლევარისა და ბელეტრისტიკის ნიჭი“ — აღნიშნულია ნიგნის ანოტაციაში, რომელიც უეჭველად მის რედაქტორს როსტომ ჩხეიძეს უნდა ეკუთვნოდეს.

აქ არაფერია გადაჭარბებული. აი, კვლევა („იდეალი?! ხა, ხა, ხა, ხა!“): „აკაკის ნებისმიერი პუბლიცისტური ნერილი (აჯობებდა, სტატია ეწეროს) ფრთიანი ფრაზით იწყება. ისეთით, ხელს რომ ჩაგჭიდებს, დაგაინტერესებს, ბოლომდე წაგაკითხვებს თავს. ხშირად ფრთიანი ფრაზა ანდაზაა, რომელიც ძირითადი სათქმელის შინაარსსაც იტევს და პრელუდიის აზრობრივ სივრცესაც.“

აი, ბელეტრისტიკა („ან განჯაში, ან საიქიოში“): „აკაკი წერეთელი და ვახტანგ გურამიშვილი მუშტიადის ბაღში სეირნობენ. ერთი შუა ხანსაა მიღწეული, მეორეს სიცოცხლის გასრულების ჟამის მოლოდინი ჩასახლება მზეურაში. ოცდაათ წელზე მეტია, იცნობენ და თანაუგრძობენ ერთმანეთს. სეირნობა მათი პლატონის აკადემიას ჰგავს, სიარული და მეცადინეობაა ერთდროულად.“

სხვათა შორის, ამგვარად არაერთი ნოველა იწყება. აი, კიდევ ერთი მაგალითი („ღმერთი და საქართველო“): „სამოცი წლის ალექსანდრე ორბელიანი, ორმოცდაშვიდი წლის ლავრენტი არდაზიანი, ქრისტეს ასაკის ივანე კერესელიძე, არ ვიცით, რამდენისა დიმიტრი ბერიძე და აკაკი, ოცდამეორე წლისა, უსხედან სუფრას. შთამბეჭდავია. უხნესი ალექსანდრეა, უმრწამსი — აკაკი, ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი. მერე ისე ენდობოდა უფროსი უმცროსს, გულისხმადებს უმხელდა, განაზრახს ანდერძად უტოვებდა.“

ეს ყოველივე ერთიან სტილს ქმნის. ამ ნოველებს მარტო აკაკი არ აერთიანებთ.

4. ეშმაკიც დაუჯერებს...

„მიმზიდველი თხრობა ამოზრდილია იმ უამრავ „წვრილმანზე“, რომელნიც ავტორის მიერაა მიგნებული ძველი პერიოდიკისა და საარქივო მასალების გულმოდგინე შესწავლის მეოხებით — ესეც ანოტაციაშია აღნიშნული.

„წვრილმანები“ ბრჭყალებშია ჩასმული. სავსებით სამართლიანად. სინამდვილეში ამ „წვრილმანებს“ ეყრდნობა ყველა ნოველა და, მამასადაამე, მთელი რომანი. უამისოდ ბელეტრისტულ თხრობას საფუძველი გამოეცლებოდა. ეს ხომ ბიოგრაფიული რომანია და გამოგონილი, თუნდაც მაღალმხატვრულს, არავინ დაგიჯერებს. აქ ყველაფერს საბუთი სჭირდება ანუ დოკუმენტი, რის გამოც ასე ხშირად ახსენებს ჩვენთვის ძვირფას ოთარ მამფორიას ასევე ძვირფასი ბატონი მურმან ჯგუბურია.

აქ კი ელგუჯა თავბერიძეს ვერავინ გამოიჭერს, რადგან მის ხელთაა უტყუარი საბუთები — „ივერიის“, „დროების“, „შრომის“ პუბლიკაციები, სხვა საარქივო მასალები.

„ისეთი დარწმუნებით ამბობდა, ეშმაკიც დაუჯერებდა“, — წერს იგი ერთგან. თვითონაც ისეთი საბუთები აქვს, ეშმაკიც დაუჯერებს.

5. და მაინც, საუკეთესო...

ჩემთვის საუკეთესო ნოველა მაინც მეშვიდეა. მას ასე ჰქვია: „არ იმღერება ეს სიმღერა“. სხვათა შორის, სათაური მაინცდამაინც არ მომწონს — ჩემი აზრით — ან „არ იმღერება“ უნდა ერქვას, ანდა ასე: „არ იმღერება ეს ლექსი“.

აკაკი მოისმენს ელენე თარხნიშვილის მიერ შესრულებულ სიმღერას — „მხოლოდ შენ ერთს“.

სიმღერა მოეწონება, მაგრამ ტექსტს კატეგორიულად დაინუნებს.

უკეთესი თქვენ დაგვიწერეთო — შეჰბედავს მომღერლის დედა. აკაკი დაწერს. მეორე დღესვე მიუტანს, მაგრამ ლექსი სასიმღეროდ არ გამოდგება.

მართლაც გასაკვირი ამბავია: აკაკის უამრავ ლექსს მღერის სრულიად საქართველო. ეს ლექსი კი, რომელსაც „სიმღერა“ დაარქვა, ვერ ამღერდა.

ეს ნოველა კიდევ ბევრი რამითაა საინტერესო. არა მგონია, ბევრმა იცოდეს, რომ „მხოლოდ შენ ერთს“ — ამ განთქმული სიმღერის ტექსტი შალვა დადიანის შექმნილია, თანაც რუსული პიესის თარგმანში ჩასართავად. „პიესაში იყო ერთი ლექსი „ОДНО С ТОБОЙ“, რომელიც ტექსტისათვის აუცილებელი იყო... არ თარგმნა (უფრო სწორად, ვერ თარგმნა) და საკუთარით გავიდა ფონს. გავიდა და მშვენიერი სიმღერა გამოუვიდა“.

უფრო მთავარი: ალბათ, ძალიან ცოტა ვინმე თუ დაფიქრებულა ამ ლექსის (სიმღერის) ნამდვილ „ადრესატზე“, ყველას რომ სატრფო გვგონია, ის კი არ ვიცით, რომ 1914 წელს ის საქართველოს ჰიმნად დააგუგუნეს.

აი, რამდენი რამ გავიგეთ ერთი პატარა ნოველიდან. აქაა იაკობ მანსვეტაშვილის გულწრფელი გაკვირვებაც, იმ ფაქტით გამოწვეული, რომ მუსიკალური სმენა არც ილიას გააჩნდა და არც აკაკის.

უკვირს ეს ამბავი იაკობ მანსვეტაშვილს. სამართლიანად უკვირს.

ილიაც და აკაკიც ხომ ღვთით კურთხეული პოეტები იყვნენ. „მათ ლექსებში მუსიკაც არის და რიტმიც, და მუსიკა ხომ იგივე რიტმია, რაც პოეზია“.

პილოზი

პროლოგს მივუბრუნდეთ. მანქანაში ვსხედვართ და ქუთაისში მივდივართ. როსტომი უკვე შემითანხმდა — მომხსენებელი ვიქნები. მაგრამ „ჩემი ანგარიშები?“ ის ნოველა? — აკაკისთან საზანოელი გლეხები რომ მისულან და უთხოვიათ — ბატონყმობის გადავარდნის მერე აბაშიძეები გვიპირებენ ძალმომრეობით დასაკუთრებას და დაგვეხმარეთო.

„კარგი იქნებოდა, საზანოელი გლეხების გვარ-სახელებიც შემოგვრჩენოდა. უბრალო ამბავი ხომ არაა, აკაკის ორჯერ ეახლნენ“. — გულწრფელი დანანებით წერს ავტორი და თვითონ ჩამოთვლის საზანოელი გლეხების გვარებს — საკუთარ გვარს არ ახსენებს — ალბათ, აზნაურია და იმიტომ. ჭუმბურიძეს კი — დიდი სიამოვნებით.

ჰოდა, დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი. იმავე მანქანაში რომ ვსხედვართ და ქუთაისისკენ მივქრით, მირეკავს ბატონი ნოდარ ტაბიძე, ვისაც ის-ისაა დაუმთავრებია „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ პირველი ტომი და მახარებს:

„ქართული გაზეთის“ (ეს პირველი ქართული გაზეთია) 1821 წლის მე-12 ნომერში (გვ. 4, სვეტი 2) ასეთ ცნობას წავანყდი:

„საჩუქარნი. ოქროს საათები ურეპეტიციოდ და უჯაჭვოდ, სახელმწიფო აზნაურთ ანანია ჩუმბურაძეს და სვიმონ ჩუმბურაძეს“.

ეს უთუოდ შენი წინაპრები არიან, — დასძენს ბატონი ნოდარი, — მოგეხსენება, მასალები „ქართული გაზეთისათვის“ რუსულად ინერებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა. გვარის დამახინჯებაც ამით აიხსნება.

ანგარიში გასწორებულია!..

გია ხოფერია

# აკაკი წერეთელი და ტალახიანი დრო

კიდევ ერთი ნიგნი შემოგვთავაზა ელგუჯა თავბერიძემ. კიდევ ერთი ღონიერი ნაბიჯი გადადგა წინ. გიორგი შერვაშიძე, დავით მიქელაძე... სოლომონ აშორდია, ვარლამ შალამოვი ხომ გადმონანდინა თანამედროვეობას და ისე გვესაუბრა მათზე, ძალიანაც რომ ვეცადოთ, ვერ ამოვიღებთ გონებიდან ამ ადამიანების პორტრეტებს, თავიანთ დროში შესაფერისად ფასდადებულები რომ არ იყვნენ და ელგუჯა თავბერიძემ მოახერხა ლიტერატურული ალღობის ყოვლისშემძლებადობით გაეტეხა წარსულის კარები და იქ მომწყვდეული პატრიოტი, ფაუკაცი, პირშიმთქმელი თუ ძალაგამოუღვეელი მსოფლიო ავანტიურისტი, შედეგების დიდოსტატი საჩენო ჟამის სველიობაში სრულიად თავისუფალ, ნამდვილად მიახლოებულ პიროვნებად ექცია. იოლად არ ხდება წარსულის გამომძახება. რისი ან ვისი გამომძახებელია ორღობის ახლობოლოსთან ჩამკვდარი მზერა! ელგუჯას ძალიან შორს შეუძლია გახედვა და ამასთან მზერა მიწვედომილობამდე ჩასვლაც, სხვაგვარად იქედან ვერაფერს ვერ წამოიღებ, დღეს რომ ჩემს ცოდნას რაიმე მიემატოს და გამაკვირვოს.

ამჯერად აკაკი წერეთელი, „აკაკის ლანდი“ გვიდგას წინ. ელგუჯას ახალ ნიგნს ჰქვია „აკაკის ლანდი“, ჩემი რამდენჯერმე შეხედულებით, ამ სულკურთხეული დიდი ქართველის ლანდი კი არა, გაცოცხლებულის შემოლანდება რომაა. აკაკი იმდენად ცოცხალია თავის უძლიერეს შემოქმედებაში, არანაირი საფრთხე არ ემუქრება ნებისმიერ დროში. ეს განცხადება აკაკიმ თვითონ გააკეთა თავისივე შედეგებით, მაგრამ ეს განცხადებანი წესიერად თუ არ იქნა წაკითხული, გააზრებულ-გაცნობიერებული, რად გვინდა, იდოს საუწყვე და არ ვეკარებოდეთ. სცადეს, როგორ არ სცადეს, ტიტულიანებმა თუ უტიტულოებმა, მაღალი სმენადობის მქონე მწერლებმა, მეცნიერებმა, ჟურნალისტებმა, წაკითხეს თუ წაგვიკითხეს აკაკი, ბევრი რამ ჩვენი თვალისთვის დაფარული და მიუხედავადი გაგვიშკარავეს. არაერთს აღმოაჩნდა სულიერი ნათესაობა აკაკისთან, ივარგა იმათმა ნათქვამმა, მოატანა დღემდე, სამომავლოდაც დაგვჭირდება სისხლის გასაახლებლად.

სწორედ რომ სისხლის გაახლებას უწყობს ხელს ელგუჯა თავბერიძის ახალი რეცეპტი. გასაგებია, რომ „აკაკის ლანდი“ აკაკი ელგუჯასია, მაგრამ მის ავტორს არც დავეკითხებით, ისე გაუხდებით თანამოზიარენი ამ საკუთრებაში. მთავარია, ეს ახალი ბიოგრაფიული რომანი რაც შეიძლება მეტმა მკითხველმა იხილოს, ჩაყვას ბოლომდე, მიიღოს ამ რომანის ყოველი შენაკადის „დარტყმა“ და მერე, თუკი საჭიროდ ჩათვლის, დამაყვედროს ზედმეტად თავგამოდებულობა.

„აკაკის ლანდი“ ჩემთვის მართლაც სასიამოვნო გაკვირვებაა. სასიამოვნო იმდენად, რაც ახლავს ხოლმე ახლის დაბადებას, შენს გონებაში ცარიელ უჯრედებს რომ შეავსებს, ცალკე თაროს დაიკავებს და ისე ჩამოჯდება, ყოველთვის შესამჩნევი იქნება, განმარტოებულად, განსხვავებულად თვალხილული.

თუ ყოველი მხატვრული ქმნილება ადამიანური აღნაგობისაა, გულით, თვალებით, ფილტვებით, ხელებით, ფეხებით... „აკაკის ლანდი“ აღნაგობა საიმედოდ ჯანსაღი და მიმზიდველია. მისი შემქმნელი ზუსტად იმ გზაზეა დამდგარი, აკაკის ეპიცენტრში რომ გაარონიებს. სხვაგვარად რას მოუტანდა აკაკის წაკითხვა, მისი ბიოგრაფიის გაშეშებული ფურ-

ცლები. აფრიალე რამდენიც გინდა ასეთი დრო, მხოლოდ დამბოლოდ საკანცელარიო უშუური სუნის ყნოსვა შეგრჩება.

მრავალი თუ არა, იმ რამდენიმე მონოგრაფიისა, რომანისა თუ შერეული ხასიათის გამოკვლევებისა და ნარკვევების აკაკის შემდეგ, ჩვენი ჭიშკარი ნამდვილად უნდა შემოელო, იმერული ყოვლადმეკულობისა და საერთო ქართული განონათების პოეტს. შემოალო კიდევ. მწერლობა, ზოგადად მხატვრული ლიტერატურა, განუზომელი ძალაუფლების მქონეა და წარუხოცავ ეფექტებს უმეტესწილად თამაშით აღწევს, თამაშშია ჩანაღმული მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ვინც კარგად თამაშობს, მეტ სიცოცხლეს უანდერძებს ნათამაშებს, მეტად ინილებს და არავის ჰგონია, გამოგონილი „ბუნებრიობა“ რომ შემოგვთავაზა. ელგუჯა თავბერიძე იმდენად გაჩვეულია მწერლობას, ეს „კანონი“ ზედმინევენით იცის, მაგრამ როცა აკაკისთან გაქვს საქმე, შენზე ბევრად დიდ მოთამაშესთან, ძნელია სანავი ბოლომდე გეყოს, არ დაგღუპოს თავგამოდებულ მდინარესთან შეტაკებამ. კახელია გამარჯვება მოპოვებული, რომ არ შეცვა მწერალი და ნამდვილი აკაკი გამოცხადებისათვის ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა.

მაინც რა მოგვიტანა „აკაკის ლანდი“!

გასაგებია, რომ თავად ორიგინალური აღნაგობისაა, ბიოგრაფიული რომანი ჰქვია და ნოველებად დაყოფილი, ამასთანავე, თითოეულ ნოველს ცალკევე შეუძლია არსებობა, გაიტანს თავს, ასეთი აქ ოცდათერთმეტი, მაგრამ ჩემთვის, მკითხველისთვის, ამ მოქარგულობას მაინცდამაინც შიგ გულში არ გაუვლია. მართალია, კარგია ეს „დაგეგმარება“, გარკვეულწილად სულს გვათქმევინებს, ნაწილ-ნაწილ მიგყავართ აკაკის ხასიათთან, აკაკის დროსთან, წუხილთან, სატიკვართან, ერთბაშად არ ხდება იერიშის მიტანა ამ რომანში შემოხაზული სივრცის გაღვანთან, სწორადაა გათვლილი მწერლის მიერ, ხორცშესხმული ჩანაფიქრი უდანაკარგოდ მოეტანა ჩვენამდე, რომ მის მიერ „რეკონსტრუირებული“ აკაკის თანამედროვეობა უწყვეტი სანახაობაც ყოფილიყო და ამავე დროს მონუმენტურიც.

„აკაკის ლანდი“ დოკუმენტურის, ფაქტიურისა და მწერლის წარმოსახვის ნაზავია. უპირველესი მიზანი აკაკის ბიოგრაფიის, პოეტის პიროვნული და სულიერი პორტრეტის დეტალობრივი დახვეწა, დარჩენილი სიცარიელების ამოვსება, ცოცხლად აღქმვა. ელგუჯა თავბერიძემ ახალი ბათქაშით „შეაღამაზა“ ის გარდასული ბარელიეფი, რომელზეც აკაკის დრო იყო აღბეჭდილი, და ეცადა „ცხელ-ცხელი“ ამბებისა თუ სხვა ტიპის კორესპონდენციების ფაქტურა ისტორიულ ქრონიკებთან შეედარებინა, „მტყვანი და მართალი“ გამოეცალკეებინა, რეალობა აღედგინა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა თავად აკაკი, მისი ნაცნობ-უცნობები, მაშინდელი ლიტერატურულ-პუბლიცისტური პრესა, მწერალთა, ჟურნალისტთა, სტუმართა, შინაურისა თუ გარეულის სადღიურო ჩანაწერები და ზომიერად, ფრთხილად მოზომილი მწერლური სიტამამე, გამხედვარობა.

ამ რომანით მე ვხედავ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის თბილისს, განსაკუთრებით ქუთაისს, სადაც ყოველთვის იყო აკაკი, ხონს, საჩხერეს, მთელ საქართველოს, მის უამრავ კუთხე-კუნჭულს, სხვაგანაც რომ მინახავს, სხვა რომანებში, დამახსოვრებია კიდევ, მაგრამ „აკაკის ლანდი“ თავისებურ, საკუთარ განათების ფერებს გვთავაზობს, თავად აკაკის მოგზაურობა, მისი სჯა და ბაასი სულ სხვა სიმძლავრის ნათურებითაა განათებული ამ რომანში.

აქ ჩანს მაშინდელი საზოგადოების ნაირფეროვანი საზრუნავი, დაწყებული დაღუპული მამულის პატრიოტების სულისკვეთებიდან, გასრულებული სათავადაზნაურო ნინამძლოსის თუ მარშლის საარჩევნო კამპანიით, აქვეა თავმოყრილი უამრავი, უკვე აშორებული, გახრწნილი პრობლემები, რომელთა დაძლევა არ სურთ, არ შეუძლიათ, ან გუნებაშიც არ მოსდით ქართველებს, აქაა სხვა ტომის ზეიმი დამხვედურთა გულუბრყვილობისა და ეროვნულობაგამოცილობის გამო, აქაა უამ-

რავი ჭირი, ქვეყანას სახე რომ დააკარგვინა, ჩაძირა და გააცამტვერა, მტრის კალთაში არხენინად მოყურებული „დიდი ქართველები“, მათი უაზრო თავები კი იმპერატორებს ხან ორდენებსა და მედლებს სთხოვენ ან უბრალო ვენზელებს, ერთგული ძაღლების შესახედაობა რომ არ დაეკარგოთ. ამ დროს პოლონელები ძლიერ მუშტად არიან შეკრულნი და სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ერთად თავიანთი ენის ხელშეუხებლობისაკენ მოუწოდებენ რუსხელმწიფეს. მოკლედ რომ ვთქვათ და არცთუ ძალიან გადაჭარბებულად, საქართველო სანაგვე ორმოს დამსგავსებია და თითოთროლა გულატიკივებული იმედზეა ქვეყნის უკეთესი მომავალი შეჩერებული.

აკაკი წერეთელს გაჩერებულს ვერ ნახავთ რომანში. იგი ხან აქეთ აწყდება, ხან იქეთ, ეძებს თანამოაზრეებს, გაუთავებლად წერს „ცხელ-ცხელ“ ამბებს, ერთი რომ არაა გაციებული, მეორე აქვს დანყებული, ბევრს ბეჭდავს, უმეტესად ხელმოუწერლად ან ფსევდონიმით, ზოგს ვერ აქვეყნებს, აჩერებენ რედაქციები მის კორესპონდენციებს, მაგრამ აკაკის ქუჩის ბოლოშიც რომ წამოცდეს ვინმეს საყვედური, ერთ საათში ქალაქში ჭორია უკვე აფრდნილი... იბრძვის აკაკი ამ წერილებით, პირდაპირ თავში ურტყამს კომბალს ყველას, ვინც არ მიაჩნია საქვეყნო საქმის მკეთებლად, კეთილსინდისიერად, მაგრამ შედეგი არ ჩანს, უბერავს ქვეყანაში ბოროტი ქარი და ყველა ხარბად ისრუტავს მისგან მოტანილ ბაცილებს.

რომანში არცთუ ფარულადაა გამჟღავნებული აზრი — ბედნიერებაა გყავდეს აკაკი წერეთელი, მაგრამ უბედურებაა ის, არ უსმენდე მას, ყრუ იყო და ბრმა. საზოგადოება აკაკის მწარე სიტყვას, მის სატირულ-იუმორულ ფრაზას მართალია დატუქსვად ლებულადა, ბევრი ამის გამო განაწყენებული იყო, მაგრამ იშვიათად თუ იგრძნობდა ვინმე, ის სიტყვები და ფრაზები ენის ფხანა კი არა, სისხლხნარევი ცრემლი იყო. ქვეყანა, სამშობლო ხელიდან გეცლებოდეს და არ ინძროდე მის გადასარჩენად, პირუტყვულ ქვეყას უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანურს. ზოგჯერ რომანშიც ჩაიხედოთ: „მკითხველები, გულშიც რომ არ გაევილო, იმაზეც ფიქრობდნენ, ეჭვიანობდნენ, ყოველ სიტყვას ფაცერში ატარებდნენ — აქ იმას გულისხმობს, იქ იმასო, ზოგი მართალი იყო, ზოგი ალაბალას მოედებოდა. თვითონვე ამბობდა, ცხვარივით ერთი დაიძახებს „ბეო“ და სხვებიც „ბეო“ აპყვებინაო.

დანერილს, თუ მოახერხებდა, აქვეყნებდა კიდეც, თუ არადა, ხელთუფლიშვილებისა და ნიკოლაძეების ოჯახში წაკითხული კაიხელა ტირაჟით დაბეჭდვას უდრიდა. იქ ნათქვამი უცებ ვრცელდებოდა, ქუჩის ბოლოში რომ არ გეგონა თუ იცოდა ვინმემ, უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. ქარივით მიმოქროდა, აკაკის ეს დაუნერია, აქ ის უგულისხმია, იქ — ისო. ერთნი სხვანაირად ყვებოდნენ, მეორენი — სხვანაირად, ამბებდნენ რალაცას, მესამენი პირველ-მეორის ნათქვამს თავისებური ინტერპრეტაციით იმეორებდნენ და ბოლოს თოვლის გუნდასავით აგორგოლავენდებოდა, მჭლე მსუქანი გახდებოდა, ზვავ-მენყერივით დაქანდებოდა“.

რომანში ერთ-ერთ ნოველას „ტალახიანი დრო“ ჰქვია. გენერალ სპირიდონ მაჭავარიანზეა უმეტესად ლაპარაკი ამ ნოველაში. ეს მაჭავარიანი რუსის სამსახურში მდგარა, მაგრამ ბევრი კარგი ქართული საქმეც ჰქონია ნაკეთები. მოსწონდა თურმე აკაკის იგი, თუმცა ლექსი რომ დანერა „ნადირობა“, ერთ-ერთ ერთგულ ძაღლად (უფრო მელად) სპირიდონიც გამოიყვანა. ნოველაში გამართულია სპირიდონისა და აკაკის დიალოგი. მრავალადა იქ სატიკვარი, აკაკისაც უთქვამს კარგა ხნის მერე, უფრო უკეთესი კაცი გამოვიდოდა მაჭავარიანისგან, ტალახიანი დროს რომ არ დაბადებულყო. არაა აქ რთული ეპითეტი ნახმარი, გასაგებია, რა ატალახებულ დროზეცაა საუბარი, თავადაც აკაკი ამ დროში მოღვანებოდა. მართალია ტალახით თვითონ არ დასვრილა, მაგრამ სიცოცხლე ხომ ჰქონდა გამწარებული, იშვიათად თუ გამოერეოდა მზიანი დღე.

რომანის უმთავრესი მაგისტრალი აკაკის ფიქრსა და ნუხილზე იმართება. მართლაც იმ ტალახიან დროში ვის ექნებოდა გუნება-განწყობა, ეკითხა ილიასა და აკაკის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებები, მიეხედა სულხან-საბა ორბელიანისაკენ, გურამიშვილისა და რუსთველისაკენ, ვის ეცალა ასეთი „პატარა“ საქმეებისათვის! ქუთაისის ბულვარი დრო და დრო მხოლოდ მოკენჭებით ივსებოდა, წინასწარ გადაბირებული, ნამუსგაყიდული თუ გარეცხილი თავადაზნაურებისგან, რომლებიც იქეთკენ გადაქაჩავდნენ სასწორს, ვინც კარგად გამოაძლებდათ. ხოლო წერეთლებსა და ლოლობერიძეებს, ნიჟარაძეებს და კიდევ რამდენიმე გავლენიანი გვარის მქონეს თანამდებობები არ სწყინდებოდათ და ნასუფრალიც ბლომად ჰქონდათ მომხრეების საშოვნელად. აკაკი მაინც წერდა, როგორადაც ეწერებოდა, ილიაც წერდა და ქვას ქვაზე ადულებდა, არ ჩერდებოდა ვაჟა, არც სხვები, ამათი მიმდევრები არ ჩერდებოდნენ, ათასჯერ მოხვდათ ის ტალახი, რითაც დაბინძურებული იყო ქვეყანა, გაჟალტამებული ადამიანის სული, ხვდებოდათ ტალახი და მაინც არ ისვრებოდნენ, მაინც მოუწოდებდნენ დიდსა და პატარას, სამშობლოს სიყვარულით ეცხოვრებათ, ნუ გაატალიებინებდნენ თავის მიწა-წყალს უცხოს, გადამთიელს.

„აკაკის ლანდი“ ამდაგვარად აშლილ უამრავ სადარდებელს წარმოაჩენს ხოლმე წარსულიდან, ახლაც რომ ვერ დაიგულებს თავს განკურნებულად, და აშკარად გვარწმუნებს, რაოდენ დიდი ნათესაობა აქვთ ერთმანეთთან ყოველ ტალახიან დროს. ზოგიერთ ამბავს სულ არ ჭირდება გაცოცხლება. იგი მოუწოდებელ სენივით გვაზის გულზე და გვეკორტნის. ისიც შეიძლება იფიქრო, ზოგჯერ აკაკი მეცხრამეტე საუკუნეში კი არა, ჩვენს თანამედროვეობაში ცხოვრობდა. ლოტოს მოთამაშე ქუთაისელი ქალები, თავიანთი აზროვნებითა და გულგრილობით დაახლოებით იგივე „რა ჯგუფის“ ადამიანები არიან, როგორები ჩვენს დროშიც არსებობდნენ — აფხაზეთი სისხლისგან იცლებოდა, ესენი კი ანტალიაში ისვენებდნენ ან თავიანთი ქმრების თუ ახლობლების ნაძარცვს ეფოფინებოდნენ...

აკაკი წერეთელი კი ერთ დაქცეულ ამინდში, ღვარად რომ მოდიოდა წვიმა და ქვეყანას ნალექვით ემუქრებოდა, ხონისკენ გარბოდა, სოფიო წულუკიძე რომ ენახა, იქნებ რამენაირად მოეხერხებინათ კეთილშობილი კაცის გაყვანა თავადაზნაურთა მარშლად, რადგან ამ თანამდებობაზე მყოფს ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო, თუ მოინდომებდა. ნამდვილად იყო ეს პრობლემა მოსაგვარებელი „გუგულა მამულიშვილების“ მომრავლების პერიოდში.

აქვეა გაავებული მარტის საოცრად შემტევი სურათი, რომელიც თავად ამ სურათის შინაარსს შეიძლება არც სცილდება, მაგრამ შიგადაშიგ ნამდვილად ეხმიანება რომანის წერტილულ რიტმს, ტრაგიკულ დაზარებას ჰგავს: „მარტის ცრიატი, ნისლებმებურვილი ცა უცებ აიგრაგნა, გაშავსარკვედა და დასცხო წვიმამ. ზემოდან სიშავე, ქვემოთ წვიმის სითურე ჩამოემხო დედამიწას. ჩანდა წვიმა და იმის იქით არაფერი. წვიმდა თვალშიუდევნებელი კოკისპირულობით. ცხენები, თითქოს ფეხებს შორის მანძილი საგანგებოდ დაიმოკლესო, ჩოჩი-ალით მიაგორებდნენ ეტლს. მგზავრი და მეეტლე იმის შიშით, ცხენებმა არსად გადაგვყარონო, თვალგაცეცებულნი იცქირებოდნენ წვიმისფერში...“

ჩემი მიზანი არაა, რომანში კარგად მოთხრობილი ამბების მოყოლა, მკითხველი თავად გააჩვენოს, სად უფრო დიდხანს შეყოვნდეს, მეტი იფიქროს, უფრო ჩანდეს თქმულის დედააზრს და სად იოლად მოიძიოს ფონი. მაგრამ არც ასე მალე განსაშორებლად მეტეება „აკაკის ლანდი“. ჩემთვის იგი არაა მხოლოდ ეპოქის მხატვრული გააზრება ან, სხვის ენაზე რომ ვთქვათ, ინტერპრეტაცია. გარკვეულწილად დოკუმენტიცაა, მოცემული დროის საბუთი თუ პასპორტი. აკაკიც ესა თავისთავად. რომანის ავტორმა უმეტესწილად პუბლიცისტიკიდან

ნაკითხა პოეტის მოქალაქეობრივი პორტრეტი, სადაც უფრო ხელშესახებად, უფრო მეტი რეალური ფაქტების მოხმობითაა ესა თუ ის საჭიროვარამო საკითხი წარმოჩენილი, თორემ გაუფიქრებელი გატეხილი სჯობია, რომ იტყვიან, ისინიც არანაირად არ მოიკოჭლებენ თავიანთი მხატვრული განზომილებებით. ცხადია, ეს შესანიშნავად იცის ელგუჯა თავბერიძემ, მაგრამ ისიც მშვენივრად მოესხენება, რომ ხმალშემართული, სიმართლისმთქმელი და დაუზოგავი აკაკი სწორედ ამ ტიპის ნაწარმებში უნდა ვეძიოთ, იქ უფრო ნამდვილია იგი. კი ბატონო, იქ, იმ მეორე ნაპირზე, განზოგადოებული, საყოველთაო სახეები სხედან, რომ არ აკლიათ ამაღლება ჰეროიკულ ხიბლამდე, მაგრამ აქაცაა უბერებელი ხასიათები, მართალია ზოგჯერ იოლი ალგორითმით წარმოჩენილი, ადრესატსაც რომ არ გაჭირვებოდა საკუთარი თავის მიგნება, გულში მოხვედროდა ნასროლი ისარი, მაგრამ მათთვისაც არსებობს შესაფერისი ქანდაკება, საიდანაც ემარჯვებათ ხოლმე რეალობის დასურათება. რა დოზისა და მხატვრული ეფექტების მფლობელებად ჩავთვლით მათ, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია მათ გამოაცხადონ ომი და გადავიდნენ შეტევაზე.

აკაკი წერეთელს ასეთი ომის გამჩალებლები თავის დღეში არ შემოლევია. ელგუჯა თავბერიძემ მათგან საუკეთესო მეომრები შეარჩია და მათი ავტორის მიმართულებანი მიმდინარე საჭირობოტო პროცესებთან არანაკლები ტემპერამენტით წარმოაჩინა და ბევრ შემთხვევაში გასცა, გაამხილა აკაკი, მოუხსნა ალგორითა და კროსკორდული ჩანაფიქრები „გადმოთარგმნა“. რომანში აქა-იქ შემხვედრი სავარაუდო გამოთქმა — „შეიძლება ასე ყოფილიყო“ — მერე და მერე მოხმობილი საბუთების მოშველიებით სინამდვილესთან უფრო ახლოს დგას და აკაკის გამოცანაც განეიტრალებული ხდება. ამ ნესით და რიგით რომანის ავტორი აკაკისა „ესმარება“ და ჩვენც, ზოგიერთი თვალსაზრისით უცნობ აკაკის შეცნობილად გვახვედრებს.

ბევრ ჭირ-ვარამზეა საუბარი „აკაკის ლანდში“. ყველას ვინ განვებდა ამ მოიხსენიებს, შორს წაგვიყვანს ძალიან. აქა-იქ, მთლად მწარეზე, თავის შეკავება კი გაგვიჭირდება.

არჩვენებზე ოდნავი კბილისგაკვრით ვთქვით ზემოთ. ყოველთვის ერთნაირი ყოფილა ეს არჩვენები. პატრიოსანი კაცი ვერ გაეკარება ამ პროცესს. მოკენჭეობა კი შეგიძლია, თორემ უფრო შორს წასვლა არ უნდა მოინდომო. თვითონ აკაკიც გააბრიყვეს, მაშინდელი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობა მოანადინებინეს, მაგრამ ისე მშვენივრად გაუყალბეს ხმათა დათვლა, ძლივს შესამჩნევადაც არ გადაჰკვრიათ სახეზე სასირცხო ფერი და არც იმაზე უჯავრიათ, პოეტს რომ უთქვამს, ჩემზე უკეთესი არავინ აგერჩიოთო. ეს ამბავი სიჭარმაგვეში მოუხდა აკაკის და ამიტომაც გასაკვირი. გაცუცურაკებისა და თხასავით ერთმანეთის გაყიდვის ფაქტს ადრე უამრავჯერ შესწრებია. მაინც მოტყვილდა. დაინტერესებული კაცი რომანში უამრავ მასალას ნახავს მეტხრამეტე საუკუნის ამ ახალმომატებული ავადმყოფობის შესახებ. აქ მხოლოდ იმერეთის ამბებია მოთხრობილი, მაგრამ საკმარისია სრული საქვეყნო სურათის დასახატად. ხელჩართული ბრძო-



აკაკი წერეთელი

ლა იყო გაჩაღებული გუბერნიისა და მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლობის გამო, დაუნდობელი ბრძოლა, რას დააკლებდა ამ გაცეცხლებულ კენჭომანის აკაკის პასკვილები, უკიდურესად გაცხოველებული კალმის წრიალი, მაგრამ მოკლემეტრაჟიანი ფილმები, დოკუმენტური სანახაობანი ნამდვილად შემოგვინახა. ელგუჯამაც არ დაიშურა ძალა აკაკისა და მისი მოკენჭე თანამედროვეების ფრონტი გაეშალ-გაეფართოებინა და, ფაქტობრივად, როგორც სხვა ვითარებაში, აქაც მოთავებული სცენარი დაედო.

ასევე ერთი თავსატეხია ამ რომანში სომეხთა მოძალებისა და ჩვენში დამკვიდრების დემონსტრაცია. ჯერ „სომეხი მენავეები“ ნავიკითხოთ, მერე კი „ჭიანჭველების ბუდე“. განწყობის, შავი განწყობის მოსვლა თუ რა უბედურებაა, კარგად რომ ვნახოთ, შევიგრძნოთ. ბუნებრივია, ჩვენთვის ამ რომანის გარეშეც ბევრი რამაა ცნობილი დიდ სომხურ გადმოსახლებაზე, აკაკის წერილებიც გვინახავს, მაგრამ აქ, ამ რომანში ისეთი ცეცხლი აქვს შენთებული სომხურ „სტუმრინაობას“, იმას მაინც იფიქრებ, ჩვენსას რას გვიშვებოდნენ და თავისას, თავის მიწაზე რას დაგვმართებდნენ, რატომ ვიყავით ასე დოყლაპიები, რატომ გვეკიდა ასე ფეხებზე სამშობლო, რატომ მივეციტ ნება სხვას, ამჯერად სომეხს, რომ თბილისში მოსულ ოფიციალურ სტუმარს პირველი სომეხი შეხვედროდა, იგი მისალმებოდა პირველად, რატომ აქებდა ლორის-მელიქოვს ნიკო ნიკოლაძე, როცა საქებარის მეტი რა ჰყავდა ქართველთა შორის... „მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ კიდევ უფრო ძლიერ მაგრძნობინა, ვიდრე ოდესმე მიგრძენია, თუ რა საყვარელი და ძვირფასი იყო ამ არაჩვეულებრივი ადამიანის მძივბელი გონება და უანგარო, ცხელი გული, ერთ-ერთი იმ საუკეთესო კაცთაგანისა, როგორიც კი ოდესმე ცხოვრებაში შემხვედრია. გონებიდან არ მშორდება ის აზრი, თუ რას მისცემდა იგი სამშობლოს, უფრო განვითარებულ საზოგადოებაში რომ დაბადებულიყო და მოღვაწეობის უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონოდა...“

რომანში არის ეს ციტირება და მეც მოვიტანე, რადგან „მოვიხიბლე“ მხატვრული ნეკროლოგის პათოსით. რა გაუკეთა ასეთი ნიკოლაძეს ლორის-მელიქოვმა, ძნელი სათქმელია, ხოლო აკაკიმ და ილიამაც, მიუხედავად მიხელი ტარიელის ძისა და ნიკო ნიკოლაძის თავგადაკლული ძმაცაცობისა, პირველმა „ჩვენი მიხაკათი“, ხოლო მეორემ „ქვათა ლაღადით“ მინასთან გაასწორა სომხობა თავიანთი გაუმძღარი პოლიტიკის გამო.

აქვე გასახსენებელია რომანიდან აკაკისა და ავსარქისოვის დიალოგი. ქუთაისში საუბრობენ ისინი. ქართული შესანიშნავად იცის სომეხმა, აწყობილი აქვს აქ საქმე, მეტიც ქალაქის მართვაშიც აქეთ წილი. იქეთ თბილისი, აქეთ ქუთაისი! მწარე და დაუნდობელია ამ ორი ადამიანის საუბარი თუ შეჯახება. აგერაა ქუთაისში და გედიდგულეება, თუმცა სიმართლესაც ამბობს, ნირს გიფუჭებს. მაგალითად, ავსარქისოვი აკაკის ეუბნება (ნიჭსა და ყაირათზეა საუბარი): „ვაჰ, თქვენ კიდევ ანგრევთ და ვერ დაგინგრევიათ. იჰ, ღმერთია მონამე, გროშს გროშზე ვანებებთ, ვატყუებთ, ვატყავებთ, მაგრამ სანყაული მაინც არ ივსება. დაგრიბვართ, თქვენ მხარეთიძოზე წოლისგან გვერდები გტკივიათ“.



მართალია ელგუჯა თავბერიძე — „აკაკი და სომხობა ვრცელი თემაა“.

ცალკე უბედურებაა იარაღიანციის იარაღი, ამავე სახელწოდების ნოველაში ისევ სომხური სტიქიის შესახებ რომ მოგვევლინება. აკაკის წერილია აქ გახსენებული — „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო“ და რომანის ავტორი თავიდანვე შეგვაშაბადებს ხოლმე საკითხის „ასათვისებლად“. აკაკის შესახებ ამბობს: „საქართველოს კუთხეების წარმომადგენლებსაც საინტერესოდ ახასიათებდა: ქართულს ჯერ ძინავს და გაღვიძებას არ აპირებს, იმერელი, თუმცა ფიზიკობს და შრომობს, მაგრამ შეძენისათვის კი არა, სხვის დაკლებისათვის (ამას აკაკი თუ მოიფიქრებდა). თითოეული ყველას მტერია და ყველანი ერთად იმ ერთისო. ჩანგურზე მოლილინე გურული კოხტაობით ერთობა, მეგრელი წვრილმანებში ფლანგავს დროს, სვანს ჯერ კიდევ კომბალი არ გაუგვია ხელიდან, სომხებს ძმურად ჩაუკიდიათ ერთმანეთისთვის ხელი და არა-თუ კარგავენ, ჩვენს დაკარგულსაც პატრონობენო.“

ქართველთა თავმიცემულობასა და სომეხთა ზღვარს გადასულ დაუქმყოფილობასაც ააშკარავებდა. რაიმე მატერიალური სარგებლობა რომ მოჰქონდეს, დედა ენასაც წაგვართმევდნენ, მაგრამ ჩვენს ქართულში სახეიროს ვერაფერს ხედავენ და გვინდობენო.

ეს გაფრთხილება უფრო საგანგაშო სიგნალი იყო, თუ დასჭირდებათ, ქართულ ენას თავისად გაასაღებენ, სომხურით შეკმაზავენ და მოდი და უმტკიცე, თქვენი კი არა, ჩვენი მშობლიური ქართულიაო“.

აი, ასეთი დაუდევარი სინამდვილის სურათი.

ხოლო ამ ტერ-დავით იარაღიანცის სომხურიდან ქართულად კომედიები უთარგმნია, თანაც ჩინებული ქართულით, ქუთაისში ჩამოსულა, სომხური სკოლა დაუარსებია, რუსულად და სომხურად ასწავლიდნენ ამ სკოლაში, თავისიანებს ხომ ასწავლიდა და ასწავლიდა, მგონი ქართველებიც მიაყოლა ზედ, გაქართველებულ სომეხებზე რომ არაფერი ვთქვათ და, აგერ შუაგულ საქართველოში რუსებსაც უქიცინებდა კუდს და საკუთარ ჯიშსაც. ვერაფრით უშლიდ ხელს, იმდენი თანამზრახველი, იმდენი ქომავი ჰყავდა. ამ იარაღზეა საუბარი, ამ მარჯვედ მოფიქრებულ იარაღზე...

როგორც მოგახსენეთ, „აკაკის ლანდი“ ოცდათერთმეტი ნოველისაგან შედგება. ყველა ისინი ხალასი შენაკადებია მთავარი მდინარის. ვიდრე ცალკე მიეძინებინა მართლა ნოველები, მართლა დამოუკიდებლად არსებული სადასტიყვაობანი არიან, სრული მხატვრული ალჭურვილობით ნაკვები და მრავალსახიერად განფენილნი, არცერთი რომ არ გვტოვებს გულნაკულს, შთაბეჭდილებით ხელმოცარულს, მიუერთდებიან თუ არა ხერხემალს, განწყობიან მალეზად, ზუსტად მიგნებული აქვთ თავიანთი ადგილი, რაც მათი სიცოცხლის გახანგრძლივებისა და უწყვეტობის შესანიშნავ ნიმუშად აღიქმება. მეტი პათეტიკურობითაც შეიძლება ამ სანახაობის წარმოდგენა: ეს მოძრავი რომანი კარგა გრძელ სამატარებლო შემადგენლობას ჰგავს, რომლის ყველა ვაგონი ნაირნაირი ტვირთითაა ავსებული, მათი ფანჯრებიდან აკაკის თვალებთან ერთად იცქირება გარდასული დრო და სივრცე, კარგა ხნის წინათ ჩავლილი საზოგადოების საქმიანი თუ უსაქმო, სასარგებლო თუ ურგები, მკვირცხლი თუ ზანტი ფუსფუსი, აქ არ არსებობს პირველი და ბოლო ვაგონი, არანაირად არ იქნება ნუმერაციით მათი გამოცალკეება, ერთ ვაგონში აკაკი და ვახტანგ გურამიშვილი თუ სხედან და ავსებულია ის ვაგონი სამშობლოზე კაცური ფიქრითა და სატკივართა, არანაკლებია სოფლიო ნულუკიძის ვაგონი, ამ შესანიშნავი მანდილოსნის იშვიათი იერსახით რომაა მოფარდაებული და სული მიგდის, ძალიან ახლოს მიხვალ, ყურს კარგად მიუგდებ ამ ბანოვანისა და აკაკის საუბარს, იმ დროისათვის მეტად საჭიროს, აუცილებელ წამალს ქვეყნის სამკურნალოდ. ამ ვაგონებში არიან გადანანილებული აკაკის თანამედროვე ადამიან-

ბი: წერეთლები, ღოღობერიძეები, ნიჭარაძეები, მიქელაძეები, მიხეილ ჯანელიძე, ალექსანდრე ორბელიანი, ლავრენტი არდაზიანი, ივანე კერესელიძე, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ გურიელი, ცალკე სომეხები, ცალკე ებრაელები, ლოტოს მოთამაშე ქალები, ერთი კარგი რუსიც გამოერევა — სოლოვიოვ-ნესმელოვი, მერე კიდევ — ილია ბახტაძე, მიხეილ ასათიანი, ლუკა ქორქაშვილი, ფიფინაშვილი და იმდენი ვინ ან რა ჯგუფი, კინალამ ნელშია განწყვეტილი ეს ვაგონები...

მოდის ექსპრესი ნარსულიდან და მოაქვს სარკეში არეკლილი თავისი საკუთრება, რომელიც, როგორც ჩანს და გვიდასტურდება „აკაკის ლანდით“, არ გამქრალა, შეიძლება მისი რეანიმაცია და რაც უნდა თეატრალიზებული იყოს, რაც უნდა ნებიერ ლიტერატურულ ჩარჩოებში განთავსდეს, ნაკლებია ილუზია იმისა, რომ ჩვენ დიდი რეალობის წინაშე არ ვდგავართ. ეს რომანი ჩემთვის ლიტერატურული არქეოლოგიაა, სუფთად და ფრთხილად, ძალიან ფაქიზი ფუნჯით მინისგანაა განრიდებული ეპოქა, რომელიც, რა თქმა უნდა, უცნობი არ ყოფილა ჩვენთვის, მაგრამ ახლა, ამ „ლანდით“ უფრო ნაცნობია, უფრო მშობლიურად ატკივლებული გახდა.

ელგუჯა თავბერიძემ „მშრალ მასალას“ წვენი გაუჩინა, სცენარად გადააქცია, ისეთ სცენარად, კინოფილმად რომ გადავიდოთ, არაჩვეულებრივი სანახაობა გამოვა, უტყუარი, ჯანსაღი სურათებით აღსავსე. აქვს ამის გამოცდილება ჩვენს კინემატოგრაფიას და მართლაც საშური საქმე იქნება, შაურის საღიარო ფილმებზე ენერჯისა და ფულის ხარჯვის მაგიერ, „აკაკის ლანდის“, „აირევი ივერიას“ და სხვა ამგვარი ტიპის (უპირველეს ყოვლისა როსტომ ჩხეიძის შესანიშნავ რომანებს ჩვენს უკვდავ მამულიშვილებზე) ბიოგრაფიული ხასიათის რომანებს, წაკითხვისა და გონიერად გააზრების შემდეგ გამაზნებენ საეკრანოდ, მითუმეტეს გადაუდებელი საქმეა ეს, ვინაიდან ნიგნის გამოცემა ჩვენს მწირ დროში უსუსური ტირაჟით ხდება, ხოლო კინონაწარმოებს მეტი გასაქანი აქვს...

როცა ამდენ სალაპარაკოდ ღირს მხატვრული ნაღვანი ე.ი. მის მაღალ ფასეულობას წყალი არ გაუფა, თუნდაც ამ პირველი შთაბეჭდილებების გათვალისწინებით. ჩვენ ამ რომანით თავს დაგვესხა აკაკი, გაერია თუ გაიარა ჩვენს დროში, შიგ გულში გაიარა, გამოჩნდა თავის დამპყრობლური სიდარბანით იმ ქუჩებში, რომლებშიც ჩვენ დავდივართ და, რახან ნიგნის კითხვა დაგვეწყობა, რახან ვერ ვიცდით მისი აჯანყებული წერილები თვალის ერთი ჩაკვრით გადავათვალიეროთ მაინც, თვითონვე ცოცხლად დაგვიდგა გვერდით, იგივე სატირით, იგივე შემგულიანებლობით, იგივე შემართებითა და თავდადებით, რომ ნუ გავიმეორებთ გუშინდელ სიგლახეს, ცოტა იმის წინანდელ სიმახინჯეს, გადავაქციოთ ცრუპატრიოტობის სისხლი, ჩამოვირეცხოთ სახიდან ტალახი, ნამდვილ ადამიანებად გამოვჩნდეთ, სულშიც რომ გვაქვს, ის ტალახიც ამოვწმინდოთ, ამოვამოთ, გვეყო ტალახიანი დროებები, სავსეა მათი უფმურობით ჩვენი ისტორიის სანყოფი, კიდევ და კიდევ რომ ვუვსებთ მარაგს და ამით ვალაღებთ მტრის გულს... იქნებ შეიძლება ვცადოთ, ნუთისოფლურ გარემოცვაში ადამიანური ღირსებების ურთიერთგაჯიბრებით ვიცოცხლოთ, ასეთი სიცოცხლით მოვკვდეთ და ეს სიკვდილი იყოს ზეიმი, მოვუაროთ საქართველოს, მოვუაროთ ერთმანეთს...

დაიარება ჩვენში აკაკის ლანდი, თვითონ აკაკი, იგი ჩვენ არასდროს მიგვატოვებს. მართალია, იგი მინის მარილად იქცა, მაგრამ არ უთქვამს, არ განუცხადებია, სულის მარილად რომ არ მოგვევლინებოდა. ამაზე მიგვიითებს რომანის ბოლო ვაგონი, ბოლო წინადადება — „ცაზე ოქროსფრად განოლილიყო მზის ნაკვალევი“. — ანუ აკაკის ნაკვალევი, რომელიც ყოველთვის გაანათებდა.

აი, ამ სულის მარილს მიაგნო ელგუჯა თავბერიძემ. „აკაკის ლანდი“ მართლაცაა სულის მარილი, თორემ მე საიდან, რა ძალისხმევით მოვახერხებდი ამდენი მელაპარაკა მასზე.

მურმან ჯგუბურია

# ჩემი წიგნი „სიცოცხლე — პერტიკალია“

1.

ყველა ქართველი პოეტიად.

გადაჭარბებული გამონათქვამია, ცხადია, მაგრამ სიმართლესაც მოიცავს, რასაც განაპირობებს, უწინარესად, ჩვენი დედა-სამშობლოს დედა-ბუნება. ჩვენი წყალი და ხმელი, ჩვენი მთა და ველი („ვინც ეწვევა საქართველოს საოცნებო სერებს, სიმღერაც რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს“) — ბუნება განაპირობებს და ამ ბუნებაში გაჩენილი ენა („საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ“). აქედან გამომდინარეობს აზრიც, რომ თითქმის ყველა ხევსური, ყველა ფშაველი პოეტი. მოშიარე, მოკაფიავე.

ჩვენი ენა ვერტიკალია, ცაში მიდის. სამაგალითოდ, რუსული ენა ჰორიზონტია. უზარმაზარი სივრცე-ტერიტორია გააჩნია. ტოლსტოი 100 ტომის ავტორია. რუსთაველი-ერთის. ერთი ღმერთის ეპითეტია, არცერთ ენას არ მოეპოვება ასეთი სიტყვათა ნყოფა (ღმერთი-ერთი), როგორც ქართულს. ჩვენი ენა ბუნების ენაა, ცისკენ მომზირალი და ცაში მიმავალი. „მუხა პირველი იგრძნობს ალიონს“. სვანეთი პირველი ხვდება მზის ამოსვლას და გალობს „ლილეს“. ცასთან სიახლოვე პოეზიის ნათესია. „სამყარო ისაა, რაც წიგნში უნდა შევიდეს“ და სამყარო (ბუნება) შედის ვაჟას წიგნში, რა კუთხითაც მას დედა-მინის ზურგზე ტოლი არ მოეპოვება, ჩვენი ენა უმთავრესად პოეზიის ენაა. სულის, რწმენის, ქრისტეშობამდე რომ იყო ქრისტიანი, როგორც გვიტხრა წმინდა ილია-მართლის თანამოაზრემ და თანამებრძოლმა მემედ-ბეგ აბაშიძემ. სხვა აბაშიძემ „ყოვლის მთქმელი, ყოვლის არ-მთქმელი“ უწოდა ქართულს, ყველაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ ყველაფერს არ იტყვისო, კაციაო ესე იგი, ფიქრიანი და აზრიანი. აი, ამ ერთ ვცადე გადმომელო პუშკინის „ევეგენი ონეგინი“. ის ადგილები, სადაც პოეტი ბუნების სურათებს აღწერს, არცთუ ურიგოდ გადმოვქართულე, მაგრამ იმ ადგილებს, სადაც საყოფაცხოვრებო დეტალებია აღწერილი, რაც სოციოლოგიას, პუბლიცისტიკას უახლოვდება, სათანადო დამაჯერებლობა ვერ შევუნარჩუნე, რაც ისევ და ისევ ჩვენი ენის ბუნებითაა განაპირობებული.

2.

ქართველი პოეტის, ქალბატონი ლეილა გრძელიძის ლექსების ვრცელი კრებული ბუნების სიყვარულითაა გაჟღერებული.

„პეიზაჟი მოკვდა“, წერს ერთი უცხო-ენოვანი ლიტერატორი, რასაც დაუსწრებლად პასუხობს (ეპაექრება) ამ წიგნის ავტორი, სადაც პეიზაჟი კვდება, იქ სულიც კვდება, ეს წიგნი კი სულის წიგნია, შიშველი სულის. მახვენებლის და მავედრებლის ცისკენ ამავალის. „სიცოცხლე ვერტიკალია“, როგორც გვეუბნება პოეტი, სიცოცხლე და არა ცხოვრება, არცა — ქალაქი, არცა — თბილისი, სადაც ვითომდაც ავტორი იმყოფება. მაგრამ, სინამდვილეში აქ არ არის.

**სადაც ვცხოვრობთ, იქ არ ვცოცხლობ, ვცოცხლობ შორს ამ ცხოვრებიდან, რანაირად? —**

ვაპირებდი ამეხსნა და მომერიდა.  
არის ფაქტი —  
ვცხოვრობ აქ და,  
არის ფაქტი —  
ვცოცხლობ სხვაგან.  
არჩევანი არის სხვისი,  
არა — ჩემი არის,  
რადგან.

დაახლოებით მსგავსი გუნება-განწყობის გამომხატველია, მისი კიდევ ერთი ლექსი, რომლის სათაურია:

## თითნულდს

**რატომ დამირჩა მოსანატრებლად  
ცა, მინდორი და ლურჯი ფერები,  
სად ჩავებარე ტყვედ ამ ქვის ციხეს  
და ოცნებებში რას ვეფერები.  
ისე მოვკვდები, ვერ ვნახავ შხარას,  
უშბაც დამრჩება შორით ზმანებად,  
ეს არსებობა ან ახლა რას ჰგავს  
და სიკვდილის წინ რას ემგვანება.  
მეყოფა, კმარა, მოვში ამ ზღუდეს,  
მოვალეობებს მივფერთ-მოვფერთხავ,  
ამოვალ, ცოლად გავყვები თეთნულდს  
და ამ ქვის ქალაქს გულზე გავვეთქავ.**

ამ წიგნის კითხვისას ასეთი აზრი გიჩნდება: სად იყო ეს პოეტი აქამდე? რატომ არ აქვეყნებდა ლექსებს? როდის დაინყო ლექსების წერა? და მისთანანი...

მოულოდნელი იყო ჩემთვის ამ წიგნის გაცნობა და მოულოდნელობებითაა სავსე ეს კრებული. მოულოდნელია თავად პოეზია. ჯერ უთქმელის თქმა, უნახავის ნახვა და განუცდელის ნახვა, ხიბლი, რასაც ითხოვდა პოეზიისაგან ლორკა-დუენდე.

**აპრილი კარსაა, გარეთ კი თოვს,  
წრიალებს სული და გასაღებს მთხოვს.  
საშლელი, ფანქარი, ქალაღი, ფიქრი.  
ხაზები, წრეები. ნახატი, თითქმის.  
არსად. მზე, ვარსკვლავი, მთვარე და სხივი,  
ფანჯარას თავს ახლის ქარი და წივის.  
მუქდება, მუქდება, მუქდება ნახატი,  
მდინარე, ხიდი და, თუ გინდა, გადახტი.**

მდინარეში შეიძლება საბანაოდ გადახტეს კაცი, მაგრამ აქ (ამ ლექსში) ზამთარია და ეს არ იგულისხმება. ესე იგი, გადახტი და თავი დაიხრჩო? ორგემაცა ეს გამონათქვამი. გრიგოლ რობაქიძის სასწაული მინიშნება გავონდება, „პალიასტომის ტბაზე“ რომ გვესაუბრება, ივანემ ნიკოს როგორც შვილს ჩაავლო ხელი თუ როგორც (რას არ გაივლებს გულში ადამიანი!) მორს!

მაგრამ ავტორი მკითხველს აქეზებს თუ თავის თავს მდინარეში გადასახტომად? ანკი ავტორი და მკითხველი რამ გაყო. აი, ავტორ ამ ლექსის ავტორი ახლა მე მელაპარაკება და მე ვარ იგი. ხოლო ავტორი — მე. ანუ, შენ შენა ხარ, მაგრამ შენ შენ არა ხარ, ანუ ერთიც ხარ და მეორეც, ერთსა და იმავე დროს, თუმცა, როგორც თვითონ გვეუბნება, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ეთანხმები თუ არა ავტორს ხოლმე და სწორედ ეს შეუთანხმებლობა გაერთიანებს მასთან, გინდა მოკამათე-მოწინააღმდეგესთან.



ლეილა გრძელიძე

**ობობას ქსელი... ეს საოცრება, ხომ ლამაზია, მაგრამ პეპელა, შიგ გაბმული, სულ სხვა აზრზეა; ასეა, კარგო, ყველაფერი ფარდობითია, შენთვის რაცაა ჭეშმარიტი, ჩემთვის მითია.**

რამდენი რამეა ერთმანეთთან გადაჯაჭვული ამ ციციქნა ლექსში.

ობობა დიდოსტატია, ლამაზ ბადეს (ქსელს) ქარგავს, თანაც უჩინარს, ცისფერს, ჰაერის ფერს, მწერი რომ გაეზას, შეუმჩნეველს, ქსელი ლამაზია, მაგრამ პეპელა „სულ სხვა აზრზეა“ — ფარდობითიაო ყველაფერი, გვეუბნება პოეტი. შენთვის ჭეშმარიტი, ჩემთვის მითი. თემურ-ლენგი მისიანებისთვის დიდი გმირია და მარად საყვარელი. ჩვენთვის მარად მახობრებელი და მარად საძულველი. სადაა სამართალი? ერთიც მართალია და მეორეც? ვკითხვით მესამეს. მაგრამ მესამე ვის მიუდგება, ვის გაამართლებს? მე თუ გაამართლა, მართალი ვიქნები? ის თუ გაამართლა, მართალი იქნება? ვთქვათ და არცერთი ჩვენგანი არ გაამართლა, მაშინ?

**ფილმის გადაღება დამთავრდა. მონტაჟის დროა. ამოჭრით, მხოლოდ იმ კადრებს ამოჭრით. მართალი დროა. ეს შენი ცხოვრება სხვებისთვის ფილმია, ნაცარი თვალებში, მაგრამ მას ნამდვილი სხვა აქვს ვარიანტი — მონტაჟის გარეშე.**

აი, ძვირფასო მკითხველო, სად სძინავს (სად ფხიზლობს) სიმართლე („მონტაჟის გარეშე“).

ამ ესეის სათაურად ეს უნდა გამეტანა („მონტაჟის გარეშე“), ანუ, შეკრეჭა-შეფეთქება-შელამაზების გარეშე.

**აბა, რა გითხრა, გულს ტყუილად ვერ გაგიკეთებ.**

ასე და ამგვარად. მართალი თქვი და მკვდარი აღგებაო. ასე და ამგვარად:

**მტკვარიც კი ჩემი — არაა, სად იწყება და სად მიდის...**

ასე და ამგვარად:

**ხარისხურობ, არ დაგემჩნეს დადის კვალი...**

ასე და ამგვარად:

**სულელი მიწოდა, არ მითხრა მიზეზი, მივხვდი, შემიცოდა.**

ასე და ამგვარად. გულწრფელობა არაა პოეზიის ერთადერთი სასწორი, მაგრამ მისი ნაწილი და საზომია.

„ჩემთვის ლექსი არ არის ხელობა, და სიტყვათწყობისა დიდად არა გამეგება რა, ლექსი ჩემთვის შვებაა, ხსნა, თავშესაფარი გაჭირვებისას შემანუხებელი გარემოდან გასაქცევად“.

მსგავსი სიტყვები შეიძლება ჩაენერა თავის დღიურებში, ჩემი გაგებით, უბრწყინვალეს პოეტებსაც, ემილი დიკინსონს, რომლის პოეზიასაც ენათესავება, ჩემი გაგებით, ლეილა გრძელის პოეზია. „სხვა პოეტისთვის ვერ მიმიგნია“, ქართველი პოეტებსაც ნახელავი რომ შევადარო.

ტრაგიზმითაა სავესე ეს კრებული.

**ან შენ არა ხარ მშობელი მიწა, ანდა მე თავად არ ვარ ჭკუაზე.**

„ალარაფერი მეიმედება“, — გვეუბნება სხვა-ლექსში. „გამნარებული წუნდა ქარი სიტყვას: „ნახვამდის“.

**აირია გონება, ყურს არ გაეგონება, თვალს არ დაენახვება ჩემი განამანია, მივრბი. თუ არ დავეცი, იქნებ სადღაც გავექცე ფიქრს, თუ ქარი-ხვეტიამ უკან არ დამანია.**

ფორმითაც კი, როგორც მკითხველი შეამჩნევს, ქართველი პოეტის ლექსები დიკინსონის ლექსებს მოგვავსებენ. არსებობს სულის ნათესაობა, გვმოდღვრავს საქართველოს პატრიარქი.

**ზარი ტელეფონის, მოკითხვა ცივილური, ჯერ აქეთური, მერე იქეთური. გრილი ტალღების შეხება, უნაღვეო, მსუბუქი მცდელობა, სევდა გადარეკო. მგონი რომ ასეა, ასეა თითქმის. დღეს ავსებ, ფიქრობ...**

ემილი დიკინსონი ვახსენე.

**უცხო ფიქრმა გამიტაცა: მთვარე მზესთან, ცა მიწასთან, მთა ბართან და ზღვა გრიგალთან შეუღლდა და ქორწილს იხდის, ღრუბლის პასუხს ელოდება — ქარი ღელავს, წამებს ითვლის...**

კიდევ ამოვიწერო?

**შენ გაპატიო იქნებ კიდევაც, მაგრამ მე და ზღვა ვერ მოვრიგდებით, უკან წაიღოს, აღარ მჭირდება ნალალატევი მარგალიტები...**

„ტყის სიჩუმის მეშინიაო“ — გვეუბნება ავტორი.

არა ტყის, არამედ საკუთარი თავის ეშინია (იკითხება), ამ კრებული ნინათქმიდან გამომდინარე, რამაც, გულლიად რომ ვთქვა, მეც შემაშინა, — ავტორს საბედისწერო ნაბიჯი არ გადაედგა. მაგრამ გადავჩი, თავი გადაირჩინა და მკითხველიც გადარჩა.

პოეზია მკურნალია, ხოლო მკურნალთან (ექიმთან) შედარებით, პოეტი, გინდა პრეზიდენტი, ერთი რომის კეისრის გამო-ნათქვამი რომ მოვიშველიოთ, თითქმის არაფერია. ბუნება აფთიაქია, — ნერს ცნობილი ფილოსოფოსი, ბუნება, ანუ პოეზია. პოეზია კი საყოველთაო, მიუხედავად იმისა, ყველას ესმის თუ არ ესმის, რა არის პოეზია და თქვენი დიდი სადარდებელი, ძვირფასო ლეილა, თქვენს მკითხველებში რომ გადადის, პატარავდება, რადგან ჩვენ ყველანი, ერთი დიდი მთელის ნაწილი ვართ.

**იმ მთელის, რისი ნაწილიც ხარ, მეც ვარ ნაწილი, და თუ გამწირავ, მთელსაც ვწირავ, საკუთარ თავსაც, „არ მომკლა!“ — ვყვირი მე ხმამაღლა სწორედ ამიტომ, შენივე თავის შენგან მსურს დაცვა...**

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ თქვენეულ პოეზიას.

**ვერხვის ფოთოლზე დაწერილი თბილი მოკითხვა ქარს მივანდე და, სალამომდე, ალბათ მოგიტანს.**

ახლა კი, ვიდრე ქარი გზაშია, ეს ნავიკითხოთ:

**დიოდა თავსხმა, ეზოში არ გაისვლებოდა, წყალს ვენახიდან ჩამოჰქონდა შავი ტალახი, დიოდა თავსხმა, ჭექდა მეხი, იდგა სურნელი წვიმის, მინის და ათასგვარი ყვავილ-ბალახის. ახლაც თავსხმაა, ახფალტს ღვარად მოსდის ნაკადი, მხოლოდ რეზინის, სხვა სურნელი თავსხმას არ ასდის.**

ადუღებული ასფალტის, რეზინის სუნი დგას გარშემო, მაგრამ ერთი ნუგეში იმაშია, რომ არსებობს ბალახი, ასფალტს რომ ხვრეტს და ვერაფერი ვერ დაამაგრებს, რომ შეხედო, უმნეო, სიფრიფანა და სინათლე-გამავალი, უღონო, მაგრამ ღონიერი, ასეთად მესახება მე ლილა გრძელიძის

ემზარ კვიციანიშვილი

**ზღვა და სომალი**

ამას დიდი მიხვედრა არ უნდა — ნაოსნობის გარიჟრაჟზე ვე ილუპებოდა ხომალდები, მაგრამ, ბუნებრივია, მაშინ ამას ვერავინ აღწუხებდა. მხოლოდ გვიანდელ ცნობებში აისახა და ისტორიის კუთვნილება გახდა ეს ავბედითი მოვლენა. საუკუნეთა მანძილზე მსხვერპლი, მოკლების ნაცვლად, მატულობდა. ამჟამად იშვიათად გავა დღე, ზღვებსა და ოკეანეებში მომხდარი უბედური შემთხვევები რომ არ გადმოსცენ სატელევიზიო არხებმა, რაც შემფოთებასა და ძრწოლას იწვევს.

გამოჩენილ ინგლისელ რომანისტს ჯონ ფაულზს აქვს ერთი ძალზე საყურადღებო, მიმზიდველად საკითხავი ესეი „გემის დაღუპვა“ (1975), რომელიც ერთვოდა უნიკალური ფოტოების კრებულს. ფოტოებზე აღბეჭდილია დიდი ბრიტანეთის კონცხთან, სილის არქიპელაგის კუნძულებზე, სხვადასხვა დროს დაღუპული გემები. ამ ფოტოებს მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან სათავე დაუდო დაუცხრომელმა მეზღვაურმა ჯონ გიბსონმა, ვისი წამონყებაც ღირსეულად გააგრძელა მისმა ვაჟმა ალექსანდრემ და გიბსონების ოჯახი, ჯონ გიბსონის შთამომავლობა დღემდე არ შეშვებია ამ საქმიანობას, ხშირად ფატიერაკებიც რომ ახლავს.

სილის არქიპელაგში მომხდარ ტრაგედიებს თუ გადავაგლებთ თვალს, იგი ავადსახსენებელ „ბერმუდის სამკუთხედზე“ არანაკლებ შემზარავად გამოიყურება. მიჯრით ჩარიცხული გრანიტის კლდეებიდან ამოშვერილ, შავად ალესილ, ყოველმხრივ მიმართულ ეშვებს, ვინ მოსთვლის, რამდენი ხომალდის ხისა თუ ფოლადის ფერდი შეუნგრევია.

ფაულზი იმ სახიფათო ადგილებში (შუქურა „ეპისკოპოსის კლდის“ მახლობლად) ისეთ დროს იმყოფება, მცირეოდენი ლელვაც რომ არ შეიმჩნევა და, ცხადია, იქაურობა სამოთხედ მოეჩვენებოდა. კიდევაც ამბობს, ვერ წარმომიდგენია სხვა ადგილი, ცივილიზაციისგან უფრო ნაკლებად შებღალული რომ იყოსო. ფაქიზად, სიყვარულით აქვს დახატული ზღვის წვრილკისერა, მყვინთავი იხები და კეთილად მომზირალი, ყავისფერდროშჩიანი, სლიპინა სელაპი.

აქვე გახსენებულია 1743 წლის ცნობილი კატასტროფა, როცა ხსენებულ მიდამოებში ჩაიძირა ვერცხლის პესობითა და ოქროს დუკატებით გადატენილი გემი „ჰოლანდია“. ღუზა რომ ჩაგვეშვა, განაგრძობს ფაულზი, შეიძლება იმ ფსკერზე დაშვებულიყო, სადაც ჩაძირული გემების საბადოები განისვენებსო.

შავ ლაქად გამოსჩანს წყალქვეშ ვეება რიფი რეტარიერი, რომელთან შეჯახებისასაც 1875 წელს მარცხი განუცდია გერმანიის სამგზავრო გემ „შილერს“, რის შედეგადაც 335 კაცი და ქალი დამხრჩვალა. ფაულზი ასახელებს კუნძულ ჰილსტოუნს, რომლის მახლობლადაც 1707 წელს დიდი ბრიტანე-

ლექსების კრებული. არა მუხა, და არა — ძელქვა, არამედ ბალახი და ლერწამი, ქარის დამყოლი; მუხას გრიგალი ერევა, ლერწამს — არა. მუხა იბრძვის, ლერწამი არ იბრძვის, ვინც არ იბრძვის, მას ვერც დაამარცხებ. ბალახს ვერ დაიჭერ, ვერ დააპატიმრებ, რა გინდა რკინა-ბეტონი დააფარო, თავს მაინც წამოჰყოფს და წელში გასწორდება და იტყვის, ჩემი შეშინება არ იქნება, „მე ჯოჯოხეთში ნამყოფი ვარო“.

**„სიცოცხლე — ვერტიკალია“.**  
P.S. ცოტა რამ ამ ესეის სათაურის შესახებ: „ჩემი წიგნია, რასაც მინდა, იმას დავწერ და მომესურვება, რასაც მინდა იმას დავხატავ, დავწერეთ ბევრი, მივახატე აქა-იქ მრავლად... და რა მივიღე? — შენი წიგნი“.

თის საზღვაო ძალების ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტრაგედია დატრიალებულა — ერთ ლამეში დაღუპულა ორი ათასი ოფიცერი და რიგითი მოსამსახურე. ბევრ შემთხვევაში სავალალო კატასტროფის მიზეზი გამხდარა ნავიგაციის წესების დარღვევა, განსაზღვრული კურსიდან გადაცდენა.

კორნუელის დასავლეთი სანაპირო და სილის კუნძულები, ცენტრისგან მოწყვეტის გამო, აუტანელ გაჭირვებას განიცდიდა, გაუდაბურებული იყო. გემების ხშირი დაღუპვა მათი გაძარცვის საბაზი გახდა. სამწუხარო ფაქტად გამოიყურება, რომ ამ საძრახ ქმედებაზე განაწული ადგილობრივი მოსახლეობა, უბედურ შემთხვევათა ხარჯზე ხელს ითბობდა. საგანგებო ცნებაც გაჩნდა, რაც ჩასაძირად განწირული გემების ძარცვას აღნიშნავს.

ყოფილა შემზარავი ფაქტები, როცა კატასტროფას გადარჩენილები ადგილობრივ მაცხოვრებლებს დაუხრჩვიათ, რათა მათ ქონებას დაპატრონებოდნენ. ასეთი საქციელი გაფიქრებინებს, რომ ადამიანის ზნეობრივ დაცემას საზღვარი არ გააჩნია.

სილის კუნძულებზე წარმოითქმოდა ლოცვები, რომელშიც ღმერთს ვედრებოდნენ, გემი მათ ნაპირას ჩაძირულიყო; ერთ-ერთი კუნძულის (ტრისტან-და-კენია) ქალიშვილებს ასეთი ლოცვაც ჰქონიათ — ღმერთო, რომელიმე გემი დაღუპე, რათა გათხოვება შევძლო.

ფაულზი დაურიდებლად წერს, როგორ ძერებივით ესეოდნენ გაპირუტყვებული მაროდირები ჩაძირულ გემებს, ვიდრე ჩონჩხამდე არ დაიყვანდნენ. აღრიცხულია შემთხვევები, როცა მეზღვაურებზე მეტი მძარცველები იხრჩობდნენ და ამ საყოველთაო სიგიჟის შეკავება არა ძალას არ შეეძლო.

უთუოდ ტრაგიკომიკურია ასეთი კუროზული ამბავი — ერთ-ერთ ტაძარში მოძღვარი საკვირაო ქადაგებას ატარებდა. უცებ გარედან ვილაცას დაუყვირია: არიქა, გემი ილუპება! ვილას ეცალა ქადაგების მოსასმენად. იხვალა ხალხმა და დატოვა ეკლესია, მყისვე სანაპიროსკენ გაექანა. დიდად პატივცემულ მოძღვარსაც არ უნდოდა თავის მრევლს ჩამორჩენოდა და დაიძახა (თან სტიქარს იხდიდა) — თავიდანვე წესრიგი, პატიოსნება დავიცვათო. იგიც მაშინვე გაქცეულა დაედეგა. ძნელია, ამგვარ რამეს სახელი გამოუძებნო.

იმასაც ამბობდნენ, რომ დიდი კატასტროფის შემდეგ ფლოტის ადმირალს სერ კლაუდესლი შოველს, რის ვაივაგლახით, ნაპირამდე ცოცხალს გაუღწევია და ზედ ნაპირთან მისივე გემის დაქირავებულ წევრებს თუ სილის მაცხოვრებლებს გაუგუდავთ. ესეიში მოტანილია სხვა საზარელი ფაქტებიც, მაგრამ ამონერილებიც საკმარისია.

ერთი რამ სავსებით აშკარაა — სილის არქიპელაგზე გემის დაღუპვა შემოსავლის წყაროდ, სარფიან საქმედ ითვლებოდა, რაც ჩრდილს აყენებს ადამიანთა მთელ მოდგმას, სირცხვილის გრძობას იწვევს.

ჯონ ფაულზი არც შემაშფოთებელ ციფრობრივ მონაცემებს ივინყებს — მხოლოდ 1856 წელს ბრიტანეთის სანაპი-

როგობთან 1153 ხომალდი დალუპულა. 1859 წელს, უძლიერესი შტორმის გამო, კლდეებს შესკდომია და ჩაძირულა 195 ხომალდი, რასაც შუქურების ნაკლებობაც განაპირობებდა.

ხშირ შემთხვევებში ხომალდები ზედმეტად იყო დატვირთული და, ამასთანავე, მომსახურე პერსონალიც არ უვარგოდათ; ასეთ გემებს მეზღვაურები ხატოვნად „მცურავ კუბობებს“ ეძახდნენ.

ფაულზი, ბუნებით შემოქმედი, არც იმას უარყოფს, რომ ხმელეთიდან გემის დალუპვის ყურება პოეზიის და ტრაგედიის ნაზავს წარმოადგენს. აქ ერთი გარემოებაც არის, ფსიქოლოგიური თვალთახედვით საგულისხმო — ეს საშინელი ამბავი მაცქერალს უშუალოდ არ უკავშირდება, მის მიღმა ხდება. არსებობს ასეთი თავის დასამშვიდებელი გამონათქვამიც — სიკვდილი არის ის, რაც მე არ მეხებაო.

ნაწყვეტებად შემორჩენილი გენიალური რომანის — „სატირიკონი“ — ავტორი პეტრონიუსი ადამიანთა ნაირგვარ სიკვდილს ხომალდის ჩაძირვას ადარებდა: „დააკვირდი — ყველგან გემი ილუპება“.

\*\*\*

ხომალდთა ჩაძირვის გარდა არსებობს გეოლოგიური კატასტროფები და ძვრები, რაც ჩვენს პლანეტას უშორესი წარსულიდან მოსდგამს და ჯერ კიდევ დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობამდე დაიწყო. იძირებოდა და ისპობოდა მთელი კუნძულები, ცვლილებებს განიცდიდნენ ცალკეული მატერიკები და ეს დიდი ხნის წინათ არის მეცნიერულად დამტკიცებული. ყველა ჩვენგანმა იცის, რაოდენი უბედურება მოაქვს მინისძვრის აქტიურ ზონებს, რისი მოწმენიც ხშირად ვართ.

აქ გვერდს ვერ ავუვლით გადმოცემას ვეება, ფანტასტიკური კუნძულის — ატლანტიდის — ოკეანეში უეცრად დაბთქმასა და უკვალოდ გაქრობაზე. უნდა გავიხსენოთ რეალურ საფუძველს არც ისე მოკლებული მითი, სწორუპოვარი პლატონის დიალოგებში რომაა დაცული. ამ მითის ირგვლივ შექმნილია უზარმაზარი ლიტერატურა, რის მიმოხილვასაც რამდენიმე წიგნიც არ ეყოფოდა. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ რამეზე გავამახვილებთ ყურადღებას.

პლატონი ახსენებს იშვიათი თვისებების მქონე ძვირფას, ელვარე ლითონს — ორიხალკს — რომელიც მისი ფანტაზიის ნაყოფი სულაც არ არის. ამ მეტალს იცნობდნენ, მაგალითად, ჰომეროსი და ჰესიოდე. სწავლულები მტკიცე დასკვნამდე მივიდნენ; უნდა იყოს სპილენძისა და თუთიის შენადნობი — თითბერი, პრეისტორიულ ხანაში ძალზე ძვირად ღირებული.

პლატონის დიალოგში დამაჯერებლად გადმოცემული თქმულება ოკეანის ფსკერზე დაძირული უზარმაზარი, მდიდარი მატერიალური კულტურის შემქმნელ კუნძულზე, დანვრისებობით აქვს განხილული ცნობილ რუს მეცნიერს ნიკოლოზ ჟიროვს თავის შემაჯამებელ წიგნში „ატლანტიდა“ (1964), რომელშიც ავტორი უძველეს მეტალურგიასაც მიმოიხილავს. ერთგან საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება სამი-ოთხი ათასი წლის წინანდელ ეგვიპტის სამარხში ნაპოვნ თითბერის სამაჯურზე, რომელიც დ. რედერის აზრით, კავკასიური წარმოშობისაა. იგივე მეცნიერი ამტკიცებს, რომ იმხანად სპილენძ-თუთიის მადნის მოპოვება მხოლოდ საქართველოში ხდებოდა.

ნიკოლოზ ჟიროვს შესაძლებლად მიაჩნია მრავალი ათასი საუკუნის წინათ ატლანტიდის არსებობა და ფიქრობს, რომ კუნძულის დიდ არსს კავშირი უნდა ჰქონდეს ატლანტის ოკეანის ფსკერთან, რომლის შუაგულში გადაჭიმულია ჩრდილო ატლანტიკის უზარმაზარი წყალქვეშა ქედი. ერთმანეთთან გააჯაჭვულ ქედებზე, ალაგ-ალაგ, რამდენიმე კილომეტრიანი მწვერვალებია აღმართული. მეცნიერი ასეთ ანგარიშგასანევ აზრსაც გამოთქვამს — ამ საორჭოფო, ძნელად გადასანყვეტ საკითხზე საბოლოო სიტყვა გეოლოგიას ეკუთვნისო.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ პლატონი ატლანტიდას და მის მდებარეობას, კულტურას, ტაძრებს, გარშემოწერილობას, ცხრა სხვადასხვა სამეფოს როცა წარმოსახავდა, იმდროინდელი მსოფლიოს ეზოთერულ ცოდნასა და მეზობელ სახელმწიფოებში მოპოვებულ ცნობებს ითვალისწინებდა. აქ ვერ შევუდგები ჟიროვის გამოკვლევის ცალკეული, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი თავების შეფასებას, თუნდაც მოკლედ გადმოცემას, რაც ამ მოკრძალებულ ჩანაწერებს ზედმეტად გადატვირთავდა.

ერთხელაც უნდა აღვნიშნო — გეოლოგიური ძვრები და სტიქიურ უბედურებათა მომტანი კატასტროფები ჩვენს მრავალჭირნახულ პლანეტაზე, დროის მეტ-ნაკლები შუალედებით, ახლაც გრძელდება. ეს საყოველთაოდაა ცნობილი. შეიძლება გაგვეხსენებინა, რომ წყნარ ოკეანეში, მეოცე საუკუნის დამდეგს, უეცრად აფეთქდა და პირწმინდად გაქრა, ალიგავა პატარა კუნძული კრაკატაო, რასაც მთელი მსოფლიოსათვის საგრძნობი ცუნამი მოჰყვა. მიახლოებითაც არავინ იცოდა, იმ ლამაზ კუნძულს ძირში რა გამანადგურებელი ნალმი ჰქონდა დადებული და ამჟამადაც ძნელია განვსაზღვროთ, მომავალში სად რა მოხდება.

\*\*\*

ზღვაში ხომალდის ჩაძირვაზე როცა ვფიქრობ, უმალ დანტეს „ჯოჯოხეთის“ ოცდამეექვსე სიმღერის ფინალური სტრიქონები მაგონდება, სადაც ულისე და მისი თანამგზავრები აბობოქრებულ მორევში ინთქმებიან.

მანამდე თავისი უკვდავი მეგზური ვერგილიუსი დაანახევებს დანტეს, მერვე ხაროს სიღრმეში განტოტილი, ორკაპა ცეცხლის ალზე როგორ იხრუკებიან ულისე და დიომედი. იქ ადამიანთა მოდემისათვის საზიანო, მანვე რჩევების მიმცემნი იტანჯებიან საუკუნოდ. ულისემ მოტყუებით შეაპარა ტროაში ხის ცხენი. მან და დიომედმა ტროას ტაძრიდან ათენა პალადას ქანდაკება გაიტაცეს, რის შემდგომაც ტროელებმა ყოვლისშემძლე მფარველი ქალღმერთის კეთილგანწყობა დაკარგეს და ილიონი დაეცა.

„ოდისეას“ ოცდამესამე სიმღერაში ნათქვამია, რომ ზევსმა ოდისევსი დასაჯა, რადგან მან ერთგულ აქაველებთან ერთად მოძრავ კლდეებს, სცილასა და ქარიბდას, შორის გაიარა. უმალესმა ღვთაებამ გაანადგურა მისი ხომალდი, ხოლო თანამგზავრები უფსკრულმა ჩაყლაპა. თავად სასწაულით გადაურჩა ჩაძირვას, კუნძულ ოგიგისა ნაპირთან გარეცა ტალღამ და იქ ნიმფა კალიფსო მოეფარა. შვიდ წელიწადს იმყოფებოდა მასთან მღვიმეში.

ოცდამეოთხე სიმღერაში ოდისევსის მიერ მოკლული ანტინოეს (იგი ყველაზე თავხედი, ურცხვი იყო პენელოპეს შემავინრობებელ სასიძოთა შორის) მამა ევპეიტე ითაკელებს შურისძიებისკენ მოუწოდებს გამძვინვარებული — ოდისევსმა გემებით ნაიყვანა ტროაში ჩვენი უკეთილშობილესი მეომრები და ყველანი დალუპაო.

საყურადღებოა, რომ კუნძულ სკიროსზე დამალულ, ქალის სამოსიან აქილევსს, ვაჭრულად გადაცემული ულისე ჩააკითხავს (გავიხსენოთ გულანშაროში ვაჭრად ჩასული ავთანდილი), იარაღს ჩაუტანს, მხედრულ სულს გაუღვიძებს და, ერთიანად შეცვლილს, ტროაშიც წაიყვანს.

დანტე იცნობდა ჰომეროსის პოემების შინაარსს, მაგრამ მან ულისეს დალუპვა, სიცოცხლის დასასრული თავისებურად გაიაზრა და ამას თავისი წინაპირობა უძღოდა. კოლუმბამდე ორასი წლით ადრე, 1291 წლის მაისში გენუელი გემის მეპატრონეები ორი გალერით გაემგზავრნენ, რათა ინდოეთისაკენ მიმავალი გზა ენახათ. გაშორდნენ ესპანეთის ნაპირებს, მაგრამ უკან დაბრუნებულები ისინი აღარავის უნახავს. რამდენიმე წლის მერე მათ საძებნელად წასული, ერთ-ერთი დაკარგულის, უგოლინო დე ვივალდის ვაჟი, სარლეო-

ნეც უგზო-უკვლოდ გაქრა. კომენტატორები მიიჩნევენ, რომ დანტეს წაკითხული ჰქონდა გენუის ქრონიკა, საიდანაც ეს ამბები გაიგო, აგრეთვე იცნობდა სხვა წყაროებსაც, რამაც გასაქანი მისცა მის ზღვარდაუდებელ ფანტაზიას.

„ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი ულისეს დაღუპვის მიზეზად სახავს მის ბოლო, თავზეხელაღებულ მოგზაურობას. ტროას გმირი შეაგულიანებს უერთგულეს, თანშეზრდილ თანამგზავრებს (ამას ვერგილიუსის შეკითხვის შემდეგ ჰყვება ულისე; „ენეადას“ დამწერმა იცის, ბერძნები შედარებით ახალი ეპოქის შვილს, მათი ენის არმცოდნე უცხო ადამიანს, დანტე ალიგიერს, არ დაეუბრააკებთან, მოუწოდებს მათ, არ დასჯერდნენ პირუტყვულ ცხოვრებას, მოიქცნენ მამაცურად, იქონიონ სიახლის შეცნობის, უცხო სივრცეების მოხილვის ჟინი. ისინი მცირე ხომალდით ჩაუვლიან ესპანეთის ნაპირებს (იდუმალად გაუჩინარებული გენუელი ზღვაოსნების გზას გადაიან); მაროკოს, სარდინიას, სევილიას მარჯვნივ მოიტოვებენ, შეუპოვრად მიიწევენ წინ.

გამთენიის ხანს, დილაადრიან აუშვეს ღუზა. ღელვა არ აკრთობდათ. სწრაფად მოუსვეს ხოფები და ხომალდი თითქოს გაფრინდა, ჰაერში მისრიალებს. ნიჩბები ფრთებთან არის შედარებული (როგორ არ გაგვახსენდეს ამ დროს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთავარი გმირის, ნურადინ ფრიდონის მიერ აღწერილი „ნავი მფრინვალე“?!). ხუთი დღე და ღამე არიან გზაში. უკვე სხვა ცის ვარსკვლავებს ხედავენ. უჩვეულოდ თამამი, გამომწვევი, სიგიჟის ზღვარამდე მისული მოგზაურობა გრძელდება, მაგრამ ამასობაში ისინი უკიდურეს დასავლეთს, გიბრალტარის სრუტეს, ატლანტის ოკეანეს, ქვეყნიერების დასასრულს, ჰერკულესის სვეტებს მიადგებიან, რომელთა გადალახვა მოკვდავთ ეკრძალებათ. უეცრად უზარმაზარი, შავად გამომზირალი მთა აღიმართება თავგამეტებულ ზღვაოსანთა წინაშე. ამოვარდება ყოვლისწამლეკავი ქარიშხალი; ზედიზედ სამი ვეებერთელა ტალღა დაეძვრება ხომალდს, მეოთხე ააყირავებს კიჩოს და დატრიალებულ მორევში იგი ცხვირით ჩაესობა — განწირულებს აგუგუნებული ზღვა შთანთქავს. ამ ადგილის მშვიდად წაკითხვა შეუძლებელია.

მხოლოდ უმამაცესი, უგონიერესი და სიკვდილის თვალეში უკანდაუხველად ჩამხედავი გმირი თუ მოყვებოდა ასე ამადლებულად და ღირსეულად საკუთარი თავისა და მასავით შეუპოვარი თანამდგომების დაღუპვაზე. იმის გამო, რომ უახლოეს მეგობრებთან ერთად ეთხოვება სამზეოს, ულისეს სახემ დანტეს ხელთუქმნელ პოემაში ტრაგიკული იერი შეიძინა.

\*\*\*

კარგადაა ცნობილი, რაოდენ მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს წყალქვეშა არქეოლოგიას, რამდენ გაურკვეველობას, ბუნდოვანებას მოფინა ნათელი ზღვათა ნიაღში ნაპოვნმა ძეგლებმა თუ ნივთებმა, შენობათა ნანგრევებმა. ახალგაზრდობაში ნავიკითხე ერთი ნათარგმნი ნიგნი, სადაც უცნაური, ძნელად დასაჯერებელი ისტორია იყო მოყოლილი. ვგონებ ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე სწავლულებმა აღმოაჩინეს ლამაზი, დახვეწილი ორნამენტებით მოხატული ფილებით დატვირთული ანტი-

კური ხანის ხომალდი, რომელიც ალბათ უამინდობის, უეცრად ამოვარდნილი ქარიშხლის გამო, იტალიისკენ მიმავალი, ულმობელმა სტიქიამ დანთქა. ასეთ გამორჩეულ, ყველასაგან განსხვავებულ ფილებს მდიდარი რომაელები საგანგებოდ უკვეთავდნენ. მალე იმავე არქეოლოგებმა მიაგნეს დაუმთავრებელ ვილას, სადაც სანახევროდ იყო დაგებული ზღვაში ნაპოვნი ფილების ზუსტი ასლები. მასხოვს, როგორ ალაგზნო ამან ჩემი ყმანვილური ფანტაზია. ვნანობ, ის პატარა ნიგნი რომ არ შევიცნახე. ასე ბევრი რამე მაქვს დაკარგული.

უბრწყინვალესი, აღორძინების ხანის იტალიელი არქიტექტორი და ხელოვნების თეორეტიკოსი ლეონ ბატისტა ალბერტი, ვინც დიდად გაუსწრო თავის დროს, ბევრი რამ წინასწარ განსჭვრიტა ხუროთმოძღვრებასა და მხატვრობაში, ვილებს, როგორც ნაგებობებს, ტაძრებთან მიმართებასა და შეპირისპირებაში ცალკე განიხილავს.

იდილიური გარემოს, სოფლური მყუდროების მოთაყვანეს ვილა ესახებოდა ისეთ ნაგებობად, ადამიანს სულიერად რომ დაამშვიდებდა, სასურველ განწყობილებას შეუქმნიდა, ნაწარ სიამოვნებას მიანიჭებდა. ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის გახლდათ, რომ ვილა უნდა აგებულიყო მაღლობზე, საიდანაც მშვენიერი, მზერის დამატკბობელი ხედი გადაიშლებოდა. საგანგებოდ აღნიშნავდა ალბერტი, ჩრდილოეთის მხრიდან ვილას ჩრდილ უნდა ესაზღვრებოდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ვილის ღიაობას — ცხოველმყოფელი მზის, უხვი სინათლისა და ბროლივით გამჭვივრავლ ჰაერის წყაროს. ძველმა რომაელებმა და მათმა ღირსეულმა შთამომავლებმა



ივან აივაზოვსკი

მეცხრე ტალღა

კარგად იცოდნენ, რომ მთელი წლის მანძილზე „მარადიულ ქალაქში“ ცხოვრება ადამიანის ჯანმრთელობას ვნებდა. ამიტომაც ვილაზე, ბუნების ნიაღში საკმაო ხანს იმყოფებოდნენ.

ალბერტის შენობის შიგნით არ უყვარდა საფეხურები და, ამდენად, ამჯობინებდა, ვილა ერთ სიბრტყეზე ყოფილიყო განლაგებული. ამავე დროს იმასაც ითვალისწინებდა, რომელ ადგილს როგორი ორნამენტები (გეომეტრიული, მცენარეული) მოუხდებოდა. არც ის გამორჩენია, რომ აგარაკზე მცხოვრებს გართობა ესაჭიროებოდა და სანადირო, სათევზაო ადგილები შორს არ უნდა ყოფილიყო. დანტეს თანამოქალაქე, მასავით დიდ ფლორენციელს, შესაშური გემოვნების მქონე პლინიუს უმცროსის კვალობაზე, აგარაკის იდეალად ის მიაჩნდა, რომ ჭიშკრიდან გადასულ მის პატრონს თავი თავისუფლად ეგრძნო, ტოგის მოხვევა არ დასჭირვებოდა.

უნდა ვიფიქროთ — დაახლოებით ასეთი იქნებოდა იმ ძველი რომაელის ვილა, ვინაც თავის ნალოლიავებ აგარაკზე ნატიფად მოხატული ფილების დაგება ბოლომდე ვერ მოასწრო. იმის ნარმოდგენაც შეიძლებოდა, რა მოუთმენლად და ამოოდ ელოდა იგი შორეთიდან დაბრუნებულ, მისთვის ესოდენ ძვირფასი მასალით დატვირთულ გემს, ბრმა ბედისწერის გამო, ზღვის მდუმარე ფსკერზე დაძირული, საუკუნეების შლამმა და ლექმა რომ დაფარა.

P.S.

23. 09. 2012. აშკარა შეუსაბამობა იქნება, ამდენი ილაპარაკო ჩაძირულ ხომალდებზე და არ ახსენო მეჩვიდმეტე საუკუნე-



ში დაღუპული შვედეთის უზარმაზარი სამხედრო გემი „ვაზა“, რომლის თავგადასავალს ინტერნეტში („ვიკიპედია“) მოთავსებული საცნობარო ხასიათის მასალიდან ვიგებთ. გემის სახელწოდება შვედეთის მაშინდელ სამეფო გვარს უკავშირდება.

ყველაფერი ასე დაიწყო. 1625 წლის იანვარში შვედეთის მეფემ გუსტავ II ადოლფმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რათა პოლანდიელ გემთმშენებელს ჰენრიკ ჰიუბერტსონს აეგო შვედეთის ფლოტის ახალი საბრძოლო გემი. იგი ყველაზე დიდი და მძიმედ შეიარაღებული უნდა ყოფილიყო იმ გემთა შორის, რაც გააჩნდათ ბალტიკაში გამავალ მეზობელ სახელმწიფოებს. აღნიშნულ სამუშაოს დიდძალი მასალა ესაჭიროებოდა. გემის ასაშენებლად გაიჩეხა 16 ათასი ჰექტარი მუხის ტყე ანუ მოჭრეს ათას ძირ ხეზე მეტი.

ოსტატები — ჰენრიკ ჰიუბერტსონი და ხაინ იაკობსონი მუშაობას შეუდგნენ 1625 წელსვე და გემი წყალში ჩაუშვეს 1627 წელს; გემის გამოცდა მოხდა 1628 წლის 10 აგვისტოს, მაგრამ ყველაფერი სავალალოდ დამთავრდა — ტექნიკური გაუმართაობისა თუ სხვა მიზეზთა გამო, უეცრად ამოვარდნილ ქარში გემმა წონასწორობა დაკარგა და სტოკჰოლმის ნავსადგურის ახალი გაცდენილი იყო, რომ ზღვაში ჩაიძირა. სამ საუკუნეზე მეტხანს ფსკერზე განისვენებდა. მხოლოდ 1961 წელს გახდა შესაძლებელი „ვაზას“ ხმელეთზე ამოტანა. გემი საფუძვლიანად შეაკეთეს, პირვანდელი სახე დაუბრუნეს, საგანგებო მუზეუმი აუშენეს და იქაურობა შვედეთის მნიშვნელოვან საექსკურსიო ადგილად იქცა. „ვაზა“ მსოფლიოში ერთადერთი იალქნაინი გემია, მეჩვიდმეტე საუკუნეში აგებული და დაშლა-დანგრევას გადარჩენილი, სამაგალითო მონდომებით რომ აღადგინეს.

ცნობილია — მუშაობას უშუალოდ გემის ასაშენებლად შეუდგნენ სტოკჰოლმის მახლობლად მდებარე გემთსაშენში და მას ჰიუბერტსონი ხელმძღვანელობდა. ამ გრანდიოზულ ნამოწყებაში ქმედით მონაწილეობას იღებდა თვით მეფე. მან პირადად დაამტკიცა ზომები და ფლოტის მომავალი ფლაგმანის შეიარაღების შემადგენლობა. მშენებლობაზე ერთდროულად ოთხასი კაცი მუშაობდა. მაშინვე დაუწყიათ ამ გემისათვის საჭირო თუჯის ზარბაზნების ჩამოსხმა.

ზერელე წარმოადგენა რომ შეგვექმნას გემის სიდიდესა და მასშტაბზე, ციფრების ნაწილს მოვიხმობ: მისი წყალწყვა 1210 ტონა ყოფილა, სიგრძე — 69 მეტრი, სიგანე — 117 მეტრი, სიმაღლე ორმოცდაათ მეტრს აჭარბებდა. ეკიპაჟი 145 მეზღვაურისა და 300 ჯარისკაცისგან შესდგებოდა, რასაც, თავისთავად ცხადია, ახლდა აღჭურვილობა — შეიარაღება.

მშენებლობის დროსვე „ვაზას“ მიენიჭა „მეფის გემის“ საპატიო ტიტული, რაც მის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე მეტყველებდა. გემის კორპუსს ყოველი მხრიდან მრავლად ამშვენებდა მოოქროვილი და სხვადასხვაფერად შეღებილი ქანდაკებები. გემის ასაშენებლად მონვეული იყვნენ საუკეთესო ხელოსნები — მხერხავეები, დურგლები, მჭედლები, მღებავები... სტოკჰოლმის მაცხოვრებლებს ალაფრთოვანებდა და ეროვნული სიამაყის გრძობით ავსებდა ეს ამბავი. არანაკლები ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ამ გემის მშენებლობას შვედეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები. კერძოდ, სტოკჰოლმში მყოფი დანიის მრჩეველი თავის მთავრობას დანვრილებით ცნობებს აწვდიდა „ვაზას“ შეიარაღებაზე:

1627 წელს მთავარი გემთმშენებელი ჰენრიკ ჰიუბერტსონი მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი შეცვალა ზლაზიენ-ჰოლმენის ვერფის მეორე გემთმშენებელმა ხაინ იაკობსონმა. იმავე წლის შემოდგომაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გემი უკვე წყალში ჩაუშვეს.

1628 წლის დამდეგს „ვაზა“, არსებითად, აშენებული იყო. 16 იანვარს, ხელშეკრულების დადებიდან ზუსტად სამი წლის თავზე, მეფემ ინახულა ზლაზიენ-ჰოლმენის ვერფი, გემი გულდასმით დაათვალიერა და კმაყოფილი დარჩა. 1628 წლის ზაფხულ-

ში გემი ბუქსირით მიიყვანეს და ბაგირით დააბეს მეფის სასახლის მოპირდაპირე მხარეს (არსებობს მისი მოძრაობის მარშრუტისა და ჩაძირვის ადგილის ზუსტი რუკა). მის გვერდებზე დაანყვეს ბალასტი, ნამალი და სასროლი ბირთვები, ყველაფერი, რაც პირველი ცურვისთვის იქნებოდა საჭირო. თავისი ადგილი მიუჩინეს მძიმე იარაღს, დაამაგრეს ზარბაზნები.

10 აგვისტოს, კვირა დღეს, გემი გასამგზავრებლად გაამზადეს. ერთი შეხედვით ნათელი, ხელსაყრელი ამინდი იდგა. ჯერჯერობით სუსტი, მაგრამ მსტივინავი ქარი უბერავდა. ბორტზე ეკიპაჟის 100 წევრი იმყოფებოდა ოჯახებიანად — ქალები და ბავშვები. პირველი ცურვის აღსანიშნავად განზრახული ჰქონდათ დიდი ზეიმი. ამიტომაც გადაწყვიტეს, ეკიპაჟის წევრებს თან ხლებოდათ ოჯახის წევრები, ნათესავები. „ვაზა“ უნდა მოსულიყო სტოკჰოლმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ელვსნაზენის სამხედრო ზონაში.

ნავსადგურის ტერიტორიაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, გემის გამგზავრების ცერემონია რომ ენახათ. „ვაზამ“ ნავსადგური დატოვა. ცოტა ხნის მერე, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, ძლიერი ქარი ამოვარდა. რამდენიმე ასეული მეტრი გემმა ღუზების მეშვეობით გადალახა. ღია ზღვაში როცა შევიდნენ, კაპიტანმა სიურინგ ჰანსონმა ბრძანა აღემართათ ოთხი აფრა, რომელთა დაყენებისთანავე „ვაზამ“ სალიუტი მისცა.

გემი ზღვის უბეს გასცდა თუ არა, ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა, აფრები დაიბერა და გემმა გვერდზე გადახრა იწყო, მაგრამ მალევე გასწორდა და დაახლოებით 1300 მეტრი უსაფრთხოდ გაიარა. თითქმის მიაღწია სტოკჰოლმის ნავსადგურში შესასვლელ კუნძულ ბეკჰოლმენს. იქ, კუნძულიდან სულ ასი მეტრის დაშორებით, გემი ქარის ახალმა ნაკადმა კვლავ გადააფერდა, ამჯერად გაცილებით ძლიერად, რაც საბედისწერო გამოდგა. ზარბაზნების ლიობებში წყალი შეიჭრა და გემი გვერდზე გადაწვა, ამართული აფრებით, გაშლილი დროშებიანად სწრაფად იწყო ჩაძირვა. მოსაყოლად იოლია, მაგრამ ნუთით წარმოვიდგინოთ, რა სასონარკვეთაში ჩავარდებოდნენ ისინი, ენით აუწერელ საშინელებას, სიკვდილის შუგ ხახას თავიანთი თვალთ რომ ჩასცქეროდნენ...

ეს გამანადგურებელი ტრაგედია განჭვრეტილი და გასიგრძელებული ჰქონდა ვაჟს, როცა იგი „სტუმარ-მასპინძლის“ ზარით დარისხებულ ორადორ სტრიქონში მოაქცია:

**ყველა მგზავრთათვის ინთქევა, როცა ილუპვის გემია.**

ბაირონს აქვს ერთი ძალზე თავისებური ლექსი („ჯულიანი“), ხომალდის დაღუპვას რომ გვამცნობს და რამდენადმე მოგვაგონებს „ვაზას“ ჩაძირვის ისტორიასაც. უბედურება ღამით ხდება. ზღვის ზედაპირზე ქარიშხლისგან აშლილი ვეება ტალღები იგრავენება. იქ ასეთი ფანტასტიური ელფერის სურათია დახატული — ხომალდის წარჩენებიდან მცურავები წყვდიადის ქაოსში იყურებიან. სიბნელეს ჭრის (ეს ალბათ დაღუპულთა ხმები უნდა იყოს) გაბმული, შეერთებული ყვირილი, სილიან ნაპირს რომ აწყდება. დილით გაუჩინარებული კვალი აღარსად ჩანს. ხომალდის ჩონჩხი მორევის ფსკერზეა დაძირული. ყველანი დაინთქნენ, ერთადერთი ადამიანი დაუსხლტა გამძვინვარებულ სტიქიას — გემის ფიცარს ჩაბლაუჭებული, იგი ხმელეთზე გამოიყვანა ტალღამ... თავის მხრივ, ამ ლექსმა შესაძლოა გამჭრიახობითა და სიმამაცით გამორჩეული, ათას ხიფათსა და განსაცდელს გადარჩენილი საარაკო ზღვაოსანი (მას მარტოს შეეძლო ხომალდი აეგო) ტროას გმირი ოდისევსი გაგვახსენოს, მაგრამ ცალკეულ წერილობებზე ჩაღრმავება არ ღირს, უბრალო პარალელის გავლებაც საკმარისია.

ახლა კვლავ „ვაზას“ შემადრწუნებელ მარცხს მივუბრუნდეთ: სხვა გემების მეზღვაურები, აფრებიანი და ნიჩბებიანი ნავებით მალე გაეშურნენ განსაცდელში ჩავარდნილთა მი-

საშველებლად, მაგრამ მათი მისვლისას „ვაზა“ მთლიანად იყო ჩაძირული. დახრჩობას გადარჩენილები მიიყვანეს ბეკ-ჰოლმენში და სტოკჰოლმის ნავსადგურში. კატასტროფა ნაპირის სიახლოვეს მოხდა, მაგრამ ხომალდთან ერთად დაიღუპა გემზე მყოფ ადამიანთა თითქმის ნახევარი — 50 კაცი.

გამოძიებისას გამოითქვა ნაირგვარი ვარაუდები გემის ჩაძირვის თაობაზე: კაპიტანს ბრალი დასდეს, რომ იგი ნასვამი იყო (ეს ცილისწამება აღმოჩნდა), ზარბაზნები საიმედოდ, მჭიდროდ არ იყო დამაგრებული. არცერთი ეს ვერსია არ გამართლდა. საბოლოოდ გამოძიებამ დაასკვნა: ხომალდის დაპროექტებისას დაშვებულ იქნა შეცდომები. მართლაც, „ვაზას“ სიმძიმის ცენტრი მეტად მაღლა იყო მოთავსებული, თანაც ვინც თუმცა გემთმშენებლებმა, მეფისაგან ნამალევად, ორნახევარი მეტრით გააფართოვეს ის. გემის წყალქვეშა ნაწილს, კორპუსსა და არტილერიასთან შეფარდებით, მცირე წონა ჰქონდა. ამან გემს მდგრადობა დაუკარგა, ადვილი ასაყირავებელი გახდა, ძლიერი ქარის პირობებში წონასწორობა ვერ დაიცვა.

ვერფის მუშაობაზე პასუხისმგებელი გემთმშენებელი ხან იაკობსონი და დამქირავებელი ვერფისა არენტი დე გროტი იფიცებდნენ, რომ უდანაშაულონი იყვნენ — გემი იმ ზომისა აშენდა, რაც მეფემ დაამტკიცა და ხომალდზეც კონტრაქტით გათვალისწინებული ზარბაზნების რაოდენობა დაიდგა.

გემის კაპიტანმა სილოფრინგ ჰანსენმა ეს თავადაც განაცხადა გამოძიებისას, მაგრამ „ვაზას“ ვერაფერი მოუხერხებოდა — მისი აღნაგობა, კონსტრუქცია არ იძლეოდა შესაძლებლობას, უფრო მეტი ბალასტი დაეწყოთ და ამით ხომალდი უსაფრთხო გაეხადათ. გარკვეულ სირთულეს ქმნიდა ის გარემოებაც, რომ სხვებზე გამოცდილი, ფაქტობრივი მშენებელი ჰენრიკ ჰიუბერტსონი კატასტროფამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა. ცალკეულ გემთმშენებელთა დაკითხვას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. გამოძიება ამგვარად დასრულდა.

აღნიშნავენ, რომ მძიმე იარაღის, ზარბაზნების ნაწილის ამოზიდვის მერე, მყვინთავებს „ვაზას“ მიმართ ყოველგვარი ინტერესი გაუქრათ. გემი თანდათან დავიწყებულ იქნა და მონაცემები მის ადგილსამყოფელზე დაიკარგა. სამწუხაროდ, მსგავსი რამეები არც ისე იშვიათად მომხდარა. ასეთია ადამიანთა უმრავლესობის ბუნება.

ასე გაგრძელდა მეოცე საუკუნის შუახანამდე, ვიდრე „ვაზას“ ისტორიით დაინტერესდებოდა 38 წლის შვედი ინჟინერი ანდერს ფრანსენი. იმ დროისათვის XVII-XVIII საუკუნეთა სამხედრო-საზღვაო ხომალდების ისტორიის ყველაზე დიდ სპეციალისტად იგი ითვლებოდა. მისი სფერო სწორედ ჩაძირული ხომალდები გახლდათ. თანაც ფრანსენი მტკიცედ იყო დარწმუნებული — გემი კარგად იქნებოდა შენახული. ამას ხელს უწყობდა ბალტიის ზღვის თავისებური პირობები, მათ შორის, დაქვეითებული სიმლაშე, ნაკლები მარილიანობა, რის გამოც მასში არ ბინადრობენ გემის მატლები, რომლებიც ხის ნაწილებს ანადგურებენ, ჭამენ.

აქ მე თვითონ მინდა გავისხენო ძველი, ახალგაზრდობის-დროინდელი ამბავი. მას მერე ორმოც წელიწადზე მეტია გასული. მოსკოვში ყოფილისას, თავის ბინაზე დამპატიჟა გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიას“ რედაქტორმა გალინა რომ, საქართველოსა და ქართული პოეზიის დიდად მოყვარულმა, ძალზე კეთილმა ქალბატონმა. მისი ერთი წინაპარი ჩაძირული გემის — ვგონებ კრეისერ „ვარიაგის“ — მეზღვაური ყოფილიყო და მაჩვენა ხის ორი გრძელი, ოთხკუთხა, გაქვავებული ნაჭერი, რომლებიც ცერის სიმსხოზე და უფრო მეტადაც ზღვის მატლებს გამოეხრათ, გაეხვრიტათ. წარმოვიდგინე, რა საშინელი, გაუმაძღარი არსებები იქნებოდნენ გემის გამძლე მასალის ამნარად დამფქველები და მოშისაგან ტანში გამაბურძგლა. ვერასოდეს გაიგებ წინასწარ, როდის, სად მოგაგონდება ოდესლაც ნანახი და განცდილი.

მაშინ, ჩემდა უნებურად, გამახსენდა მტკავლიანი, ჭრელი და უსაძაგლესი გრძელბეწვა მატლი, ციებაშეყრილ, სიკვდი-

ლის პირას მყოფ ბენვენუტო ჩელინის (მას ხშირად ეცხადებოდა პირქუში, წვერგაბურდული ქარონი, ვინც თავისი უზარმაზარი ნავისკენ მიათრევდა) ლებინების დროს კუჭიდან რომ ამოუვიდა. ის გემის მატლებიც, ალბათ, იმის მსგავსად იქნებოდნენ შეჯგურებულები, საზარელი შესახედავნი.

ანდერს ფრანსენი დიდხანს სწავლობდა ძველ რუკებს და საარქივო მონაცემებს, რის შემდეგაც დაახლოებით განსაზღვრა წყალში გემის მდებარეობა და ძიებები დაიწყო უშუალოდ სტოკჰოლმის აკვატორიაში. ჰქონდა საგანგებო ნავი და მის მიერვე დამზადებული ლოტი, აგრეთვე, სხვა საჭირო ხელსაწყოები. გამოკვლევებმა 5 წელს გასტანა.

მოგვიანებით ფრანსენი იგონებდა: „ძირითადად მე ამომქონდა დაჟანგული რკინის ლუმელები, ქალის ველოსიპედები და დამხრჩვალ კატები...“ ცხადია, ასეთ რამეებს „ვაზასთან“ არაფერი ექნებოდა საერთო. მეჩვიდმეტე საუკუნეში ვინ აკეთებდა ქალის ველოსიპედებს? ეს გვიანდელ ჩაძირვათა გამოძახილია.

1956 წლის 25 აგვისტოს ცნობისწადილით შეპყრობილმა ფანატიკოსმა ინჟინერმა თვალსაჩინო შედეგს მიაღწია, ძიებებმა ამოდ არ ჩაიარა — ფრანსენის ჩაგდებული ლოტი რაღაც მკვირვ საგანს ჩაერჭო. როცა ლოტი ამოიღეს, მის მიღში გაშავებული მუხის ნაჭერი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის მერე ფრანსენის დამხმარე მყვინთავი იმ ადგილას ფსკერზე დაეშვა. 32 მეტრის სიღრმეზე მან იპოვა კარგად შენახული ხის ბორტი გემისა, რომელსაც ზარბაზნების ორი რიგი აკრავდა. ამან ცხადყო, რომ გემი ნაპოვნი იყო. ნამდვილად გასახმაურებელ, სენსაციურ მოვლენაზე სტოკჰოლმის გაზეთ „ექსპრესენის“ 1956 წლის 13 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა:

„კუნძულ ბეკჰოლმენის მახლობლად, სტოკჰოლმის ცენტრში, იპოვეს ძველი გემი. ეს გემი რომ ეპოვნა, კერძო პირი ხუთ წელიწადს ანარმოებდა კვლევებს“. ცოტა უცნაური კია — ასეთი აღმოჩენის შემოქმედი მხოლოდ „კერძო პირად“ არის მოხსენიებული.

გემი ზღვის ფსკერიდან ამოქაჩეს 1961 წლის 24 აპრილს, ხოლო 1990 წლის 16 აგვისტოს კუნძულ იორგერდამზე მის გარშემო გახსნეს მუზეუმი, რომელსაც სტოკჰოლმის მუზეუმებიდან ყველაზე მეტი მნახველები ჰყავს. მუზეუმში განთავსებულია კინოდარბაზი, სადაც აჩვენებენ ფილმს „ვაზას“ მთელ ისტორიაზე. გემის დათვალიერება ამჟამად ყოველი მხრიდან შეიძლება. ეწყობა ხალხმრავალი ექსკურსიები. 2007 წლისათვის ეს მუზეუმი 25 მილიონ ადამიანს მოუხახულავია. მას მერე, რაღაც თქმა უნდა, მათი რიცხვი ბევრად გაიზარდებოდა.

კი გამიჩნდა სურვილი, ერთხელ მეც შემეგლო თვალი იმ ლეგენდადქცეული ხომალდისთვის, მაგრამ ამის თავი და შესაძლებლობა ვინ მომცა. ის კი არაა, ათ წელზე მეტია გური-ში, ჩემს სოფელში ვერ ჩავსულვარ.

წინამდებარე მინანერში „ტიტანიკის“ დაღუპვაზე, ბუნებრივია, აღარაფერს ვამბობ — ეს თავზარდამცემი ტრაგედია ბავშვმაც კი იცის, კინოფილმი მაინც ექნებათ ნანახი. მხოლოდ ანეკდოტის მსგავს ამბავს გავიხსენებ, ერთი ძვირფასი, დიდად საპატივცემულო ადამიანისგან რომ გავიგონე და ჩვენს სიცოცხლისმოყვარეობაზე, გონებამახვილობაზე მეტყველებს.

სტუმართმოყვარე ოჯახში გულუხვი მასპინძელი ენამ-ჭევრ თამადას მისებურად შეუმკია სუფრაზე, უდღეგრძელე-ბია და ურყევი, რკინისებური ჯანმრთელობა უსურვებია. ნადღეგრძელეებს უპასუხნია: „თქვენ, ჩემო ბატონო, ილბალი მისურვებ, თორემ იმ ავბედით დღეს „ტიტანიკზე“ ყველანი ჩემზე ჯანმრთელები და მდიდრები იყვნენ, კიდევაც მხიარულობდნენ, მაგრამ ქე იცით, რაც დაემართათო“.

ამგვარ რამეზე ხუმრობა, ცოტა არ იყოს შეუფერებელია, მაგრამ ქართველი კაცი თავისას არ მოიშლის და სჯობს უსიამოვნო, სულისშემძვრელ შემთხვევებზე საუბარი ასე დავაძოთ თავრო.

გურამ გოგიაშვილი

# ფესტოსის დისკო ვითომ ნაკითხულია?!

(მოსაზრებები კვაშილავასა და ნაკითხვა-გაშიფვრისა გამო)

ამ ბოლო დროს უთუოდ ზეპატრიოტული სულისკვეთებით შეპყრობილი ბევრი ჩვენი მოხალისე თუ ენთუზიასტი ისტორიკოსის თავგამოდებული რუდუნება კორინთოს იმ ლეგენდარული დამაარსებლისა და პირველი მეფის შრომას მაგონებს, რომელსაც მისჯილი ჰქონდა უზარმაზარი ლოდის მთაზე აგორება. ღმერთმა ქნას, ეს ჩემი ნათქვამი ფუჭი გამოდგეს, არ გამართლდეს, თორემ ტრაბახა კაციც არ ვარგა, არამცთუ ერი და ქვეყანა... აკი ამიტომაც იმეორებდა ხშირად დიდი ივანე ჯავახიშვილი, კარგი ვარ, თვითონ ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასო. არადა ხან იმ ქოცოს ვემსგავსებით, რომ არ ეკითხებოდნენ და ის მაინც იძახდა, ასკოკიანი ვარო, ხანაც, დიდად სამწუხაროდ, იმ ჭინჭრაქას ვგავართ, რომელიც გულაღმა დანვა, ცა რომ ჩამოიქცეს, ფეხებს შევეყენებო...

კიდევ გავიმეორებ, ნეტამც სამარცხვინოდ გავმტყუნდებოდე, ოღონდაც ყველა ჩვენი ენთუზიასტი ისტორიკოსის ჯერჯერობით ბევრისთვის საჭოჭმანო მოსაზრება ხვალ თუ არა, ზეგ მაინც აღიაროს მსოფლიო მეცნიერებამ, თუნდაც ეგრეთ წოდებული პროტოქართული, ანუ კოლხური ოქროდამწერლობის თაობაზე, რაც ეგრევე ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნეში ამოგვავიწყებდა თავს, მაგრამ ვაი რომ აგრერიგად ადვილი არ არის ათასწლეულებში ჩადედაებული ჯანლისა და ბურუსის გარღვევა, მით უმეტეს, თუ ამ ჯანლისა და ბურუსის ნიაღ საძებარი საგანი მარტოდენ ჩვენი ზეპართვეულური წარმოსახვის საგანია და არცრა საერთო არა აქვს რა სინამდვილესთან.

აი ასეთი თვითკრიტიკული და „არაპატრიოტული“ აზრი გამიჩნდა ამას წინათ, როცა ინტერნეტში „ვიქიქებოდი“ და ეკრანზე, ჩემდა გასაკვირად, აღიბეჭდა, რომ ფესტოსის დისკოს საიდუმლო ამოცნობილია, რომ ეს ამოცნობილი საიდუმლო 4000 წლის წინანდელი პროტოქართული საგალობელია, რომ თიხის ფირფიტაზე ნახატ-ნიშნებით დატანილი საგალობლის ტექსტი უძველესი ქართული ენით არის დანერილი.

შემდეგ ნათქვამია, რომ 1908 წლის 3 ივლისს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში აღმოაჩინა ეს თიხის ფირფიტა, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 1850-1600 წლებით თარიღდება; რომ დისკოს ავტორები უძველეს დედალვთაება ენა-ნანას უგალობდნენ; რომ ქართველთა უძველესი ლიტერატურული ძეგლი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის „შუშანიკის ნამება“ კი არა, 4000 წლის წინანდელი პროტოქართული საგალობელია; რომ პროტოქართულები და ქართველთა მონათესავე ტომები მესოპოტამიის, წინა აზიის, შავ და ხმელთაშუა ზღვათა აუზების ტერიტორიებზე სახლობდნენ და ჰქონდათ მაღალი კულტურა, დამწერლობა და ხელოვნება; რომ ევროპული კულტურის საფუძველი არა უძველესი ბერძნული კულტურა, არამედ მასზე უფრო ძველი, პროტოქართული კულტურა გამოდის; რომ ფესტოსის დისკოს იდუმალებით მოცული ტექსტის ამოხსნას საუკუნის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ ევროპელი მეცნიერები; რომ მხოლოდ ავსტრიელმა ინჟინერ-ქიმიკოსმა ჰერბერტ ძე ბიშმა აირჩია კვლევის განსხვავებული მიმართულება, — შექმნა კომპიუტერული პროგრამა (PC), რომელშიც ნებისმიერი ენის ჩასმა შეიძლება და შემდეგ ხდება ამ ენათა შედარება დის-

კოს ნიშანთა განაწილებისთვის; რომ პროგრამას ერთადერთმა პროტოქართველურმა ენამ უპასუხა (SIC!); რომ ძებოშს გადაწყვეტილი ჰქონია ძველი ქართული ენის შესწავლა, მაგრამ არ დასცლია, 1993 წელს გარდაცვლილა; რომ უძველესი ქართული ენით შესრულებულ ტექსტს თურმე ისევ ქართველის ხელით ეწერა ახსნა; რომ ძებოშის ნაშრომებმა 19 წლის წინათ ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეს, ამჟამად ცნობილ მეცნიერ მათემატიკოსს გია კვაშილავას დაუკარგა მოსვენება და ფესტოსის დისკოს შესწავლა დააწყებინა; რომ შედეგმა ევროპა გააოცა.

აქვე ისიც არის ნათქვამი, რომ 2008 წლის 1 ნოემბერს ლონდონში, ბერლინგტონის სასახლეში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში ქართველმა მათემატიკოსმა სამეცნიერო საზოგადოებას ამცნო, თიხის ფირფიტაზე ნახატ-ნიშნებით დატანილი ტექსტი უძველესი ქართული ენით არის დანერილი და საგალობელი „ნენანა“ პელასგურ-კოლხური ნაყოფიერების დედალვთაება ნანას ეძღვნებაო. მასში გამოყენებულ სიტყვებს კი თურმე დღემდე ხმარობენ სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში.

გია კვაშილავას არგუმენტებულ ლინგვისტურ თეორიას თითქოს ჩიხში მოუქცევია პროტოქართველური კულტურის აღიარებისადმი ყველაზე რადიკალურად განწყობილი მეცნიერებიც კი და ფესტოსის დისკოს საიდუმლო ამოხსნილად უღიარებიათ...

შემდეგ მოყვანილია უცნობი ავტორის ინტერვიუ (იქნებ ავტორინტერვიუც!) მათემატიკოსს გია კვაშილავასთან. ინტერვიუში, კერძოდ, ნათქვამია:

„რას ხსნის უძველესი პროტოქართული ენით დანერილი ფესტოსის დისკო და საიდან მოხდა იგი კუნძულ კრეტაზე?“ — ამ და სხვა კითხვებით გია კვაშილავას მივმართეთ:

— ბატონო გია, თქვენი კვლევებით გამოდის, რომ 4000 წლის სახელმწიფოებრივი ისტორია გვაქვს?

— ამას ჯერ სამეცნიერო წრეების აღიარება სჭირდება. ფესტოსის დისკომ დაადასტურა აქამდე საორჭოფო თეორიები. კერძოდ, ჰუმბოლდტის თეორია იმის შესახებ, რომ ძველი წელთაღრიცხვის 4000 წლამდე ქართველური ტომები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ მანამდე, ვიდრე ამ ტერიტორიებზე ინდოევროპული ტომები გამოჩნდებოდნენ. ევროპული ტომების მიგრაციის თეორია ქართველმა მეცნიერმა თამაზ გამყრელიძემ და რუსმა ვიარჩესლავ ივანოვმა ჩამოაყალიბეს და 1984 წელს გამოსცეს წიგნად „ინდოევროპელები და ინდოევროპული ენა“.

— სად ნავიდნენ ევროპის ტერიტორიიდან წინარე ქართველები?

— სამი რამ მოხდა: დამპყრობლებში აირივნენ, გადაასახლეს და განყვიტეს. ინდოევროპული ტომები არ იყვნენ დამხვედრების კულტურის დონის მქონენი და ამიტომაც ადგილობრივი ტომებისგან ისესხეს სიტყვებიც. ჰოლანდიელი ენათმეცნიერი ფურნეე ამბობს, რომ ბერძნულ ენაში 5000 სიტყვაა, რომელთა ძირეული ახსნა შეუძლებელია ინდოევროპულ ენებზე, არადა, ამ დროს ბერძნულიც ამ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. მან ქართველურ ენათა ჯგუფები მოიშველია და დიდი ალბათობით გამოთქვა, რომ ბერძნულში 5000 სიტყვა ქართველური წარმოშობისაა.

— კრეტაზე საიდან უნდა მოხვედრილიყო ქართულენოვანი ტექსტი?

— დოქტორი ძებოში აცხადებდა, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენა — პელასგური ქართველურ ენათა დედაა. სტრაბონი კი ამბობს, რომ კოლხური ტომების ქურუმები კორიბანტები კრეტაზე სახლობდნენ და კოლხეთის მეფე აიეტის ნახევარძმები იყვნენ. კორიბანტებს ჰქონდათ საკრალური დამწერლობა, ქრისოგრაფია, ანუ ოქროდამწერლობა. პავლე ინგოროყვასა და შალვა ნუცუბიძის აზრით, სწორედ ეს საიდუმლო იყო დატანილი ვერძის ტყავზე და იმის მისათვისებლად ესტუმრნენ ბერძენი არგონავტები კოლხეთს.

აიეტის და ბარსიფაე კრეტის მეფე მინოსის მეუღლე იყო. მოკლედ, უამრავი ფაქტი ადასტურებს კრეტასთან წინარე ქართველების მჭიდრო კავშირს ბერძნებამდე ბევრად ადრე. აქედან გამომდინარე, უძველეს ქართველურ ენაზე შესრულებული ტექსტის კრეტაზე აღმოჩენა გასაკვირი არ არის. ბერძნები კრეტას მხოლოდ ძვ. წ. აღრ. მე-15 საუკუნეში დაუფლნენ.

— ტექსტში მოყვანილი სიტყვები რომელ ქართველურ ენას ან ქართულ კილოკავს უახლოვდება?

— თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის თეორიის მიხედვით, 5000 წლის წინათ უძველესი, პრექართველური ენა დაიშალა. საერთო ძირს პირველად სვანური ჩამოშორდა. დარჩა პროტოქართველური, ანუ საკუთრივ ქართული და მეგრულ-ლაზური ერთად. ძველი წელთაღრიცხვის 2000 წელს შეიმჩნევა პროტოქართველური ენების დაშლა. ფესტოსის დისკოზე ტექსტი სწორედ საერთო ქართულ-ზანურ ენაზეა შესრულებული, რაც ადასტურებს გამყრელიძე-მაჭავარიანის თეორიას. ფესტოსის დისკოზე შეიმჩნევა სვანურის გავლენაც.

— ფესტოსის დისკოზე მოყვანილი სიტყვები თუ გამოიყენება დღევანდელ სვანურში ან მეგრულ-ლაზურში?

— დიას, სიტყვები იგივეა ძირით, სხვანაირად 4000 წლის წინანდელი ენის შინაარსს ვერ გავიგებდით. სვანური და მეგრულ-ლაზური რომ დაგვეკარგა, ვერ გავშიფრავდი ფესტოსის დისკოს, რადგან ეს ენები ქართული ენის საფუძვლებია. ამასთან, გამოყოფის შემდეგ კი არ შეცვლილან, ისეთივენი დარჩნენ, როგორც 4000 წლის წინათ.

ქართველური ენების შესწავლითა და ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

1) კოლხი კორიბანტების მიერ შექმნილი „კირიბის“, „კირბის“, ანუ წერილ-ფირფიტის — „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ, კოლხური (ანუ მეგრულ-ლაზური);

ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტოქთონური ტომებისა და წინაელლინურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელაგების მატრიარქალური ღვთაების კიბელეს ქურუმები იყვნენ... „კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის კირბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რკინის მეტალურგიის, მჭედელობის მფარველ ლემნოსელ კაბირებს“ (ა.კ. ურუშაძე). „ტიტანებმა რეას გადასცეს კორიბანტები შეიარაღებულ მცველებად, მათზე ზოგიერთები ამბობენ, რომ ბაქტრიანადან (ბაქტრიიდან ამჟამად ჩრდ. ავღანისტანი) არიან მოსულნიო, ზოგიერთები კი კოლხებისგან არიანო“ (სტრაბონი).

\*\*\*

შემდეგ მოყვანილია ვითომ დისკოს ორივე მხარის ამოტვიფრული საგალობელი, ძველი წარმართული კოლხური ღვთაებისადმი — ნენესადმი მიძღვნილი...

როგორც ქართველმა, ბუნებრივია, ერთი გახარება მეც გავიხარე, ურწმუნო თომამ, მაგრამ რახან კომპიუტერთან ვიჯექი, იქვე თავისუფალ ენციკლოპედიას, ანუ ვიკიპედიასაც ჩავეხედე, სადაც, ყველა ძალიან, ძალიან უუშორესი ისტორიული წარსულისკენ გამხედვარი ქართველის გულის გასახეთქად სიტყვა არ არის დაძრული ფესტოსის დისკოს არც ქართველ

ნამკითხველ-გამშიფრავზე და არც კიდევ ეგრეთ ნოდებულ პროტოქართულზე. პირიქით, იქ ისიც კია ნათქვამი, ამ ასი წლის მანძილზე დეშიფრირების დღემდე ცნობილმა ასზე მეტმა ცდამ მხოლოდ და მხოლოდ იმაში დაარწმუნა სერიოზული მეცნიერები, რომ რამე საყრდენი ნერტილის არარსებობის გამო ტექსტის გაშიფვრა შეუძლებელია და დამწერლობის ისტორიისთვის ის მანამ იქნება უსარგებლო, სანამ უნიკალურად, ანუ ერთადერთ ტექსტად დარჩებაო. იქვე თქმულია, დისკოს უნიკალურობამ ტექსტის არაერთი ხელოვნური, მოგონილი და უსაფუძვლო თარგმანი თუ განმარტება წარმოშვაო. ამ აბსურდულობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად (ამჯერად ჩვენ გადავჩით, მგონი!) მოყვანილია ვინმე რუსი ენთუზიასტის რ.გრინევიჩის ვითომ თარგმანი. ამ გრინევიჩის აზრით, ეს ფესტოსის დისკო ვითომ უუძველეს სლავურ ენაზეა ამოტვიფრული და ასევე უუძველესი რუსულ-სლავური ცივილიზაციის ნიმუშია, რამაც ვითომც „თავზარი დასცა ევროპელ მეცნიერებს და ისტორიული შურით აღავსო...“

ამ მავანი სლავი ვაიპატრიოტის თარგმანი ვიკიპედიაში შეფასებულია როგორც ბოძვა, რომლის მიხედვით „უნდა ვიმსჯელოთ დისკოს გაშიფვრის სხვა ანალოგიურ ცდებზეცო...“

მე, რასაკვირველია, ვაფასებ მიზანკეთილად მიმართულ ყოველნაირ შრომას, მაგრამ ხარაზი რომ არ უნდა საბაზობდეს, ხოლო საბაზი რომ არ უნდა ნალბანდობდეს ანდა, პირიქით, ეს უდავო ჭეშმარიტებაა და ასეთი შრომა-გარჯა, სავალალოდ, არცთუ იშვიათად წყლის ნაყვას ეფარდება.

ამ თვალთახედვით მეც იგივე დღემ რომ არ აღმოჩენილიყავი, ავდექი და არა მარტო თავის დაზღვევის, არამედ თავის გადამონმების მიზნითაც, რამდენიმე სპეციალისტს ვთხოვე აზრის გაზიარება.

ჩვენი კითხვა, რომლითაც ქართველ სპეციალისტებს მივმართე, ასეთია: — რას იტყობდი ფესტოსის დისკოს კვაშილავასულ ნაკითხვა-გაშიფვრისა გამო? უნდა ვალიაოთ თუ უნდა უარყოთ?

ქვემოთ სწორედ იმათ მოსაზრებებს გთავაზობთ:

**ლევან გორდეზიანი**

**(თსუ სრული პროფესორი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი)**

ფესტოსის დისკოს გაშიფვრა პრინციპულად შეუძლებელია და, რომც დავუშვათ, რომ ასეულობით ცდიდან რომელიმე წარმატებული იყო, ამის დამტკიცება მხოლოდ იმავე დამწერლობითა და იმავე ენაზე შესრულებული ტექსტების აღმოჩენისა და ამ მეთოდით მათი ნაკითხვის შემდეგ მოხერხდება.

დღეისათვის გაშიფრული ყველა ძველი დამწერლობის შემთხვევაში მეცნიერებს ხელთ ჰქონდათ ტექსტების საკმარისი რაოდენობა, რათა სხვადასხვა სახის სტატისტიკური გათვლები ჩატარებულიყო. გარდა ამისა, უცხო ტექსტის ნაკითხვად საჭიროა ან ენის, ან დამწერლობის ცოდნა, უკიდურეს შემთხვევაში ტექსტის შინაარსის ცოდნა მაინც.

მაგალითად, შამპოლიონმა ეგვიპტური იეროგლიფურის გაშიფვრისთვის გამოიყენა ეგვიპტურ-ბერძნული ბილინგვა, ე.ი. იცოდა ტექსტის შინაარსი და მოახერხა საკუთარი სახელების ამოცნობა-ნაკითხვა ეგვიპტურ ნაწილში; გროტეფენდმა ლურსმულის შესწავლაში პირველი ნაბიჯები გადადგა



ფესტოსის დისკო

სპარსული სამეფო წარწერების საფუძველზე, ე.ი. იცოდა ენა და წარწერის ჟანრი. ამის შემდეგ კიდევ 50 წელიწადი დასჭირდა ასურულ-ბაბილონურის გამიფრას და გამიფრის სისწორის დადგენას, რაც ექსპერიმენტული გზით განხორციელდა — ოთხ მეცნიერს გადასცეს ახლად აღმოჩენილი ტექსტის ასლები და იმათ, ოთხივემ, ერთნაირად წაიკითხეს ტექსტი.

იმავე ლურსმული დამწერლობით შესრულებული ხეთური ტექსტის შინაარსში გარკვევა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ჰროზნიმ დაადგინა, რომ ხეთური ინდოევროპულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო მიკენური ტექსტების წასაკითხად საჭირო შეიქნა ვენტრისის მიერ იმ ტექსტებში ბერძნული ენის ამოცნობა. მსგავსი დამწერლობით შესრულებული მინოსური ტექსტები ჯერაც გაუმიფრავია.

ფესტოსის დისკო უნიკალური ნივთია და ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმაშიც კი, რომ ჩვენ წინაშე წარწერაა. ზოგს ის კალენდრად მიაჩნია, ზოგს თამაშის სახეობად, ზოგს კიდევ სხვა რამედ. უკანასკნელ დროს გამოითქვა ეჭვი, რომ ეს ნივთი მეოცე საუკუნის დასაწყისში დამზადდა ფესტოსის გამთხრელისა და გათხრებისთვის საზოგადოებრივი ყურადღების მისაპყრობად. მეცნიერთა უმრავლესობა არ იზიარებს ამ აზრს — ძნელია შეელიო ნივთს, როლმელსაც შენს გულსა და აზრებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ირაკლიონის მუზეუმმა, სადაც ფესტოსის დისკო ინახება, უარი განაცხადა დისკოს ყოველგვარი ანალიზის ჩატარებაზე.

ზემოთქმული სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ბატონ გია კვაშილავას „გამიფრა“ არ შეიძლება შემდგარ აღმოჩენად ჩაითვალოს. თავად ნაშრომშიც ბევრი რამ არის ისეთი, რის გამოც შეუძლებელია მისი ძირითადი დებულებები რომ გაეიზიაროთ:

1. ენის დადგენა უნდა ემყარებოდეს სერიოზულ გათვლებს და არა რწმენას, და აუცილებლად უნდა დასაბუთდეს. საკვებით დასაშვებია, რომ მინოსურ კრეტაზე გავრცელებულ ენებს ჰქონოდათ გარკვეული კავშირი ქართველურ ან იბერიულ-კავკასიურ ენებთან, მაგრამ „ფესტოსის დისკოს ენის“ გამოხატულება არანაირი ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

2. ნიშნის შემოტრიალებით მისი ფონეტიკური მნიშვნელობის შეცვლა არ დასტურდება სხვა ძველ დამწერლობებში. ამ გონებამახვილური დაშვებით ავტორი ხელს იხსნის ტექსტის ისე წასაკითხად, როგორც თვითონ სურს.

3. და რას წარმოადგენს მის მიერ აღდგენილი ტექსტი? რატომ არის იგი „კოლხური“? „ტექსტში“ ვხვდებით ბევრ ისეთ სიტყვას, რომლებიც ან საერთოდ არ განეკუთვნება ქართველურ ენობრივ სამყაროს, ან მასში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის უკან (შემდეგ) მოხვდა სხვა ენიდან და, შესაბამისად, ვერაფრით ვერ იქნებოდა დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინანდელ „კოლხურში“.

**როლანდ გურჭულაძე**  
**(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)**

ნებისმიერი პროფილის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შემუშავებული საავტორო უფლებათა დაცვის კოდექსის მიხედვით, ავტორებს გარკვეულ იმუნიტეტს ანიჭებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კრებულში გამოქვეყნებული შრომიდან რომელიმე ნებისმიერი კუპიურის გაკეთება ან რომელიმეს თვალსაზრისის გამოყენება მოითხოვს სათანადო პუბლიკაციის ზუსტი მონაცემების მითითებას (ავტორი, სტატიის სათაური, კრებულის დასახელება, № №, წელი, გვერდები). ეს არის ელემენტარული მოთხოვნა, რომლის დაცვა საავტორო უფლებათა დაცვის კოდექსის დონეზე, როგორც სტუდენტი პირველ საკურსო შრომაზე მუშაობს (აღარაფერს ვამბობთ სადიპლომო შრომაზე).

ნებისმიერ ბექდვით პროდუქციას ტიტულის შემდეგ გვერდზე, სადაც რედაქტორი, რედაქცია, სარედაქციო კო-

ლეგია და სხვა ე.წ. გამოსასვლელი ინფორმაცია არის მითითებული, დასმული აქვს საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო ნიშანი C.

ეს ასეც არის „ისტორიულ-ეთნოლოგიურ კრებულში“, სადაც გ.კვაშილავას ნაშრომი დაიბეჭდა. მით უმეტეს, საკვებით გაუგებარია, რომ სტატიის დასაწყისში დამატებით მითითებულია საავტორო ნიშანი ჩ და კატეგორიული გაფრთხილება: „ყველა საავტორო უფლება დაცულია. სამეცნიერო ნაშრომის „ფესტოსის დისკო — კოლხური ოქროდამწერლობის“ რომელიმე ნაწილის, „წენანას“ საგალობლის ტექსტის, მისი თარგმანისა და ქვემოთ ჩამოთვლილი მასალების სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით გადაღება, გადაბეჭდვა, კომპიუტერულ სისტემაში შენახვა, გადატანა, გავრცელება და გამოქვეყნება საავტორო უფლებათა მფლობელის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია!“

ვიმეორებთ, რომ არავითარი გამართლება არა აქვს ამგვარი პრეამბულის გაკეთებას. ვისგანაც არ უნდა მიმდინარეობდეს ის, რედაქციისგან თუ ავტორისგან, მას მკვეთრად გამორჩეული პროვინციალიზმის ელფერი დაჰკრავს.

მსჯელობა ნაშრომის რეალური ღირებულების შესახებ ჯერჯერობით ნაადრევად მიგვაჩნია: შესაძლოა, ცალკე ნიგნად გამოცემის შემთხვევაში ავტორმა მრავალი რამ სხვანაირად გაიაზროს, ვიდრე ეს მას საკუთარი შრომის ცალკეული ნაწილების გამოქვეყნების დროს აქვს განხორციელებული. მაგრამ ამჟამად ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა მაინც უნდა გაკეთდეს.

შრომის პათოსს წარმოადგენს ავტორის მიერ მრავალჯერ გამეორებული ფორმულირება, რომ მან გამოიფრა ფესტოსის დისკოს იეროგლიფური ნიშნები.

საკმაოდ დიდი ხნის წინათ ნათქვამია, რომ სანამ დიალოგს დავინწყებდეთ, ტერმინებზე უნდა შევთანხმდეთ.

გამიფრა, ანუ დეშიფრირება, გულისხმობს უცნობის ამოხსნას ნაცნობის ჩანაცვლებით. მაგრამ ეს ჩანაცვლება კაპრიზზე კი არ არის აგებული, არამედ მას მკაცრად განსაზღვრული მონაცემები და ლოგიკურად სრულყოფილი საფუძველი მოეთხოვება.

გავიხსენოთ ზოგიერთი ქრესტომათიული მაგალითი: როდესაც შამპოლიონმა ძველევგვიპტური იეროგლიფების დეშიფრირება მოახდინა, ის დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ როზეტას ქვაზე იეროგლიფური ტექსტის პარალელურად მოცემული იყო დემოტიური და ბერძნული ტექსტებიც. ამ რეალობიდან გამომდინარე, შამპოლიონმა გააკეთა ლოგიკური დასკვნა, რომ დემოტიურიც და ბერძნულიც იეროგლიფური ტექსტის თარგმანს წარმოადგენდა. დეტალებს აღარ გავყვებით. მოკლედ ვიტყვი, რომ მოხდა ნაცნობის ჩანაცვლება უცნობის ადგილას და იეროგლიფებიც ამოიხსნა.

დეშიფრირების ტექნოლოგიის თვალსაზრისით, იგივე გზა გაიარა როულინსონმა, როდესაც ის ბეჰისტუნის ძველსპარსული ლურსმული დამწერლობის ამოკითხვის საკითხებზე მუშაობდა. ამ მეცნიერს ხელთ ჰქონდა როგორც ძველსპარსული უცნობი დამწერლობის ნიმუშები, ასევე პარალელური ელამური და აქადური ტექსტები.

უფრო გვიან, ჰროზნის მიერ ხეთური იეროგლიფიკის დეშიფრირებაც შეუძლებელი იქნებოდა, უკვე ცნობილი რომ არ ყოფილიყო ბოლაზ-კოეს არქივში დაცული ძველი ეგვიპტური, აქადური და დამწერლობის სხვა სისტემებით შესრულებული ტექსტების ენა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ევანსიდან დაწყებული დღემდე ვისაც რა დაუწერია ფესტოსის დისკოს შესახებ, დეშიფრირებად (ან თუნდაც დეშიფრირების ცდად) მივიჩნიოთ. ის, ვინც მეცნიერულ დონეზე იდგა, ფრთხილად გამოთქვამდა საკუთარ ვარაუდებს როგორც დისკოს წარმომავლობის, ასევე მასზე აღნიშნული საკვებით უცნობი ნიშნების შესახებ. კატეგორიულად მხოლოდ

იმას აღნიშნავდნენ, რომ სანამ არ აღმოჩნდებოდა იმავენიშნებიანი ბილინგვა (ან ტრილინგვა), სადაც პარალელურად მოცემული იქნებოდა უკვე მეცნიერებისთვის ცნობილი (ნაკითხული!) ტექსტი, იზოლირებულად ფესტოსის დისკოს ნიშნების ამოცნობა შეუძლებელი იქნებოდა.

მაშ, რა შეიძლება ვუნდოთ შრომას, რომელსაც ავტორი დეშიფრირებად მიიჩნევს? უკეთეს შემთხვევაში ეს არის თავისუფალი ინტერპრეტაცია. ასეთი ინტერპრეტაცია კი დასაშვებია მთელ მედიტერეანულ (ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების) სივრცეში არსებულ ყველა ენაზე, მაგრამ მას არ ექნება არც გაშიფვრის პრეტენზია და არც მეცნიერული ღირებულება. ეს იქნება მხოლოდ ამა თუ იმ პიროვნების მკაცრად პიროვნულად მოტივირებული მისწრაფების დემონსტრირება.

**ჯეშალ შარაშენიძე**  
**(თსუ სრული პროფესორი)**

არსებობს მონოლინგვათა სამი კატეგორია:

I. მონოლინგვა, რომლის დამწერლობა უცნობია, ენა კი — ცნობილი. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამგვარი მონოლინგვის ნაკითხვა შესაძლებელია. თავის დროზე მონოლინგვის ასეთ სახეობას წარმოადგენდა პერსეპოლისიდან მომდინარე ძველი სპარსული ლურსმული წარწერები. ისინი 1802 წელს გაშიფრა გ.გროტეფენდმა.

II. მონოლინგვა, რომლის დამწერლობა ცნობილია, ენა კი უცნობი, ასეთის გაშიფვრაც შესაძლებელია. ამგვარი მონოლინგვის ნიმუში იყო ხეთური ლურსმული დამწერლობის ძეგლები. 1915 წელს ისინი წარმატებით გაშიფრა ბ. შროზინი.

III. მონოლინგვა, რომლის დამწერლობაც და ენაც უცნობია. ამგვარი მონოლინგვის ნაკითხვა გამორიცხულია ანდა, მარტივად რომ ვთქვათ, მისი ნაკითხვის სისწორის დასაბუთება შეუძლებელი!

მესამე კატეგორიის მონოლინგვების კატეგორიას განეკუთვნება პროტონდური დამწერლობის ნიმუშები, აღდგომის კუნძულიდან მომდინარე წარწერები და მისთანანი. ისინი დღემდე გაუშიფრავია და, ალბათ, ასეთადაც დარჩება მომავალშიც, თუ კაცობრიობამ გაშიფვრის რაღაც ახალი, დღეისთვის თეორიულადაც კი შეუძლებელი მეთოდი გაშიფვრისა არ აღმოაჩინა.

რაც შეეხება ფესტოსის დისკოს, იგი (თუ საერთოდ ნატყუარი არ არის!) მონოლინგვათა მესამე კატეგორიას განეკუთვნება. მისი ნაკითხვის ყოველი ცდა წინასწარაა განწირული წარუმატებლობისთვის. ეს უნდა იცოდეს (და იცის კიდევ!) უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ყოველმა რიგითმა სტუდენტმაც კი; მაგრამ ეს აქსიომური სიმარტივე არ იცინავს (ან დღემდე ვერ გაიცნობიერეს) მეცნიერების სხვა დარგებში მომუშავე პირებმა და შემთხვევითმა დილექტანტ-პროფანებმა. სწორედ ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნებიან ფესტოსის დისკოს ქართველი და უცხოელი „გამშიფრელები“. დღემდე ჩატარებული ყველა იმათი მცდელობა, მაპატიეთ, და მახათით მანიპულაციას გვაგონებს.

**ბურამ ლოროთიშენიძე**  
**(ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)**

ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს რისმაგ გორდუზიანის აზრით, „ფესტოსის დისკო ყოველმხრივ იდუმალებით არის მოცული“, უცნობია მისი შინაარსი, დანიშნულება. არ ვიცი ამ დამწერლობის სისტემის საფუძველი, არ არის ცნობილი — ის იდეოგრაფიულია, მარცვლოვანი, ფონეტიკური თუ ორივე ერთად კომბინირებული. ახლა ვნახოთ, როგორ „გაშიფრა“ ფესტოსის დისკო ბატონმა კვაშილავამ, ასევე მოყვარულმა ლინგვისტმა, მათემატიკოსმა, არაპროფესიონალმა ენათმეცნიერმა...

ავტორი კატეგორიულია თავის დასკვნაში და საქვეყნოდ აცხადებს: „ჩემ მიერ ჩატარებული ანალიზი და ალგორითმის

ნესები გამორიცხავს დისკოს წარწერის სხვადასხვა ინტერპრეტაციას“. მისი აზრით, ეს არის „ორიგინალის ერთადერთი“ ამოკითხვა. ის, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა ბერძნული არ არის და წინაბერძნული მოსახლეობის კულტურული მონაპოვარია, იმთავითვე გახლდათ ცნობილი. ახალი ამაში არაფერია. არც ის ინვესტ ეჭვს, რომ ძველი მედიტერეანული სამყაროს მოსახლეობა (პელასგები და სხვ.) ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ქართველურ ტომებთან. სიმართლეს შეესაბამება ისიც, რომ მათ შორის ხშირია ლექსიკური თანხვედრებიც. ცხადია, პატივისცემას იმსახურებს გ.კვაშილავას გარჯა, სპეციალური ლიტერატურის ცოდნა, მაგრამ, ჩემი აზრით, დისკოს გაშიფვრა ეყრდნობა უფრო ემოციურ, ვიდრე წმინდა მეცნიერულ არგუმენტებს. ნაშრომს არ ახლავს იროგლიფების ნუსხა შესატყვისი ფონეტიკური მნიშვნელობებით. მე, როგორც არქეოლოგმა, უნდა დავძინო, რომ ამ ნიშან-სახელთა ერთობლიობა მართლაც ქმნის გაბმულ ტექსტს, რომელიც შეიცავს იმდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომ საჭირო გამხდარა „მატრიცების“ მეშვეობით მისი ტიარაფირება, ხოლო თავად მისი დაცვა — სამეფო სასახლის არქივში. სპეციალისტების აზრით, წარწერა იწყება დისკოს კიდიდან და არა ცენტრიდან. წარწერა მოკლეა, რადგან მხოლოდ 45 ნახატი-ნიშანია ამ წერით სისტემაში. სამწუხაროდ, გ.კვაშილავას არ მოაქვს ამ 45 ნახატ-ნიშნის პროტოკოლხური (მეგრულის), ანუ პროტოქართველური ენის შესატყვისები.

წარწერა სტილოსით, წკირით კი არ არის შესრულებული, არამედ — ხის შტამპის მეშვეობით. მოძრავი „ლიტერით“ დაუტანიათ სველ თიხაზე. წარწერას გ. კვაშილავა, პირიქით, უცენტრიდან, მარცხნიდან მარჯვნივ იწყებს. მას რატომღაც არ მოაქვს წარწერის გაშლილი გრაფიკული ნახაზი, რათა მკითხველისთვის თვალსაჩინო გამხდარიყო ავტორის მიერ აღნიშნული „შეუსაბამობანი“ „დისკოს უჯრებს“ შორის.

როგორ უნდა ვერწმუნოთ ავტორს, რომ „ბიბილოვანი თავი“ სამეგრელოში დღემდე შემონახული საბრძოლო შეძახილის „ცო“-ს აღმნიშვნელია. ასევე ნაკლებ დამაჯერებელია, რომ ფესტოსის ძვ.წ. XVIII ს. ნახატი-ნიშნის ცული ემსგავსება ძვ.წ. VIII-VII ს.ს. ბრინჯაოს ცულს. ფესტოსის დისკოს მიფრად, მისი ნაკითხვის გასაღებად გ. კვაშილავა ერთნაირი ნახატი-ნიშნების, გრაფემების სანყის პოზიციაში ამოტივრულ (სპირალის ხაზების მიმართებაში) ნიშნებსა და მათს ცვალებადობაში ხედავს. ამ შემთხვევაში 45 ცნობილ ნიშანს კიდევ რამდენიმე დაემატებოდა. თუმცა ამას რატომღაც ავტორმა თავი აარიდა.

იმის გამო, რომ ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში სენსაციის მოყვარულმა ჟურნალისტებმა გაამძაფრეს საზოგადოების ინტერესი, ვფიქრობ, საჭიროა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ იტივროთის გ.კვაშილავას გამოკვლევის საერთაშორისო ექსპერტიზა. მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება უფლება, რომ ფესტოსის დისკოს ნაკითხვის, გაშიფვრის მაძიებლობა ვალიაროთ ან უარვყოთ.

\*\*\*

მათემატიკოს გ. კვაშილავას წერილები ფესტოსის დისკოს თაობაზე დასტამბულია აგრეთვე იმ კრებულში (რამდენიმე ნომერში), რომელიც 2000 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის გრიფით გამოდის. წერილს ასეთი შენიშვნა ახლავს: „**კრებულში კვლავ იბეჭდება გ.კვაშილავას ნაშრომი, რომელიც შეეხება „ფესტოსის დისკოს“. სტატია უდავოდ საინტერესოა და ვთვლით, რომ მას უნდა გაეცნოს სამეცნიერო საზოგადოება, თუმცა რედკოლეგია პასუხს ვერ აგებს ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებების მართებულობაზე**“.

თვითონ ნაშრომის ავტორი კი, როგორც უკვე ითქვა, დასკვნის სახით კატეგორიულად აცხადებს: „**ჩემ მიერ ჩატარებული ანალიზი და ალგორითმის ნესები გამორიცხავს დის-**



კოსის წარწერის სხვადასხვა ინტერპრეტაციას — რჩება ორიგინალის ერთადერთი ამოკითხვაო“.

არადა, როგორც ვიკიპედია გვაუწყებს, დღეისათვის ფესტოსის დისკოს ნაკითხვა-გაშიფვრის ენთუზიასტთა (არასპეციალისტთა) უკვე ასამდე ინტერპრეტაცია არსებობს, რომელთაგან არც ერთი არ ემთხვევა ერთმანეთს... ასე რომ, ჩვენი ავტორი არც დღემდე ყოფილა მარტო და, ჩანს, არც მომავალში იქნება ერთადერთი ინტერპრეტატორი...

ხან ცხოვრებაში ხდება ხოლმე, რომ კაცი უღელს გადაადგდებს და კურდღელს მოკლავს... მაგრამ არა მგონია, რომ ასე ხდებოდეს მეცნიერებაშიც. შამპოლიონები შემთხვევით არა ხდებიან... თუმცა ჩვენი ავტორის უკვე მრავალწლიან ახირებას, გინდათ თუ არა, შამპოლიონი ვარო, საზღვარი არა აქვს...

**მიხანაძე:** ვიკიპედიას ვცნობთ, 1975 წელს ტექსტის თარგმანი გამოაქვეყნა ჟან ფოკონომ. იგი ამტკიცებდა, რომ ფესტოსის დისკოს ენა შექმნილია ბერძნული კულტურის აღმოცენებამდე და რომ მარცვლოვანი დამწერლობა პროტოლინური კულტურას ეკუთვნის, რომლის წარმომადგენელიც უფრო ტროასთან არიან დაკავშირებულნი, ვიდრე კრეტასთან. ფოკონოს თანახმად, ფესტოსის დისკო გვაუწყებს პროტოლინური მეფის არონის წარმატების ამბავს. თუმცა, დისკოს გადმოცემის ეს ვარიანტი ამ საქმის სპეციალისტებმა უყურადღებოდ დატოვეს. 2000 წელს ეფი პოლივიანაკისმა ბერძნულ ენაზე გამოაქვეყნა ნიგნი სახელწოდებით — „დისკო ბერძნულად მეტყველებს“. იგი ამტკიცებდა, რომ დისკოს წარწერა შესრულებულია ძველი ბერძნულის ერთ-ერთ დიალექტზე მარცვლოვანი დამწერლობით. ამავე აზრისაა აგრეთვე დოქტორი სტივენ ფიშერი („ბერძნული დიალექტის ნიშნები ფესტოსის დისკოზე“). რაც შეეხება გ.კვაშილავას წინამორბედს, ავსტრიელ მოყვარულ ლინგვისტს, პროფესორს ენისკოს ჰერბერტ ქეიშის (1920-1993 წ.წ.) მან 1988 წელს წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ფესტოსის დისკო დაწერილი უნდა იყოს პროტოქართველურ-კოლხურ ენაზე. 1991 წელს მან თავისი მოსაზრება გააცნო კანის საერთაშორისო სიმპოზიუმს, მაგრამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. 1991 წელსვე პ. ქეიშიმ საქართველოშიც იყო როგორც პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის სტუმარი და შეხვდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასაც. როგორც პროფესორი გ.ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ქეიშიმ და გამსახურდიამ „დასახეს ერთობლივი კვლევის პერსპექტივები ხაზოვანი წინამორბედი დამწერლობის შესწავლის მიმართულებით, მაგრამ, როგორც ცნობილია, არ დასცალდათ თავიანთი გეგმების განხორციელება... ქეიშისეულმა გაშიფვრამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, რადგან ბევრი სიტყვა, ქართულში გვიანდელი წარმოშობისა, სპარსულიდან შემოსული გამოდგა“...

ვიკიპედიამი ნათქვამია, რომ გათხრების მთელი ასი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა მონახვა თუნდაც ერთი ტექსტისა, რომელიც ამოხედილი ან ამონატიფირი იქნებოდა ისე, როგორც ეს ფესტოსის დისკოს შემთხვევაშია. იმ მასალების უქონლობამ, რომელთა მეშვეობითაც შეიძლებოდა წარწერათა შედარებითი ანალიზი, წარმოშვა ეჭვი დისკოს წამდგომლობის შესახებ, რაც წლითწლივით ძლიერდება, ვინაიდან ხმელთაშუა ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიის სპეციალისტებს, როგორც ჩანს, არ სურთ ამ არტეფაქტთან დაკავშირებით კამათში ჩართვა... დისკოს დათარიღება თერმოლუმინესცენტური ანალიზით დაგვეხმარებოდა იმის განსაზღვრაში, შექმნილია თუ არა დისკო უკანასკნელი ასეული წლის განმავლობაში, თუ ის მართლაც მინოსის ცივილიზაციის არსებობის პერიოდს განეკუთვნება. მაგრამ საბერძნეთის ხელისუფლება დღემდე არ იძლევა დისკოს ასეთი გამოკვლევისთვის. ვერსია იმის შესახებ, თითქოს დისკო XX საუკუნის დასაწყისის ნაყალბევაა, რომლის შექმნის დროსაც იყენებდნენ იმ დროისათვის არსებულ, საკმაოდ შეზღუდულ ცოდნას მინოსის კულტურის შესახებ, შეიძლება რომ მოგონილად გამოიყურებოდეს, თუმცა არც ეს უნდა იყოს გამოცხადებული. ნაყალბეობის ჰიპოთეზასთან დაკავშირებულია საეჭვო აღმოჩენა, რომელიც ნახეს 1992 წელს ქალაქ ვლადიკავკაზის ერთ-ერთი სახლის საძირკველში. ეს არის თიხის დისკოს ფრაგმენტი, რომელიც ფესტოსისაზე უფრო პატარაა და, ალბათ, ამ დისკოს ასლი უნდა იყოს... გავრცელდა ხმები ნაყალბევის თაობაზე, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ რუსული დისკო საიდუმლოდ გაქრა, და მას შემდეგ იმის შესახებ აღარაფერი ისმის...



დალილა ბედიანიძე

**წარწერა მაკა ჯონსაძის ნიშნზე „ჩაპირული დღესასწაული“**

საქართველოში იბადებოდნენ. ლადო ასათიანი

„საქართველოში იბადებოდნენ...“ შენც დაიბადე საქართველოში. არა ხარ ცრუ და მხოლოდ მეხოტბე მთქმელი სიტყვისა „დაშლა-ვერმოშლის“.

შენ ხარ ყვავილი ყვავილთა შორის გამორჩეული ფერით, სურნელით... ვერაფერს გაკლებს შური და ჭორი, არ დაიღვეა თითო სულელი.

და სიყვარულით თვითეულ სიტყვას გაკარნახობს ალბათ თვით ქართლის დედა. ყოველ ქართველში სამშობლო გიყვარს, შვილშიც სამშობლოს მომავალს ხედავ.

დაგლოცოს ღმერთმა! დაგლოცოს ღმერთმა და დაგილოცოს ეგ ხმა პირველი. გმადლობ! სანთელი ჩამოიღვევინთა, შენი თვალებით არის მზირველი.

შენთვის მთავარი საქართველოა ჩვენი, ტანჯული და ჭირმრავალი... კარგი ხარ! შენგან სხვას არ ველოდით და შენი დროა დრო მომავალი.

გვარავდეს ქრისტე და წმინდა ნინო! და არ შეწყვიტო სიტყვით ხმაური. ღმერთმა ინებოს და მოგვივლინოს ჩაუძირავი დღესასწაული!



# სემინარი ბრძელდება... ამჯერად — „ღირსება“



**მარიამ გაბედავა**  
(ბაკალავრიატი — III კურსი)

*carpe diem.*  
**ჰორაციუსი**

— ნურც შენ გაჩერდები! სწრაფად იარე.  
— სად გეჩქარება?  
— სიცოცხლისაკენ...  
— მაინც ვერაფერს მოახსრებ.  
— მე უბრალოდ შევიგრძნობ მინდა!  
— მაშინ სცადე წამის დაჭერა. და ამ წამში — ერთში

დატკბი სიცოცხლის ეშხით... რაც მთავარია, იცხოვრე ისე, რომ სიკვდილის წინ არ შეგეშინდეს.

— არ შეგეშინდეს? რისი?  
— ღმერთთან შეხვედრის...  
და ადამიანი მიდიოდა გზაზე — ცხოვრების, იქნებ ცხოვრების?

ღირს არს ჭეშმარიტად სიცოცხლე ადამიანის.  
— თავად თუა ამ სიცოცხლის ღირსი?  
...წლების წინათ, ღმერთმა არსება გახადა ღირსი სიცოცხლის გრძნობის. და შექმნა ადამის მოდგმა...

ადამიანმა იწყო ცხოვრება მშვიდი. თავისუფალი, ლალი, თამამიც...

— უყვარდა ძლიერ და ზოგჯერ სძულდა...  
— იყო ბედნიერი, ხანდახან უბედურიც.  
— სთესდა სიკეთეს, და — ბოროტებასაც მრავლად იქმნა. ადამიანი ტკბებოდა სიცოცხლით. სიცოცხლით, რომელიც ხანდახან აბეზრებდა თავს.

უცნაური იყო მოდგმა — ადამის: ზოგჯერ ახარებდა მზის ამოსვლა ცაზე... ხანდახან გულს სწყვეტდა ვარსკვლავებით მოჭედული ცა — ბედს უჩიოდა? იქნებ ღმერთსაც კი?

ღირს არს ჭეშმარიტად სიცოცხლე ადამიანის.  
წამი მისდევდა წამს... და ადამიანიც ჩქარობდა... სურდა მოესწრო, შეეგრძნო, შეეცნო მას სიცოცხლე — „აქ“.

არ იცოდა, რომ ეს სიცოცხლე თურმე წამში ეტევა — ერთში. სიცოცხლის უკანასკნელ წამში, უკანასკნელად დანახულ კადრში... ამიტომაც, არ ფიქრობდა, რა ელოდა „იქ“.

ღირს არს ჭეშმარიტად სიცოცხლე ადამიანის.  
— და არსი რა არის ადამიანის?  
— სულის სინმინდე.  
— სულის სინმინდე ანუ სიკეთე?  
— უპირველესად — ღირსების გრძნობა.

ღმერთმა შექმნა ადამიანი „ხატად და მსგავსად თავისადო“. და ეს ხატება იყო მასში სინდისის ის ხმა, რომელიც ცხოვრებას ღირსეულს ხდიდა — მისას.

— ნუ იფიქრებ, რა იქნება ხვალ, მთავარია დღეს იცხოვრო ღირსეულად... იქნებ წამიც შეაჩერო და თან გაჰყვე.  
— სად?

— იქ, სადაც სითვრეა სრული, სადაც ზამთრის სუსხიან სითვრეში არ იკარგება სული — ფაქიზი ადამიანის.

და ადამიანი ისევ მიდიოდა გზაზე — ცხოვრების, იქნებ ცხოვრების?

**ლალი სალუქვაძე**  
(მაგისტრატურა — II კურსი)



ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ხელოვანი მშვენიერების შემოქმედი. მისთვის მთავარი აზროვნების თავისუფლება და ინდივიდუალიზმია. ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმამტკიცა პიტერ უირის ფილმმა „მკვდარი პოეტების საზოგადოება“.

ქალაქ ველტონის ვაჟთა მოსამზადებელი კოლეჯი სიმკაცრითა და ტრადიციულობით გამოირჩევა. მოსწავლეები კოლეჯს ველტონის ნაცვლად „ჰელტონს“ (ჯოჯოხეთის უნოდებენ. ისინი უხალისოდ ხვდებიან ახალი სასწავლო წლის დაწყებას, რადგან ამ ახალგაზრდებისთვის (ტოდ ანდერსონი, ჩარლი დალტონი, სტივენ მიქსი, ნილ პერი, ნოქს ოვერსტრიტი) უინტერესოა კოლეჯის ერთფეროვანი გაკვეთილები, რომლებიც არ ეხმარება მათ ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში, თუმცა მათა საბედნიეროდ კოლეჯში მოდის ინგლისური ენის ახალი მასწავლებელი — ჯონ კიტინგი, რომელიც გამოხატავს სასწავლებლის ტრადიციულ გაკვეთილებს და საკუთარი სტილი შემოაქვს. ჯონ კიტინგის როლს რობინ უილიამსი ასრულებს, როდესაც მის განსახიერებულ პერსონაჟს ვუყურებდი, მახსენებოდა ნანყვეტი გიორგი ლეონიძის პროზაული ნაწარმოებიდან „ნატურის ხე“: „პოეტები მხოლოდ ქალაქზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალთ, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე“. სწორედ, ასეთი ადამიანი იყო პროფესორი კიტინგი, რომლის ლექციებმა სტუდენტებს პოეტური თვალი აუხილა, გული გაუხსნა და დიდი ოცნებით გაასხივოსნა.

თუ დოქტორი პრიჩერდისთვის პოეზია გულისხმობდა გარკვეული გეომეტრიული ღერძების აგებას, პოეტებისთვის ქულების მინიჭებას და ბაირონისა თუ შექსპირის კოორდინატთა მოძებნას ამ ღერძზე, კიტინგი პოეზიაში საზღვრებისა და გისოსების დაწესების წინააღმდეგია. მისთვის ჭეშმარიტი პოეზია ადამიანის სულიერი სამყაროს, ემოციებისა და გრძნობების გამოხატვაა. იგი მოსწავლეებს ასწავლის და აჩვენებს თავისუფალ აზროვნებას. მისი პირველი გაკვეთილის შემდეგ ვხედავთ მონაფეების გამოღვიძლებას, გათავისუფლებას. თუ აქამდე „ველტონის აკადემიის“ სტუდენტები პროტესტს კოლეჯში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მხოლოდ სიგარეტის მალულად მოწვევითა და პირადი საუბრებით გამოხატავდნენ, კიტინგის გაკვეთილის შემდეგ მათ დაინახეს, როგორ უნდა იყოს ნამდვილი ხელოვანი, როგორ უნდა აზროვნებდეს. ახალგაზრდების გამოფხიზლება იმითაც გამოიხატება, რომ ისინი აღადგენენ ძველ ტრადიციას — „მკვდარი პოეტების საზოგადოებას“. ღამე გამოქვაბულში შეკრებითა და ლექსების კითხვით ეწინააღმდეგებიან კოლეჯში არსებულ ტირანულ შინაგანაწესს. ამ საიდუმლო შეკრებებზე მონაფეები ცდილობენ პოეზიაში იპოვონ საკუთარი „ხმა“, ადგილი. ამ ყველაფრის შემდეგ გრძნობენ, რომ ღირსი „ობოლი სულია“, მაგრამ იწვიან და მისი ცეცხლი დიდ მანძილზე ანათებს, და არ იზიარებენ დოქტორი პრიჩერდის აზრს პოეზიის შესახებ.

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 13, 14

ამ ფილმის ყურებისას ხვდები, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას ღირსეული, განსაკუთრებული რიტუალი ქმნის. ასეთ ადამიანებს სპეციალური სული აქვთ, ისინი არ არიან გრძნობაგაუხეხებულნი, პირიქით, ემოციურობითა და სინაფილით გამოირჩევიან. სწორედ მათ შეუძლიათ, ირგვლივ მყოფნი ბურუსიდან, სიბნელიდან გამოიყვანონ და ნამდვილ პოეზიას აზიარონ. ჯონ კიტინგი ასეთი ადამიანია, სტუდენტებს გაუმართლათ, მას რომ შეხვდნენ, რადგან მისგან, ხელოვნების სიყვარულთან ერთად, არჩევანის თავისუფლება და ადამიანებთან ურთიერთობაც ისწავლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლის მსგავსად, ღირსეულნი და განსაკუთრებულნი არიან მოსწავლეებიც. მათი პოეტური სული, კოლეჯში არსებული მდგომარეობის გამო მიძინებული იყო, კიტინგი კი საკუთარი პიროვნების პოვნაში დაეხმარათ.

ფილმში ხშირად ისმის უოლტ უიტმენის ლექსის სათაური: „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“ რომელიც მან აბრაამ ლინკოლნს მიუძღვნა. კიტინგი ახალგაზრდებს ეუბნება: „გაკვეთილზე თქვენ შეგიძლიათ მომმართოთ, როგორც — მისტერ კიტინგი, ან თუ უფრო თამამები იქნებით: „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“ იგი მოსწავლეებისთვის მართლაც რომ ღირსეული კაპიტანი და სულიერი აღმზრდელი იყო.

ფილმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნილ პერის ტრაგიკულ ისტორიას, რომელსაც შეუძლებელია ემოციის გარეშე უყურო. ნილს მსახიობობა სურს, მამამისი კი შვილის სამედიცინო კარიერაზე ოცნებობს. მშობლის გაფრთხილების მიუხედავად იგი მაინც თამაშობს მთავარ როლს უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში“, სადაც ჩანს მისი ნიჭი და უდიდესი სიყვარული ხელოვნებისადმი. შექსპირის ტრაგედიების პერსონაჟთა მსგავსად ტრაგიკულად ამთავრებს სიცოცხლეს. მამა შვილის სიურჩემ განარისხა. ჩემი აზრით, ეს ეპიზოდი და ფინალი ფილმში ყველაზე ამაღლვებელია და ემოციური. ღამით, როცა ყველას ეძინა, ნილმა გამოსწავლა მაგიდის უჯრა და... ვხვდები, რომ იქ იარაღი დახვდება. მახსენდება პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა მწერალთა კავშირის შენობაში. ხვდები, რომ ზენოლას ადამიანები თვითმკვლელობამდე მიჰყავს. მითუმეტეს, იმთავის, ვისთვისაც წარმოუდგენელია ხელოვნების გარეშე ცხოვრება, ეს თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს. ნილის სიკვდილის შემდეგ კიტინგს აკადემიის მესვეურებთან ურთიერთობა უფუჭდება, იგი სკოლიდან მიდის, მის ნაცვლად გაკვეთილს სხვა ატარებს, რომელიც ახალგაზრდებს სწავლის ძველებურ გაგრძელებას მოსთხოვს, მოსწავლეები კი, ამის ნაცვლად, კიტინგს თანაუგრძნობენ და შეძახილით „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!“ ემშვიდობებიან.

ეს იმდენად ემოციური და ამაღლვებელი სცენაა, გრძნობ, რომ როცა შენს ღირსებასა და პრინციპს ეხებიან, ცდილობენ წაგართვან ინდივიდუალობას, პროტესტი უნდა გამოხატო, შენი აზრი მტკიცედ დაიცვა, არავის მისცე უფლება „თუთიყუშად“ გაქციოს, ეს იგივეა, დაგამუნჯონ, მეტყველება წაგართვან, რადგან მეტყველება აზროვნების ნაყოფია. მართალია, კიტინგი სკოლიდან მიდის, მაგრამ ხვდება, რომ მისმა მცდელობამ ფუჭად არ ჩაიარა. მისმა გაკვეთილებმა ნაყოფი გამოიღო.



ელენე კიკნაძე (ბაკალავრიატი — III კურსი)

ღირსება გრძნობაა, რომელიც მხოლოდ შინაგანად თავისუფალ ადამიანებს გააჩნიათ. დედამინა კი ადგილია, სადაც ადამიანთა ღირსების შელახვას მეორენი ზედმეტად იოლად ახერხებენ, ისე, რომ ვერც აცნობიერებენ ან არც სურთ გააცნობიერონ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ გაცილებით რთულია გააღვიძო ეს გრძნობა ადამიანებში, უფრო სწორად, რთულია აგრძნობინო მათ, რომ არსებობს ასეთი ფენომენი, სახელად „ღირსება“. როცა თანახმა ხარ, თვალი დახუჭო და სმენა დაიხშო, ალ-

ბათ, მეტს არც იმსახურებ. იმანუელ კანტი ამბობდა: „ვინც ჭიად იქცა, ნულარ დაიჩვილებს, რატომ მსრესენო. ძნელია, მას არ დაეთანხმო“.

როგორც არ უნდა შემენინა აღმდეგონ, მე არ მესმის, რას ნიშნავს სიტყვა „შეუძლებელი“. ვფიქრობ, თუ მოინდომებ, ყველაფრის გაკეთება თუ გამოსწორება შეიძლება. როგორც ქართული ანდაზა ამბობს, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, და ეს „გვიან“ ხომ უნდა დადგეს ოდესმე. ევსებათ ადამიანებს მოთმინების ფიალა (რა ბედნიერებაა, რომ ევსებათ, არა?) და იწყებენ ხმის ამოღებას. ახლა ჭოლა ლომთათიძის „სახარხოხელას წინაშე“ გამახსენდა, რომლის პერსონაჟიც, ოცდაოთხი წლის ჯეირან ვარდოსანიძე, ასე მიმართავს იმ უღირსს, საკუთარი თანამდებობის ძალით გაზულუქებულთ, ვინც სასტიკად ეპყრობა ადამიანებს: „...აბა ერთი მიმოიხედეთ გარშემო, აბა დაფიქრდით, რა იქნება, თუ თქვენ მიერ გაუბედურებული ქვეყანა ალაპარაკდა. თუ მან ამოიღო ხმა და ანგარიშის გასწორება მოითხოვა!.. ევედრეთ, ევედრეთ ღმერთს, რომ მომავალმა მსაჯულებმა თქვენი მსაჯულებიდან არ გადაიღონ სასჯელი დამნაშავეთა, ევედრეთ ღმერთს!..“

ყველაზე აღმფრთვანებული კი, ალბათ, სწორედ ღირსებაშელახული, ძალით თუ საკუთარი სურვილით, ნებით თუ უნებლიეთ დაბრმავებული დაყრუბული, დამუნჯებული ადამიანის გამოფხიზლებაა. რა გრძნობა უნდა დაგეუფლოს, თუ არა სიხარული, როცა ხედავ, როგორ ჭიდილშია ადამიანი თავის თავთან, როგორ აღმოაჩენს ძალას საკუთარ თავში და ილაშქრებს უსამართლობის წინააღმდეგ. ამის მაგალითად შესაძლოა დავასახელოთ ვაჟას პოემის („სტუმარ-მასპინძელი“) პერსონაჟი ჯოკოლა, რომელიც თავისი ოჯახის, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის შეურაცხყოფას ვერაფრით პატიობს თანამომძებებს, არ ხუჭავს თვალს და ხმას იმაღლებს ამ დიდი უსამართლობის წინააღმდეგ. იგი ეწირება კიდევ საკუთარი ღირსების დაცვას და ერთ-ერთ საუკეთესო პერსონაჟად წარმოგვიდგება.

სიკვდილი რომ არ არსებობდეს, ვერ შევძლებდით სიცოცხლის ასე შეყვარებას. შესაძლოა მძიმე მოსასმენია, მაგრამ ღირსების დაცვის აუცილებლობას ადამიანთა დიდი უმრავლესობა ვერც კი აცნობიერებს. ჩვენს პლანეტაზე ხომ „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია“, ამიტომ ხანდახან ჰაერით გვჭირდება „შემოლანუნება“. სხვის შეცდომებზე მხოლოდ ჭკვიანები სწავლობენ. ჩვენ ამის ამბიცია არ გვაქვს, ეტყობა, მაგრამ ხომ შეიძლება, საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ... „დამარცხება არაფერია. მხნეობაა საჭირო, რომ თავიდან ლაფი მოიცილო!“ (ჩარლი ჩაპლინი).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ერთგვარი მედიატორიც არის საჭირო, ანუ ის, ვინც ან რაც გვიბიძგებს გამოფხიზლებისაკენ, ვინც სარკეს მოგვანდის, რათა რაიმე უგვანობა დავინახოთ საკუთარ სახეზე (მაგალითად, ისეთი ადამიანები, როგორც ილია იყო — თავისი ერის გულწრფელი გულმემატიკივარი და მოყვარე).

ფილმმა „მკვდარი პოეტების საზოგადოება“, რომლის რეჟისორიც პიტერ უირია, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი სწორედ ღირსებას ეხება. ფილმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, სხვათაგან გამორჩეული მასწავლებელი, ცდილობს, არადოგმატურ, თავისუფალ აზროვნებას მიაჩვიოს მოსწავლეები. იგი ამ გზაზე ბევრ დაბრკოლებას აწყდება, მაგრამ ფილმის ფინალი გვიჩვენებს, რომ ჯონ კიტინგი მაინც აღ-

წევს სანადღეს. მან შეძლო სამყარო სხვა თვალთ დაე-  
ნახებინა მოზარდებისათვის, სწორ გზაზე დაეყენებინა  
ისინი და, რაც მთავარია, ყმანვილებს ღირსების გრძობა  
გაუღვიძა. უნდა ითქვას ისიც, რომ, ამ შემთხვევაში შე-  
დეგამდე მისასვლელი გზა ერთგვარად გადის მსხვერპ-  
ლის გაღებაზე. ფილმში მსხვერპლად გვევლინება ნილი  
— კიტინგის ერთ-ერთი მოსწავლე, რომელიც თავს იკ-  
ლავს. ამაზე მახსენდება შემდეგი სიტყვები: „შელახული  
ღირსების აღსადგენად ადამიანს ყოველგვარი უკიდუ-  
რესობა მიეტივება“. ასე ფიქრობდა მიგელ დე სერვანტეს  
საავტორა. არ ვიცი, როგორ განსჯიან ამას სხვანი, მაგ-  
რამ ჩემთვის ნილი სწორედ ის პერსონაჟია, რომელსაც  
თავისუფლად შემიძლია ვაპატიო თვითმკვლელობა. არ  
მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს სუიციდის მომხრე ვი-  
ყო. არა, უბრალოდ, ეს ბიჭი თავისი ახალგაზრდული სი-  
ფიცხითა და, შეიძლება ითქვას, მომხიბვლელი სიამაყით,  
შელახული ღირსების აღსადგენად ამ გზას ირჩევს. რამ-  
დენადაც ტრაგიკულია ფილმის ეს ეპიზოდი, იმდენად  
ერთგვარ აღფრთოვანებას იწვევს ჩემში.

მსგავსი პასაჟი არცთუ იშვიათია მხატვრულ ნაწარ-  
მოებებში. შესაძლოა გავიხსენოთ ალექსანდრე ყაზბე-  
გის „ხევისბერი გორა“, რომელშიც მამა საკუთარი ხე-  
ლით კლავს შვილს — ონისს — უღირსი საქციელის გა-  
მო, რათა აღუდგინოს მას შელახული ღირსება. ასევე იქ-  
ცევა პროსპერ მერიმეს მოთხრობის („მატეო ფალკონე“)  
პერსონაჟი მატეო ფალკონე. იგი შვილს — პატარა ფორ-  
ტუნატოს — კლავს იმის გამო, რომ მან მათ სახლს შეფა-  
რებული ადამიანი დააბეზლა. ბავშვის ხვეწნა-მუდარის  
მიუხედავად, მატეო „ასრულებს მართლმსაჯულებას  
დამნაშავეს მიმართ“, რის შემდეგაც ამბობს ფორტუნა-  
ტოზე, რომ ის „მოკვდა, როგორც ქრისტიანი“.

ზემოთ დასახელებული ორი მოთხრობისგან განსხ-  
ვავებით, აკაკი წერეთელი სრულიად სხვაგვარ გადაწყ-  
ვეტას გვთავაზობს პოემაში „გამზრდელი“. აქ თავად  
გამზრდელი — ჰაჯი-უსუბი იკლავს თავს, საკუთარი  
აღზრდილის — საფარ ბეგის — უღირსი, შემადრწუნე-  
ბელი საქციელის გამო.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა მწერალი თუ რეჟი-  
სორი სხვადასხვაგვარად აღიქვამს ღირსების საკითხს  
და მისი შელახვის წინააღმდეგ ან შელახულის აღსად-  
გენად მეტ-ნაკლებად განსხვავებულ გადაწყვეტას  
გვთავაზობს. მე შეიძლება მომწონდეს ესა თუ ის პერ-  
სონაჟი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი ქმედე-  
ბა ერთადერთ ჭეშმარიტებად მიმაჩნდეს.

ჩემთვის ყველაზე მისაღება და მეტად გასაზიარებე-  
ლი იმანუელ კანტის პოზიციაა. იგი საკმაოდ საინტერე-  
სოდ აყალიბებს თავის შეხედულებას ამ ფენომენის შესა-  
ხებზე, რაც დაახლოებით ასე ჟღერს: ადამიანის ღირსება!  
უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ეს და შეგვეძლოს მისი დაც-  
ვა. ნუ ემონებით სხვას. დაუსჯელად ნუ დატოვებთ თქვე-  
ნი უფლებების შელახვას. ნუ დაიდებთ ვალს (თუ ნამდვი-  
ლად დარწმუნებული არა ხართ, რომ გაისტუმრებთ მას).  
ნუ მიიღებთ სხვის წყალობას. ნუ იქნებით მუქთაზორა და  
პირმოთენე. ამით შეინარჩუნებთ ღირსებას.

დაბოლოს, იმით დავასრულებ, რითიც დავიწყე. მი-  
მაჩნია, რომ ღირსების გრძობა ვერ ექნებათ ადამია-  
ნებს, ვიდრე თავისუფლებას არ მოიპოვებენ, ვიდრე არ  
ისწავლიან, რომ შეიცნონ საკუთარი პიროვნება თავისი  
ავ-კარგით, ძლიერი და სუსტი მხარეებით, თავისი შე-  
საძლებლობებით. მთავარი კი სწორი თვითშეფასებაა,  
რის შედეგადაც უყალიბდებით ადამიანებს თავისუფ-  
ლების განცდა და, შესაბამისად, ღირსების გრძობაც.

### სალომე ფაცაცია (ბაკალავრიატი— III კურსი)

„ყოველი ადამიანი წარმო-  
ადგენს უმაღლეს ღირებულე-  
ბას“ — ასე იწყება სამართ-  
ლებრივი დოკუმენტი. ადამი-  
ანი, მთელი თავისი შინაგანი თუ  
გარეგანი მონაცემებით, ყოვე-  
ლი განსაკუთრებული და თა-  
ვისებური თვისებით, ემოცი-  
ურ-მატერიალური ფასეულო-  
ბებით სამყაროში უმთავრეს,  
ყველაზე ძვირფას, ყველაზე  
ძლიერ ცნებას გულისხმობს.  
ის არის სამყაროს უმთავრესი  
წინილი და მას ყველა დანარჩენისგან გამოარჩევს ღირსება.



ღირსება ადამიანის ცხოვრების თითოეულ ეტაპზე სხვა-  
დასხვაგვარად ვლინდება. იგი გამოიხატება ურთიერთობებში  
იმ წუთიდან, როცა ჩვენ საკუთარი თავის შეცნობას ვინწყებთ.  
ეს კი ოჯახში იწყება, შესაბამისად, პირველი კავშირიც ღირ-  
სებასთან ოჯახურ ურთიერთობებში გამოვლინდება.

სწორედ ამის შემდეგ გადადის ბავშვი „სხვა სამყაროში“  
და გარემოს წინილი ხდება. ეს ის სივრცეა, სადაც ყველა ტი-  
პის ადამიანს შეხვედები, სადაც იბადება ახალი ურთიერთო-  
ბანი, მძაფრდება პასუხისმგებლობის გრძობა ყველას, მათ  
შორის, საკუთარი თავის წინაშე, სადაც იწყებ ფასეულობათა  
გადაფასებას, მოვლენებისა და ადამიანების შეფასებას, იმის  
რეალურად გაცნობიერებას, თუ რით განსხვავდება ადამია-  
ნი დანარჩენი სამყაროსაგან. აქ ჩნდება უსამართლობის, უზ-  
ნეობის, უპრინციპობის, უღირსობის და რაიმეს უეჭეთესისკენ  
შეცვლის სურვილი, რის შედეგად, ნებით თუ უნებლიეთ,  
ფიქრს იწყებ, როგორ გახდე სამყაროს ღირსეული წევრი,  
თუმცა აღინებაც სუბიექტური კატეგორიაა და სულაც არ  
არის (აუცილებელი, ყველას ერთნაირად ესმოდა იგი.

ღირსებას, ასე ვთქვათ, თავისი „კრიტიკიუმები“ აქვს;  
თუმცა, მათგან არის რამდენიმე რამ, რაც აუცილებლად მო-  
იაზრება ცნება „ღირსების“ ნებისმიერ გადააზრებაში. ეს  
არის საკუთარი ინტერესების დაცვა მაშინ, როცა ისინი  
სხვისი ღირსების გათვლას და შეურაცხყოფას არ ემსახუ-  
რებან; ღირსებაა, როცა შენი მიზნისკენ მიმავალი გზა პა-  
ტიოსნების ცნებაში ეტევა და მიზანი ყველა საშუალებას არ  
ამართლებს; ღირსებაა, საკუთარი ცხოვრების უმთავრეს  
პრინციპებს რომ ერთგულად იცავ და შეცდომის შემთხვევა-  
ში ბოდიშსაც მოიხდი; ღირსებაა, როცა არ ცდილობ, რომ სა-  
კუთარ თავს გადააბიჯო და შენი ბედნიერება ნებისმიერ ფა-  
სად, თუნდაც, სხვისი უბედურების ხარჯზე ააგო; ღირსება  
საკუთარ უფლებათა დაცვა და მოვალეობების შესრულებაა  
ყველასა და ყველაფრის, მათ შორის, სამშობლოს წინაშეც.

სწორედ სამშობლოს წიაღში იბადება ადამიანი, მისი ოჯა-  
ხიც, გარემოც მის ირგვლივ და პასუხისმგებლობის განცდაც  
ყველაზე ბუნებრივად სამშობლოს წინაშე შეიძლება გაჩნდეს.  
ქვეყნის ღირსება მისი ტრადიციებია, ისტორია, წარსული, წი-  
ნაპრები, რომლებმაც შექმნეს და შეინარჩუნეს ეროვნულობა,  
დამოუკიდებლობა, რაც, თავის მხრივ, ნებისმიერი თავმოყვა-  
რი ერის ღირსების საქმეა. ამას კი ამ ქვეყნის მოქალაქეები  
განაპირობებენ, განაპირობებს შეგრძნება იმისა, რომ ილიასი  
არ იყოს, ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“. ეროვ-  
ნული თავისუფლება, ალბათ, პიროვნული თავისუფლების  
ერთ-ერთი ელემენტია და პირიქით, თუმცა, როცა პიროვნულ  
თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, უნდა შევხვდეთ მორალს, რომ-  
ლის მიხედვითაც ერთი ადამიანის თავისუფლება მთავრდება

იქ, სადაც სხვისი იწყება. ეს ცნება არც უზნეობაში გადაზრდას უნდა იწვევდეს და არც განცდას, რომ თავისუფლებას ჩარჩოები არ აქვს. ვფიქრობ, ღირსება ზუსტად ის არის, ზნეობრივი ჩარჩოების სწორად აღქმა რომ შეგიძლია და ზუსტად აფასებ საკუთარი თავისუფლების ფარგლებს.

რადგან ზნეობას შევეხეთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სარწმუნოებას. ეს ის თემაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სამშობლოსაც და ღირსებასაც; ეს ის სფეროა, რომლის დაცვაც ყოველთვის იყო პირადი და საზოგადოებრივი ღირსების საქმე — ყველაზე მძიმე, ამავე დროს, ყველაზე პრინციპული. როგორც ილია ამბობს: „სარწმუნოება სინდისის საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი“. ქრისტიანული ღირსების საფუძველი ბიბლიური საიდუმლოებებიდან მოდის. სწორედ რწმენაში იხატება ღირსების უმთავრესი ზნეობრივი თვისებები, რომელიც ადამიანის ღვთიური ბუნების ნაწილია. ღმერთმა ხომ ჩვენ „ხატად და სახედ თვისად“ შეგვქმნა.

ღირსება ძალიან ხშირად არის ქართული ლიტერატურის უმდიდრესი მემკვიდრეობის მთავარი თემა. ღირსების შელახვა და მისი აღდგენა იყო მთავარი მიზეზი ბახტრიონის აჯანყებისა; შელახული ღირსების აღსადგენად იბრძვის ვაჟას ჯოყოლა: შებღალულ ღირსებას ეწირებიან მამა-შვილი: ონის და ხევისბერი გოჩა; ვერდაცულ, შელახულ ღირსებას ვერ პატიობს საკუთარ თავს (და ალბათ, საკუთარ აღზრდილსაც) აკაკის გამზრდელი; ამ გრძნობას უთელავენ და საკუთარ ფეხებზე თელავენ მარიტას; სრულიად მარტო რჩება თავის ღირსებასთან და ვერ ინარჩუნებს მას ელი გორდელიანი (მან პრინციპებს, უფრო ზუსტად, საკუთარ თავს უღალატა)...

გვერდს ვერ ავუვლი ერთ ძალიან საინტერესო ფილმს, რომელიც მთელი თავისი შინაარსით ღირსების შეცნობისა და მისი შელახვის ნათელი მაგალითია. „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ (რეჟისორი: პიტერ უირი) — სწორედ ასე ჰქვია ფილმს, რომლის მთავარი გმირები საბოლოოდ ღირსეულ პიროვნებად ყალიბდებიან. ალბათ, თუკი არ გაგაჩნია, ღირსებას ვერც გასწავლის ვინმე, მაგრამ ფილმში ვხვდებით მასწავლებლებს, რომელიც ახალგაზრდებს პიროვნული თავისუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას ასწავლის და ამას სულიერი სიმდიდრის — შემოქმედების გზით ახერხებს. ასე ყალიბდება მათი ურთიერთობანი ერთმანეთთან, სკოლის დირექციასთან, და ეს გავლენას ახდენს ოჯახურ ურთიერთობებზეც. ბიჭები რისკავენ, გადადგამენ ნაბიჯებს, რასაც გამბედაობა სჭირდება და რისთვისაც აქამდე სწორედ ეს გამბედაობა არ ჰყოფინდათ: გულწრფელად უყვართ ერთმანეთი, ენდობიან და ეხმარებიან ერთიმეორეს, შეიგრძნობენ შემოქმედებას და, რაც ყველაზე მთავარია, სწავლობენ მეგობრობას. ხდებიან ერთგულები პრინციპებისა, რომლებიც ბიჭებს მასწავლებელმა ჩაუნერგა; ცხოვრობენ ისე, რომ სიცოცხლის ბოლოს გული არ დაწყდეთ, რომ არ უცხოვრიათ, ამიტომ აღარ კარგავენ დროს, უარს არ ამბობენ საკუთარ სულიერ მოთხოვნილებებზე, თუნდაც, დირექტორის მკაცრი პირობების მიუხედავად. უარს არ ამბობს სპექტაკლში მონაწილეობაზე ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ საბოლოოდ ტრაგიკულად ამთავრებს ცხოვრებას. ვხვდებით, რომ ღირსების შელახვა, ამ შემთხვევაში საკუთარ შინაგან მოთხოვნაზე, სულიერი საზრდოს მიღების შესაძლებლობაზე უარის თქმა, სიცოცხლეზე უარის თქმას იწვევს, და ბიჭიც თავს იკლავს. ეს უკიდურესობაა, თუმცა, როგორც სერგანტის ამბობს, შესაძლოა, „შელახული ღირსების აღსადგენად ყოველგვარი უკიდურესობა მოგვეტევეს“. მთავარი მიზანი მიღწეულია: ღირსების განცდა, მისი დაცვისა და შენარჩუნების ინსტინქტი ცოცხალია და უამისოდ სიცოცხლეს აზრი დაჰკარგვია. შეიძლება ითქვას, მასწავლებელმა მიზანს მიაღწია: ახალგაზრდებს ღირსება აპოვნინა. ამის გამო დაისაჯა თვითონაც, მიიღო მსხვერპლიც, მაგრამ, რაც მთავ-

რია, საკუთარ აღზრდილთაგან, ღირსეულთაგან სამუდამო პატივისცემა და ერთგულება დაიმსახურა. ალბათ, ამისთვის ღირს ცხოვრება, თუმცა ზოგს ჰყოფნის ამ ყველაფრისთვის გამბედაობა, ზოგს ნაკლებად, ზოგს კი საერთოდ არ გააჩნია...

არ ვიცი, როგორ განვაგრძო თემა, ან აქვე დავასრულო თუ არა... თუმცა, ალბათ, უამრავი რამ გამომრჩა... მთავარი მაინც ის არის, ვიცით თუ არა, რას ნიშნავს ღირსება და შეგიძლია თუ არა მისი დაცვა. როგორც კანტი ამბობს, ჩვენ „დაუსჯეულად არ უნდა დავტოვოთ ჩვენი უფლებების შელახვა“ — ეს ღირსების მთავარი კანონთაგანია. დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ საკუთარი კეთილდღეობით სხვას არაფერს ვუშვებთ; უნდა ვეცადოთ, რომ ღირსეულად მოვიპოვოთ ის, რაც სიცოცხლისთვის გვჭირდება და არა მუდმივად სხვისი წყალობის მომლოდინედ ვიყოთ, თორემ ისევ კანტისა არ იყოს, „ვინც ჭიად იქცა, ველარ დაიჩივლებს, რატომ მსრესენო“. ღირსება სულსა და სხეულში უნდა იყოს შესისხლბორცეული და თუ ის „ჭეშმარიტია“, „ყვირილი არ უნდა“ (ილია), რადგანაც საკუთარ თავს რაიმე ფორმით ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოაჩენს.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ღირსება სუბიექტური ცნებაა და აქვე მინდა აღვნიშნო საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია და დაუშვებელია... პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა“, რასაც რუსეთის კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლში კონკრეტულ ემატება: „სახელმწიფო იცავს პიროვნების ღირსებას, არაფერი არ შეიძლება იყოს ღირსების დამცირების საფუძველი“. ამით უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ღირსებასა და მის დაცვას დაუნერვლი და დანერვლი კანონები აქვს ნებისმიერ ხალხში და ეს კანონები ერთმანეთის მსგავსი და სასიცოცხლოდ აუცილებელია.

დაბოლოს, ღვთაებრივი ბუნების მქონე ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანია და, როგორც გოეთე ამბობს, „რაც უნდა ბევრი ნაკლოვანება ჰქონდეს, ადამიანი მაინც ყველაფრით ღირსული არსებაა ამქვეყნად. სხვა საქმეა, რამდენად გაიგებ და შეიგრძნობ ღირსებას, ან გაიგებ და შეიგრძნობ კი საერთოდ? ამაზეც ასეთ პასუხს გავცემ, ალბათ, უკვე მესამედ: „ღირსება სუბიექტური ცნებაა, თუმცა ობიექტური თვისებებით განპირობებული: ზნეობრიობა, ცხოვრების წესი“... ისევ და საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომელიც ჩემი თემის შესავლად გამოვიყენე, რომ „ყოველი ადამიანი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას... და ღირსება, ეს არის ადამიანზე ამ ღირებულებების აღიარება“.

ეს ყველაფერი ჩვენ, ადამიანებს გვხვება, ყველაზე გამორჩეულებს ამ სამყაროში, ჩვენში სწორედ ღირსების, როგორც ცნებისა და როგორც გრძნობის, შეგრძნების, არსებობით.



ჯავა ჭეშვილი

ძველი ქუთაისი

გურამ პეტრიაშვილი

# ირინეს ბავშვობა

**6 ოქტომბერი, 1986 წ.**

ერთი კვირის წინ გავიყვანე გარეთ, რომ ველოსიპედით ესეირნა, მაგრამ ვერ დაძრა. ვერ ახერხებდა, რომ ხან ერთ პედალს დასწოლოდა, ხან მეორეს.

მერე პატარა დაღმართზე დაგორდა და, ეტყობა, ფეხებმა უგრძნეს, როგორ უნდა მოიღუნონ და გაიშალონ რიგრიგობით. გუშინ რომ გავიყვანე, უკვე კარგად დადიოდა.

აი, ახლა კი ბინაში დაჰყავს, შედის და გამოდის ოთახიდან ოთახში და თან მღერის.

**11 ოქტომბერი, 1986 წ.**

„ორი ბატონის მსახურს“ ვუცქერდით ტელევიზორში და ირინემ თქვა:

— იმას, შავი რომ აცვია, ის ქალია და რათ უნდა ქალს ხმალი?

**14 ოქტომბერი, 1986 წ.**

— უიმე, ღმერთის კუბიკები ვიყიდე, ღმერთის სახლი უნდა გავაკეთო იმისგან, — თქვა უცებ ირინემ. რალაცას ყვებოდა და უცებ გაახსენდა ეს.

გავიდა და შემოიტანა ასანყობი სათამაშო. კოლოფში ხისგან გამოჭრილი პრიზმები აწყვია: სამკუთხა და ოთხკუთხა.

— ღმერთის სახლი უნდა გავაკეთო, — გაიმეორა ირინემ.

**20 ოქტომბერი, 1986 წ.**

ამ ორი თუ სამი კვირის წინ მითხრა:

— ზანგებს ხო ყველაფერი შავი აქვთ. იმათ ჭრელი ქოლგა არ უნდათ, იმათ შავი ქოლგა უნდათ.

სამი თუ ოთხი დღის წინ მღეროდა ალა პუგაჩოვას სიმღერას („მილიონ ალიხ როზ...“).

მელოდია კი იგივე იყო, მაგრამ სიტყვებს თვით იგონებდა ქართულს.

მეუბნება ხოლმე: მამი — ამი (ესე იგი, მამი ამიყვანეო). გუშინწინ რამდენიმე წინადადება გადააბა ასეთი სიტყვებით: მამი, ამი, წამი, იქმი, სახლმი. თან ამ წინადადებებს აზრი ჰქონდა. თავისებური ენა გამოიგონა.

**1 ნოემბერი, 1986 წ.**

დედამისს უყვებოდა სიზმარს.

— ნუხელის ირემი ვნახე... ტიროდა... ცრემლები ჩამოსდიოდა. არა, არა, ცრემლები კი არ იყო, დიდი ქვები იყოო.

საოცრება არაა ეს?

**ნოემბერი, 1986 წ.**

ძალიან უყვარს სატყუარა-სანოვარა. ვერაფრით ვერ გადავაგდებინეთ. მოფერებით „სოსა“-ს ეძახის.

მომიცოცდა და მეუბნება:

— მე რო გავიზრდები, ქალი რო ვიქნები და შვილები მეყოლებოდა, იმათაც ექნებათ სოსა და მეც...

**10 თებერვალი, 1987 წ.**

შაბათს, 7 რიცხვში მყავდა კინოსტუდიაში.

სამონტაჟოში მეხმარებოდა. კოლოფები მოჰქონდა.

ძალიან გაახარებული იყო ამით.

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენნი მწერლები“ № 5, 6, 13, 14

დერეფანშიც ხალისიანად გაიქცეოდა ხოლმე წყლის მოსატანად.

კარგად ჭამა კიდევ.

ლექსი გაიხსენა ორსტრიქონიანი, რომელიც მე გამოვთქვი რალაც ზღაპრისთვის, როცა მას ვუყვებოდი.

ჯერ მხოლოდ რითმები იყო სტრიქონების ბოლოში, შემდეგ კი მარცვლების რაოდენობაც დაამთხვია.

მეუბნება ხოლმე:

— ამაზე დანერე იკორა. კარგი, მამი?

(„იკორა“ ზღაპარსა ნიშნავს — „იყო და არა იყო რა“).

**11 თებერვალი, 1987 წ.**

— კალმისტარი ვერ ვიპოვე — ვთქვი მე.

— მაგ კალმისტრის დედა ვატირეთ ჩვენ, ხო, მამი? — მითხრა ირინემ.

**3 აპრილი, 1987 წ.**

ამ ორიოდ დღის წინ, სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ირინემ მითხრა:

— იცი, როგორ გამეხარდა, შენ რო მოხვედი!

გუშინ კი მითხრა:

— მამიკო, მე მოვიგონე „ბანანასი“, როგორც „ფუსუსუნა“

(„ფუსუსუნა“ პეპიმ მოიგონა ლინდგრენის წიგნში, უფრო სწორად კი, მთარგმნელმა ჩიტო ბაჯელიძემ).

**4 აპრილი, 1987 წ.**

ირინე დილით მიყვება, თუ რა ნახა სიზმარში.

კარნავალი იყო და სიზმარი რომ დამთავრდა „დასასრული“ დაენერა, თითქოს დიაფილმს მაჩვენებდიო.

**9 აპრილი.**

ვუკითხავდი „კარლსონს“.

წავიკითხე, თუ კარლსონმა როგორ ჩაკოცნა თავისი სურათი. ირინემ თქვა:

— კარლსონი რომ ნამდვილი იყოს და ჩვენთან მოვიდეს, ჩვენს სათამაშო კარლსონს აკოცებდა...

**26 აპრილი, 1987 წ.**

მღერის:

„იყო ერთი გურამუჩა,

იმას ჰყავდა ირინუჩა“.

აქ, მოსკოვში, ესე იგი 19 აპრილის შემდეგ, შევამჩნიე, რომ ასე თამაშობს თავისთვის.

ვითომ კითხულობს, თუ ვილაცას უყვება:

„ჰოდა, ის ისე დახტოდა, როგორც გველი, — თქვა მერი პოპინსმა...“

„მან ისევე დაგრიხა თოკი, მაგრამ რატომღაც აერია...“

და ასე შემდეგ...

თხრობისას იყენებს ისეთ სიტყვებს და გამოთქმებს, რომლებიც იმ წიგნებშია, მე რომ ვუკითხავ.

„აილო პეპიმ და დაუნყო კოლოფს ხევა, არავინ არ იცოდა რატომ...“ — და თან ხევეს კოლოფს...

მაისური აინია და ჭიბს მიჩვენებს:

— აბა, ხელი დამაჭირე, ვიმღერებ!

დავაჭირე... და დაინყო მღერა:

„იყო ერთი ნუჩა, ნუჩა,

იმას ჰყავდა მამინუჩა...“

**28 აპრილი, 1987 წ.**

გუშინ წიგნს ვუკითხავდი.



პერსონაჟმა თქვა, ღამით მგზავრობა არ მიყვარსო.  
— მე კი მიყვარს ძალიან, — გაეპასუხა ირინე.

დღეს დილით მეკითხება:  
— მამიკო, მერი პოპინსი როდისმე ბავშვი იყო?

მოსკოვში რომ მოვფრინავდით, ირინემ შორს დამანახვა თვითმფრინავი და მითხრა, მე რომ ღრუბლებში ვცხოვრობდი, ის პატარა თვითმფრინავი ჩემი სათამაშო იყო...  
თვითმფრინავი მართლაც ძალიან პატარა მოჩანდა. სადღაც ძალიან მაღლა მიფრინავდა.

**3 მაისი, 1987 წ.**

ნაშუადღევს ვბრუნდებოდით სასტუმროში ირინე და მე ჩამოვიარეთ ბავშვების სათამაშო მოედნის გვერდით. ბავშვებთან თამაში მინდაო.  
ნამოდი შენი სათამაშოები გამოიტანე და გამოდი-მეთქი. ამოიღო ილიაში აქეთ-იქით პინგვინი და თოჯინა. და გამოკვდიო.  
მივედით ბავშვებთან. ისინი საქანელაზე ასულიყვნენ და ლაპარაკობდნენ.  
ირინე გაუბედავად იდგა და უყურებდა.  
უთხარი, რომ მეთამაშონო.  
დიდები არ ერევიან ბავშვების თამაშში-მეთქი. მაშინვე დამიჯერა.  
მე შორს დავდექი. ირინე მივიდა სათამაშოებიანად და გაჩერდა ბავშვების გვერდით.  
დიდხანს იდგა და უყურებდა.  
ისინი თავისთვის თამაშობდნენ. ირინეზე დიდები იყვნენ.  
ირინე მოვიდა და მითხრა, ალბათ იციან ქართველი რომ ვარ და იმიტომ არ მეთამაშებიანო (ეს ალბათ იმიტომ მითხრა, რომ რამდენჯერმე მისი თანდასწრებით რალაცა ვთქვი რუსებზე).  
იქიდან წამოვედით და ახლა მეორე მოედანთან მივედით. ველოსიპედზე იჯდა ერთი გოგო. ირინეს ვუთხარი, მაგასთან მიდი-მეთქი.  
ირინე მივიდა, გვერდით დაუდგა და უცებ ვხედავ, ელაპარაკება.  
თავს გადახრის მისკენ და რალაცას ეუბნება.  
თვითონაც დამინახა, რომ ვუყურებდი და გამიღიმა.  
მერე მოვიდა, არ მაქცევს ყურადღებასო.  
ისევე წავიდა.  
უკან მისდევდა.  
ის გოგო ცოტა არ იყოს მოშტერო ვილაც იყო. გოჭივით გაუგებარი (შეიძლება ითქვას, ლორივით).  
ირინე გვერდით მისდევდა და ელაპარაკებოდა.  
მერე გოგომ რალაცა უთხრა.  
ირინე მოვარდა ჩემთან და მითხრა, ბოლოს და ბოლოს მომაქცია ყურადღება, რალაცა მითხრაო.  
მერე ის გოგო სახლში შევიდა.  
ირინეს დავანახვე სხვა გოგო და ბიჭი თამაშობდნენ ბურთს.  
გაიქცა იმათკენ.  
საყვარლად გარბოდა ილიებში სათამაშოებამოდებული. მივიდა იმ გოგოსთან და რალაცა ჰკითხა.  
უკან გამოიქცა უფრო საყვარლად: თავანული, წინწამოხრილი. მოარბენინებდა ილიაშიამოჩრილ სათამაშოებს.  
მოირბინა, არ მეთამაშებიანო.  
მერე დაბრუნდა იმათთან. ისევე მოირბინა ჩემთან.  
მერე მივიყვანე ქვიშის ყუთთან.  
იქ პატარა ბიჭი ქვებს ყრიდა ვედროში. მან ნება მისცა ირინეს, რომ მასაც ჩაეყარა ქვები.  
ირინე ეთამაშებოდა და თან რალაცას ელაპარაკებოდა.  
მერე სხვა გოგოს ნიჩბით თამაშობდა.

ცოტა რომ ეთამაშნენ, ჩანდა მოეწონა, თუმცა ბოლოს მაინც მითხრა, არ მეთამაშებიანო...  
მერე დასაცურებელზე ავიდა.  
უკან ის ბურთის მოთამაშე გოგო მოადგა.  
ირინემ კვლავ გაუბა საუბარი.  
საინტერესო იყო, თუ როგორ სძლევდა სიმორცხვეს და ყველას უწყებდა საუბარს...  
ირინე ველოსიპედიან გოგოს რომ დასდევდა, ოლიკომ გამოიხედა სასტუმროს ფანჯრიდან და სიყვარულით უცქეროდა ირინეს. და ძალიან კარგად ილიმებოდა...

გუშინ საღამოს მოვდიოდით სასტუმროში. მოგვექონდა მეორე პინგვინი. ეს ირინემ მოინდომა. რომ ვკითხე, იმ პინგვინს რა ვუყიდოთ ძმაკაცად-მეთქი, მეორე ვუყიდოთო.  
(ალბათ პინგვინ დოლოზე რომაა ფილმი იმის შთაბეჭდილებით).  
ავტობუსიდან რომ ჩამოვედით, ვუთხარი, პინგვინი დაგერჩა-მეთქი.  
რა ვქნათო, — მკითხა.  
გამოვუჩინე.  
ჰო-ჰო, რა დღე მაყარა!  
ღრიალი მორთო, ეგ რა ხუმრობააო.  
მართლაც, ვერ იყო კარგი ხუმრობა.  
ასეთი რამეები რომ არ უყვარს, სწორია.  
რატომ შემამინეო.  
(ხუმრობაში თუ შიში ან სხვა რამ უსიამოვნო იგულისხმება, ის აღარაა ხუმრობა).

**7 მაისი, 1987 წ.**

მივდიოდით ტაქსით კურსკის ვოგზალზე.  
გავუარეთ ძერჟინსკის ძეგლს.  
— მაგან რა დაწერა ბავშვებისთვის სასიამოვნო? — მკითხა ირინემ.  
განა სწორი არაა? ძეგლი იმას უნდა ედგას, ვინც ბავშვებისთვის სასიამოვნო საქმეები აკეთა.

**8 მაისი, 1987 წ.**

მოსკოვიდან მოვდივართ თბილისში.  
ესხედვართ მატარებელში.  
ირინემ ჩამხედა თვალეში და მეუბნება:  
— უკვე მწვანე თვალეები გაქვს, მამიკო. იცი როგორ? მე გიყურე, გიყურე და მწვანე თვალეები გაგიხდა.

**20 მაისი, 1987 წ.**

ვთამაშობდით.  
ის საწოლზე იდგა, მე საწოლთან ვიდექი.  
წავავლე ხელი და საწოლზე წავაქციე.  
მერე თვითონ წავექცევი.  
მოეწონა.  
მეუბნება, მოდი ერთიც გავიჭიდავოთო.

**21 მაისი, 1987 წ.**

მოდი, მამიკო, ერთიც გავიჭიდავოთ, — მეუბნება ირინე.  
დივანზე დგას.  
წავავლე ხელს.  
ვეჯაჯგურები.  
მერე წავიქციე და ის ზედ დამეცემა.  
უხარია. კივის სიხარულით.  
მოდი, კიდე ერთხელ, კიდე ერთხელო...

ოლიკომ განუწნა „მამალო“ და დადო თეფშზე.  
ირინე ბუზღუნებს, რატომ დადოო.  
რა არის-მეთქი.  
იმიტომ დადო, რომ მე მომანდომინოსო.  
ახლა რომ მინდა, რა ვქნაო...

ირინემ თავზე მიიღო ხელი ერთგან, აქ სისულელები და ყაჩაღობები მაქვსო. მეორეგან მიიღო — აქ კარგად მოქცევაო.

**13 ივნისი, 1987 წ.**

ვუკითხავ „არიციას თავგადასავალს“. მე ვწვევარ გულაღმა, ირინე მუცელზე მაზის. წიგნი ჩვენს შორისაა. ნავიკითხე რომელიღაც პერსონაჟის სიტყვები, ვინც მიხვედრილია, ის მიხვდებაო. ირინემ წიგნზე გადმოყო თავი და ჩასძახა: — მე მივხვდი, მე!

**15 ივნისი, 1987 წ.**

ირინეს კარაქს ვუსვამ პურზე. — კარგად წაუსვი, რომ ყველამ იცოდეს, რომ შენ წესიერი მამა ხარ, — მეუბნება ირინე.

**21 ივნისი, 1987 წ.**

ლილოში ვართ მე და ირინე. დედაჩემს რადიკულიტის შეტევა აქვს და ამოვედით სანახავად. წუხელის წვიმა და ქარი ქროდა. ლოჯიაში, სადაც ჩვენ ვინექით, ერთგან წვიმა ჩამოვიდა. ტაშტი შევუდგი. ირინე დაინტერესდა, მაჩვენეო. ფანჯრიდან დავანახე, თუ როგორ ელავდა. — როგორც თეატრშიაო, — თქვა ირინემ.

ხელი გავაყოფინე, რომ დასცემოდა წვიმის წვეთი. ქარისა ეშინოდა. აქ არ მინდა, ნავიდეთო, ნაუტირა კიდეც. დილით კარგ გუნებაზე ადგა. მაშინვე ჭამა მოინდომა.

მერე თუთაზე წავედით. ბაბოს უამბო, მამა ხეზე ავიდაო. „უბორნიაში“ ვაქნევი. „კალგოტკებს“ რომ ვუნევი და ვუსწორებდი, უცებ წყნარად მომხვია ხელები და მაკოცა ლოჯიაზე. მიწობანას თამაშობს: სხვადასხვა ჭურჭელში ჰყრის მინას. დღეს არ ნავიდეთ, ხვალ ნავიდეთო. მერე ირინე და მე ვისხედით კიბის მოაჯირზე და თუთას შევექცეოდით (მოაჯირიც კიბესავითაა, ოღონდ მისი „საფეხურები“ კიბისაზე ბევრად დიდებია). მე ფეხი ფეხზე მქონდა გადადებული და ისე ვჭამდი. ირინემ დამხედა ფეხებზე და თვითონაც გადაიდო ფეხი ფეხზე. იჯდა და ჭამდა სერიოზული გამომეტყველებით.

**1 ივლისი, 1987 წ.**

ვართ ქვიშხეთში. ირინემ აიღო ბალიში და მითხრა, ვიბალიშოთო. ესე იგი, ბალიშებით ვითამაშოთო (ერთმანეთს რომ ესვრიან). „ვიბალიშოთ“! კარგია! მიყვება ექიმებზე: — ერთი საბავშვო ნემსი არ გამიკეთეს და პირში არ ჩამაწინნკლეს...

როგორია? „ჩამაწინნკლეს“!

**3 ივლისი, 1987 წ.**

— ჩაინერე, არ დაგავინყდეს, — მეუბნება ირინე, — აი, აქ გააბი თოკი. ამას და ამას მოაბი. გულაღმა დავწვები, მოკვილებ ხელებს და გადავხტები. თავზე დამადგა და დამცქერის, ვინერ თუ არა. — მერე ამას ეჭიდება და... იქით რომ გადავხტე და მალლა ვიყო ჩამოკიდებული... და გავექანავდები და გამოვექანავდები... ასე წარმოიდგენს, თუ რა როგორ იქნება.

**6 ივლისი, 1987 წ.**

უცებ წაიმღერა: — ფეხშიშველა დილექტორი მიდიოდა ველზე... ფეხშიშველა თვითონ იყო „დილექტორი“, ცხადია, „მეპი — გრძელი წინდადან“ გაახსენდა, ხოლო „მიდიოდა ველზე“ თვით მამამატი რიტმისთვის.

**21 აგვისტო — 28 აგვისტო, 1987 წ.**

ირინე მომდევნა უკან. ვუთხარი, ამას როგორ დაიკავე ხელში-მეთქი (თუ რაღაც ამაღავარი). მომდევნა და მეუბნებოდა: — მამო, შენ სულ არ იცი, რა არის ცხოვრება... ეტყობა, რაღაც ასეთ გამოთქმას მოჰკრა ყური.

**28 აგვისტო, 1987 წ.**

კოლომ უკბინა. აბა, მაჩვენე-მეთქი. — კოლოების მინისტრო! — მითხრა ირინემ.

**11 სექტემბერი, 1987 წ.**

ვითომ რაღაცასა წერს, თან ამბობს, რაც „დანერა“: — ოთხშაბათს დილიდან საღამომდე ქმარი პრინცი მყავს... სწორია, ქმარი პრინცი უნდა მყავდეს... კიდევ ილაპარაკა ასე და ბოლოს თქვა: — ხელი მოვანერეთ, აი, აიღეთ ბატონო!

**19 სექტემბერი, 1987 წ.**

მეუბნება: — მამიკო, თუთიყუშს რო ვიყიდით, ბოსტარი დავარქვით. ბოსტარი... ხო კარგია? გვარიცა ჰქონდეს: ბოსტარი ბოსტარიკი. და ცოლს ერქვას ბოსტარა. პატარა თუთიყუშუნებს კიდევ ბოსტარუნები.

რაღაც სუბექტაკლს თამაშობს. მთლიანად!

აქ არის ვიღაც მოქმედი პირი „პორკესტო“.

ამ სიტყვას იმეორებს ხშირად.

სულ მღერის:

„შენ ბავშვებმა შეგიყვარეს, პორკესტო...“

მუდამ დავიფარებ...

მუდამ ჩემ ზღაპრებს...

პორკესტო...

ფერია ვარ, ფერია...

მე ცუდი ვარ, ცუდი (ეს ვითომ უარყოფითმა მოქმედმა პირმა თქვა).



მხატვარი ინა ჭელიძე

მუდამ იმღერეთ... პორკესტო...  
პორკესტო... პორკესტო...  
იცეკვეთ, იცეკვეთ...“

გუშინ შეთხზა ლექსი.  
თვითონვე თქვა, აი, რა კარგი რითმა გამოვიდაო.  
„თუ არ გინდა რო გეტყინოს ყელი,  
უნდა ჭამო უმარილო ყველი“.

**28 სექტემბერი, 1987 წ.**

უცხოპლანეტელებიანი და ურჩხულებიანი მულტფილმი  
ნახა.

მეუბნება:

— ცისკენ ველარ ვიხედები. მემინია, რო ის ცუდები – პლა-  
ნეტელები იყვნენ იქ...

**28 სექტემბერი — 14 ოქტომბერი, 1987 წ.**

კედელზე დაუხატია პატარა სახლი.  
სახლს კიბეცა აქვს.  
მითხრა, აი, ლილოო.

**29 სექტემბერი, 1987 წ.**

ვიჯექი და რალაცას ვწერდი.  
ირინემ მოირბინა და მითხრა:  
— მამიკო, წამოდი, ჭამე და მერე დანერე. უფრო მეტი ძა-  
ლა გექნება.

**14 ოქტომბერი, 1987 წ.**

დედამისმა რუსული გამოცანები წაუკითხა.  
მოვიდა და მეკითხება გადმოქართულბულს:  
— ზის სადღაც და თმები გადმოუყვია. რა არის?  
— არ ვიცი.  
— სტაფილოა. მინაში ზის და მწვანე თმები უჩანს (მგონი  
მითხრა, ზის სადღაც მეფის ასულიო. ეს თვით დაამატა).  
მერე მკითხა:  
— აბა, რა არის; როცა კაბას ხდიან, ცრემლი დასდის, დი-  
ახ! (რამდენჯერმე გაიმეორა ეს „დიახ!“ უნდოდა ხაზი გაესვა  
რითმისათვის: „ხდიან“ — „დიახ“).  
— რა არის, შვილო?  
— ხახვია.  
(იცის, რომ ხახვის გაფცქვნისას გამფცქვენელს ცრემლი  
დასდის. მის გამონაგონში ხახვს იმიტომ დასდის ცრემლი,  
რომ სიტყვა „ხდიან“ სჭირდება ლექსს.  
მერე ამ გამოცანის ახსნად ხახვის ნაცვლად პომიდორი  
მითხრა: როცა ტყავს აცლი, ხომ ვითომ ტირისო).

**21 ოქტომბერი, 1987 წ.**

ამ ერთი თვის წინათ ვილაც რუსის ქალს დაველაპარაკე  
ქუჩაში (ალარ მახსოვს რის თაობაზე). ირინეც ჩემთან იყო.  
იმ ქალზე ჩემთვის არაფერი უთქვამს ირინეს, დედამისს კი  
უთხრა თურმე, „პუგატელნიე გლაზა“ (შემამინებელი თვალე-  
ბი). ჰქონდაო.

**29 ოქტომბერი, 1987 წ.**

სალამოს ვუკითხავდი „არიციას“. იქ ეწერა, ვილაცებმა  
ცეკვა „თალგამი“ იცეკვესო.  
— ეგ, იცი, როგორი ცეკვაა? – წამოხტა ირინე ლოგინში.  
დადგა და რუსულ ზღაპარში თალგამს რომ იღებენ, ისე გაიმ-  
ვირა წინ ხელები, – ალბათ ასე ჰკიდებენ ხელებს ერთმანეთს  
და ასე მოძრაობენო.

**30 ოქტომბერი, 1987 წ.**

მიყვება: შენ რო გასული იყავი, მაშინ მოვიდა ირინე უჩა ჭი-  
ამაია და მითხრა, წამოდი, ტყეში გელოდებიანო.

**31 ოქტომბერი, 1987 წ.**

ირინე მეუბნება:  
— ტელევიზორში რომ კურდღელი გამოდის, ეგ გოგოა.  
აბა, რა, თვალებს ისე ჩქარ-ჩქარა ახამხამებს.

**3 ნოემბერი, 1987 წ.**

გაიღვიძა თუ არა, ამბობს:  
— სულ ერთი და იგივე სიზმრებია: ომი, ომი, ომი...  
— ვინა ომობს, შვილო? — ვეკითხები მე.  
— მტრები, მტრები, მტრები, მტრები... ძებნა, ძებნა, ძებ-  
ნა, ძებნა... ნავი, ნავი, ნავი, ნავი... სულ ომია ჩემს სიზმრებში...  
სადამდე უნდა მივიდეს ეს ომი?.. სულ ბუხ, ბუხ, ბუხ... ბუხუ-  
ნებს... ქართველები... მტრები... ქართველები რალაც გამოქვა-  
ბულში დაამწყვდიეს... სადამდე უნდა იყოს ეს ერთი და იგივე  
ბუხუნე?

ვუყვები ზღაპარს აჩლარულაზე და აფლაფატოზე.  
ირინე ამბობს:  
— აჩლარულას ნაბლები დაჰქონდა, ნაბლა-ჩურლა იყო.  
აფლაფატოს კიდე ვაფლები დაჰქონდა სამგზავროდ...

მიყვება:

— ჭარხალი იყო და წითელიკო იყო გვარად...

ამ რამდენიმე დღის წინ მითხრა:

- გინდა საიდუმლო გითხრა?
- მინდა.
- მე სკოლაში რო წავალ, ხუთებზე უნდა ვისწავლო.

ირინემ და მე გამოვიგონეთ თხილის ბუტერბროდი.  
ფუნთუშას თხილი შეატანე-მეთქი.  
ფუნთუშაში ჩადე თხილიო.  
ჩავუდე.  
ჩაკბიჩა და ცერა თითი ასწია, კარგიაო.

**5 ნოემბერი, 1987 წ.**

დედამისმა დარეკა აეროპორტიდან, მოვდივარო.  
ირინე მეუბნება:  
— შეიძლება დედას ისეთი ავტობუსი შეხვდეს, რომ ჩუქუ-  
ჩუქუ-ჩუქუ შეინჯღრეს (თვით შერხა მთელი ტანით) და იმ  
წუთში აქ გაჩნდეს თემქაში!  
— ეგ როგორ?  
— ერთხელ მე და პიკა რომ ვიყავით ერთად, მაშინ ჩავჯე-  
ქით ეგეთ ავტობუსში. ჩუქუ-ჩუქუ-ჩუქუ ქნა და უცებ აქ მო-  
ვედით.

**10 ნოემბერი, 1987 წ.**

ირინემ შემომჩვილა:  
— გუშინ სალამოს დედამ დამარტყა, აი, აქ, ტაკის ზევით.  
მე არ დამიშავებია, რომ აქ დაერტყა, მე ისე დავაშავე, რომ  
ტაკში დაერტყა...

**17 ნოემბერი, 1987 წ.**

მთხოვა:  
— მამიკო, წამიკითხე „პიკო და ოლიკო“.  
ის-ისაა კითხვა უნდა დავინყო და მეუბნება:  
— არ მიყვარს ეგ უჟმური! რო ავიღებდი და გაუუქანებდი  
დამბალ პამიდორს, მაგას ვურყვენებდი!

**20 ნოემბერი, 1987 წ.**

სწრაფად გაცუნცულდება მოკლე-მოკლე ნაბიჯებით, ხან  
აქეთ და ხან იქით. თან მეუბნება, კოლო ვარო.  
უყვარს ასე თამაში: ხან იტყვის ესა ვარო, ხან – ისაო.

თავის თავს დრუნჩას ეძახის, მე – ვინი პუჰს, რამეს რომ აკეთებს, კომენტარს უკეთებს, თითქოს ავტორი ჰყვება მოქმედ პირზე.

ერთად ვიდევით.  
უცებ პირსახოცს წაავლო ხელი. გაიქცა და თან ამბობდა:  
— უცებ დრუნჩამ დრო იხელთა და მოიტაცა პირსახოცი...

მოვა ჩემთან და იწყებს ამბის თხრობას:  
— დრუნჩა მივიდა ვინისთან და უთხრა...

ამ რამდენიმე დღის წინ მაჩვენა, თოჯინასთვის რაღაც და-უხურავს თავზე:

— ნახე, მამიკო, როგორ დავაკობტავე!  
ესე იგი, როგორ კობტად დავახურეო.  
ჩემის აზრით დიდებულია ეს „დავაკობტავე“.

**24 ნოემბერი, 1987 წ.**

ჩუტყვავილა ჰქონდა.  
უკვე გაუარა სიტყვებმა, მაგრამ ჯერ შინ უნდა იყოს.  
დაარბენინებს ველოსიპედს.  
წასვლას ვაპირებდი. დამაყენა სარკის წინ და ირგვლივ მივლიდა.

უცებ რაღაც თავისი ლექსის დასაწყისი თქვა:  
— და მირბის ზღარბი ველოსიპედით...

სალამოს რომ დავბრუნდი, მაშინვე წიგნი წამაკითხა.  
მერე ვუთხარი, ცოტას წავუძინებ-მეთქი.

მივდე თავი დივანზე.  
ირინე დახტოდა დივანის საზურგეზე და რაღაცას ჰყვებოდა.

შენც დაიძინე-მეთქი.

არ მინდაო.

ჩამეძინა.

გამეღვიძა და ვხედავ, ჩემზე წამოწოლილა, ჩამხუტებია და დაუძინია.

გადავიყვანე თავის საწოლში.

ამ ორი დღის წინაც დღისით ვიძინებდი და ძილ-ღვიძილში ვიგრძენი, როგორ მოვიდა და წამოწვა ჩემს გვერდით.

ჯერ იყო ჩუმად, განაბული. მერე ადგა და წავიდა სათამაშოდ.

ალამ მითხრა, ლექსებს, სიმღერებს და მელოდიებს იგონებსო.

გუშინ წავკინკლავდით ალა და მე, გინდა რომ ირინეს გან რუსი გამოიყვანო-მეთქი.

ირინემ დილით მითხრა:

— მამიკო, ქართველი ვიქნები თუ რუსი გავხდები, შენ მანინც მეყვარები.

**25 ნოემბერი, 1987 წ.**

ალა უცქერის ტელევიზორს.

— რა ხდება მაგ ფილმი? — ვეკითხები მე.

— მოდი, უყურე...

— მერე ირინესთან ვინდა იქნება?

აქ ირინე ერთვება საუბარში:

— მე რა ხუთი მამა მყავს, რომ ერთმა ტელევიზორს უყუროს, მეორემ წამიკითხოს, მესამე მეთამაშოს?!

ვუკითხავ წიგნს.

— სად დაწერეს ეს წიგნი? – მეკითხება ირინე.

— ბრაზილიაში.

— იქ ბრაზილიანები არიან?

ზის საწოლზე და უცებ ამბობს:

— ქვიშხეთში რომ წავალ, ახლოს არ გავეკარები თეონას. იმიტომ, რომ...

და მიყვება იმის თაობაზე, რომ თეონა ცუდად ეთამაშებოდა შარშან.

აბა უყურე! თურმე იჯდა და ფიქრობდა ქვიშხეთში გატარებულ დღეებზე.

**26 ნოემბერი, 1987 წ.**

ირინე უსმენდა ფირფიტას. იქ გერმანული ზღაპრები იყო ჩანერილი (ქართულად ნათარგმნი).

მთხრობელმა თქვა: „ჩრაუ ჰალე“.

მე ვუხსნი ირინეს:

— არასწორად თქვა, უნდა ეთქვა ფრაუ ჰალე. ქართულში არა გვაქვს „ჩ“ ბგერა.

ეტყობა, ირინეს ახლა სხვა რამ აინტერესებდა. მეუბნება:

— ჰო, არასწორად ამბობენ, უნდა თქვან ფიფქისმყრელიო.

ეს სიტყვა თვითონ გამოიგონა.

ფრაუ ჰალე ზღაპრის გმირია. ცაში ბალიშებს ბერტყავს და ბუმბული თოვლად ჩამოდის. მართლაც ფიფქისმყრელია.

**29 ნოემბერი, 1987 წ.**

ირინეს ვუკითხავდი წიგნს.

იქ რაღაც უნდა გაეკეთებინათ მოქმედ პირებს.

ირინემ წამოიძახა:

— ვიცი. კიბეს გასდებენ, გავლენ და მერე იქიდან ჩამოხტებიან პარამუტით. ნახე, თუ ვგრე არ იყოს...

ესე იგი, მთლიანადაა ჩართული წიგნის ამბებში. და აქტიურადა ფიქრობს იმაზე, რაც იქ ხდება. ფიქრობს წიგნის გმირების მაგიერადაც.

**2 დეკემბერი, 1987 წ.**

მიდის, ჯდება ტელევიზორთან და მეუბნება:

— აუჰ, რა სიტყვა ვისწავლე — „ჯივარ!“

**9 დეკემბერი, 1987 წ.**

ძილის წინ ჩემთან იწვა.

წავუკითხე წიგნი და კედლისკენ გადავბრუნდი (თეძო მქონდა გაციებული და მტკიოდა).

ირინე უკანნიდან მომეხუტა და, რაც მთავარია, ფეხი შემომადლო ფერდზე.

სწორედ ასე მიყვარდა ფეხის შემოდება, მამაჩემს რომ მივეხუტებოდი ხოლმე.

**11 დეკემბერი, 1987 წ.**

დილით ირინეს ვუთხარი, ერთ კაცს ფილმისთვის ლექსები უნდა დაეუნერო-მეთქი.

მოდის, მე დაგინერო და მაშინვე დაიწყო თხზვა:

„მოდის ერთი კურდღელი,

უკან მოსდევს მეორე.

ალარ მინდა კურდღელი,

უკან მოსდევს მეორე.

მოდის ერთი კურდღელი

უკან მოსდევს მეორე.

ალარ მინდა კურდღელი,

უნდა ვიყო ზღარბიო...“

ასე ამბობდა რაღაც-რაღაცებს დიდხანს.

მერე მითხრა, მე მხიარული ლექსები მიყვარსო.

ძალიან მოეწონა ქართულ საზოგადოებას ჩემი წერილი ფარაჯანოვის „სურამის ციხეზე“.

სალამოს, შინ რომ დავბრუნდი, ირინემ მითხრა, ათასმა კაცმა დაგირეკაო.

**13 დეკემბერი, 1987 წ.**

ირინე მღერის:  
— იმერეთი, იმერეთი, იმერეთი...  
ჩვენს სამშობლოს დედაქალაქს გაუმარჯოს!

სალამოა.  
ცირკიდან დავბრუნდით.  
მღერის:  
— მეგობრობას რა სჯობიაა!

**18 დეკემბერი, 1987 წ.**

დილით გაიღვიძა და მეუბნება:  
— იცი ჭინჭრაქა რატო დაარქვეს ჩიტს? ლობეს გადაიფრენს ვილაცის ბაღში და ჭინჭრებში დაიმალება. ეგრე დაუძახებენ ხოლმე: ლობემძვრალა ხელმწიფო.

**24 დეკემბერი, 1987 წ.**

დედამ უყიდა საახალწლო საჩუქარი.  
საჩუქარი ახლა ყუთშია. ყუთი კი კარადის თავზე ძეცს.  
ირინე ამბობს:  
— ნავიდე ერთი, უნდა გავესაუბრო იმას, ვინც ზის ყუთში.  
ვნახო, ვინ არის. იქნებ ხმა გამცეს.  
მივიდა და შესძახა:  
— გამეცი ხმა!  
მერე ეუბნება:  
— თუ ქართული არ გესმის, მაშინ რუსულად დაგელაპარაკები.  
დაელაპარაკა რუსულადაც. პასუხი რომ ვერ მიიღო, ასძახა:  
— ახ, მძინარავ!  
და ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება:  
— ერთი ეს მითხარი, მანდ რათა ზიხარ უპასუხოდ. ახლავე გამეცი პასუხი... მძინარა...  
უთხრა ასე, და დაანება თავი.

**28 დეკემბერი, 1987 წ.**

ირინე მეუბნება:  
— შენა ხარ მძინარე კაცთუნახავი, იმიტომ, რომ ჯერ არავის უნახავს შენნაირი ჭკვიანი კაცი... კაცჭკვიანა ხარ შენ.  
დაჯდა და მღერის.  
მერე ტანზევით სულ გაიხადა და ჩაიცვა ვარდისფერი უსახელოებო ქურთუკი („ბეზრუკავა“).

ეუკითხავ ნიგნს. იქ მინის თხილზეა ლაპარაკი.  
ირინემ წამოიძახა:

- არაყისი მე ძალიან მიყვარს!
  - არაყისი კი არა, არაქისი.
  - ხო, არაქისი. ძალიან მიყვარს!
- იჯდა, იჯდა, მერე წამოხტა და გავარდა.  
ალებდა კარს და ამბობდა:  
— აუ, როგორ მინდა... ტუჩებს ვილოკავ.

ეუკითხავ ნიგნს („ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“). იქ ბიჭმა ოქროს ბილეთი იპოვა.

— მე ჯადოსნური საღეჭი რეზინის ყიდვას ვაპირებ — თქვა ირინემ.

**30 დეკემბერი, 1987 წ.**

ვილაცაზე იყო გაბრაზებული და ბუზღუნებდა:  
— მაგას ჩავსვამ ნიგნში და მერე იმ ნიგნს დავხევე...

გუშინ დილით ალამ მითხრა, შენი სანოლი გაასწორეო.  
ირინემა თქვა, მე გავასწორებო.  
და გაასწორა კიდევ ძალიან კოხტად.  
ზევიდან გადასაფარებელიც გადააფარა...

დედამისმა თავსაფარი გამოუნასკვა და თქვა, ვოტ ნასტოიანაია რუსსკაია კრასავიცაო.  
( აი, ნამდვილი რუსი ლამაზმანო )  
ირინე გაიბუხსა, მიტრიალდა და თქვა, არა ვარ მე რუსი, ქართველი ვარო.

რამეს რომ ეუკითხავ, დაინყებს ფანტაზიორობას, ალბათ ახლა ასე იქნება, ალბათ ისე იქნებაო. ახლა ასე უნდა ქნან, ახლა — ისეო.

დედამისს უნდა გაეყვანა საციგაოდ.  
ჩაცმულმა დაინყო სიმღერა:  
— ჰარალე, ჰარი, ჰარალეეე!..  
სიმღერას ამატებდა თავის მიერ გამოგონილ სიტყვებს.

**31 დეკემბერი, 1987 წ.**

დედამისმა საახალწლოდ საჩუქარი უყიდა და დიდ კოლოფში ჩადებული კარადის თავზე შემოდო.  
ირინე ხშირ-ხშირად მიდის კარადასთან და ელაპარაკება იმ საჩუქარს:  
— შენ კარლსონი ხარ? თუ ვინა ხარ? რატომ არ მელაპარაკები?

**14 იანვარი, 1988 წ.**

დღეს დილით მითხრა, რამე მომიტანეო.  
ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, თუ რას მომიტან, არამედ ის, რომ რამე მომიტანო (აზრი ასეთი იყო, სიტყვები ზუსტად არ მახსოვს).

გუშინ დილით პირს რომ ვიპარსავდი, თავი შემოყო და მკითხა: „ნასვლას აპირებ?“ აშკარა იყო, რომ არ უნდოდა სახლიდან ჩემი გასვლა.

ეუკითხავდი კარლსონს.  
კარლსონმა უთხრა ფრეკენ ბოკს: „შენ, ლუმელთან მდგარო ქალო!“

ირინემ გამაჩერა:  
— ნახე, მამი, ფრეკენ ბოკი კი არ უთხრა, უთხრა, ლუმელთან მდგარო ქალოო.

ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ნამდვილად გრძნობს ლიტერატურას და სიტყვას, როგორც ასეთს. მხოლოდ ამბავი კი არ აინტერესებს, არამედ ისიც, თუ როგორაა დაწერილი.

ამ სამი დღის წინ მითხრა, სიზმარი ენახე, მე და დედა ტიტლიკანები ვიყავითო.

და იქვე განმარტა, ეს იმიტომ ენახე, რომ ოლიკომ მიამბო დედას ბებიაზე, რომ ის ტრუსიკიანი წავიდა ფიზკულტურაზეო.

**28 იანვარი, 1988 წ.**

ნუხელის ჩემთან ინვა და ხელში ეჭირა ჩემი ნიგნი („ელი და რარუ“).

წყლის დასალევადა ავდექი.  
ოთახიდან რომ გავდიოდი, უცებ მითხრა:  
— სხვათა შორის, შენ კარგად ითამაშე ელის კინოში...

**31 იანვარი — 2 თებერვალი, 1988 წ.**

ვაპირებდი რალაც ჩამენერა უბის ნიგნაკში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნიგნაკის ბოლო გვერდები ირინეს შეუყვსია თავისი „ნახატებით“.

რალაც ხაზები და ხვეულებია, ბოლო გვერდზე კი უცდია თავისი სახელი დაენერა. აი, კარგად ჩანან „ი“, „ნ“ და „ე“, ხოლო „რ“-ს აკლია ხაზი ზემოდან.

**2 თებერვალი, 1988 წ.**

განთიადისას გამეღვიძა.  
ირინეს ძილში საბანი გადაჰხდოდა.  
ავდექი, დავაფარებ-მეთქი.  
რომ ვაფარებდი, ძილღვიძილში გაიღვიძა და მითხრა:  
— მამი... ზურგი...  
მოფხვანე.  
კვლავ გაიღვიძა და ღრმად ჩაეძინა.

ამ ერთი კვირის წინ დილით შემომხედა და, რომ დაინახა უსახელოებო ქურთუკი მეცვა, თავისთვისაც ასეთივეს დაუნწო ძებნა.  
შემომცინა, მამიკო მინდა ვიყო.  
რამდენიმე დღე მეუბნებოდა ასე:  
— მამიკო მინდა ვიყო!

გუშინ საღამოს რომ დაგვბრუნდი და დავაკაკუნე, სიხარულის ყიჟინით გამოვარდა.  
ოთახში შევედი თუ არა, მითხრა:  
— ჰო, საჩუქარი დამავინყდა!  
გაშალა ნაჭერში შეხვეული:  
ძველ ჩარჩოში ჩაუდგამს თავისი ნახატი.  
მითხრა:  
— აი, ნახატი ჩარჩოში!

**7 თებერვალი 1988 წ.**

რამეს რომ ვამბობ, თუ შემეშალა, მისწორებს გრამატიკულ ფორმებს.  
ახლა ვაძინებდი და ვუმღეროდი.  
ამყვა.  
იცის სიმღერების სიტყვები, მელოდიას კი ჩემზე უკეთა გრძნობს და მგონი ჩემი სიმღერით ვუფუჭებ სმენას.

**10 თებერვალი, 1988 წ.**

ზღაპარი მომიყვებო.  
რაზე-მეთქი.  
იმაზე, მუმი ტროლმა ნაყინის კაცუნები რომ გააკეთაო.  
ესე იგი, თვითონ უკვე მოიფიქრა ზღაპრის დასაწყისი.

დილით სარკეში იხედებოდა.  
თავს დალუნავდა და უკან თმას იხვევდა ერთ ნაწნავად.  
მერე თავზე შემოიხვია მოქსოვილი რგოლი.  
ესეც თვითონ მოიფიქრა.

კარზე ვილაცამ დავაკაკუნა.

ირინე მივიდა და ჰკითხა:  
— თქვენ ქურდი ხართ?  
(რუსულადა ჰკითხა, რადგან ამის წინ დედას ელაპარაკებოდა).

**14 თებერვალი, 1988 წ.**

ძილის წინ ნავეუკითხე მუმი ტროლების წიგნი.  
მერე ნახატ ხუმრობებს ვუჩვენებდი და თვითონ მანონსა სვამდა.  
ჩქარ-ჩქარა მაჩვენებო.  
მანონს ტყუილად ნუ ხარჯავო.  
უნდა, რომ მანონის სმაში ბევრი ნახატის ნახვა მოასწროს.  
მანონს იმიტომ სვამს სიხარულით, რომ სიამოვნება გაგრძელდეს და მალე არ დააძინონ.  
სმას რომ მორჩა, ლოგინზე წამოგორდა და თქვა, მეძინებო.  
მერე კი დაამატა:  
— როგორ მიყვარს მამისო!  
აჲ, ხან მამისოს მეძახის, ხან მამისოლეს, ხან მამილოს...

**16-18 თებერვალი, 1988 წ.**

ოლიკომ გააკრა შპალერი თავის ოთახში. მე შევაქე, ყოჩაღ-მეთქი.  
ირინემ ტირილი მორთო, როგორ თუ მოგეწონაო.  
დავუნყე დამშვიდება. არ გამომივიდა.  
მივხვდი, რაც უნდა მექნა.  
— ფუჰ, რა ცუდი შპალერია-მეთქი.  
ბოლთას ვცემდი და ვიმეორებდი ამ „ფუჰ“-ს რაც შეიძლება გადაჭარბებული პათოსით.  
— ფუჰ! ფუჰ! ფუჰ!  
ირინემ იგრძნო მთელი ამბის კომიკურობა და სიცილი დაიწყო.  
მერე რამდენჯერმე მომადგა და ეშმაკური ლიმილით მეუბნებოდა: „რატომ მოგეწონა!“  
უნდოდა მე ისევ მემეორებინა „ფუჰ-ფუჰ“ და თვითონ ეცინა.

**19 თებერვალი, 1988 წ.**

ვუკითხავ წიგნს მუმი ტროლებზე.  
წიგნი რუსულადაა. ჯერ თვალებით ვკითხულობ, მერე ხმამაღლა ქართულად ვუთარგმნი.  
ირინემ ჯერ კითხვა არ იცის. ისე ვიქცევი, ვითომ ქართული წიგნია.  
აი, ერთმა მოქმედმა პირმა მეორეს უთხრა: „უიდი“.  
მე ვთარგმნე:  
— ნადი აქედან!  
ირინემ მითხრა:  
— არა, ქართულად სჯობია ვთქვათ: „მოუსვი!“  
მართლაც „მოუსვი“ სჯობდა.

**24 თებერვალი, 1988 წ.**

ხელში უჭირავს გრაფინი და ამბობს:  
— აუჰ, წყალი მომინდა! მართალია, ყვავილი არა ვარ, მაგრამ ადამიანსაც ხო უნდა წყალი!

**30 თებერვალი, 1988 წ.**

წიგნს ვუკითხავდი.  
ერთ ლექსში გართიმული იყო სიტყვები: „მითხრა“ და „თხა“.  
ირინემ მითხრა:  
— მამიკო, ეგ არ არი ხო კარგი რითმა: „მითხრა“ და „თხა“.  
უნდა იყოს „მითხრა“ და „ვირთხა“...

**5 მარტი, 1988 წ.**

დილით, გაიღვიძა თუ არა, მეუბნება:  
— მამიკო, პალმას დიდი ფოთოლი აქვს?  
— ჰო, - ვუპასუხე მე.  
— ძალიან დიდი?  
— კი, ძალიან.  
— მე დავეტევი იმის ქვეშ?  
— ჰო, შენ დაგფარავს.  
პასუხით დაკმაყოფილდა და აღარაფერი მითხრა. იყო ჩუმად. და მერე უცებ მეუბნება:  
— აგე, ნიანგის თვალი.  
— აბა, სადაა?  
— აგე.  
დამანახვა: სკამზე დანყობილ წიგნებზე იდო პანია, დეკორატიული ქვევრი.  
ქვევრის პირი მიამგვანა ირინემ ნიანგის თვალს.

დამირეკა ბიძინა ჩხეიძემ, ფილმისთვის ლექსი დამიწერე საჩქაროდო.  
ჩქარა როგორ დაგინერ-მეთქი.  
ირინემ დასძინა:



— ჩემი მამის რობოტი ხო არ არი, რო ჩართო და გამო-  
თო. და სწრაფად დაწეროს...

**ირინეს ბავშვობის მეექვსე წელიწადი**

**10 მარტი, 1988 წ.**

წუხელის, რომ ვაძინებდი, მითხრა ხმალზე და კედელზე  
მიმღერო.

ადრე ვუმღეროდი ხოლმე ჩემს ლექსს „კედელზე წკრია-  
ლებს წინაპრის ხანჯალი...“

მეორე სტრიქონი შეცდომით ასე ვუმღერე:

„ლამეში ფხიზლობენ ერთგული ცხენები...“

მითხრა, ეგრე არა, „ბორგავენ“ თქვიო.

სწორად დაუხსომებია. თანაც, ცხადია, „ბორგავენ“ უკე-  
თესია.

**20 მარტი, 1988 წ.**

ირინე უყურებს ტელევიზორში თენგიზ აბულაძის „მონა-  
ნიებს“.

უცებ თქვა:

— ყველა კინო კარგად უნდა მთავრდებოდეს!

ძალიან შეშფოთდა, როცა ფილმში გოგონას მშობლები  
დაიჭირეს და იგი მარტო დარჩა.

მკითხა:

— მართლა ეგრე მოხდა?

დავუწყე დამშვიდება, ახლა აღარა ხდება ეგრე-მეთქი.

ძალიან აფორიაქებული იყო.

კინოსურათი რომ დამთავრდა, მკითხა, რა ჰქვია ამ ფილმსო.

— „მონანიება“-მეთქი.

მონანიება რა არისო.

აფუხსენი, ასე და ასეა-მეთქი.

— აქ მარტო იმ ბიჭმა მოინანია? — მკითხა ირინემ.

სწორედ ასე თქვა.

**22 მარტი, 1988 წ.**

რაღაც ამბავს თუ ფილმს ჰყვებოდა:

— მშობლები კი არა ჰქვიათ ამათ, ლამის ბანდიტები ჰქვი-  
ათ. გაიგეთ ესეთი რამე? სახლში პატარა ბავშვია, ვილაც ბან-  
დიტები კიდევ შემოვარდებიან და... (აქ დაიკვივლა) მე მაგათ  
ვუჩვენებ...

**27 მარტი, 1988 წ.**

გუშინ დილით თავისი სიზმარი მიაბო.

ერთი ტორტის ნაჭერი მეორეს შეაჯდა მხრებზეო. ის კი-  
დევ მესამეს ჩამოეკიდაო. მერე კრემსა ჭამდნენო. გახვრეტი-  
ლები ჰქონდათ და იქიდან კრემი გამოდიოდაო.

მერე ტირში ვიყავი და ვისროდიო.

მერე კიდევ ზაფხული იყო და თოვლი მოვიდაო. იაპონურ  
საზაფხულო კაბაზე ქურქი მეცვაო.

წუხელის ტელეფონით ვლაპარაკობდი და რაღაც რუსული  
სიტყვა წამომცდა.

მაშინვე გამისწორა, რუსი ხომ არა ხარო.

**28 მარტი, 1988 წ.**

წუხელის ვაყურებინე ფილმი „მისტერ პიტკინი საავადმ-  
ყოფოში“.

ძალიან ბევრი იცინა.

ფილმი გვიანობამდე გაგრძელდა, ამიტომ დილით გვიან  
გაიღვიძა.

მაგრამ გაიღვიძა თუ არა, მაშინვე ფილმზე დამინყო საუ-  
ბარი, ის რა ჩამოიცვა თავზეო.

ვისაუბრეთ ერთხანს. მერე დედასთან გავიდა სამზარეუ-  
ლოში და დაუწყო ფილმის ამბების მოყოლა.

— იცი, რატომ შეძერა მაცივარში? უნდოდა გაციებული-  
ყო. თუ იცი, რისთვის?

— არ ვიცი — უპასუხა დედამ.

— იმიტომ, რომ იქ საავადმყოფოში კარგი რაღაცა იყო და  
ამიტომ უნდოდა იქ ყოფილიყო.

— რა კარგი რაღაცა? — ჰკითხა დედამ.

— პატარა გოგო.

რატომა თქვა გოგონაზე „კარგი რაღაცაო“? არ შეშლია.  
ეტყობა, პიტკინისა და გოგონას მეგობრობის ამბავი მეტად  
შთამბეჭდავი იყო მისთვის და ძალიან ძვირფასი. ამიტომაც  
მორცხვად ლაპარაკობდა ამაზე.

ერთად მივდიოდით.

წავიბორძიკე.

ირინემ ძალიან სერიოზულად მითხრა:

— კურდღელი ხომ არა ხარ, რო დახტიხარ...

უკვე რამდენიმე დღეა პლასტილინის ლოკოკინებს აკე-  
თებს:

პლასტილინის ნაჭერს დაასორსალებს, დააგრძელებს, და-  
ანვრილებს და მერე დაახვევს.

ახლა კი მაჩვენა ერთი და მითხრა, აი, ეს ნამდვილიაო.

მართლაც, რქებიც კი გაუკეთებია.

ფუსფუსებს.

რაღაც სხვა ფიგურებსაც აკეთებს. ადამიანებს და სხვა  
რამეებს.

**3 აპრილი, 1988 წ.**

კუს ტბაზე წავიყვანე ირინე და ჩემი ძმისშვილები: გიორგი  
და ნინო.

გზა-გზა კი არ წავიყვანე, ფერდობით ავედიო.

ირინე და ნინო ყვავილებს კრეფდნენ და ყური მოგვკარი  
ირინე როგორ ეუბნებოდა:

— დიდებს არ უყვართ ყვავილები... დიდები სულ მუშაო-  
ბენ და სხვა რამეები არ უნდათ...

**11 აპრილი, 1988 წ.**

ვუსმენთ სიმღერას.

მომღერალმა დაასრულა მღერა და ნელ-ნელა ჩათავდა  
ფორტეპიანოს ბოლო აკორდები.

— დაიპნა მუსიკა... — თქვა ირინემ.

**20 აპრილი, 1988 წ.**

ისევ დაინყო კარგად ხატვა.

დღეს თავისი ნახატები მიჩვენა.

ფლომასტერებით ფერად-ფერადად დაუხატა კაცები და  
ქალები.

ერთ-ერთ კაცზე მითხრა, ეს მოქსოვილი კაციაო.

მართლაც ფერადი ძაფებივით ჰქონდა იმ კაცს თმები და  
კონტურები.

„მოქსოვილი კაცი“ შეიძლება თვითონ გამოიგონა. არც  
ისაა გამორიცხული, რომ ჩემგან გაიგო: ქართლური დიალექ-  
ტის ლექსიკონში არის ასეთი გამოთქმა. ასე ამბობენ ეშმაკ,  
მოხერხებულ ადამიანზე. მე აღფრთოვანებული ვიყავი ამ გა-  
მოთქმით და შეიძლება ირინემ ყური მოჰკრა ჩემს სიტყვებს.

ორივე შემთხვევაში კარგი ამბავია, რომ ასეთი კაცი დახა-  
ტა ირინემ.

**25 აპრილი, 1988 წ.**

დედამისი რაღაცას უყვებოდა და თქვა, იქ ნახევარექსპ-  
რესი იყოო („პოლუექსპრეს“).

ირინე აგრძელებს:

— ჰო, შიგ ნახევარადამიანები და ნახევარჩიტები ისხდ-  
ნენ... („პოლულოუდი ი პოლუპტიცი“).

**7 მაისი, 1988 წ.**

დილით, ადგა თუ არა, ესა თქვა:  
— მომწყინდა, ხუთი წლის ბავშვი რო ვარ...

**11 მაისი, 1988 წ.**

ირინე და მე ვათვალისწინებდით ნახატების ალბომს. ვუხსნიდი, თუ ვინ იყვნენ ნახატებზე გამოსახული. ბევრჯერ შეგვხვდა ღვთისმშობლისა და მისი ძის სურათი. და ირინემ ყრმა ქრისტეზე მოფერებითა თქვა: — ღმერთუნა...

**21 მაისი, 1988 წ.**

ჩვენს ბინაში გატეხილია ერთი კარის მინა. ირინემ თავი შემოყო გატეხილში და მითხრა: — მე რო ჩიტი ვიყო აქ შემოვფერინდებოდი...

**2 ივლისი, 1988 წ.**

მოვდივართ ფოსტიდან. წვიმის ნაკადს პატარაზე ჩაუხრამია მინა. ახლა მშრალია კალაპოტი. ირინემ ეს რომ დაინახა, გახალისდა, თქვა, ნაკადული ვარო. და ჩაირბინა კალაპოტში.

**3 ივლისი, 1988 წ.**

მუხლებზე მეჯდა და მეთამაშებოდა. ხელები ყურებში ჩამავლო და მქაჩავდა. უცებ მითხრა: — მესამე ხელიც რო მქონოდა, ცხვირსაც მოგაგლეჯდი. და თვითონვე გაეცინა თავის გამონაგონზე. მერე კი დაიწყო ფანტაზიორობა, თუ რას იზამდა მეოთხე ხელით, მეხუთეთი და ასე შემდეგ...

**7-9 ივლისი, 1988 წ.**

საღვთისმშობელს უნდა წავსულიყავით. ირინე ჩემზე ადრე ჩავიდა სახლის წინ და თამაშობდა ბავშვებში. გვერდით რომ ჩავუარე ლოყაზე მოვუთათუნე. მარტონი რომ დავრჩით, მითხრა: — როგორ მიყავი, თითქოს არ მიცნობ. რა ზუსტად დაიჭირა ჩემი ფესტის არსი! მართლაც იყო რალაც „ცივი“ ჩემს მითათუნებაში. ასე უცხო ბავშვებს ეფერებიან ხოლმე.

**10-13 ივლისი, 1988 წ.**

ზღაპრები უნდა წამეკითხა ირინესთვის და მითხრა: — საშინელი მინდა და ქალიანი, გველეშაპიანი და დევებიანი. წავიკითხე ზღაპრის სათაური. — საშინელია? — მკითხა ირინემ. — არ ვიცი. — ალბათ... მიდი... — მითხრა მშვიდად. ესე იგი, წამიკითხეო.

**23 ივლისი, 1988 წ.**

წუხელის, თავის ლოგინში რომ ვანვენდი, უხერხულად მოვკიდე ხელი მკლავზე. ეტკინა და მითხრა: — მატკივარა ხარ, მამიკო!

**30 ივლისი, 1988 წ.**

დილაა. ირინე კარგ გუნებაზეა. დახტის. და უცებ წაიმღერა:

„სიცხე არი ზაფხულში,  
სიცხე კი — ზამთარში...“

**11 აგვისტო, 1988 წ.**

წუხელის დიდხანს ხატავდა. დღეს ვაჩვენე იმ ნახატებიდან ერთ-ერთი და ვკითხე, ეს არის-მეთქი. მითხრა: — დამჭკნარი ყვავილია... უკანასკნელი. — რა, რა? — გამიკვირდა. — უკანასკნელი დამჭკნარი ყვავილია... და თოვლი მოდის. აი, ასე მითხრა მშვიდად.

სამზარეულოში შევედი წყლის დასალევად. ირინეც შემომყვა. მე პურის ნაჭერში ჩადებულ ყველსა და კარაქს ვჭამდი, ირინე კი — ასევე პურში ჩადებულ მხალს. ნამდვილად ერთნაირები ვიყავით. ვკითხე: — ჩემი კუდი ხარ? — არა, კვალი ვარ, — ასე მიპასუხა, და დაამატა, — ჩრდი-ლი ვარ მამისოსი.

**23 აგვისტო, 1988 წ.**

მღერის სააბაზანოში: — საქართველო ჩვენი არის, ჩვენი სამშობლოა!..

**30 აგვისტო, 1988 წ.**

თენდება. რალაც მინდა ჩავეწერო. ჩავრთე პატარა შუქი. ირინე ლოგინში გადაკოტრიალებულა. ფრთხილად ავიყვანე და სასათუ-მალზე დავადებინე თავი. ძილში გაიღიმა, ტკბილად გაიზმორა და წაიმღერა: — ბაჯბაჯა დათვი მოვიდა, ირინეს მისცა სათამაშო. ოლიკომ უთხრა: „მეც მინდა, რაა...“

**4 სექტემბერი, 1988 წ.**

დილით გაახილა თვალი და წამოჯდა ლოგინში. მერე ადგილი მოინაცვლა, დაწვა, თვალი დახუჭა და ძილვეთილში წაიმღერა: „ამუნიამ სადილად ფესსაცმელი შეჭამა. საუზმედ კი ვაშლები, საჭმელად კი სახლი. რა მაგარი ძალღი გყავს, მუცელი არ გაუსკდა... ტრა-ლა-ლა, ტრა-ლა-ლა...“

**17 სექტემბერი, 1988 წ.**

წუხელის ძილის წინ მითხრა, ლექსები გამოვთქვიო. და დაიწყო იმპროვიზაცია: რიტმულად ამბობდა სტრიქონებს, ოღონდ ურითმოდ. აი, ახლაც თამაშობს და ისევ ამბობს რალაც სტრიქონებს.

**25 სექტემბერი, 1988 წ.**

გაიღვიძა. გამიღიმა და მითხრა: — სიზმარში ბოშმა მომიტაცა. — ბოშმა თუ ბოშამ? — ჰო, ბოშამ. წამიყვანა კაფეში და რალაც მწვანე საჭმელი მაჭამა. მერე უკან მომიყვანა. ილიმებოდა, რომ აგონდებოდა სიზმარი...

მტირალი შემოვიდა ჩემთან.  
რატომ ტირიხარ-მეთქი.  
თქვენ იჩხუბებთ და ჩემი თუთიყუშები დაიხოცებიანო.  
(თუთიყუშები არა ჰყავს).  
დავამშვიდე, არ ვიჩხუბებ-მეთქი.  
მერე მკითხა:

— თუთიყუშები როგორა ჩნდებიან, თუკი პატარა თუთი-  
ყუშები არა ჰყავთ?

ვუთხარი, კვერცხებიდან იჩეკებიან-მეთქი.  
მე მგონი, დააკმაყოფილა პასუხმა.

**26 სექტემბერი, 1988 წ.**

ნუხელის მითხრა:

— ეს წიგნი უნდა გავახვიო ქალაქში. მადონას უნდა და-  
ვუგდო. მერე გამოვწვევ და მოვატყუებ... მე ოინების მკეთებე-  
ლი ვარ!

(ეს იმ ამბის გავლენითა თქვა, მე რომ ვუამბე.

ერთხელ ქუჩაში სამმანეთიანი დავინახე ასფალტზე. ასა-  
ლბად რომ დავიხარე, სამმანეთიანი გაცურდა და სადარბა-  
ზოში შეფრიალდა. თურმე ვილაც ბიჭები ასე აცუცურაკებდ-  
ნენ გამვლელებს ძაფმობოშული სამმანეთიანით).

უკვე ერთი თვე იქნება ძილის წინ გვერდით იწვენს სათა-  
მაშო დათუნიას. ჩააცვამს მაისურს, ტრუსებს და ისე.

აბა, მიდი ბაბუასთან, ეტყვის ხოლმე.

ბაბუა მე ვარ. ესე იგი, თვითონ დედაა.

რომ მაკოცებს, მერე დათუნიასაც აკოცინებს ჩემთვის.

მეც, ირინეს რომ ვაკოცებ, მერე დათუნიასაც უნდა ვაკო-  
ცო.

**3 ოქტომბერი, 1988 წ.**

სალამოა.

ირინე მეუბნება:

— მამიკო, პასტა ჩამომიღე, კბილები უნდა გამოვიჯაგრი-  
სო.

როგორი გემრიელი სიტყვაა!

„გამოვიჯაგრისო!“

**4 ოქტომბერი, 1988 წ.**

სალამოა.

ახლახანს დავბრუნდი სამუშაოდან.

ვეახშობ.

ირინე დამიჯდა წინ, შემოიდო ხელი ლოყაზე და ძალიან  
სერიოზულად მეუბნება:

— გიორგის ჰგონია, რომ ჩვენ ცოლ-ქმარი უნდა ვიყოთ.  
სათამაშო გული და რალაცეები მაჩუქა. თითქოს შეყვარებუ-  
ლები ვართ.

ამას მიყვება და თან მორცხვად იღიმება.

მე ვეუბნები:

— არა, შვილო. გიორგი შენი ბიძაშვილია. ქართველები ბი-  
ძაშვილებს არ ირთავენ ცოლად.

— ჰო, ეგ ვიცი, — მითხრა სერიოზულად და ფიქრიანად,  
— მაგრამ გიორგის თითქოს ვუყვარვარ...

**7 ოქტომბერი, 1988 წ.**

დედამისმა ირინეს პირზე მიცხებული კერძი მოსწმინდა  
პურის ნაჭრით.

ირინემ გააპროტესტა და მეუბნება:

— ჩვენ, ქართველები პურით ხომ არ ვინმენდავთ პირს,  
არა, მამი?

**8 ოქტომბერი, 1988 წ.**

დილით რალაც ვუთხარი.

მეუბნება:

— ნუ შემიძვერი თავში. გამოდი!  
— მაგას რატომ მეუბნები-მეთქი.  
— იმიტომ, რომ მეც ეგრე ვფიქრობდი და შენც ეგ იფიქრე.  
ცოტა ხნის შემდეგ უცებ მეკითხება:  
— მამი, სომხებიც რუსები არიან, ხო? სომხებიც რუსების-  
კენ არიან, ხო?

**13 ოქტომბერი, 1988 წ.**

ამ ცოტა ხნის წინ ქალაქიდან დავრეკე.

ველაპარაკები ირინეს.

უცებ მითხრა:

— მე ვარ კამფეტი.

— რა კამფეტი?

— რა და ირისი კამფეტი.

**22 ოქტომბერი, 1988 წ.**

ამ სამი დღის წინ, საღამოს რომ დავბრუნდი, მკითხა:

— რამე მომიტანე, მამიკო?

ვერა-მეთქი.

მითხრა:

— არა უშავს, ნამოდი, მე გაჩვენებ. დახუჭე თვალები და  
ჯერ არ გაახილო.

შემიყვანა ოთახში და მითხრა, გაახილე თვალებიო.

გავახილე და რასა ვხედავ:

მთელ კედელზე თავისი ნახატები გაუკრავს!

ერთგან „გურამი“ წერია ცალკე ფურცელზე. ასევე „ირი-  
ნეც“.

ერთი სიტყვით, გამოფენა მოუმზადებია ჩემთვის.

უნდოდა გავეხარებინე!

დღეს დილით გაიღვიძა თუ არა, სიზმარი მიაგმო:

— მამიკო იყო. მერე სვიტრი ჩაიცვა და ვილაც მოხუც კა-  
ცად იქცა. ხო უცნაურია? დედაც ვილაც პატარა მოხუც ქა-  
ლად გადაიქცა...

**24 ოქტომბერი, 1988 წ.**

მეუბნება:

— ყელი უნდა მოვიფხანო. შეიძლება დავახველო, მამი?  
დახველებით ყელის მოფხანვა როგორია?

წიგნს ვუკითხავდი და ვთქვი, რალაც არაა კარგად ამ წინა-  
დადებაში-მეთქი.

ირინემ მითხრა:

— ალბათ ღამე წერდა მწერალი და აღარა ჰქონდა აზრე-  
ბი... და მერე მაინც გააგრძელა...

დილით მტირალს გაეღვიძა.

ვკითხე, რა ნახე სიზმარში-მეთქი.

მიპასუხა, ზანგი გოგო ვიყავიო.

**6 ნოემბერი, 1988 წ.**

დილით მითხრა, მოდი კარტის თამაში მასწავლეო.

ვაჩვენებ, თუ რომელ ქალაქს რა ჰქვია.

აგურის პაპა რომ ვაჩვენე, მითხრა, ეგ არ მომწონს, შაჰ-  
აბასსა ჰგავსო.

დავინწყეთ თამაში. თანდათანობით ვუხსნიდი წესებს.

მაინც და მაინც აგურის პაპა შეხვდა.

აბუზღუნდა, არ მინდა, მეშინია, არ მინდა მე ეგ. ცუდია,  
ქართველებსა ხოცავდაო.

ძილის წინ, მანონი რომ უნდა დაეღია, ლექსად მითხრა:

მე მანონი თხლუპი, თხლუპი,

შენ კი წიგნი ზღუპი, ზღუპი.

ესე იგი, ვიდრე მე მანონსა ვსვამ, შენ წიგნი მიკითხეო.

**10 დეკემბერი, 1988 წ.**

ორი კვირაც იქნება (ან უფრო მეტი), შევამჩნიე, რამე რომ არ მოეწონება, ამბობს:  
— ფუიმე!  
ერთ სიტყვად გააერთიანა „ფუი“ და „უიმე“.

**15 დეკემბერი, 1988 წ.**

დაახლოებით ორი კვირის წინ მითხრა, ნუხელის ვფრინავ-სიზმარშიო.  
მგონი ასე თქვა, ვილაც კაცი გამომიდგა და ავფრინდიო.

გუშინ მითხრა:

— იცი, მამი, შემიძლია სიზმარი გავაგრძელო. ერთხელ რამეს რომ ვნახავ, მერე დავიძინებ და გავაგრძელებ ხოლმე...

ერთხანს მეძახდა „მამიპუსტის“. მერე მარტო „პუსტის“ ან „პუსტიკოს“.

ჩემო „პუსტიკოო“ მეუბნებოდა ხოლმე მოფერებით.

**17 დეკემბერი, 1988 წ.**

დაუხატავს პატარა გოგო, რომელსაც ხელში ვარსკვლავები უჭირავს.  
მითხრა:  
— ეს არის ღამის გოგო ქონდრისკაცი. ხელში ვარსკვლავები უჭირავს რო გაანათოს...

**10 იანვარი, 1989 წ.**

სამუშაოზე მყავდა ჩემთან, ტელევიზიაში.  
იქ ვაკეთებ გადაცემას დევებზე, გვყავს მამადუ, დედადუ, დადუ და სხვა დევები.  
მკითხა, ძმადუ როდის იქნებაო.  
დადუ ხომ არის „და-დუ“. ესე იგი უნდა იყოს „ძმა-დუც“.

დილაადრიან ძილში თქვა:

— კიდევ გაგვეხარდება!

სალამოა.

სვამს მანონს და თან მეუბნება გამოცანებს, რომლებიც ტელევიზორში მოუსმენია.  
მითარგმნის რუსულიდან.

**24 იანვარი, 1989 წ.**

სკოლაში წასვლის წინ მითხრა:  
— იცი, მამიკო, საკლასო ოთახში ჩიტი შემოგვიფრინდა. ძალიან გამახარა იმით, რომ სწორედ ასეთი ფორმა იხმარა ზმნისა — „შემოგვიფრინდა“.  
უბრალოდ კი არ „შემოფრინდა“, არამედ „შემოგვიფრინდა“, ესე იგი ჩვენთვის შემოფრინდა.  
ქართულად აზროვნებს.

**27 იანვარი, 1989 წ.**

გუშინწინ სალამოს საჩუქარი დამახვედრა.  
იმის წინა დღეებშიც შინ რომ დავბრუნდებოდი დამახუჭინებდა თვალებს, წამიყვანდა, მერე გამახელინებდა და მაჩვენებდა ხოლმე საჩუქარს — ნახატებს.  
ახლაც, თვალი რომ გამახელინა, მაჩვენა პლასტილინით ნაძერწი რამეები: გირჩზე დამატებული რალაც დეტალები, კაცუნები, ნაძვის ხე და სხვა რალაცები.  
ყველაზე საოცარი იყო, რომ გამოუძერწია ცეცხლი და ნაკადული.  
ცეცხლი ასე გამოუძერწავს — მონითალო პლასტილინით ალის ორი ენა გაუკეთებია. ნაკადული კი მოლურჯო პლასტილინის პატარა ზოდია და ზედ ადევს თევზის ფიგურა.

**9 თებერვალი, 1989 წ.**

სალამოა.  
ირინე ლოგინში ეთამაშება სათამაშოებს და სთხზავს ლექსებს:  
„რბილად, რბილად ყველანი ჩუხჩუხებენ სანოლში...  
დაგვაფარებენ საბანს...  
ჩამოგვივლის სანოლთან...“

**28 თებერვალი, 1989 წ.**

მოვუტანე გამომცხვარი საკნატუნო ჩხირები. კვნეტს და ამბობს:  
— რა მაგარია, ქართულ ციხე-სიმაგრესავით არი.

**ირინეს ბავშვობის მეშვიდე წელიწადი**

**31 მაისი, 1989 წ.**

გუშინწინ ღამით დიდი სიცხე მისცა. მოვადენინე ოფლი. გამოკეთდა და ღამის სამ საათზე მოინდომა ჭამა. ვაჭამე.  
ზღაპრები მიამბუო.  
ვუამბე ზღაპრები, რომლებსაც ახლა ვწერ: ერთი, ქართულ დროშაზე და მეორე, ეკლესიად ქცეულ ქალზე.  
ნუხელის კიდევ მთხოვა ზღაპრები.  
— ქართველ ვაჟკაცებზე იყოს და ქალებზეო, — მითხრა. სწორედ ასე!

**27 ივნისი, 1989 წ.**

სალამოს დავბრუნდი შინ.  
ირინეს ველაპარაკებო.  
(ერთი კვირაც იქნება, წესიერად არ მინახავს. მარნეულში და ბოლნისში არეულობები იყო და კიდევ სახალხო ფრონტის ყრილობა. დილით ადრე მივდიოდი, ღამით გვიან ვბრუნდებოდი).  
ესაუბრობო.  
უცებ ახლოს მოინია, ყურთან მომადო პირი და მიჩურჩუ-ლა:  
— მამიკო, ზღვაზე ვიყავით მე და დედა. და იქ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა იყო. იცი, როგორ ფრიალებდა?!

**5 ივლისი, 1989 წ.**

ვლაპარაკობდით ქვიშხეთში წასვლაზე.  
ირინემ მკითხა:  
— რომელ ოთახში ვიქნებით? მაშინ რომელშიც გადავცხოვრდით?  
აზრი — „გადავედით საცხოვრებლად“ თქვა ერთ სიტყვად: „გადავცხოვრდით“.

**8 ივლისი, 1989 წ.**

ვართ ქვიშხეთში.  
ოლიკო და ირინე აქ ისვენებენ, მე მივდი-მოვდივარ (ალა ჩერნიგოვშია).  
სალამოს ჩამოვედი თბილისიდან.  
ირინე სადღაც თამაშობდა ბავშვებთან.  
ოლიკომ დაუძახა.  
ირინე შემოვიდა კოტეჯის დერეფანში და, რომ დამინახა, ტირილი დაიწყო.  
რატომ ტირინარ-მეთქი.  
წავიქეციო.  
სინამდვილეში კი იმიტომ ატირდა, რომ მე დამინახა. ეს იყო სიხარულის ტირილი.

(სწორედ ასე მოხდა, პატარა იყო სულ რამდენიმე თვისა, როცა ჩერნიგოვში ჩავედი და ოცი დღის უნახავი მნახა. მაშინაც ერთხანს მომაცქერდა, მერე სახე საყვარლად მოეჭყანა და ტირილი ამოუშვა...)

**9 ივლისი, 1989 წ.**

ნუხელის ირინე და მე ვუცქეროდით, თუ როგორ დაფრინავდნენ ციციანათელები.

მერე, ირინემ და ოლიკომ რომ დაიძინეს, უცებ ერთმა ციციანათელამ ოთახში დაიწყო ფრენა (თითქოს ოთახი სინამდვილე კი არა, არამედ სიზმარი იყო ირინესი).

ერთხანს ვტკებობდი ციციანათელას ციმციმით, მერე ავექეი, გავუღე ფანჯარა და გაფრინდა.

**12 ივლისი, 1989 წ.**

კვლავ ქვიშხეთში ვართ.

ჩვენი კოტეჯის გვერდით მშენებლები მუშაობენ. ზედ ჩვენი ფანჯრის გვერდით დაზგა გამართეს: თუნუქის ფურცლებს კიდევებს უკეცავენ.

მუშა თუნუქს რიტმულად ურტყამს ხის ჩაქუჩს.

ირინე ფიცარზე დგას და იმავე რიტმში აბაკუნებს ფეხებს.

ძალიან უყვარს, როცა თვით იგონებს სიმღერის სიტყვებს. აი, მღერის:

„ყველა, ყველა ჩვენი სიტყვა

კარგი, კარგი, მშვენიერი...“

მერე იმღერა თამარ მეფეზე...

მერე – ვილაც ბიჭზე, რომელიც ქართველების წინამძღოლია...

მერე კი ასე იმღერა:

„დელი, დელი, აბანოში ვმღერი...“

აბანო, აბანო,

იბანავეთ მალ-მალო...“

თამაშობს, დახტუნავს, დარბის და... მკერდზე აქვს დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ნიშანი.

**19 ივლისი, 1989 წ.**

ჯერ მითხრა, მამიკო ლექსები მასწავლეო.

მერე თვითონა თქვა ლექსი. მე დაეწერეო.

„ანა-ბანა, ანა-ბანა,

საქართველო ნანინანა.

ეს პატარა საქართველო

რა ყოფილა ამისთანა“.

**20 ივლისი, 1989 წ.**

მესაუბრება:

— მამიკო, იცი, რა სიზმარი ვნახე?.. მე და ოლიკო მარტო მივდიოდით თბილისში. ჯერ ნავით მივდიოდით, ქვეშ რო მიდის...

— წყალქვეშა?

— ჰო, წყალქვეშა.

— როგორ მიდიოდით, მტკვრით?

— არა!

— მაშ ზღვით? თბილისის ზღვით?

— არა!

— აბა, როგორ მიდიოდით, აქედან თბილისამდე წყალი რომ არაა?

— ეს ხო სიზმარი იყო. ეხლა შენ რო ნახო, თუთიყუშმა რო იმღეროს, მართლა ხომ არა მღერის. ან კიდევ, სკამებმა რო იცეკვონ... ცეკვავენ?

**23 აგვისტო, 1989 წ.**

გუშინ მითხრა:

— მამიკო, შენ რომელი მამიკო ხარ ვარდისფერი თუ ცისფერი, თუ ნარინჯისფერი?

**25 აგვისტო, 1989 წ.**

აიყვანა სათამაშო პინგვინი და დათვი და მღერის:

„პინგვინი და თეთრი დათვი ვართ,

ერთ ქვეყანაში დავიბადეთ...“

იქ სულ თოვლი მოდის,

იქ სულ თოვლი მოდის

და ჩვენ ტიტველები ვართ...“

**24 სექტემბერი, 1989 წ.**

ამ ერთი კვირის თუ ათი დღის წინ მაჩვენა, აი, ნახე რისი გაკეთება შემძლიაო.

ერთი ფეხი კედელს მიაბჯინა, მეორე — კარადას და ასე ნელ-ნელა ავიდა საკმაოდ მაღლა.

მერე იგივენაირად ავიდა კარის ჭრილში...

უყვარს ასეთი რამეები: აძვრომა, ჩამოხტომა, სირბილი, კოტრიალი, ხტუნვა...

ერთი სიტყვით, სპორტული ვინმეა...

**15 ოქტომბერი, 1989 წ.**

ნუხელის ირინემ და მე ვისაუბრეთ მერაბ კოსტავაზე.

ძლივთ დაიწყო სიმღერა შავლეგოზე. მერე კი თავისი ლექსებით გააგრძელა.

„შენა ხარ ყველაზე კეთილიო,

ყველაზე ლამაზი,

ყველაზე ჭკვიანიო...“

ყველაზე კეთილი ვინ იქნება,

დელი დელო...“

ყველაზე კეთილი ვინ იქნება,

დელი დელო...“

ჯერ იტყვის რალაც სათაურს და მერე იმის მიხედვით მიაყოლებს ლექსს.

სწორად მივხვდი, რომ თურმე ნახატებიან წიგნს ათვალთ-ერებს და იქ რა ნახატსაც ჰხედავს, იმას უკეთებს კომენტარს ლექსად.

„ზამთარში როგორ მოხვედი,

არც ქუდი გახურავს...“

არც კოსტუმი...“

**16 ოქტომბერი, 1989 წ.**

სალამოა.

ირინე მღერის:

„ჩემი საქართველო...“

თავისუფლება...“

თავისუფლება...“

**18 ოქტომბერი, 1989 წ.**

ძილღვიძილში ჩამესმის, ირინე მღერის თავის სიმღერას:

„იმ თავისუფლებას ვეძებ,

ისეთს რომელიც მესმის,

თავისუფლება გვჭირდება ჩვენი!

თავისუფლებაა!

თავისუფლებაა!“

**ოქტომბერი — ნოემბერი, 1989 წ.**

სიზმარში წამოიძახა: „ალბათ!“

მხოლოდ ეს ერთი სიტყვა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ალაა ალ-ასუანი, ეგვიპტელი მწერალი, დაიბადა 1957 წლის 26 მაისს კაიროში. დაამთავრა ფრანგული ლიცეუმი. სწავლა განაგრძო კაიროს უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე. კბილის ექიმის მაგისტრის დიპლომი მიიღო ჩიკაგოს ილინოისის უნივერსიტეტში. მწერალს სახელი და დიდება მოუტანა XXI საუკუნის ყველაზე გამაზურებულმა არაბულმა რომანმა „იაკობიანის სახლი“ (2002 წ.), რომელიც ცხრაჯერ გამოიცა და 34 ენაზე ითარგმნა. მიღებული აქვს არაერთი პრემია. „იაკობიანის სახლს“ საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა. ნაწილმა მოიწონა თანამედროვე რეალობის კრიტიკული აღწერა და გულახდილი სექსუალური სცენები. ნაწილმა კი ეგვიპტური საზოგადოების გამრყენელად შეაჩივრა. 2007 წელს გამოვიდა მწერლის მეორე რომანი „ჩიკაგო“, რომელიც ასევე ბესტსელერი გახდა. 2004 წელს ალ-ასუანიმ ადრე გამოცემული ორი კრებულიდან შერჩეული ნოველები გამოსცა სათაურით „მეგობრული ცეცხლი“. მწერალი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ეგვიპტურ ჟურნალ-გაზეთებთან. აქვეყნებს სტატიებს ლიტერატურის, პოლიტიკისა და სოციალურ საკითხებზე. იგი დღემდე მუშაობს კბილის ექიმად, რადგანაც, მისი სიტყვით, „მწერლობით თავს ვერ ირჩენ, პაციენტებთან ურთიერთობა კი სიუჟეტებისა და პერსონაჟთა ხასიათების მთავარი წყაროა“. გთავაზობთ ორ ნოველას შემოსხენებული კრებულიდან.

ალაა ალ-ასუანი

# ორი ნოველა

## ბოქსიორის ჯიშის ძაღლების ყველანაირი სახეობა...

„ფავაზ ჰასანეინი“... ასე ჩურჩულით გაგაცნობს თავს. შეხედვისთანავე მოგეწონება, რადგან თავაზიანი კაცია და თან პენენიკაც, რაზეც ვაზელინსასმული თმა და „ანვარ ვუჯდის“<sup>1</sup> მანერაზე შეჭრილი კარგ<sup>2</sup> მეტყველებს. საკმაოდ მსხვილ წელზე ტყავის განიერი ქამარი შემოურტყამს... სპილენძის ბალთას კი ინგლისური წარწერა ამშვენებს „Love-სიყვარული. და კიდევ — აცვია ნვეტიანი პრიალა ფეხსაცმელი ქუსლებზე, განსაკუთრებულად რომ მოსწონს. ყოველივე ამას ოცი წლის წინათ გაუვიდა მოდა, ფავაზის ახალგაზრდობის ჟამს, მაგრამ ის ჯერაც მისი თავგამოდებული მიმდევარია... და მეტად მოხდენილადაც მიაჩნია თავი. მასთან საუბრისას შეამჩნევ, რა ალტაცებითა და კმაყოფილებით დასცქერის ბალთასა თუ ყელიან ფეხსაცმელთა ნვერებს. ფავაზ ჰასანეინის თავაზიანობა შეგაცბუნებს... დნება თავაზიანობით... დანახვისთანავე გამოქანდება, ხელი რომ ჩამოგართვას... წელში მოიხრება, თავს დაგიკრავს, თითქოს სურს, თავისი ზორბა სხეული შეკუმშოს და დააპატარავოს თქვენი არსებობის საპატივსაცემოდ... ჩურჩულით დაგვლაპარაკება, თვალებს მინაბავს, მსხვილ ბაგეებს მოამრგვალებს და უცოდველი პატარა ჩიტის ნისკარტივით გაანვრისლებს. აბა, როგორ არ უნდა მოგეწონოს ფავაზი? მხოლოდ ამ თავაზიანობით, მორიდებულობითა და თვინიერებით როდი იცნობს „შაქრისა და ლიმონის“ უბნის მოსახლეობა, ჩვევად რომ გაუხდია შუკის პირველივე კაფეში ჯდომა. მათ უნახავთ ფავაზის ჯაყვებითა და სკამებით ბრძოლა. საჩხუბრად გამზადებული ზიზლით მანჭავს ტუჩებს, ანთებულ მზერას ესერის მოქიშპეს და მოსდგება ხმამალალ ლანძღვას, რომელიც ყოველთვის მოწინააღმდეგის დედის პირად ცხოვრებას ეხება. მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის დღე, როცა ფავაზი ზემდეგ აბდ ალ-ლანის ეჩხუბა, ბანქოს ფულზე თამაშის შემდეგ... ფავაზმა უბნის ბავშვები შეკრიბა და მათთან ერთად აბდ ალ-ლანის სახლის ქვეშ, რკინიგზის ლიანდაგზე დადგა და მაღალი ხრინჩიანი ხმით მოჰყვა:

„ო, ზონზროხა დედაკაცო, სულმდაბალო, ჯარისკაცის ცოლო... გაგხეთქოს ბარდისა და კრევეტების ქამამ...“

აი, ესაა ის ფავაზ ჰასანეინი, რომელსაც უბნის მოსახლეობა იცნობს... მაგრამ მათ ყველაფერი არ იციან... უწყის კი ვინმემ, რას საქმიანობს ფავაზი? ზოგჯერ ფული აქვს... უფრო ხშირად — არა. ამ დილითაც კაფეში იჯდა. ჩვეულებისა-

მებრ, რძიან ჩაის მიირთმევდა და ყალიონს აბოლებდა. უცებ წინ ჩაუარა ბიჭმა, რომელსაც პატარა ძალღი შემოესვა მხარზე... ფეხშიშველა ბიჭს ძველი, დახეული ჯილბაბი ეცვა... ძაღლს კი ლამაზად გაკრეჭილი შავი რბილი ბენვი ჰქონდა და კისერზე წითელი ბანტი ეკეთა.

— ბიჭო, მოდი აქ, — შესძახა ფავაზმა და თავში რალაც აზრმა გაუელვა.

ბიჭი მიუახლოვდა და თან შიშით შეჰყურებდა.

— საიდან მოგყავს ეგ ძაღლი? — ჰკითხა მოსხანედ.

— ალ-მაადიდან.<sup>3</sup>

— არა... მოპარული გყავს. შავ დღეს დაგაყრი... — უყვირა და ისეთი მწარე სილა გაანნა, ბიჭმა ძაღლი მოისროლა და მოკურცხლა.

ფავაზმა ხელში აიყვანა ძაღლი... უცნაური ფორმა ჰქონდა: დაშვებული მუცელი, მოკლე ფეხები და ნაგრძელებული სახე. პატარა ძვალი მოუტანა, რომ ეჭამა. მერე დაჯდა, ყალიონი გააბოლა და დაფიქრდა, რა მოეხერხებინა ძაღლისათვის. ის ნამდვილად ალ-მაადიდან არის და ძვირიც ეღირება. გაგონილი ჰქონდა, ბოქსიორის ჯიშის ძაღლების ფასი ას ფუნტამდე აღწევსო. ცოტა ხნით დაფიქრდა და რალაც გადანყვეტილება მიიღო... ორი დღის შემდეგ გაზეთ „ალ-აჰრამში“<sup>4</sup> კაფეს ტელეფონის ნომრით განცხადება გამოქვეყნდა: „იყიდება ბოქსიორის ჯიშის ძაღლების ყველანაირი სახეობა“. ფავაზი დილიდანვე ტელეფონს მიუჯდა და მსურველებს პასუხობდა, კაფეს ადგილსამყოფელს უხსნიდა „შაქრისა და ლიმონის“ უბანში. შუადღისთვის პირველი მუშტარი გამოჩნდა... შავი ფერის დიდმა „მერსედესმა“ შემოუხვია შუკაში. მანქანიდან სამოცს მიტანებული დარბაისელი ჭალარა კაცი გადმოვიდა. შავი დრაფის პალტო ეცვა... ინგლისელივით მონითალო სახე ჰქონდა. შეხედვისთანავე მიხვდა, რომ ევროპელი იყო... მისკენ გაექანა და ჩვეული თავაზიანობით შეხვდა. სკამი მიართვა და სტუმრისთვის რძიანი ჩაის მოტანაც ბრძანა. ყალიონის შეთავაზება ვერ გაბედა... მერე მიუტრიალდა, გაუღიმა, თვალები მინაბა და ტუჩები მოამრგვალა:

— თქვენს განკარგულებაში ვარ...

— ძაღლის თაობაზე მოვედი, ჩემო ბატონო...

ფავაზს ესიამოვნა „ჩემო ბატონო“. უმაღლეს ნამოდა და რამდენიმე წამში დაბრუნდა მხარზე შემოსული ძაღლით, რომელიც შიგნით, ყავის მოსახარში მაყალის<sup>4</sup> გვერდით



<sup>1</sup> ცნობილი ეგვიპტელი მსახიობი.  
<sup>2</sup> ვარცხნილობა.

<sup>3</sup> ელიტარული უბანი კაიროში.  
<sup>4</sup> მაყალი, რომელიც იდგა კაფეზე მიდგმულ კარავში, სადაც ნაკვერცხლებზე მზადდებოდა ყავა.



ჰყავდა დაბმული. მოსულმა თვალი შეავლო ძაღლს და, ვიდრე ხელში აიყვანდა, თამაში დაუნყო, თან კი გამოცდილი კაცის ხელით სინჯავდა... მთელი ეს ხანი ფავაზს წამითაც არ გაუჩერებია ენა:

— ო, ეფენდი... ეს ბოლო ძაღლია... სამი გავყიდე... ეს მეოთხეა. ჩემო ბატონო, გეცოდინებათ, რომ ბოქსიორი დღეს ძალიან ფასობს. მსურველი ბევრია, მაგრამ სად არის...

მოულოდნელად ფავაზმა მუშტარს მაჯაზე ხელი წააგლო:

— ღმერთი გნამს? სამგზის ვფიცავ მის დიდ სახელს, გული მეუბნება, რომ ეს ბოქსიორი შენი იღბალია... შენ რას ფიქრობ?

მოსულმა გაიღიმა და მშვიდად სთქვა:

— გმადლობთ, მაგრამ ეს ძაღლი ბოქსიორი არ არის.

— როგორ?! — საყვედურნარევი ტონით იყვირა ფავაზმა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

თითქოს ვიღაცას ეძებდა, რომ ამ უსამართლობიდან ეხსნა.

— ო, ეფენდი... ცდები, ამას რომ ამბობ! ეს ძაღლი სუფთა ბოქსიორია... ნახე, თითონაც გეუბნება ბოქსიორი ვარო.

კაცმა გულლიად გაიღიმა:

— ო, ბატონო... ბოქსიორი ასეთი არაა... ორმოცი წელია ძაღლების მოყვარული ვარ...

— აბა რა ჯიშისაა?! — მორჩილად ჩაიბურღუნა ფავაზმა, გულში კი წყევლა-კრულვას უთვლიდა ორივეს — კლიენტსაც და ძაღლსაც. განცხადებაში გადახდილი ოცი ფუნტი ახსენებოდა და მოსვენებას უკარგავდა.

— ეს ძაღლი პეკინეისა.

— რაც არის, არის... რას აპირებ... რამდენად იყიდი?! — თქვა ძალაგამოცლილმა ფავაზმა. გადაწყვიტა, ნებისმიერ ფასად მოემორებინა ეს წყეული ძაღლი.

კლიენტი ერთნაშ გაჩუმდა. სიყვარულით შესცქეროდა ძაღლს... თითქოს მანაც იგრძნო, რა ხდებოდა... მოსულს ზედ ახტებოდა, დრუნჩგამვერილი სახეს ულოკავდა...

— 300 ფუნტს გადავიხდი.

ძლიერმა სიხარულმა წამიერად გათიშა ფავაზი, მაგრამ დროზე მოეგო გონს და ხმამაღალ წუნუნს მოჰყვა...

— ამას დაუშვებს ალაპი?! ო, გრცხვენოდეს ბატონო... ასეთ ძაღლზე (ვერაფრით გაიხსენა წყეული ძაღლის სახელი) 300 ფუნტს მეუბნები... 700 ან 600... მაინც ვეთქვა!

კაცმა ჯიბეები მოიქექა და 350 ფუნტი ამოიღო. ფავაზმა თითებს შორის მოიქცია თანხა და სწრაფად გადათვალა. მერე ფრთხილად მოკეცა და შარვლის ჯიბეში ჩაიღო. კაცმა ძაღლი მხარზე შეისვა. სახე შედანიერებისაგან უბრწყინავდა. ფავაზმა მანქანის კარამდე მიაცილა. წინ გადაიხარა, ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა და გაქრა... იმ დღიდან აღარავის უნახავს უბანსა და კაფეში... არავინ იცოდა მისი გაუჩინარების მიზეზი... გუშინ კი უბნის ბიჭებმა ამბავი მოიტანეს, რომ ალ-მაადის რაიონში უნახავთ. კერძო სახლების ეზოებს უტრიალებს და როგორც კი ძაღლი გამოჩნდება, მაშინვე ჩანთიდან პატარა ძვალს იღებს და უგდებს... მერე ტუჩებს მოპრუნავს და დაბალი ხმით ეძახის:

— ბობი... ბობი... მოდი...

**ქველი კაბა და თავსაგურაპი**

გაცნობის შემდეგ პირველად პატარა რესტორანში დავპატიჟე. მომდევნო კვირას — კინოში. სახლამდე მივაცილე და, ვიდრე მანქანიდან გადავიდოდა, ვთხოვე, ბინაში მოსულიყო ჩემთან. სხვა ქალებივით არ მოქცეულა: არც გაურტყამს და არც ფარისეველურად გაბრაზებულა. შემფოთებუ-

ლი მზერა მომაპყრო და მერე მშვიდად მთხოვა მისამართი. მეკარესა და მეზობლებზეც გამოიკითხა... დანიშნულ დროზე მოვიდა.

წინასწარ გამზადებული ორი ჭიქით გვერდით მივუჯექი დიდ ოთახში და ხანგრძლივი მხიარული საუბრისთვის მოვემზადე. ქალის პირველი ვიზიტისთვის დამახასიათებელ მანჭვა-გრეხვასა და წინააღმდეგობის განწევას მოველოდი, მაგრამ შესაბამის ვითარებაში კოცნაზე უარი არ უთქვამს. მერე ჩურჩულით მითხრა, გავიხდიო. სამოსს ისე გულისყურით კიდებდა საკიდზე, გვეგონებოდათ, რაღაც როლს თამაშობდა ან დადებულ ხელშეკრულებას ასრულებდა. გახდას რომ მორჩა, ჩემგან მოშორებით ზურგზე გადაწვა შიშველი. ხელები თავკეკემ ამოიღო და ჭერს მიაშტერდა... ნაღვლიანი მოჩანდა... სასიყვარულო საქმეებში დიდი გამოცდილება მქონდა. მაშინვე ხელი გავიწოდე და მის გაშლილ თმას შევეხე... ხელზე მომეფერა და ხმადაბლა მითხრა:

— იცი, ზოგჯერ საკუთარი თავი მეცოდება...

მკლავები შემოვხვიე და ისევ კოცნა დავუწყე. ჩურჩულით მითხრა :

— არ გაინტერესებს...

კარგი ღარიბი გოგო იყო. მომიყვა მძლოლ მამასა და ხუთ ძმაზე. იმაზე, რომ ალ-მუჟარდის ქურჩაზე ერთი ოთახი აქვთ სხვენში. თავის საუდიელ ქმარზე, რომელიც ორ თვეში გაიქცა. გამეცინა, როცა საკონსულტო მოხელის კილოკავს გამოაჯავრა. აღმინერა მისი მდიდრული ბინა ზამალიქზე.

ახლაც ამ ქალზე ვფიქრობ...

ვხედავ, როგორ გამოდის აბაზანიდან სველი თმით. აბრეშუმის ჭრელი მოქარგული კაბა აცვია. სახელურები აკაპინებული აქვს, გამხდარი სხეულის საკადრისად. ვხედავ, საღამოხანს, ჩემი ბინიდან გასვლის წინ, როგორ ითრევს ფეხს... ჩაბნელებულ შემოსასვლელთან დგას მარტო... თითქოს შეყვარებული ქალის სახეს იხსნის, რომ რიგითი გამგელის სახე მოირგოს. მერე უჩუმრად ალებს ბინის კარს და გადის. მესმის ფრთხილი ნაბიჯების ხმა, რომელიც თანდათან უფრო გაბედული და მკაფიო ხდება... ვიხსენებ, როგორ დამყვება მთელი დღე მალაზიებში, თავის გემოვნებით არჩევს, ადარებს, თითქოს ერთი ოჯახი ვართ და იგი ჩემი საყვარელი მზრუნველი ცოლია.

მერე... ის დილა მახსენდება, უკანასკნელად რომ ვნახე. მისი სახლის მახლობელ გაჩერებაზე გვექონდა პაემანი. ციოდა. ტროტუარზე, მზიან ადგილას თავმოყრილთა შორის იდგა... იდაყვებთან ოდნავ გაცრეცილ ზამთრის ლურჯ კაბაში... შეცვლილი და სხვანაირი სახე ჰქონდა. გვერდით რომ მომიჯდა მანქანაში, დამთრგუნველი ატმოსფერო ჩამონვა.

პირველმა დაიწყო ლაპარაკი:

— საავადმყოფო სალექს სალემის ქურჩის ბოლოსაა.

მეც იქით გავემართე. ახალი ეტაპი დაიწყო ჩემს ცხოვრებაში. ისე ამოვიოხრე, მოთმინების ფიალა რომ აგვესება:

— გითხარი, რომ ცოლად შეგიერთავ.

ამ ორ დღეში ასჯერ მაინც ვუთხარი, მას კი კრინტიც არ დაუძრავს. როცა კი დაქორწინებაზე ვინცბდი საუბარს, იცდიდა, როდის დავასრულებდი და ისევ აბორტს უბრუნდებოდა. დარწმუნებული იყო, არ შევირთავდი და ეს გაუთავებელი ლაპარაკი ქორწინებაზე ჩემი უპასუხისმგებლობის დასტურად მიაჩნდა.

— საავადმყოფო პატარა თეთრი შენობაა დიდი აბრით: „ადიბის სამშობიარო“.

თავდახრილი და აღელვებული წელი ნაბიჯით ადის მარმარილოს კიბის საფეხურებზე. მე კი რომელიღაც „სპექტაკლში“ მცველის როლს ვასრულებ — „დამნაშავე ქალი“ წინასწარ გამოტანილი განაჩენის აღსასრულებლად მიმყავს.

ექიმ ადიბს კაბინეტში შევხვდით. მელოტი კაცი იყო დონდლო ტანითა და მსუქანი სახით. თავშეკავებულად მოგვესალმა და მერე მოჩვენებითი მიამიტობით მკითხა:

- ქალბატონის მეუღლე ბრძანდებით?
- თავი დაუქვნი.
- რატომ გადაწყვიტეთ აბორტის გაკეთება?
- ვუპასუხე, როგორც დარიგებული ვიყავი:

— ღვთის ნყალობით, ორი შვილი გვყავს.

აქ დასრულდა ოფიციალური გაცნობა. ექიმის გამომეტყველება შეიცვალა და ამჯერად ბუნებრივი ხმით გადაჭრით გვითხრა:

- ოპერაცია 500 ფუნტი დაჯდება. ანესთეზია — 100.
- წინასწარ გამზადებული თანხა კონვერტით გადავცი.

მადლობა გადამიხადა.

ფული უჯრაში ჩადო და წამოდგა:

— ღმერთის იმედით ვიყოთ.

გამომყევით, ქალბატონო.

ექიმი წინ წავიდა. ჩვენ უკან გავყევით: მე, ის და მეორე ექიმი. გრძელ ჩაბნელებულ კორიდორში მივდიოდით. მივადექით საოპერაციო განყოფილების კარს, რომელსაც ორი საგდული, დარაბა და ორი მრგვალი მინის სარკმელი ჰქონდა. უხმოდ მივდევდით. კართან მისული ქალი უცებ ჩემკენ შემობრუნდა და წაიჩურჩულა:

— ო, სალექს... ძალიან მეშინია.

ხმა არ ამომიღია. ყინულივით უძრავად ვიდექი ერთ ადგილას. ექიმმა ქალმა ხელი წაავლო და შეიყვანა. კარი ხმაურით მიჯახუნდა. თავი ამტკიცდა. კორიდორში მდგარ სკამზე ჩამოვჯექი. შავდღეში ვიყავი, მაგრამ მასზე დაქორწინებაც არ შემეძლო, როგორც კარგიც უნდა ყოფილიყო და როგორც უნდა ვყვარებოდი. საბოლოო ჯამში უწესო ქალი იყო... იქნებ სულაც განგებ დაორსულდა, რომ ცოლად მომეყვანა? იქნებ მართლა ასეა?

## 2. თავზე წაკრული ღია ფერის თავსაბურავი

ყველაზე მეტად რაც მასში მომწონდა, მისი შესანიშნავი თვისებები იყო. საბუღალტრო აღრიცხვაზე ხუთნი ვიყავით და მხოლოდ ის ატარებდა ჰიჯაბს — არა მხრებზე დაშვებულსა და განიერს, არამედ მოქარგულ მრგვალ ნაჭერს, მხოლოდ თმას რომ უფარავდა. ამის შემდეგ გავიგე, რომ ამ სახეობის თავსაბურავს „ბუნია“ ჰქვია. მრავლად ჰქონდა — ყველა კაბის შესაფერი. ვნების აღმძვრელად ღამაზი იყო: ღივი შავი თვალები, ქათქათა თეთრი კანი, კოხტა პატარა ცხვირი, მსხვილი შეღებილი ტუჩები, მარგალიტის მძივივით ასხმულ კბილებს რომ გაეპო.

ამ სილამაზესთან ერთად ღირსეული თავდაჭერაც ჰქონდა. დაუდევარი სიცილი, უხამსობა ან რამე ზედმეტი სიტყვა არ წამოსცდენია კურსელებთან. არასოდეს უცდია ყურადღების მიპყრობა. მომწონდა, მიუხედავად მისი ღრმა რელიგიურობისა, რის გამოც ლექტორს ლექციას აწყვეტინებ-

და, რომ შუადღის ლოცვა აღევლინა. ქალებთან ურთიერთობის გამოცდილება მქონდა, მაგრამ არ გამობედავს იაფფასიანი არსიყით მისი ღირსება შემელახა. უსიტყვოდ ვაკვირდებოდი თვეების მანძილზე და გრძობდა ამას. შეკრებოდა, თუ ჩვენი მზერა შემთხვევით ერთმანეთს შეხვდებოდა.

ერთ ღამეს ტელეფონმა დარეკა და მისი ნაზი ნამძინარევი ხმა შემომესმა. ახალგაღვიძებულს ჰგავდა. ბოლო ლექციის გაუგებარ ადგილებზე მკითხა. მერე

მადლობა გადამიხადა და ყურმილი დამიკიდა. მთელი ღამე ფიქრში გავატარე. მაინცადამაინც მე რატომ დამირეკა?! ჯერ ერთი სუსტი ვარ საბუღალტრო აღრიცხვაში, რაც მშვენივრად იცის. მეორეც — ასისტენტის ტელეფონის ნომერი აქვს და შეეძლო მისთვის ეკითხა, თუ მოისურვებდა. გამოდის, რომ...

იმაზე ფიქრმა, რომ ვუყვარვარ, ფრთები შემეძასხა... ზეცაში დაფვრინავდი...

მეორე დღეს დავურეკე. დედამისმა გამკიცხავი ტონით მკითხა:

- ვინ ბრძანდებით?
- სწრაფად ვუპასუხე:
- სალექსი ვარ, ქალბატონო, მისი კურსელი...

ერთ წამს გაჩუმდა, თითქოს აწონ-დაწონა ვითარება და დაუძახა... ამჯერად დიდხანს ვისაუბრეთ. შევიტყვე, რომ ორი და ჰყავს. მამა უნივერსიტეტის პროფესორია და სპარსეთის ყურეში მუშაობს. მოვუყევი მამაჩემზე, რომელიც ახალი გარდაცვლილი იყო. დავიჩივლე რთულ სამემკვიდრეო პროცედურებზე და ბოლოს ვკითხე:

— შეიძლება დროდადრო დაგირეკო?

- გაცივინა და თქვა:
- შეიძლება. სწავლამიც წა-

ვახალისებთ ერთმანეთს.

ყოველდღიურად და ხანგრძლივად ვსაუბრობდით. ერთხელაც ვეღარ დაიტია გულმა სიყვარული და ამოხეთქა:

— მომისმინე !.. მიყვარხარ... თანახმა ხარ ცოლად გამომყვე?!

დიდხანს დუმდა. მერე ხმადაბლა, ნაღვლიანად თქვა, თავიდანვე ეს მაშინებდა. შესანიშნავი ახალგაზრდა ხარ, რომელსაც ნებისმიერი გოგო მოისურვებს, მაგრამ გაათხოვებს ჯერ არ ვაპირებო...

მეხივით დამეცა მისი პასუხი. სასოწარკვეთილმა ვკითხე:

- ეს ნიშნავს, რომ უარს მეუბნები...
- არც თანხმობაა და არც უარი...

ჩვენი საუბრები გრძელდებოდა, მაგრამ ქორწინებაზე აღარ ვლაპარაკობდი, თუმცა ყოველდღე იმით გამოვხატავდი ჩემს გრძობას, რომ ვეუბნებოდი:

— მიყვარხარ, მიყვარხარ...

ხან იცინოდა, ხან კი მეტყუოდა:

— თუ მართლა გიყვარვარ, კარგად ისწავლე.

ბაკალავრიატის გამოცდები რომ მოახლოვდა, მითხრა:

— ერთად ხომ არ გვემეცადინა? ხვალ მოდი ჩემთან... მშობლებს უკვე შევუთანხმე.

თითქოს დაუჯერებელ სიზმარში ვიყავი. ვეღარც დავიძინე და ვეღარც წავიკითხე. როცა ეს დღეც დადგა, რაც სა-



მხატვარი ბერდია არაბული

უკეთესო მქონდა, ჩავიცვი. თმა საგანგებოდ დავიყენე, წვე-  
რი გავიპარსე. რა ბედნიერი ვიყავი, როცა მისი კარის მუსი-  
კალური ზარი დავრეკე... ლამაზი სახლი აქვს, ოჯახი უფრო  
ლამაზი. მამა ღირსეული კაცია. მამური სითბოთი ამავსო.  
დედა, მიუხედავად ასაკისა, ჯერ კიდევ მშვენიერია. თმა სო-  
ლიდური შავი ბუნით ჰქონდა გაკრული. აღტაცებული და-  
რჩი მათი საქციელით, როცა მარტო დაგვტოვეს კაბინეტში  
და კარიც მოგვიხურეს. განა ეს იმის მაჩვენებელი არ იყო,  
რომ საკუთარ ქალიშვილს ენდობოდნენ?!

რა მშვენიერია სიყვარული... ყოველდღე მივდიოდი.  
გვერდით მივუჯდებოდი და ვმეცადინებოდი, ვსაუბრობ-  
დი... მისი თმიდან წამოსულ არომატს ვსუნთქავდი... შემ-  
თხვევას ვეძებდი, რომ მის ნახ და სათუთ ხელს შევხებოდი.  
ვეგრძნობდი, როგორ სიამოვნებდა... სახე შეუფაკლებოდა  
და ამოიოხრებდა ან შიშით ნაიჩურჩულებდა:

— გიჟი ხარ. დედა რომ შემოვიდეს, დავიღუპებით...

იმ დღესაც ჩვეულებისამებრ წავედი მასთან. კაბინეტში  
დავჯექი და ლექციები გადავშალე. მან გულლიად მითხრა,  
მშობლები წასულები არიან და საღამომდე არ დაბრუნდები-  
ანო. ჩავხვდი თუ არა ნათქვამის აზრს, ვიგრძენი, როგორ  
ამიდულდა სისხლი. თვალებზე ბინდი გადამეკრა და ვერა-  
ფერს ვხედავდი. მთრთოლვარე და აღელვებული ხმით  
ვთხოვე, ჭიქა წყალი მოეტანა.

წამოდგა თუ არა, მკლავზე ხელი ვტაცე და მივიზიდე.  
მხურვალედ ვკოცნიდი სახეზე, კისერში. ჩუმი ხმით წამოიყ-  
ვირა და სუსტი წინააღმდეგობაც გამინია.

მერე დაემორჩილა ჩემს მკლავებს და ხანგრძლივ ვნები-  
ან კოცნაში ჩავიკარგეთ...

მსგავსი სიტკბოება არ მიგემია ცხოვრებაში... გონს რომ  
მოვედი, მისი ფერდაკარგული და ცრემლით დანამული სახე  
ვიხილე. გულამოსკვნილი ტირილი აუფარდა. დამშვიდებას  
შევეცადე:

— მაპატიე... თავი ვერ შევიკავე... ბოლოს და ბოლოს  
კოცნის მეტი არაფერი მომხდარა.

ჩემმა სიყვარულმა ყვირილით მომახალა სახეში:

— შენთვის იოლია... ჩემთვის კი დიდი უბედურებაა...

მე, რომელსაც მამის გარდა კაცის ხელი არ შემხებია, კოც-  
ნის უფლება მოგეცია... როგორ? რა ვუთხრა მას ან დედას? —  
ისევ ქვითინი აუფარდა. ველარ გავუძელი და მაშინვე გავე-  
ცალე იქაურობას. ძალიან შეწუხებული ვიყავი...

\*\*\*

და აი, ჩვენ — მე და დედაჩემი — მათ მისაღებ ოთახში  
ვსხედვართ. ჩემი რჩეული გაბრწყინებული სახით მშობ-  
ლებს შორის ზის. კვასკვასა წითელი ფერის კაბა აცვია და  
თავზეც იმავე ფერის ბუნია წაუკრავს. დედაჩემმა დიდხანს  
ილაპარაკა ჩემს აღზრდაზე, ჩემს ბუნებასა და ქონებაზე,  
რომელიც მამამ დამიტოვა. იმაზე, რომ მხოლოდ ჩემი ბედ-  
ნიერება სურს... როდესაც მაჰრისა და საქორნილო საჩუქ-  
რის თემაზე გადავედით, ჩემმა რჩეულმა თავის პატარა ლა-  
მაზი ხელით ოდნავ გვერდზე მოქცეული ბუნია გაისწორა  
და მერე თავისი ნაზი და მომაჯადოებელი ხმით დედაჩემს  
უთხრა:

— ოცი ათასი ფუნტი საკმარისი არ იქნება მაჰრისათ-  
ვის... — მერე მოგვიყვა ორ ახლობელზე, რომელთა მაჰრი  
სამოცი-სამოცდაათი ათასი ფუნტი იყო. ბოლოს თავაზიან-  
ნად და გადაჭრით განაცხადა, ჩემი მაჰრი ოცდაათ ათასზე  
ნაკლები არ იქნება.

დედაჩემმა, ვიდრე დაეთანხმებოდა, გამწარებით მჯილი  
გამკრა.

არაბულიდან თარგმნა  
ივოლდა ბრეჟლიძე

## უჯრავი ჩაკეტილი აზრები

25 აპრილს განახლებული მწერალთა სახლის სარკეებიან  
დარბაზში გაიმართა გამომცემლობა „ინტელექტის“ პროექ-  
ტის „ჩანაწერები“ 25 ტომეულის პრეზენტაცია.

სალამოს უძღვებოდა „ინტელექტის“ საგამომცემლო  
პროექტის ხელმძღვანელი ზვიად კვარაცხელია.

უკვე სამი წელია, რაც გამომცემლობა ამ ახალ პროექტს  
წარმატებით ართმევს თავს. წიგნებად იბეჭდება მწერალთა  
ჩანაწერები და დღიურები. ეს ლიტერატურული პროექტი  
აერთიანებს XIX, XX და XXI საუკუნის მწერლობას. გამოცემა  
ოთარ ჭილაძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერებით დაიწყო და  
ამის შემდეგ უკვე ოცდახუთი წიგნი გამოვიდა. უახლოეს ხან-  
ში იგეგმება კიდევ სამის გამოცემა.

მკითხველს შევახსენებთ ამ მნიშვნელოვანი გამოცემის  
ავტორებს: ბაჩანა ბრეგვაძე, ტარიელ ჭანტურია, ოთარ  
ჩხეიძე, ლევან ბრეგვაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ვახტანგ  
ჯავახაძე, გურამ ბათიაშვილი, ლადო ასათიანი, ესმა ონიან-  
ი, ივანე ამირხანაშვილი, ზურაბ ცხონდია, გურამ რჩეუ-  
ლიშვილი, როსტომ ჩხეიძე, იოსებ ჭუმბურიძე. XIX საუკუ-  
ნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები (თეიმურაზ ბაგრატიონ-  
ი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერის-  
თავი) — თამაზ ჯოლოგუას რედაქტორობით, თამაზ ჭილა-  
ძე, სიმონ ჩიქოვანი, რეზო კვესელავა, ვახტანგ ჭელიძე,  
რუსუა ჩილაჩავა, ლერი ალიმონაკი, გურამ ოდიშარია, აკა-  
კი განჯრელი. XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურე-  
ბი (გიორგი დეკანოზიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, და-  
ვით ქარცივაძე, აკაკი ჭანტურია): ლევან ლეონიძე, მარია  
ჭოფმანი.

პრეზენტაცია ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა. თუმცა  
ამან ხელი შეუწყო, რომ საღამო მშვიდ გარემოში, საინტერე-  
სოდ და ორგანიზებულად წარმართულიყო. სიტყვით გამო-  
ვიდნენ თავად ავტორები: ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯა-  
ვახაძე, ლერი ალიმონაკი, ლევან ბრეგვაძე, გურამ ბათიაშ-  
ვილი, თამაზ ჯოლოგუა, გიორგი ლომჯანიძე, ვისი წიგნიც  
მალე გამოვა.

თითოეულმა სიხარულით აღნიშნა, რომ პრეზენტაცია  
სწორედ მწერალთა სახლში გაიმართა: ყველა გამომცემულ  
წიგნზე დიდი სიხარულია ჩემთვის აქ მოხვედრა, — აღნიშნა  
ტარიელ ჭანტურიამ, — მეჩვენება, რომ ამ დიდ საქმეს აქვს  
მომავალი. „ინტელექტი“ დიდ და სერიოზულ საქმეებს აკე-  
თებს.

„ყველა წიგნი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს ისე-  
თი წამოწყებაა, რომელიც ზოგიერთ მწერალს აფიქრებინებს,  
თავის აზრები ფურცელზე გადაიტანოს“, — აღნიშნა ვახტანგ  
ჯავახაძემ.

თამაზ ჯოლოგუამ დიდი მადლობა გადაუხადა გამომცემ-  
ლებს. მან ისაუბრა ცენზურაზე, რომელიც სხვადასხვა დროს  
ბოჭავდა ხელოვან ადამიანთა შემოქმედებას. „ცენზურა არის  
თვითონ ადამიანებშიც, ხოლო დღიურებში ადამიანები ცენ-  
ზურაზე არ ფიქრობენ“, — და მართლაც, ალბათ, სწორედ  
ამიტომაცაა ეს ჩანაწერები საინტერესო გემოვნებიანი  
მკითხველისათვის. ეს წიგნები შეულამაზებლად დაგვანახებს  
შემოქმედთა სულს და გაგვიღებს კარს მათი ემოციებისა და  
გრძნობების რეალურ სამყაროში შესასვლელად.

რეპორტაჟს კი ლევან ბრეგვაძის გამოსვლიდან ამონარი-  
დით დავასრულებ:

„მაგონდება გალაკტიონის სიტყვები — სიტყვა ნაწყვეტი  
გამოგვიცხადებს უფრო მეტს, ვიდრე ვრცელი მსჯელობა. წა-  
უკითხავი ხელნაწერებით სავსეა ჩვენი მუზეუმები და ისინი  
ელოდებიან თავიანთ დროს“.

ლილე გიორგიძე

შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველს ოსმალეთსა? XIX საუკუნეში წართმეული საკრამენტული კითხვა ილია ჭავჭავაძისა ფართო მნიშვნელობას იძენს და ძალუმად ეხმარება არა მარტო ანმყოფს, არამედ წარსულსაც და მომავალსაც. „ოსმალეთი“ სხვა სახელებითაც შეიძლება შევცვალოთ და აზრი იგივე დარჩება. ამშვენებდნენ, დიასაც ამშვენებდნენ მოსისხლე მტრების სახელ-დიდებას. ასეთი იყო მწარე ხვედრი პატარა ქვეყნის შვილებისა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი გადასახედიდან (თბილი კლოზეტებიდან!) დავგმობთ საქმენი და გარჯა მათი, ვუკიჟინოთ სისხლის ღვრა უცხო დროშებქვეშ (მეოცე საუკუნე იქნება თუ მეჩვიდმეტე), თავი მოვიწონოთ ციდან ჩამოვარდნილი ჩვენი უბადლო დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე ქართველი მეფე-ბატონიშვილების დანიშნულების შედეგად ირანის ისტორიის ამ მონაკვეთისათვის ყველაზე უხვი ცნობები მოიპოვება ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში და მათ შორის გამოირჩევა სეხნია ჩხეიძე. იგი აღწერს იმდროინდელ ირანში მიმდინარე მოვლენებს როგორც თანადადამხედური, ხშირად — როგორც თვითმხილველი და არაერთგზის — როგორც მონაწილე. მართლაც რომ ფასდაუდებელია მისი თხზულების მნიშვნელობა სეფიანთა ირანის დაცემის ისტორიისათვის. ამ პერიოდის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის სეხნია ჩხეიძის ინფორმაციას.

თავის დროზე, გამოჩენილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ, სხვა ქართულ წყაროებთან ერთად, ფრანგულ ენაზე თარგმნა სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება“ და, ამგვარად, ხელმძინვანდომი გახდა ევროპულ მეცნიერთათვის.

და აი, ინგლისელი ორიენტალისტი ლოურენს ლოკარტი თავის ვრცელსა და უაღრესად საინტერესო გამოკვლევებში სეფიანთა დინასტიის დაცემის შესახებ არაერთგზის იმონებებს სეხნია ჩხეიძეს, როდესაც ეხება, ვთქვათ, მომთაბარე ბელუჯთა შემოსევებს ირანის ტერიტორიაზე, გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილის მოღვაწეობას სეფიანთა სახელმწიფოში, ქართველ მხედართა ბრძოლებს ქირმანის უდაბნოებში, ისპაანის ამბოხებას და ქაიხოსრო ბატონიშვილის ტარულობას თუ სპასალარობას.

სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრების“ ფურცლებზე ინგლისელი მკვლევარის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყანდაარის ეპიზოდები.

ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს გიორგი XI-ის ყოფნას ყანდაარის ბეგლარბეგად და წერს: „იყო სულთანნი ყანდაარისა მირვეისი, გაუსია სულთანსა აზარისასა, გაემარჯვა და მოეყვანა მხარშეკრული. იამა მეფესა და უბოძა საბოძკარი და შემოსა სამოსლითა კარგითა. გამოხდა ხანი და შექნა ამავე სულთანმა უარშიობა, გაგზავნა ჩაფრად ყანთანა და მისწერა სხვის ჩაფრით არზა და მოახსენა: ესე სულთანი უარშიობს, უნდა არევა ამა ქვეყანისა, ნულარ გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე მოახდენს“.

ლ. ლოკარტი აღნიშნული ცნობის საფუძველზე ამტკიცებს, რომ მიზეზი ყანდაარიდან მირ-ვეისის განდევნისა იყო ლილზაების ტომის ამბოხება, რომელსაც იგი მეთაურობდა და რომელმაც მარცხი განიცადა. ლ. ლოკარტის სიტყვით, გურგინ-ხანის (სპარსულად ასე ეძახდნენ ქართლის მეფეს) ეჭვები სავესებით გამართლდა, როდესაც ლილზაების ტომის წინამძღოლი სათავეში ჩაუდგა თვისტომ მემამბოხებს; თუმცა ლილზაები ჩინებულნი მებრძოლნი იყვნენ, გურგინ-ხანმა და ქართველ ვეტერანთა ძლიერმა გარნიზონმა ამბოხების ჩახშობა იოლად შეძლეს. ინგლისელი მკვლევარი შემდგომში კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს, ახასიათებს მირ-ვეისს, როგორც შესანიშნავ პოლიტიკურ მოღვაწეს და დასძენს, რომ მისი ერთადერთი შეცდომა იყო ნაადრევი ამბოხება 1706 წელს, ისიც — თვისტომთა იძულებით (როგორც ცნობილია, იმავე ლილზაების ამბოხება 1709 წელს იმავე მირ-ვეისის თაოსნობითა და თავკაცობით ფრიად წარმატებულნი გამოდგა).

ლ. ლოკარტი იქვე მიუთითებს, რომ მეორე ქართველი ისტორიკოსის — ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იმხანად ლილ-

### უარშიობა

ზაების არავითარ ამბოხებას არა ჰქონია ადგილი, მაგრამ სეხნია ჩხეიძე უფრო მართალი უნდა იყოსო.

ინგლისელი მკვლევარი იმონებებს სეხნია ჩხეიძის თხზულებას მ. ბროსეს მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანიდან.

როგორც ირკვევა, ფრანგ ქართველოლოგს ქართველი ისტორიკოსის მიერ ორჯერ მოხმობილი სიტყვა „უარშიობა“ რატომღაც ორგვარად უთარგმნია: პირველ შემთხვევაში „ურჩობად“, მეორეში კი — „ამბოხებად“.

რომელი თარგმანია უფრო ზუსტი? რას ნიშნავს „უარშიობა“ — ურჩობას თუ ამბოხებას?

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა „უარშიო“ ასეა განმარტებული: 1) კაცის გაუნყოფელი, 2) გაუნყოფელი კაცი.

დიდი ქართველი მწერალი თავის თხზულებებში რამდენჯერმე სარგებლობს ზემოხსენებული სიტყვით. იტალიაში მოგზაურობისას იგი აღწერს იქაურ ქსენონს: „ორმოციოდ გიჟი იყო და დედ-მამის უარშიო. თვითოს ფეხში ბორკილი ეყარა, დაბმულნი იყვნენ“. იმავე დღიურში აღნიშნულია: „მალთას პირდაპირ რომ ბარბაროზთ თემია, სამი დიდი ხელმწიფე ზის, რომ ხვანთქარს არ ემორჩილებიან. აქათ თავს თუნის ხელმწიფეა, ხვანთქარის მესაზღვრე და უარშიო“.

მაშასადამე, სიტყვა „უარშიობა“ გახლავთ „ურჩობის“ სინონიმი. ასევე თანადროულ ქართულ საისტორიო წყაროებში. მაგალითად, ბერი ეგნატაშვილი ამგვარად ახასიათებს სახელგანთქმული ზურაბ არაგვის ერისთავის ძმას: „ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და უარშიო და არა მორჩილებდა ძმასა თვისსა“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, XIX საუკუნის მასალების საფუძველზე, მოცემულია შემდეგი განმარტებანი: უარშიობს — არ იგუებს, არ ემორჩილება, ურჩობს; უარშიო — გაუგონარი, ჯიუტი, ურჩი კაცი; უარშიობა — გაუგონრობა, შეუგუებლობა, ურჩობა, სიჯიუტე.

ამრიგად, სეხნია ჩხეიძის თხზულებაში ნათქვამი „უარშიობა“ ნამდვილად არ ნიშნავს „ამბოხებას“ და არც სხვა წყაროები ადასტურებენ ინგლისელი მკვლევარის მტკიცებას.

პოლონელი მისიონერის თადეუშ კრუშინსკის სიტყვით, გურგინ-ხანი დაეჭვდა მირ-ვეისის ერთგულებაში, წარგზავნა იგი ისპაანს და შეატყობინა ირანის შაჰს, რომ ყანდაარის უსაფრთხოებისათვის უმჯობესი იქნებოდა — არ დაებრუნებინათ მირ-ვეისი ყანდაარს.

„კარმელიტთა ქრონიკა“ გვაუწყებს, რომ დაეჭვებულმა გურგინ-ხანმა მირ-ვეისს უბრძანა ყანდაარის მიტოვება და ისპაანს წასვლა.

ირანის ელჩად რუსეთში წარგზავნილი ისმაილ-ბეგის რეალაციაში ვკითხულობთ, რომ გურგინ-ხანი კეთილგანწყობით არ უყურებდა მირ-ვეისს, რადგანაც ურჩობა შეატყო. ამიტომაც ისპაანს გაისტუმრა და შაჰს ურჩია, რომ ეს დაუდგრომელი პიროვნება დაეკავებინათ სამეფო კარზე, თორემ მის დაბრუნებას ყანდაარში, უთუოდ, ავი შედეგები მოჰყვებოდა.

ვინმე მაჰმუდ-ბეგის რეალაციის მიხედვით, გურგინ-ხანი სეფიანთა სამეფო კარს უხასიათებდა მირ-ვეისს, როგორც სახელმწიფოს ფარულ მტერს და მოსალოდნელი ამბოხების თავიდან ასაცდენად მოითხოვდა მის დატუსაღებას ანდა მოსპობას.

ფრანგი ისტორიკოსი მამი-კლერაკი იმონებებს იოსებ ქართველის (აბესალამაშვილის) იტალიურ ენაზე შედგენილ რეალაციას და წერს, რომ მირ-ვეისის ერთგულებაში დაეჭვებულმა გურგინ-ხანმა შეიპყრო იგი და ისპაანს წარგზავნა. ამავე დროს სეფიანთა სამეფო კარს ამცნო, რომ მირ-ვეისი არის მემამბოხე და განზრახული აქვს შფოთის გაღვივება, რაც მომავალში საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოს.

ინგლისელ ჯ. ჰანვეის კრიტიკულად გაუაზრებია მამი-კლერაკის ტექსტი და ის ფრანგული სიტყვა, „მემამბოხეს“ რომ ნიშნავს, ინგლისურად უთარგმნია, როგორც „ურჩი, დაუმორჩილებელი“ (ანუ — სეხნიასეული „უარშიო“).

რაც შეეხება მირ-ვეისის „უარშიობის“ შინაარსს, როგორც იტყვიან, სათქმელი მერმისთვის დარჩეს...

მოიკოჭლავდა გეომრავალი

„აი, ეს არის ჩვენი დროის ყველაზე ძლიერი ადამიანი, აქვე არიან მისი თანამშრომლები, — გავიფიქრე მე. — რა სენსაციური კატასტროფა იქნებოდა, რომ ახლა ჩვენს შუა ბოძში აფეთქებულიყო და სულ ნაფლეთებდა ექცია ყველაფერი!“ — ამ ავმა ფიქრმა ერთი წამით გამიელვა თავში და თვით ჩემთვისაც კი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ შემაძრწუნა“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! ზემოთ დამონებულ ტექსტის ავტორი გახლავთ მილოვან ჯილასი — ტიტოსდროინდელი იუგოსლავიის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, იუგოსლავიის კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერი, შემდგომში გადისიდენტებული.

ალნერილი ეპიზოდის დრო — 1948 წლის იანვარი. მოქმედების ადგილი — მოსკოვი. ანტურაჟი — სტალინის ავტომანქანა, სადაც სხედან სტალინი, საბჭოთა არეობის ვარსკვლავები — მოლოტოვი, ჟდანოვი და ზემოხსენებული ჯილასიც, სამუშაო ვიზიტით რომ იმყოფება საბჭოთა კავშირის დედაქალაქში (ტექსტი ალბულისა მილოვან ჯილასის წიგნიდან „საუბრები სტალინთან“ — ქართულად თარგმნა ზურაბ გემაზაშვილმა).

როდესაც ჯილასმა პირველად დაადაფა ფეხი საბჭოეთის მიწას — მოსკოვში, ვნუკოვოს აეროდრომზე, უზომო ბედნიერების გრძობამ შეიპყრო. მიწაზე კი არა, თავი მეცხრე ცაზე ეგონა. თვითმფრინავში ყოფნისას ცდუნება დაეფულა: როგორც კი მოსკოვის მიწას დავაბიჯებ ფეხს, მყისვე ვემთხვევიო. და ასეც მოიქცეოდა, მაგრამ იმ გარემოებამ შეაფერხა, ვითომ მასპინძლებმა რელიგიური იერი მიანიჭონ ან უფრო უარესიც — თეატრალურ პოზირობაში ჩამომართვანო.

ასეთი განწყობილებით ჩავიდა პირველად მოსკოვში 1944 წლის გაზაფხულზე.

ჯილასი 200 ათას დოლარს ითხოვს სესხად და სტალინს ჰპირდება, გერმანელთაგან იუგოსლავიას რომ გავათავისუფლებთ, ამ ვალსაც დაგიბრუნებთ და სხვა სახის დახმარების საფასურსაც გადავიხდითო.

ჯილასი გვამცნობს, სტალინი გულწრფელად შემოგვწყნარა:

— თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ, თქვენ სისხლი უნდა დაღვართ, მე კი იარაღის ფული გამოგართვათ! მე ვაჭარი არ ვახლავართ, ჩვენ ერთი საქმისათვის ვიბრძობთ, ამიტომ ვალდებული ვართ გინილაოდო ის, რაც გავაჯანია.

ჯილასის მომცრო წიგნი თავებდა არის დაყოფილი. პირველ თავს ჰქვია „გატაცება“, მეორეს — „ეჭვები“, მესამეს — „იმედის გაცრუება“. სჯობდა, ეს უკანასკნელი სათაური მრავლობით რიცხვში დაენერა, ვინაიდან იმდგაცრუება არაერთი ყოფილა და „იმედგაცრუებანი“ უფრო უპირანი იქნებოდა სათაურად.

მრავალ იმედგაცრუებათაგან ნიმუშად ერთიც რომ დავიმონმოთ, საკმარისი იქნება დასკვნების გამოსატანად.

აი, უკვე 1948 წელი დამდგარა. ახლოვდება კულმინაცია იმ კონფლიქტისა, რომელიც წარმოიქმნა საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის.

ჯილასი წერს: „ყველაგან, ყოველ ნაბიჯზე, ვხვდებოდით აქამდე ჩვენთვის უცნობ საბჭოთა სინამდვილეს: ჩამორჩენილობას, პრიმიტიულობას, შოვინიზმს, დიდმპყრობელობას. რა თქმა უნდა, აქვე ჩანდა გმირული, ზეადამიანური ცდა ყოველივე ამის გადასალახავად და ნორმალური ცხოვრების დასამყარებლად“.

ეზოსკოპიას — ლელ თუთისანის (ლელი ფანჩიძის) ფოტოგამოვენას — მასპინძლობდა 28 ივნისს ლესელიძის ოთხი.

„მე ვარ დამთვალეირებული, დამკვირვებელი, მჭვრეტელი... ჩემი თბილისური ეზო კი ცოცხალი ორგანიზმია — სუნთქავს, ხმაურობს, ბობოქრობს... საერთო ჯამში კი — მშვიდობიანი ცხოვრებით ცხოვრობს.“

აქ ყველაფერია ერთად, ქართული და არაქართულიც, თბილისური, თვითმყოფადი...

ყველა ფოტო გადაღებულია ჩემი აივნიდან ან ფანჯრიდან, მეორე სართულიდან, — ამცნობდა დამთვალეირებლებს ფოტოებს შორის განთავსებული წარწერა.

აქ მართლაც ყველაფერი იყო, ქართულიცა და არქართულიც, წარმავლობის ჩარჩოთი შემოსაზღვრულიცა და ცხოვრების მარადიულ წრებრუნვაზე მიმნიშნებელიც... თოკზე გაფენილი ჭრელი

იუგოსლავიის საგარეო წარმომადგენელი ჯილასს სთხოვს, მიქოიანთან მიმყვიო (მიქოიანი იხსნად სსრკ საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბრძანდებოდა).

სხვა საკითხებთან ერთად, მიქოიანს სთხოვენ, რომ გერმანიის ოკუპირებული ზონებიდან დაპირებული ვაგონები გადასცენ იუგოსლავიას — მით უმეტეს, თქვენ ფართო ლიანდაგის გამო ვერ გამოიყენებთო.

— ეგ თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რა პირობით უნდა გდმოგცეთ, რა ფასად? — ეკითხება მიქოიანი ჯილასს.

— უბრალოდ, უნდა გვაჩუქოთ! — მიუგებს ჯილასი.

— ჩემი საქმეა ვაჭრობა და არა საჩუქრები, — მოკლედ მოუჭრის მიქოიანი.

ჯილასი ასკვნის: საბჭოთა მანქანამ იუგოსლავიის მიმართულებით წაიფორხილა და დამუხრუჭდაო.

მაგრამ ჯერ სადა ხარ!

ჯილასმა საბოლოოდ აიყარა გული საბჭოთა კავშირსა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადზეც ერთი კურიოზული ინციდენტის შემდეგ.

იუგოსლავიის ლიდერებთან საუბრისას სტალინს განუცხადებია, ბულგარეთ-რუმინეთის საბაჟო კავშირი საერთოდ არარეალური არისო.

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ კარდელმა შენიშნა, საბაჟო კავშირები პრაქტიკულად არც ისე ცუდი გამოდგაო.

ახლა სიტყვასიტყვით დავიმონმოთ ტექსტი ჯილასის წიგნიდან:

— მაგალითად? — ჰკითხა სტალინმა.

— აი, თუ გნებავთ, ბენელუქსი, — ფრთხილად წარმოთქვა კარდელმა. — მასში ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი გაერთიანდა.

სტალინი: არა, იქ ჰოლანდია არ ვახლავთ, ეგ მხოლოდ ბელგია-სა და ლუქსემბურგის კავშირია, ეს კი სისულელეა, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

კარდელი: არა, მასში ჰოლანდიაც შედის.

სტალინი (ჯიუტად): არა, ჰოლანდია არ შედის.

სტალინმა გადახედა მოლოტოვს, ზორინს, ყველას გადაგავლო თვალი. მე მინდოდა განმემატა მისთვის, რომ ბენელუქსი — მარცვალი „ნე“ ჰოლანდიის ნამდვილ სახელწოდებას „ნედერლანდს“ ნიშნავდა. მაგრამ რაკი ყველა სდუმდა, მეც პირში წყალი ჩავიგაფუბე. ასე უდა ამგვარად — ბენელუქსი ჰოლანდიის გარეშე დარჩა“.

მორჩა და გათავდა. სტალინმა არ იცოდა (თუ დაავიწყდა?), რომ ჰოლანდია არაოფიციალური, თუმცა უფრო პოპულარული, სახელწოდებაა ნიდერლანდებისა.

ჯილასს გული რომ არ გაუსკდა, არ გიკვირთ?

გეოგრაფიაში სტალინის შეცდომამ, ეტყობა, საბოლოოდ ჩასცა ლახვარი ჯილასის მსოფლმხედველობას (გეოგრაფია ხომ მისი უსაყვარლესი საგანი იყო სკოლაში). ალბათ ამიტომაც გადისიდენტდა და ვინაიდან სტალინი მალე გარდაიცვალა, იუგოსლავიაში სტალინის ორეულად შერაცხულ მარშალ იოსიპ ბროზ ტიტოს დაუპირისპირდა.

სტალინის უწყინარ შეცდომას გეოგრაფიაში სხვა მძიმე შედეგები არ მოჰყოლია. კერძოდ, ჰოლანდია არ ამოუგდიათ ბენელუქსის საბაჟო კავშირიდან.

მაგრამ საქართველოში ერთი კაცის უნებურ შეცდომას საბედისწერო შედეგი მოჰყვა — რატომღაც დაინერგა გამოთქმა „ენა, მამული, სარწმუნოება“ (ნაცვლად ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოებისა“). ვის წამოსცდა პირველად — ენა, მამული, სარწმუნოება?

ლელი ფანჩიძის ეზოსკოპია